საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№49 (187)
26 დეკემბერი, 2012 - 15 იანვარი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«საქართველო და მსოფლიო» გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 2013 წლის 16 იანვარს



15

## «ბატონო ბიძინა, გაათავისუფლეთ წალკა «ნაციონალების» ოკუპაციისგან!»



8

## «მაიძულებდნენ, მეთქვა, რომ ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს საპატრიარქოს დავალებით ვაღვივებდით»

3 ნიანგები, ოფოფები და სააკაშვილის უკანასკნელი ბენეფისი

4 რუსულ-ქართული გადატვირთვა?

პაატა ზაქარეიშვილი:

5 ჩვენ არასდროს დავპირებივართ საზოგადოებას, რომ აღვადგენდით დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთან

## პოლიტიკური პინოქიოს თავგადასავალი

(საახალწლო ზღაპარი)



6

13 ბრძოლა რეჟიმის გაიძვერა ნარჩენებთან გრძელდება

## წალენჯიხელები მასობრივად მოგვედო

14

10

## წეროვანის გეტო — ბილეთი ნიურნბერგამდე!

22 თანამედროვე მონობა, ანუ ცხოვრება ხელფასიდან ხელფასამდე

# მიშიანობის ცხრა წელიწადი...

2

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სააკაშვილს არც ახლა ესმის, რატომ არ უნდა იგი ქართველ ხალხს. იგი ბრაზს ვერ იკავებს. „დაუბანელი“, „გაუპარსავი“, „ბრბო“ – ასეთი ეპითეტებით ამკობს ამომრჩეველს და თან ნირწამხდარ თანაპარტიელებს ჰპირდება, რომ სულ მალე ხელისუფლებაში დაბრუნდებიან.**

# მიშიანობის ცხრა წელიწადი...

**გორბაჩოვის მიერ გამოცხადებული „პერესტროიკის“ დროს, გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ტელევიზიაში ასეთი ინციდენტი მოხდა: საინფორმაციო გამოშვება „ვრემიას“ წამყვანს სახელმწიფოს პირველ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კითხვისას შეცდომა მოუვიდა. იგი შეფერხდა, შემდეგ კი გაეცინა. იმ წუთში მთელმა ქვეყანამ გააცნობიერა, რომ ავტორიტარიზმი დამთავრდა. რთული წარმოსადგენი არ იყო, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთ შეცდომას სულ რამდენიმე წლით ადრე.**



1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში ადამიანების გამომეტყველებაც შეიცვალა და საკუთარი აზრის გამოხატვის სიმძაფრეც. ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერები კი ჭმუნავენ, რომ „ოცნება“ წინასაარჩევნო დაპირებებს არ ასრულებს, მაგრამ თავად ამომრჩეველი პირველ რიგში სამართლიანობის აღდგენას ითხოვს და ყველაფერს დანარჩენს — მხოლოდ ამის შემდეგ. სამყაროს „გამოცხადებული“ აღსასრული – 21.12.12 სამყაროსთვის არა, მაგრამ 21 დეკემბერს დაბადებული სააკაშვილისთვის ნამდვილად ახდა. დაინგრა ის სამყარო, რომელსაც იგი საკუთარი თავისთვის ასეთი რუდუნებით ქმნიდა. 2012 წელი მისთვის მართლაც შეუქცევადი აღმოჩნდა. წლის დასაწყისში იგი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სულ ათიოდე თვეში სრულ კრახს განიცდიდა.

კაცმა რომ თქვას, **მას არც ახლა ესმის, რატომ არ უნდა იგი ქართველ ხალხს. იგი ბრაზს ვერ იკავებს. „დაუბანელი“, „გაუპარსავი“, „ბრბო“ — ასეთი ეპითეტებით ამკობს ამომრჩეველს და თან ნირწამხდარ თანაპარტიელებს ჰპირდება, რომ სულ მალე ხელისუფლებაში დაბრუნდებიან.** იგი აღშფოთებულია, რომ დამოუკიდებელი ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი დააკავეს. ამბობს, რომ ასეთი რამ არსად, არასდროს მომხდარა. ნუთუ არ ახსოვს, რომ მისი დავალებით ასევე დამოუკიდებელი ტელეკომპანიის ორი ხელმძღვანელი — შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე დააკავეს? არ ახსოვს. იმიტომ, რომ ვირტუალური მართვის ბუმერანგი ვერაგია: შემკვეთი თავად იჯერებს მოდელირებულ სინამდვილეს. **სააკაშვილმაც დაიჯერა, რომ მან საქართველო ააშენა, დემოკრატია დაამყარია, ხალხი დააპურა და ინვესტიციებისთვის ყველაზე მიმზიდველი გარემო შექმნა.**

„ჩვენს დროს ხომ იჭერდნენ ხალხს. შეხედეთ ციფრებს, საქართველო პატარა ქვეყანაა. ამ რაოდენობის დაპატიმრებული ადამიანები პროცენტულად სხვა ეპოქებშიც არ ყოფილა ბოლო ათწლეულებში, როცა საქართველო არ იყო დამოუკიდებელი“, — აცხადებს კოჭლი იხვი. გგონიათ, ცრუობს? არა, უბრალოდ, მისთვის ის 25 ათასი პატიმარი და ათეულობით ათასი პრობაციონერი ვირტუალურია. რეალური მხოლოდ მისი რეჟიმის სახეები არიან.

2012 წელი თავიდანვე ვერ დაიწყო კარგად. 29 თებერვალს პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლის შემდეგ ჯონდი ბაღათურიამ შეუსრულა ის, რაც 2011-ში გურამ ჩახვაძემ ვერ შეძლო – ელიტურ კორუფციაში დაადანაშაულა. პრეზიდენტის ოჯახის წევრების საკუთრებაში ბოლო წლებში აღმოჩენილი ქონების ჩამონათვალს მთელი საქართველო იცნობს და ნუღარ გავიმეორებთ, მითუფრო, რომ **„საქართველოს პირველმა დედამ“ ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც „იჩუქა“ შვილისგან სახელმწიფო ქონება.**

მთელ ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ სააკაშვილი ჯერ პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან გაიქცა, შემდეგ კი საპარლამენტო ტრიბუნიდან დეპუტატს „ფარჩაკი“, „სულელი“, „ბრიყვი“ და „ტალახში ამოსვრილი“ უწოდა, რომელსაც ხელისუფლებაში „მართლა არაფერი ესაქმება“:

**„ტალახში გორაობა თქვენი ბუნებრივი მდგომარეობაა. ახლა მანდატურებს ვთხოვ და გაგყვებიან, ჩაგაწვენენ ნამდვილ ტალახში ბოლომდე, კარგად დაგ ზილავენ, როგორც საჭიროა, და გაგივლის ეს ფანტაზია“,** — მიმართა სააკაშვილმა ბაღათურიას.

ამ სიტყვების ავტორი დღეს აღშფოთებას ვერ მალავს მისი ყოფილი ჩინოსნების დაკითხვაზე დაბარების გამო, თუმცა ივანიშვილს არც ერთი მათგანისთვის არ უწოდებია ის, რასაც ოპონენტებს სააკაშვილი კადრებდა. არც პირდაპირ დამუქრებია ფიზიკური ანგარიშსწორებით. და კიდევ – პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან გაქცეული (როგორც ოთხი წლით ადრე – გორში) სააკაშვილი დღეს ირწმუნება, რომ არაფრის ეშინია და დაცვა არ სჭირდება.

იმავე გორში 2012 წლის 11 იანვარს მან განაცხადა: **„ვერასდროს ეს მუმიები უკან ვეღარ დაბრუნდებიან. მუმიები უკან ბრუნდებიან მხოლოდ ფილმებში. ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ვამპირები, პოლიტიკური წარსულის მუმიები, სხვადასხვა ურჩხულები ველარ დაბრუნდებიან, სანამ საქართველო მიდის წინ და სანამ თავისუფლების პირობებში ვაშენებთ, ვაკეთებთ, ვქმნით ნელ-ნელა, ეტაპობრივად“.** მაშინ არ იცოდა, რომ „მუმიებთან“ და „ვამპირებთან“ კოაბიტაცია დასჭირდებოდა.

მარტში სტუდენტებთან შეხვედრაზე მან სამჯერ გაიმეორა უცნაური სიტყვა „მოიტყვანა“; იმის თქმა სურდა, რომ მან გაზაფხული მოიყვანა, მაგრამ რამდენჯერაც არ სცადა, იმდენჯერ გამოეკვეხა ეს უადგილო „ყ“. **აპრილში მახათას მთაზე ეკლესიის მშენებლობაზე ისეთ მდგომარეობაში მივიდა, რომ ამის აღწერა კალამს არ ძალუძს. ყველაზე კორექტული შეფასება — „არაფხიზელი“ ოდნავადაც ვერ ასახავს მის მდგომარეობას. აქ ნუ შევჩერდებით, ისევ ჩვენი სირცხვილია ქვეყნის პირველი პირის ამ მდგომარეობაში ყოფნა,** თუმცა მას არ რცხვენია და დღეს რუსეთიდან შემოსულ „კროკოდილზე“ (რომელიც, სხვათა შორის, სწორედ მისი მმართველობის წლებში გავრცელდა) ლაპარაკობს, რომლის მიღების შემდეგაც „ჰგონიათ, რომ წინ მიდიან, სინამდვილეში კი უკან-უკან იწყებენ სიარულს“. ხომ არავის გაგონებთ ეს სიმპტომები?

მაისში, წყალდიდობის მეორე დღეს, რომელსაც 5 ადამიანის, მათ შორის ბავშვების, სიცოცხლე შეეწირა, სააკაშვილი სლოვენიაში საქართველოს 17-წლამდე ნაკრების საფეხბურთო მატჩს დაესწრო, იქიდან კი მილანში „შოპინგზე“ გაემგზავრა.

ივნისში ქართულ პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ვილნიუსის ერთ-ერთმა კლინიკამ მიხეილ სააკაშვილს ოფიციალურად დაუსვა დიაგნოზი. **„საქართველოს პრეზიდენტი უკიდურესად მძიმე მდგომარეობით ჩააფრინეს ლიტვაში, სადაც იქაურმა ფსიქიატრებმა სრული გამოკვლევის შედეგად დადეს დასკვნა — „ქრონიკული ფორმის მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი“.**

მკითხველს განვუმარტავთ: არაქრონიკული ფორმის მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი ექვემდებარება ხანგრძლივ რემისიებს, ანუ სიმპტომების შემსუბუქებას. სხვა საკითხია ქრონიკული ფორმა, რომელიც მუდმივ მკურნალობასა და სტაციონარულ დაკვირვებას მოითხოვს, ანუ, ფაქტობრივად, განუკურნებელია“. ჟურნალისტები დღემდე უშედეგოდ ცდილობენ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მისი ჯანმრთელობის ცნობის მოპოვებას.

ივლისში ალავერდის ტაძარში სააკაშვილმა კათოლიკოს-პატრიარქი ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. **„ხმამაღლა ყვიროდა, ძალიან გაბრაზებული იყო, პატრიარქს ხელიც კი მოჰკიდა, არაფერი შეგეშალოსო“,** — აცხადებდნენ თვითმხილველები.

აგვისტოში წინასაარჩევნო კამპანია გაჩაღდა და სააკაშვილის ჰიპერაქტიურობამ პიკს მიაღწია. 9 აგვისტოს სრულიად საქართველომ „სახელმწიფო საიდუმლოება“ შეიტყო: თურმე 2008 წლის ომის დღეებში მამაცი მხედართმთავარი ფოთში ჩაფრენილა. დანარჩენი — მისი სიტყვებით, **„კარგად მახსოვს, რომ გარშემო რუსეთის საოკუპაციო ჯარი იდგა, ყველგან გარშემო, მაგრამ აუცილებელი იყო ფოთში ჩაფრენა, რათა გაგვემხნევებინა, რადგან ეს მოხდა მას შემდეგ, რაც იქ ხალხი დაიღუპა. და მახსოვს, ავფრინდით, მივფრინავდით ღრუბლებში დამალულები, რადგან ყოველი მხრიდან რუსული თვითმფრინავები დაფრინავდნენ და ცა იყო გადაკეტილი. და ესე, ღრუბელ-ღრუბელ, მალვით ჩავფრინდით, როგორც იქნა, ფოთში. ხმელეთით გადაადგილება იყო შეუძლებელი, ტრასა ჰქონდათ დაკეტილი.**

**ჩავფრინდი და დავიწყე გამოსვლა პირდაპირ ეთერში და რუსებმა რომ დამინახეს პირდაპირ ეთერში, მოახტნენ რამდენიმე ათეულ „ბეტეერს“ და რომ წამოვიდნენ, ბუნებრივია, ჩემს დასაჭერად და ამ დროს გადაუდგა მათ ფოთის შესასვლელთან ადგილობრივი პოლიციის რაზმი, მსუბუქად შეიარაღებული, - ნაღმმტყორცნები ჰქონდათ, — და უთხრეს, რომ ჩვენ მაინც გავისვრით, არ გაგატარებთ. და რუსებს თან ახლდა ერთი ქართველი, ჩვეულებრივად ქართულ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტი... — სხვათა შორის, მაშინ რამდენიმე ასეული ქართველი იყო მათ შეიარაღებულ ძალებში — და ამ ქართველმა უთხრა ჩვენს პოლიციელებს, ნუ გეშინიათ, ჩვენ ფოთში შევალთ, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი ადამიანი. არავის არაფერს არ დავუშავებთ.**

**და ამ პოლიციელმა უპასუხა, ამ შემთხვევაში ის ერთი ადამიანი არის საქართველო. და მე ნამდვილად არასოდეს არ გავკადნიერდები ისე, რომ ჩემი მოკრძალებული პიროვნების იდენტიფიკაცია გავაკეთო და გავაიგივო საქართველოსთან მთლიანობაში. მაგრამ საუბარი იყო ეროვნულ სიმბოლოებზე; საუბარი იყო იმაზე, რომ მათთვის საქართველოს მთავრობის ფიზიკური განადგურება იყო ტოლფასი საქართველოს დამონების და ფეხქვეშ გათელვის. და ახლაც რჩება ამის სიმბოლოდ. ახლაც იმიტომ არიან ასე კონცენტრირებული იმაზე, რომ ისინი ვერ ჩათვლიან თავს გამარჯვებულად, სანამ საქართველოს იგივე მთავრობა ჰყავს“.**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ არსად იმდენს არ იტყუებიან, როგორც არჩევნების წინ, მაგრამ ეს ტყუილი მართლაც უპრეცენდენტოა მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში. თავად პრეზიდენტის ოფიციალური საიტი იუწყება, რომ ფოთში სააკაშვილი მხოლოდ 29 აგვისტოს ჩავიდა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. „ღრუბლებში მალვით ფრენა“ და არარსებული გამოსვლა პირდაპირ ეთერში კიდევ კარგა ხანს ახალისებდა ფოთელებსაც და მთელ საქართველოსაც.

იმავე აგვისტოს თვეში იმერეთში სტუმრობისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის **„სიმართლის მომენტი“** და ახლანდელი ხელისუფლებისთვის **„რეფერენდუმი“** იქნება. **„2003 წლის საპარლამენტო არჩევნები, რასაც შემდეგ „ვარდების რევოლუცია“ მოჰყვა, იყო რეფერენდუმი შევარდნაძის 11–წლიანი მმართველობის. 2012 წლის არჩევნები — ეს არის რეფერენდუმი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ხელისუფლების... თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო უკეთესი იყოს, ხმა უნდა მივცეთ იმ კურსის გაგრძელებას, რომელმაც საქართველო აქცია უკეთეს ქვეყანად“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

16 აგვისტოს სააკაშვილმა მთელი საქართველო გააოცა „ვეფხისტყაოსნის“ საზეპიროების ცოდნით: **„ერთი კაცი იყო და მას ერქვა ვინმე მესხი მელექსე, მაგარი ლექსი დაწერა: იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი, მაღალი უხვი მდაბალი, ლაშქარიანი, ყმიანი... უხვლაშქრიანი, ყმიანი... ხედავთ, ყველამ ვიცით ზეპირად“...**

სექტემბერში ციხეში პატიმრებზე ძალადობის შოკისმომგვრელი კადრები გავრცელდა. 25 სექტემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის 67-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გასულ კვირაში საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა სასტიკი წამების კადრების გავრცელების შემდეგ ქვეყანა დემოკრატიის გამოცდის წინაშე დადგა: **„ფაქტები ამაზრზენი იყო, ხოლო ჩვენი პასუხისმგებლობა — ნათელი. ჩვენი რეაქცია იყო სწრაფი და გავაკეთეთ ის, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოს უნდა გაეკეთებინა: გამოვავლინეთ და დავაკავეთ ყველა პასუხისმგებელი პირი, ორი მინისტრი თანამდებობიდან გადადგა და სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელად ამ სისტემის უმწვავესი კრიტიკოსი, ადამიანის უფლებების დამცველი, საქართველოს ომბუდსმენი დავნიშნეთ. სწორედ ასე სწავლობენ დემოკრატიული სახელმწიფოები“.**

ქართულმა ინტერნეტ-სივრცემ მის შეშფოთებას ასეთი პასუხი შეაგება:

სოციალურ ქსელ ფეისბუქში ადოლფ ჰიტლერის ისტორიული განცხადება გავრცელდა, რომელიც მან თავის დროზე, პატიმრების წამების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ განაცხადა. **„სრულიად შეძრწუნებული და აღშფოთებული ვარ ამ საზარელი კინოკადრებით. კატეგორიულად ვგმობ პატიმრებისადმი არაადამიანურ მოპყრობას, რომელ რასას და ეთნიკურ ჯგუფსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. აშკარაა, რომ ქვეყნის აღმშენებლობისა და კრიმინალთან ბრძოლის წარმატებულ პროცესში ჩვენ დავუშვით მძიმე შეცდომა, როდესაც სათანადოდ ვერ შევაფასეთ ის სიგნალები, რომლებიც მოდიოდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისგან. ოსვენციმი ჩვენი სირცხვილია! ამიტომ მე დავავალე რაიხმინისტრ იოზეფ გებელსს, მთლიანად თავის თავზე აიღოს საკონცენტრაციო ბანაკების სისტემის რეფორმირება და დოქტორ მენგელესთან ერთად შეიმუშაოს ახალი სტრუქტურა ერთა ლიგის შესაბამისი რეკომენდაციების მიხედვით“.**

**როცა პრეზიდენტს უკვე დასცინიან, ეს მისთვის საგანგაშო სიგნალი უნდა იყოს, მაგრამ სააკაშვილმა დასკვნები ვერ გამოიტანა.**

მხოლოდ ამ მცირე ჩამონათვალით მაინც უნდა მიხვდნენ ყოფილი მმართველი გუნდის წევრები, თუ რატომ წააგეს არჩევნები. **ეს არ იყო „ამომრჩეველთან კომუნიკაციის პრობლემა“,** როგორც ისინი ხსნიან. ეს **კომუნიკატორის პრობლემაა,** რომელმაც დაიჯერა, რომ ერთდროულად დავით აღმაშენებელიცაა, იოსებ სტალინიც, კალიგულაც და ნერონიც.

დაბოლოს, „საქართველოს სამართლებრივ ლექსიკონში ახალი ბრალდება გაჩნდა: თქვეს, რომ ადამიანი დასაპატიმრებელია, ჩვენი მთავრობის ყოფილი წევრი, იმიტომ, რომ მისი ინტელექტი პირდაპირი ნიშანია, რომ არ შეიძლება, მისი გარეთ სიარული. თუ ამ ნიშანს გავყვებით, დღევანდელი მთავრობის არც ერთ წევრს მომავალში დაპატიმრება არ ემუქრება“, — ნიკა გვარამიას დაკავების შემდეგ განაცხადა სააკაშვილმა, რომლის მითითებით ფილოსოფოსი ირაკლი ბათიაშვილი სწორედ „ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის“ დააპატიმრეს.

ისე, ინტელექტუალური ნიშნით არც სააკაშვილს ემუქრება დაპატიმრება, რადგან მხოლოდ მას შეეძლო ისე ელაპარაკა ხალხთან, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩანს, და მაინც არჩევნების მოგების იმედი ჰქონოდა!

**თუ სააკაშვილი არჩევნების შედეგების გადახაზვას, მთავრობის გადაყენებას და პარლამენტის დაშლას დააპირებს, იმ მასის შეკავებას, რომელიც ავლაბრის რეზიდენციის მიწასთან გასწორებას მოინდომებს, სავარაუდოდ, ვერც პოლიცია და ვერც სამხედროები მოახერხებენ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიანგები, ოფოფები და სააკაშვილის უკანასკნელი ბენეფისი

**ეს აღარც სასაცილოა, აღარც სატირალი და კაციშვილმა ვერ გაიგო, რა არის ეს საერთოდ. გასულ კვირას, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი ტელეეკრანზე გამოჩნდა და რამდენიმე ისეთი განცხადება გააკეთა, რომლის შემდეგ არაერთი მოქალაქე კლინიკური ფსიქიატრიის მრავალტანჯულ სახელმძღვანელოს სწვდა, რამეთუ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ გზამკვლევის როლს ქართულ პოლიტიკაში სწორედ ეს წიგნი ასრულებს.**



ეს არ იყო პოლიტიკა, ეს იყო რაღაც სხვა, თავზარდამცემი და ამოუცნობი, როგორც მფრინავი ობიექტი ავლაბრის რეზიდენციის თავზე. პოლიტიკოსები ასეთ განცხადებებს უბრალოდ არ აკეთებენ. ავიღოთ თუნდაც ერთი, შედარებით გამართული პასაჟი სააკაშვილის 20 დეკემბრის ეპოქალური გამოსვლიდან: **„თურმე მე ვხელმძღვანელობდი („ქართუ") ბანკის გაკოტრების მცდელობას, ხალხნო. ბოდიშს ვიხდი, ერთი სიტყვა მეთქვა და ის ბანკი აღარ იქნებოდა. რას ნიშნავს მცდელობა?! თურმე ყველანი ვმუშაობდით, რომ ეს ბანკი გაგვეკოტრებინა და ვერ გავაკოტრეთ რაა, კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა".** თავი დავანებოთ იმას, რომ ამ მონაკვეთში სააკაშვილმა მოახერხა, საკუთარი რეჟიმი ბანდიტურ დიქტატურად წარმოეჩინა და შევეცადოთ, ამ განცხდებას საშუალო დასავლელი ინვესტორის თვალით შევხედოთ.

**საბანკო საქმის მშფოთვარე ისტორიაში ამა თუ იმ ქვეყნის მმართველთან მწვავე დაპირისპირების არაერთი მაგალითი მოიპოვება** (XIII საუკუნის ექსცესები და ა. შ.) **მაგრამ არც ერთ მონარქს, არც ერთ თავგასულ ფეოდალს ბანკის გაკოტრებაზე საჯაროდ, პირდაპირი ტექსტით, ასეთ ტონალობაში არასოდეს უსაუბრია.** ეს აბსოლუტური ნონსენსია, არა მხოლოდ ბოლო ასწლეულებისთვის, არამედ შუა საუკუნეებისთვისაც კი. **რომის ყველაზე აღვირახსნილი იმპერატორები და ძველი ბაბილონის მრისხანე მეფეებიც კი მსგავსს არაფერს ამბობდნენ.** ჩუმ-ჩუმად კი აკეთებდნენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ახმოვანებდნენ, რადგან ამის თქმა და ეკონომიკის დაღუპვა ერთია. ამ განცხადებაში იგრძნობოდა რაღაც წარმოუდგენლად პრეისტორიული და ისეთივე ბნელი, როგორც ნეანდერტალელის გამოქვაბული კუნაპეტ ღამეს.

წარმოვიდგინოთ, რომ ზემოხსენებული საშუალო ინვესტორი გაეცნო ამ „ნიუსს" საქართველოდან და მომდევნოზე გადავიდა (ორი მოვლენა პრაქტიკულად ერთმანეთის მიყოლებით მოხდა): „საქართველოს პრემიერი უმსხვილესი საინვესტიციო ჯგუფის „ჯი პი მორგანის" ბიზნესის მმართველს რეგიონში, იან ტავროვსკის, შეხვდა. **„დიდი პატივია ჩემთვის, შევხვედროდი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს. ჩვენ გვქონდა სამუშაო შეხვედრა, რომელიც ძალიან სასარგებლო და პერსპექტიული იყო. განვიხილეთ სხვადასხვა სახის უცხოური ინვესტიციების პერსპექტივები. მოგეხსენებათ, „ჯი პი მორგანს" ამ მხრივ უდიდესი გამოცდილება აქვს და შეუძლია საქართველოს მთავრობას ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში დაეხმაროს",** — განაცხადა იან ტავროვსკიმ".

ალბათ, არც ისე ძნელი წარმოსადგენია, რა დასკვნამდე მივა ნებისმიერი ბიზნესმენი, როდესაც ამ ორ ინფორმაციას გაეცნობა. ერთის მხრივ, ისტერიული (და ამავე დროს საოცრად უძლური) „ერთი სიტყვა მეთქვა და ის ბანკი აღარ იქნებოდა", მეორე მხრივ კი, „ჯი პი მორგანი" და მთელი ამბები. ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ **სააკაშვილის „რეჩს" რამდენადმე წინდახედული პოლიტიკოსის განცხადებასთან საერთო არაფერი ჰქონდა; ასე რომ, ეს არ იყო პოლიტიკა, არამედ რაღაც სხვა.**

იქნებ ეს უბრალოდ კლინიკური შემთხვევაა, თავისი ცრუ მოგონებებით — **„უკანონო მოსმენებს მთელი ცხოვრება ვებრძოდი"** და კონსპიროლოგიური ხილვა-აღმოჩენებით — **„დღეს მოვიდა ის ხალხი, რომელიც თავის დროზე ცნობილი ნარკობარიგა იყო. რუსეთიდან შემოვიდა დიდი რაოდენობით ე.წ. „კროკოდილი". მისი მიღების შემდეგ გგონია, რომ წინ მიდიხარ, სინამდვილეში კი იწყებ უკან სიარულს. აშკარად რუსეთიდან შემოტანილი ამ უბედურების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება ქართული პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი და ეს სახეებზეც ეტყობათ",** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. ძნელი სათქმელია, საიდან მოდის გამოყენებითი ნარკოლოგიის ეს სიღრმისეული ცოდნა, თუმცა, პრინციპში, პრობლემის გადაწყვეტას წინ არაფერი უდგას — ყველა პოლიტიკოსმა უნდა გაიაროს ტესტი ნარკოტიკებზე, რომელსაც უცხოელი კოლეგების დახმარებით დამოუკიდებელი სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისია ჩაატარებს (მხოლოდ ასე, სხვანაირად არ გამოვა). პირველი კი ამ ტესტს მიხეილ სააკაშვილი ჩააბარებს, რადგან საზოგადოების ერთი, არცთუ მცირე ნაწილი, მახათას მთაზე ცნობილი გასეირნებიდან მოყოლებული, ვიდრე უკანასკნელ ბენეფისამდე ამას დაჟინებით მოითხოვს და ირწმუნება, რომ ფიგურანტი, დიდი ხანია, არათუ „კროკოდილზე", არამედ „ბრონტოზავრზე" ზის.

თუმცა **ის განცხადებები, რომელთაც სააკაშვილი აკეთებს, შეიძლება იყოს გამოწვეული არა მხოლოდ ნარკოტიკული თრობით** (ცნობილი პრეზუმპციიდან გამომდინარე, ის უდანაშაულოდ ითვლება, სანამ საპირისპირო დამტკიცებული არ არის), **არამედ არასტაბილური მენტალური მდგომარეობით, რომელიც შიშიდან და, შესაძლოა, უძილობიდან მოდის.** ამასთანავე, სააკაშვილმა ჯერაც ვერ დაადგინა თუ რა როლს ასრულებს ის შეცვლილ ვითარებაში; **ერთის მხრივ, ის „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერია, მეორეს მხრივ კი, — პრეზიდენტი** (ფორმალური თვალსაზრისით, თორემ რეალურად საზოგადოების დიდი ნაწილი მას პრეზიდენტად არ თვლის). **ეს როლები ერთმანეთთან ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის.** პრობლემა ადრეც იდგა, თუმცა „ნაცმოძრაობის" ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ის მეტად რელიეფური გახდა.

როგორც ოპოზიციური პარტიის ლიდერს, სააკაშვილს აქვს სრული უფლება, მოითხოვოს დაკავებული პირების გათავისუფლება, მოაწყოს მიტინგები და დემონსტრაციები, იშიმშილოს და უკრაინული მოძრაობა „ფემენის" წევრების მსგავსად გაშიშვლდეს კიდეც, მითუმეტეს რომ ამ უკანასკნელ დისციპლინაში თავის დროზე ბათუმის პლიაჟზე წაივარჯიშა. მაგრამ, **როდესაც ის, ჯერ კიდევ პრეზიდენტის პოსტზე მყოფი, მელოდრამატული ულტიმატუმის ტონალობაში დაკავებული პირების გათავისუფლებას ითხოვს, ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც ყოვლადშეუწყნარებელი ზეწოლა სასამართლო ხელისუფლებაზე.** კიდევ ერთი, უფრო ცუდი მაგალითი: **„მინდა მოვუწოდო შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს, არ დაემორჩილონ არც ერთ უკანონო ბრძანებას".** ოპოზიციონერმა კი შეიძლება მსგავსი რამ თქვას, მაგრამ სააკაშვილი (თუნდაც ფორმალურად) მთავარსარდალია. ამასთანავე, **მას აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, თანამდებობიდან გაათავისუფლოს უკანონო ბრძანების გამცემი მინისტრი** (ან სულაც, პრემიერი), **მეტიც — ვალდებულია, ეს გააკეთოს! მაგრამ სააკაშვილს ამის გაკეთების, სავარაუდოდ, ეშინია და დაუმორჩილებლობისკენ რიგით პოლიციელებს მოუწოდებს.** ალბათ, იგულისხმება, რომ მათ თავად უნდა განსაზღვრონ, რა არის კანონიერი და რა არა და ბრძანების არშესრულებისთვის დაისაჯონ, რაც, თავის მხრივ, გააღვივებს დაპირისპირებას შსს-ში. ყველაზე სასაცილო (ან სატირალი) კი ისაა, რომ ეს ორკაპიკიანი გათვლა ზედაპირზე დევს და საქართველოს უახლეს ისტორიაში დესტრუქციული ტაქტიკის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

**სააკაშვილმა ამ განცხადებით მიაღწია იმას, რომ გაერთიანებულმა შტაბმა და თავდაცვის სამინისტრომ მთავარსარდალს ყვითელი** (კაცმა რომ თქვას, მოწითალო) **ბარათი უჩვენეს;** ისინი **„დაუშვებლად მიიჩნევენ პოლიტიკოსების მხრიდან მსგავსი ტიპის განცხადებების გაკეთებას".** საერთოდ, თანამედროვე მსოფლიოში სამხედროები ასეთ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციას ძალიან იშვიათად აფიქსირებენ; ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ქვეყნის უსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები ექმნება. მაგრამ **რა შეიძლება იყოს იმაზე დიდი პრობლემა და საფრთხე, ვიდრე მთავარსარდალი, რომელიც ძალოვანებს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებს?**

შექმნილი სიტუაციის თავისებურება იმაშია, რომ **სააკაშვილის ოპონენტების დიდი ნაწილი მას სერიოზულად არ აღიქვამს, არც როგორც მთავარსარდალს, არც როგორც ოპოზიციის ან ჰიპოთეტური პუტჩის თავკაცს; ისინი თვლიან რომ „მისი საქმე დამთავრებულია".** სხვა ქვეყანაში გენშტაბის მსგავსი განცხადება აღქმული იქნებოდა, როგორც მინიშნება აშკარა საფრთხეზე, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ ის ფრიად არხეინად „გაატარა".

სააკაშვილის ოპონენტები კლასიკურ შეცდომას უშვებენ, როდესაც ფიქრობენ, რომ მოწინააღმდეგე ობიექტურ რეალობას ზუსტად ისე აღიქვამს, როგორც თავად აღიქვამენ. კი, ბატონო, მისი პარტიის რეიტინგი „ენდიაის" კვლევის მიხედვითაც კი, რომელიც „ნაცმოძრაობის" მიმართ ყოველთვის „გულუხვი" იყო, სულ რაღაც 10%-ია. **მას არ შეუძლია საკმარისი რაოდენობის თავზეხელაღებული მებრძოლების ფარული (!) მობილიზება პუტჩისთვის და არც ქუჩაში „მშვიდობიანი რევოლუციის" მოწყობისთვის საჭირო რაოდენობის მომხრეების გამოყვანა, თუნდაც იმდენის, რამდენსაც კრიტიკულ სიტუაციაში „სახალხო კრება", ლეიბორისტები ან გაერთიანებული პროფკავშირები გამოიყვანენ.** ხელისუფლებაში სასწრაფო დაბრუნებაზე ორიენტირებულ ნაბიჯებს მხარს არც დასავლელი პარტნიორები დაუჭერენ, რადგან ამას დესტაბილიზაცია და საქართველოში მათი პოზიციებისთვის საფრთხის შექმნა მოჰყვება. ხოლო იმ შემთხვევაში, **თუ სააკაშვილი არჩევნების შედეგების გადახაზვას, მთავრობის გადაყენებას და პარლამენტის დაშლას დააპირებს, იმ მასის შეკავებას, რომელიც ავლაბრის რეზიდენციის მიწასთან გასწორებას მოინდომებს, სავარაუდოდ, ვერც პოლიცია და ვერც სამხედროები მოახერხებენ.** კი, ბატონო, ყველაფერი ასეა. ეს ობიექტური რეალობაა, მაგრამ სადაა გარანტია, რომ სააკაშვილი მას სწორედ ასე აღიქვამს?

**სააკაშვილის მთელი კარიერის განმავლობაში, მთავარი პრეტენზია, რომელსაც მას უყენებდნენ, ის იყო, რომ რეალობას აცდენილია და გამოგონილ სამყაროში ცხოვრობს.** იქნებ ახლაც იმ სამყაროშია და თვლის, რომ ხელისუფლებაში დაბრუნებას ორიოდე ნაბიჯი აშორებს?

აპელირება ფიგურანტის კეთილგონიერების მიმართ, დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთობ უპერსპექტივო ჩანს. მაგრამ **მმართველმა პარტიამ, ალბათ, უნდა აუხსნას სააკაშვილის მხარდამჭერებს, რომ არის ამქვეყნად ისეთი რამ, რასაც საპარლამენტო არჩევნები ჰქვია, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება, ხოლო ხელისუფლებაში მოსვლის ნებისმიერი მცდელობა კრიზისზე გამავალი გზით (პუტჩი იქნება თუ მასთან გათანაბრებული კომბინაცია) სასტიკად იქნება აღკვეთილი, არა იმიტომ, რომ მთავრობას სადისტური ინსტინქტები არ ასვენებს, არამედ იმის გამო, რომ ის, უბრალოდ, ვერ შეაკავებს თავის მრავალრიცხოვან მხარდამჭერებს ქუჩაში. ყველასთვის ცხადია, რომ გადატრიალების მცდელობას „ბართლომეს ღამე" მოჰყვება, რომელიც არავის სჭირდება — არც ქვეყანას, არც „ქართული ოცნების" მრავალრიცხოვან, არც „ნაცმოძრაობის" მცირერიცხოვან მხარდამჭერებს.**

რიგით „ნაციონალებს", ალბათ, ულირთ დაფიქრება იმაზე, რომ მათმა ბელადმა შეიძლება ავანტურაზე წააქეზოს და გაწიროს, ხოლო თვითონ გაიქცეს, როგორც ეს უკვე არაერთგზის გაუკეთებია. ისინი ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დგანან — ან ნორმალურ, ასე ვთქვათ, კონვენციურ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბება ან ყოვლისმომცველი კონფრონტაცია გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან, რომელიც შეიძლება მათთვის საბედისწერო შედეგით დასრულდეს. იმედია, ისინი სწორ არჩევანს გააკეთებენ, თანაც დამოუკიდებლად, სააკაშვილის ან მის მიერ ესოდენ ხატოვნად აღწერილი „კროკოდილის" ზემოქმედების გარეშე.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც შეეხება კიდევ ერთს — „სავიზო პრობლემას“, ვლადიმერ პუტინი მას მხოლოდ გაკვრით შეეხო და თქვა, რომ ეს ცალკე თემაა და მისი განხილვა იმ საკითხების კონტექსტში, რომლებსაც საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია არეგულირებს, არ შეიძლება.**

# რუსულ-ქართული გადატვირთვა?

**ვლადიმერ პუტინის 20 დეკემბრის პრესკონფერენციის იმ რამდენიმე მონაკვეთმა, როცა რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოზე ისაუბრა, ქართულ საზოგადოებაში ვნებათაღელვა და აზრთა სხვაობა გამოიწვია. ერთნი ამბობდნენ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა მალე გაუმჯობესდება, მეტიც, რომ შეიქმნება წინაპირობები საქართველოს გამთლიანებისთვის, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ, რომ პუტინის სიტყვებიდან ასეთი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. ოპტიმისტებში „ქართული ოცნების“ გულშემატკივრები ჭარბობდნენ, ხოლო პესიმისტების უდიდესი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერნი გახლდნენ, თუმცა ამ შემთხვევაში, ალბათ, მნიშვნელოვანია, პოლიტიკური სიმპათიები და მათზე დაფუძნებული ინტერპრეტაციები დროებით გვერდზე გადავდოთ, რათა მაქსიმალურად ზუსტად დავადგინოთ, რის თქმა სურდა საქართველოსთვის და გარე სამყაროსთვის რუსეთის პრეზიდენტს.**



## ხერხი თუ ღონე?

ალბათ, მიზანშეწონილია, თავიდან პუტინის ის განცხადება განვიხილოთ, რომელიც კონფლიქტურ რეგიონებს ეხება. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივაზე საუბრისას, რომელიც „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის შეკითხვას მოყვა, რუსეთის პრეზიდენტმა თქვა: **„ჩვენ ვხედავთ პოზიტიურ სიგნალებს, ჯერჯერობით ძალიან თავშეკავებულს, მაგრამ მაინც პოზიტიურ სიგნალებს საქართველოს ახალი ხელისუფლებისგან. და იმას, რომ დანიშნულია საქართველოს მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების საკითხებში ჩვენ ამას, ცხადია, არა მხოლოდ ვხედავთ, არამედ მივესალმებით და როგორც იცით, შესაბამისად ვუპასუხეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეხვედრა კარასინთან არ შედგებოდა. ჩვენ შესაბამისად ვპასუხობთ, მაგრამ მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება პრობლემას, რომელიც კარგადაა ცნობილი. ის მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედმა პრეზიდენტმა, ბატონმა სააკაშვილმა სიტუაცია ჩიხში შეიყვანა, გულწრფელად რომ გითხრათ, არც ისე კარგად მესმის, როგორ უნდა გამოვიდეთ აქედან. რუსეთს არ შეუძლია შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ეხება, ჩვენ ამის გაკეთება აპრიორი არ შეგვიძლია. ხოლო საქართველოს არ შეუძლია დაეთანხმოს იმას, რომ მათი დამოუკიდებელი სტატუსი აღიაროს. მე ვერ წარმომიდგენია, რა შეიძლება გაკეთდეს აქ“.** ეკონომიკურ ურთიერთობებზე რეპლიკის შემდეგ დასძინა: **„ჩვენ ვთვლით, რომ ურთიერთობა ორ, ძალიან ახლობელ ხალხს შორის ნორმალიზებული უნდა იქნას, ამისკენ აუცილებლად უნდა მივისწრაფოდეთ. იმაზე, თუ როგორ დავძლიოთ ეს ყველაზე რთული პრობლემები ჩვენს ურთიერთობებში, პასუხი ჯერჯერობით არ მაქვს, მაგრამ ვინაიდან გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, ამით პროფესიულად დაკავდნენ, მოდით ამაზე ერთად ვიფიქროთ“.**

ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა პირველად ომის შემდეგ დააფიქსირა, რომ არა მხოლოდ მოსკოვმა, არამედ თბილისმაც გაავლო „წითელი ხაზი“, რომელსაც ვერ გადააბიჯებს; ადრე მსგავსი განცხადებები არ გაკეთებულა. ეს თითქოს უმნიშვნელო ნიუანსია, თუმცა სიტუაციის რეალისტური აღწერა წინ, როგორც წესი, კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებულ საუბარს უძღვის. იმ პერიოდში, როდესაც მოსკოვი და თბილისი უბრალოდ ხმაურიან ბრალდებებს ცვლიდნენ, ამის აუცილებლობა არ არსებობდა.

ის, რომ მოსკოვი და თბილისი „წითელ ხაზებს“ ვერ გადააბიჯებენ, ყველასათვის ცხადია და შეიძლება გაჩნდეს კითხვა: **ხედავს თუ არა კრემლი „პრობლემების დაძლევის“ გზებს და საერთოდ ეძებს თუ არა მათ? რას ნიშნავს ეს „ჯერჯერობით“ ფრაზაში „პასუხი ჯერჯერობით არ მაქვს“?** პესიმისტები საქართველოში მიიჩნევენ, რომ ამის უკან არაფერი დგას, ოპტიმისტები კი რამდენიმე იმედისმომცემ ეპიზოდს იხსენებენ.

ამავე თემაზე ვლადიმერ პუტინი 2010 წლის 6 სექტემბერს სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ წევრებს ესაუბრა, რის შესახებ „ამერიკის ხმას“ შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ „ამერიკული პროგრესის ცენტრის“ რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების დირექტორმა სემიუელ ჩარაპმა მოუთხრო: „მან (პუტინმა) თქვა, რომ ოდესმე ამ სამს (აქ ჩარაპმა აღნიშნა, რომ არ იცის, სამივეს რა „კოლექტიური სახელი“ მოუძებნოს) — საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, მოუწევთ, ერთად გადაწყვიტონ მათი მომავალი ურთიერთობების ფორმა და მან არ იცის, იქნება ურთიერთობები სახელმწიფოთაშორისი თუ არა, ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარადიულ დამოუკიდებლობაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა“. **რობერტ ლეგვოლდმა კოლუმბიის უნივერსიტეტიდან კი „უოლ სტრიტ ჯორნალთან“ საუბარში აღნიშნა, რომ, პუტინის განცხადებით საქართველოზე გაკვირვებული დარჩა: „მას თითქოსდა უნდოდა ეთქვა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზა არსებობს“.**

პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტი, „წითელი ხაზების“ გადალახვის გარეშე, როგორც ეს, სავარაუდოდ, მოსკოვში წარმოუდგენიათ, დიდი ალბათობით, გულისხმობს „ამ სამის“ შეთანხმებას კონფედერაციის შექმნის თაობაზე, მის ჩართვას ევრაზიული ინტეგრაციის პროცესში და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ კონტროლს მასზე. რუსულ მედიაში „კონფედერაციის ვარიანტზე“ ომის შემდეგ არაერთი მინიშნება გაკეთდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთლიანობის აღდგენის იდეას (თუნდაც ასეთი ფორმით) არაერთი რუსი ექსპერტი ან ჟურნალისტი აკრიტიკებდა. ამ პუბლიკაციებს შორის, ალბათ, უნდა გამოვყოთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ 2009 წლის 18 დეკემბრის სტატია, რომელშიც აწერილი იყო, თუ როგორ შეიმუშავეს რუსმა დიპლომატებმა (აგვისტოს ომის შემდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ სეპარატისტული რესპუბლიკების აღიარებამდე) პროექტი, რომელიც აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის კონფედერაციის შექმნას გულისხმობდა. ამ პროექტში, რუსული გამოცემის ცნობით, ჩადებული იყო კონფედერაციაში საქართველოს გაწევრიანების შესაძლებლობა, მაგრამ სეპარატისტებმა მის ხელმოწერაზე უარი თქვეს. ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტად ასახავს ეს წერილი მოსკოვში 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებს და შეიცავდა თუ არა ის კრემლის გზავნილს ქართული აუდიტორიისადმი, რომელსაც წინ უძღოდა (ამავე წლის ნოემბერში) პუტინის განცხადება ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე (ის სადღეგრძელოს ფორმით გაკეთდა). მაშინ, „გაზეტა.რუ“-ს ჟურნალისტის ცნობით, **„პუტინმა გაგვაფრთხილა, რომ მას კარგად ესმის, რომ ყოველივე თქმული დარბაზის ფარგლებს გასცდება. მეტიც, სწორედ ამის იმედი აქვს. რის შემდეგაც გაახმოვანა თავზარდამცემი განცხადება, რომ საქართველოს გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია. და არ არსებობს საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არ შეგვიძლია. „დაე მან (პრიმაკოვმა) იზრუნოს ამ საკითხზე“.** ეს ინფორმაცია მოგვიანებით იმ მომენტში დარბაზში მყოფმა სტუმრებმაც დაადასტურეს.

საუბარი ამ თემაზე, მოსკოვს მხოლოდ მინიშნებებით შეუძლია, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ის სეპარატისტული რესპუბლიკების სტატუსით ვაჭრობს. თავის მხრივ, **ქართულ საზოგადოებას სჭირდება რაღაც უფრო მყარი, ვიდრე ბუნდოვანი მინიშნებები, რომ გაიგოს, გვთავაზობს კრემლი რაიმე რეალურს თუ უბრალოდ ტაქტიკურ რიტორიკას იყენებს.** საჯარო დისკუსიის დაწყება ამ თემაზე, შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, ჯერჯერობით ნაადრევი ჩანს, დღის წესრიგში კი უამრავი, შედარებით უმნიშვნელო საკითხი დგას, რომელიც ორივე მხარისთვის ერთგვარი ტესტის როლს შეასრულებს.

## ნორმალიზაციის მოკრძალებული ხიბლი

„მეცხრე არხის“ ჟურნალისტთან საუბრისას, ვლადიმერ პუტინმა ქართული ღვინო შეაქო და თქვა: **„რაც შეეხება ქართულ ნაწამს რუსულ ბაზარზე, ჩვენ უნდა ვნახოთ ჩვენი ვალდებულებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით და, თუ ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ, ამას გავაკეთებთ. უნდა შევასრულოთ ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებები. ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ქართული ეკონომიკისთვის ეს, შესაძლოა, უფრო საგრძნობია. თუმცა საქმე ამაში როდია. საქართველომ მართლაც მოხსნა თავისი საწინააღმდეგო მოსაზრებები რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და ჩვენ თანმიმდევრულები უნდა ვიყოთ და ჩვენი ვალდებულებები შევასრულოთ. მე, სხვათა შორის, შევხედავ ამ პრობლემას. ის, ალბათ, არსებობს და დეპოლიტიზებული უნდა იქნას“.**

ამ განცხადებიდან 24 საათიც არ იყო გასული, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ანდრეი დენისოვმა განაცხადა, — საკითხი „პოლიტიკური თვალსაზრისით გადაწყვეტილია. რჩება მხოლოდ ტექნიკური პროცედურები, რომლებიც, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის შემთხვევაში, გაფორმებას მოითხოვს“. ამასთანავე, დენისოვმა აღნიშნა, რომ **ქართული პროდუქციის საგანგებო მონიტორინგი რუსეთის მაკონტროლებელი ორგანოების გეგმებში არ შედის.**

რაც შეეხება კიდევ ერთს — „სავიზო პრობლემას“, ვლადიმერ პუტინი მას მხოლოდ გაკვრით შეეხო და თქვა, რომ ეს ცალკე თემაა და მისი განხილვა იმ საკითხების კონტექსტში, რომლებსაც საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია არეგულირებს, არ შეიძლება.

ეჭვგარეშეა, რომ ქართველი გლეხებისთვის და ბიზნესმენებისთვის 2013 წელი საინტერესო იქნება, თუმცა აქ, ალბათ, სხვა რამ არის მთავარი, ე.წ. მეორეხარისხოვანი პრობლემების გადაწყვეტის ფორმა და ტემპი, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობების ნორმალიზაციის „სტილს“ შექმნის — იქნება ეს სწრაფი და რადიკალური გადაწყვეტილებები სერიოზული კომპრომისებით ორივე მხრიდან თუ ნელი, მომქანცველი ვაჭრობა თითოეული ფორმულირებისთვის და კაპიკისთვის. ეს, სავარაუდოდ, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა შედეგზე იქნება ორიენტირებული ორივე მხარე და რამდენად შორს შეუძლია თითოეულ მათგანს წასვლა.

**როგორი შედეგის მიღწევა სურს ვლადიმერ პუტინს?**

ვარაუდის დონეზე საუბარი ამაზე მის კიდევ ერთ, 20 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებაზე დაყრდნობით შეიძლება. ბიძინა ივანიშვილთან შესაძლო შეხვედრაზე საუბრისას რუსეთის პრეზიდენტმა თქვა: **„რაც შეეხება ბატონ ივანიშვილთან შეხვედრას, მე პირველად მესმის ამის შესახებ. ჩვენ არ გვაქვს არანაირი ოფიციალური განაცხადი ამასთან დაკავშირებით. მთლიანობაში მე ამას არ გამოვრიცხავ... მას პირადად არ ვიცნობ. თუ არ ვცდები, რუსეთის ფედერაციაში რაღაც ბიზნესი ჰქონდა. ვიმეორებ: პოზიტიური სიგნალები ჯერჯერობით მოდის. ჩვენ მზად ვართ, მათ ვუპასუხოთ. ჩვენ უკვე ვპასუხობთ. მაგრამ ასეთი სახის შეხვედრები, უბრალოდ, ძალიან კარგად უნდა იყოს მომზადებული და რაღაც პოზიტიურით უნდა დასრულდეს. მაგრამ მე ჯერჯერობით არც ისე კა-**

▶

მოკლედ





## იაპონიის მომავალ პრემიერს ობამა და ბუში ერთმანეთში აერია

**იაპონიის მომავალმა პრემიერმა ჟურნალისტებთან გამოსვლისას აშშ-ის დღევანდელ პრეზიდენტად ბარაკ ობამას ნაცვლად ჯორჯ ბუში მოიხსენია.** პრემიერი მედიას ამერიკის პირველ პირთან სატელეფონო საუბრის შემდეგ წარუდგა და განუცხადა, რომ რამდენიმე წუთის წინ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ესაუბრა. 2006-07 წლებში მომავალ პრემიერ აბეს უკვე ეკავა იაპონიის პრემიერ-მინისტრის პოსტი და ამ პერიოდში ხშირად ეკონტაქტებოდა აშშ-ის მაშინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსს. როგორც ჩანს, შეცდომაც ამით იყო განპირობებული, — წერს პრესა. აბემ ამ შემთხვევაში დაშვებული შეცდომა სწრაფად გამოასწორა ღიმილით. ათწუთიან საუბარში მხარეებმა განიხილეს იანვრისთვის დაგეგმილი შეხვედრა, რომელიც ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტის გაშვების საკითხს, ამერიკული საზღვაო ქვეითთა ბაზის ფუტემადან გადატანას და სხვა სტრატეგიულ საკითხებს შეეხება. სატელეფონო საუბარი აშშ-ის პრეზიდენტის ინიციატივით შედგა.



## „საქართველოს მთავრობა არ აყოვნებს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას რუსეთთან; ის არ აპირებს ამის გაკეთებას, ვიდრე რუსეთს საქართველოს ტერიტორიები აღიარებული აქვს დამოუკიდებელ ქვეყნებად.“

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ რგად მესმის, რა იქნება ჩვენი განხილვის საგანი. თუმცა ჩვენ ამისთვის დახურულები არ ვართ“.**

სათანადო სურვილის არსებობის შემთხვევაში, „რაღაც პოზიტიური“ შეიძლება ეწოდოს შეთანხმებას კულტურული გაცვლის შესახებ (ან რაიმე მსგავსს), თუმცა **პუტინი, სავარაუდოდ, უფრო მასშტაბურ, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შედეგზეა ორიენტირებული. მისი მიღწევის შესაძლებლობა კი დამოკიდებულია არა მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების პოზიციაზე, არამედ იმაზე, გაუწევს თუ არა ვაშინგტონი გააფთრებულ წინააღმდეგობას მოსკოვს საქართველოში.** თუ ის დაახლოებით ისე იმოქმედებს, როგორც „ნარინჯისფერების“ დაცემის შემდეგ უკრაინაში, კრემლს დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდება. სავარაუდოდ, მოვლენათა განვითარების ამ ვარიანტზე მიანიშნა ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ, როდესაც დეკემბრის დასაწყისში კონგრესში გამოსვლისას თქვა: **„საქართველო რუსეთთან კავშირის შესაძლო კანდიდატი ხდება“.**

### რა გინდოდა წვენებში?!

პუტინის 20 დეკემბრის პრესკონფერენციაზე კიდევ ერთი ქართველი პოლიტიკოსი ახსენეს. ჟურნალისტის კითხვაზე — **„უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ, რომ სახელმწიფოს, ძლიერ სახელმწიფოს, როგორიც ფეხზე წამომდგარი რუსეთი არის, საგამოძიებო კომიტეტისა და ბასტრიკინის** (მისი თამჯდომარე. — რედ.) **ძალისხმევით, გამოუჩნდა მთავარი გარემტერი არა პატარა საქართველო, არამედ პატარა და უმნიშვნელო პოლიტიკოსი გივი თარგამაძე?“** — ვლადიმერ პუტინმა შემდეგი პასუხი გასცა: **„რაც შეეხება იმ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს, ის სულაც არ არის რუსეთის ფედერაციის მტერი, ის არის ადამიანი, რომელიც ცდილობდა (და, შესაძლოა, ახლაც ცდილობს) წააქეზოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე, რომელიც შეიძლებოდა გამოხატულიყო ტერორისტული აქტების მოწყობაში, ხელისუფლების ხელში უკანონო ჩაგდებაში. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან დამაჯერებლად იყო ნაჩვენები იმ ჩანაწერებში, რომელთა ქვეშ ისინი შემთხვევით, სახელმწიფო საიდუმლოება უნდა გაგანდოთ, კონტროლის ქვეშ მყოფ ოთახში მოხვდნენ. მაგრამ ეს ობიექტური მონაცემებია და ამის წინააღმდეგ ვერ წავალთ. ის უტარებდა ინსტრუქტაჟს, როგორ ჩაიდინონ დანაშაული რუსეთის ფედერაციაში და ამას სამართლებრივი შეფასება უნდა ჰქონდეს. არ არის საჭირო მისი დაცვა. და ტერაქტების განხორციელების განხილვა, როგორც ისინი ამბობენ ხუმრობით, თუ არა, მათ შორის რკინიგზაზე აფეთქებების, ამას ბასტრიკინმა გვერდი ან უნდა აუაროს, რადგან ასეთი შემთხვევები და ასეთი ტრაგედიები ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, მომხდარა. როგორ შეიძლება ბასტრიკინმა გვერდი აუაროს იმას, რომ განიხილება მატარებლის აფეთქების შესაძლებლობა სადღაც ირკუტსკის რაიონში?“**

გივი ვასილიჩს ცხოვრებაში ბევრი რამ უკეთებია, ახლა კი, ალბათ, მხურვალედ უნდა ილოცოს, რადგან ვლადიმერ პუტინის მიერ ნებისმიერი ადამიანის ხსენება ასეთ კონტექსტში, კარგს არაფერს მოასწავებს. თარგამაძის საბედნიეროდ, კონსტიტუციაში არის მე-13 მუხლის მეოთხე პუნქტი, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში“ და, ალბათ, მისთვის მიზანშეწონილია, ამ პუნქტის ყველა შესაძლო ინტერპრეტაციის დაზეპირებას შეუდგეს.

პარადოქსული ვითარებაა: **თუ რუსები თარგამაძის გადაცემას დაჟინებით მოითხოვენ, მისი დაცვა იმ ხელისუფლებას მოუწევს, რომელსაც ის ლანძღავს და რევოლუციის მოწყობით ემუქრება.** სიტუაცია ძალიან რთული გახდება იმ შემთხვევაშიც, თუ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი დადებს დამაჯერებელ მტკიცებულებებს ტერორისტული აქტების მომზადებასთან დაკავშირებით (გამოძიება შეიძლება სწორედ ამ მიმართულებით წავიდეს), რადგან ტერორისტების და მათი სპონსორების მხარდაჭერა დღევანდელ მსოფლიოში ყოვლად შეუწყნარებელი რამ არის.

**იმედია, საქმე მხოლოდ განდიდების მანიით შეპყრობილი რამდენიმე უსაქმური კლოუნის ლაყბობას ეხება და არა რეალური ტერაქტის მომზადებას, რადგან ამ, მეორე შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას, სავარაუდოდ, მოუწევს მძიმე, თუმცა ერთადერთი შესაძლებელი გადაწყვეტილების მიღება.** ასე იქნება თუ ისე, ახლო მომავალში გაირკვევა, დღეს კი გივი თარგამაძისთვის საუკეთესო გამოსავალი, ალბათ, მაინც ლოცვის გაძლიერებაა.

**დიმიტრი მონიავა**

## პაატა ზაქარეიშვილი: ჩვენ არასდროს დავპირებივართ საზოგადოებას, რომ აღვადგენდით დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთან

**რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის გარეშე რამდენად შეიძლება ველოდოთ პოზიტიურ ძვრებს სოხუმისა და ცხინვალის მიმართულებით და რატომ აყოვნებს ახალი ხელისუფლება თავის დროზე სააკაშვილის ცალმხრივი ინიციატივით გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას რუსეთთან? — ამ და სხვა კითხვებით მივმართეთ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილს, მან მოუცლელობის მოტივით რვიდან მხოლოდ სამ შეკითხვას გასცა პასუხი, რასაც უცვლელად გთავაზობთ:**



— რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები სწორედ იმის გამო გაწყდა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის საომარი მოქმედებები იყო. რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა და შემდეგ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. ამდენად, **საქართველოს მთავრობა არ აყოვნებს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას რუსეთთან; ის არ აპირებს ამის გაკეთებას, ვიდრე რუსეთს საქართველოს ტერიტორიები აღიარებული აქვს დამოუკიდებელ ქვეყნებად. ასე რომ, საიდან გაჩნდა კითხვა დაყოვნების შესახებ, უცნობია. ჩვენ არასდროს დავპირებივართ საზოგადოებას, რომ აღვადგენდით დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთან.** პირიქით — ყოველთვის მკაფიოდ ვამბობდით, რომ დიპლომატიური ურთიერთობა არ აღდგება, ვიდრე არსებობს რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება და სოხუმსა და ცხინვალში — რუსეთის ფედერაციის საელჩოები.

რაც შეეხება სოხუმისა და ცხინვალის მიმართულებით ძვრებს, ომის დაშვებით სააკაშვილის ხელისუფლებამ ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ჩვენ სწორედ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის ფონზე უნდა ვეცადოთ საერთო ენის გამონახვას აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან. დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს რუსეთთან, ხოლო აფხაზურ და ოსურ მხარეებთან სხვა ურთიერთობები გვჭირდება. ეს ჩვენი ხალხია და ჩვენ მათთან უნდა ვიპოვოთ საერთო ენა, იმის მიუხედავად, გვექნება თუ არა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ არალოგიკურია, ერთმანეთს მივაბათ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობა და აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენის გამონახვა.

### «ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა, რეალურად დავადგეთ გზას ნატოსკენ და ევროკავშირისკენ»

**— შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებში გადამწყვეტ როლს ნატოსა და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციას ანიჭებდა. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ დღეს არც ნატოში გველიან და არც ევროპაში. ამ საინტეგრაციო პროექტებისკენ სწრაფვის გამო დამატებით ტერიტორიებიც დავკარგეთ. ხომ არ დადგა დრო, ვიფიქროთ ახალ სარეინტეგრაციო პროექტზე, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება აფხაზებთან და ოსებთან, თუნდაც ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ადამიანური კონტაქტების აღდგენა?**

— ჩვენ უნდა ვეცადოთ, აფხაზებთან და ოსებთან ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე კონტაქტი აღვადგინოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო არ უნდა მიისწრაფოდეს ნატოსა და ევროკავშირისკენ. სააკაშვილი რეალურად ამ სტრუქტურებისკენ არ ისწრაფოდა, მეტიც — ის ავტორიტარული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებით ამ გაერთიანებებს გვაშორებდა. **ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა, რეალურად დავადგეთ გზას ნატოსკენ და ევროკავშირისკენ.** ეს სტრუქტურები გვჭირდება იმის გამო, რომ იქ არ მიიღებენ სახელმწიფოს, რომელიც არ არის დემოკრატიული. დემოკრატიულობა კი იქნება გარანტია იმისა, რომ მიგვიღონ ამ გაერთიანებებში. ამ მიღწევით დაინტერესდებიან აფხაზური და ოსური საზოგადოებები, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოები, როგორც წესი, არ ომობენ. **ეს იქნება იმის შესანიშნავი ნიშანი, რომ საქართველო მზად არის არა მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს სრულიად სხვაგვარი სახელმწიფო შესთავაზოს.**

**— სოხუმისა და ცხინვალის სტატუსის, ასევე რიგი, ცალსახად და თვითმიზნურად ფორმალური შემადგენელის შესახებ თქვენი უწინდელი პოზიცია და განცხადებები არაერთხელ გამხდარა კამათის საგანი. როგორია თქვენი დამოკიდებულება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სტატუსთან დაკავშირებით ამჟამად? დასაშვებად მიგაჩნიათ თუ არა, რომ მთავარი წინააღმდეგობა სოხუმთან და ცხინვალთან შეიძლება იყოს ცალსახად და თვითმიზნურად ფორმალური შემადგენელებისადმი უკიდურესად ჩაკირკიტებული მიდგომა?**

— 2008 წლამდე არსებობდა შანსი, გვესაუბრა იმ სტატუსზე, რომელიც იმ დროისთვის, ანუ საომარი მოქმედებების დაწყებამდე იყო მომწიფებული. საომარმა მოქმედბებმა ყველაფერი ნულამდე დაიყვანა. ამდენად, ამჟამად სტატუსზე საუბარი ნაადრევია. ჩემი ხედვები სტატუსთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული იყო ჯერ კიდევ 2003 წლისთვის, ანუ 1992-1993 წლების საომარი მოქმედებებიდან 10 წლის შემდეგ. ამ ეტაპზე კი თავისუფალი ნაბიჯები უნდა გადაიდგას, მათ შორის ჰუმანიტარული, ეკონომიკური, სავაჭრო და სოციალური მიმართულებებით. შემდეგ შეიძლება დავუბრუნდეთ, იმ დროისათვის შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სტატუსზე მუშაობას, ამჟამად კი ეს ძალიან ნაადრევია.

ფაქტი ის არის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ურყევი ცნებაა და რომ აფხაზი და ოსი ხალხების ინტერესები გათვალისწინებული უნდა იყოს, კერძოდ, საქართველოს შემადგენლობაში მათი ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნით, როგორც უსაფრთხოების, ისე განვითარების მიმართულებით. სწორედ ეს ორი კომპონენტი — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი და საქართველოს შემადგენლობაში ოსი და აფხაზი ხალხების ინტერესები — უნდა იყოს წამყვანი ფაქტორი მომავალ სტატუსში.

ესაუბრა **ეკა კახიანი**

მსოფლიო

## პაკისტანში ყურანის შეურაცხყოფის ბრალდებით დაკავებული მოგზაური ცოცხლად დაწვეს



**პაკისტანის აღმოსავლეთ პროვინცია სინდში გამძვინვარებულ ბრბო პოლიციის განყოფილებაში შეიჭრა და ცოცხლად დაწვა მამაკაცი, რომელიც ყურანის შეურაცხყოფის ბრალდებით იყო დაკავებული. ამის შესახებ განცხადება ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა უსმან განიმ გააკეთა.** პოლიციის მონაცემებით, მამაკაცი მოგზაური იყო, რომელიც სოფელ სიტას მეჩეთში ღამის გასათევად გაჩერდა. მეორე დღეს სოფლის მაცხოვრებლებმა მეჩეთში მუსლიმანების წმინდა წიგნის ნამწვავები აღმოაჩინეს, მათ სასტიკად სცემეს მოგზაური და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. ამის შემდეგ დაახლოებით 200-მდე ადამიანი მივიდა პოლიციის განყოფილებაში, შევარდა შიგნით და მოგზაური ცოცხლად დაწვა. ამ ფაქტზე დაკავებულია 30 ადამიანი და 7 პოლიციელი. პოლიციელებს გულგრილობაში ედებათ ბრალი.

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენს პოლიტიკურ პინოქიოს არასოდეს არავინ გადაურჩენია, იგი ხომ „ნულოვანი ტოლერანტობის“ ლოზუნგის ავტორია! რაც მთავარია, მას ლურჯთმიანმა ფერიამ კი არა, ხალხმა უნდა აპატიოს! ის კი პატიებას არ ითხოვს — ცირკის არენაზე დგას და ყროყინებს!**

# პოლიტიკური პინოქიოს თავგადასავალი

## (საახალწლო ზღაპარი)



**„იყო და არა იყო რა, იყო...
— მეფე! — წამოიძახებს მკითხველი.
ვერ გამოიცანით! იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხის ნაფოტი!
რაიმე კეთილშობილი ხის კი არა, — ერთი ჩვეულებრივი ნაფოტი, რომლითაც ზამთარში ღუმელს ან ბუხარს ანთებენ ოთახის გასათბობად“.**

**კარლო კოლოდი,**
**„პინოქიოს თავგადასავალი“.**

ნატოს ქვეყნების სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის გასამართლებულმა პოლიტოლოგმა ვახტანგ მაისაიამ ციხიდან ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში სატელეფონო ჩართვისას სააკაშვილს პოლიტიკური პინოქიო უწოდა. და იმავე წუთს ამ გაურკვეველ ზღაპარში, რომელშიც მთელი ქვეყანა, უკვე ცხრა წელია, ცხოვრობს, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. პინოქიო ცრუპენტელაა, რომელსაც ყოველი ტყუილის თქმისას ცხვირი ეზრდება. იგი საკუთარ ტყუილებში იბნევა, მაგრამ მაინც უნდა, ნამდვილ ბიჭად (იგულისხმე – მეფედ) იქცეს.

**რას არ ეცადა დეიდა ჯეპეტო, რომ მისი ხისგან გამოჩორკნილი თოჯინა ნამდვილი ბიჭი გამხდარიყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ენის ტიკტიკის გარდა პინოქიომ ვერაფერი ისწავლა.** ჯეპეტომაც გადაწყვიტა, უცხო ენები ესწავლებინა მისთვის — სხვა თუ არაფერი, რეპეტიტორობით მაინც ირჩენს თავსო, მაგრამ პინოქიომ „დედა ენის“ საყიდლად მიცემული ფულით ვიდეოკამერა იყიდა და თანაკლასელი გოგონების მონაწილეობით პორნოფილმების გადაღება დაიწყო.

პატარა ქალაქში ეს ამბავი არ დაიმალა და პინოქიოსთვის ყველა კარი დაიხურა. ჟანდარმერიაში მომუშავე ბიძამ ხის კაცუნა ქალაქს გაარიდა და შორეულ ქვეყანაში საჟანდარმო სასწავლებელში შეიყვანა. პორნოგრაფიის სიყვარულმა იქაც უწია პინოქიოს – სასწავლებლიდან გარიცხეს და ჟანდარმერიის მოქმედ ჯარში გაამწესეს. ის იყო, ჯარში სამსახური უნდა დაემთავრებინა, რომ ქვეყანა ამოტრიალდა და მმართველი პარტია, რომლის მანდატი ასე უთბობდა ხის გულ-მკერდს, ოქროს გასაღების ნაცვლად ღალატის ბოქლომად იქცა.

ატირებულმა პინოქიომ მაშინ პირველად მისცა საკუთარ თავს პირობა, რომ აუცილებლად გახდებოდა რაიმე ახალი მმართველი პარტიის ლიდერი და არასოდეს დაუშვებდა ხელისუფლებიდან მის წასვლას. ბიძამ ამჯერადაც უშველა და უცხოეთში, ლურჯთმიან ფერიებთან გახიზნა, სადაც პინოქიოს აღმზრდელებად მელა ალისა და კატა ბაზილიო მიუჩინეს. **რამდენიმე წლის წვრთნის შემდეგ მან ბალაგანადქცეულ, ერთ დროს დიდ ქვეყანაში თავი მანჯაფუკოს მარიონეტების თეატრში ამოყო. თოკზე დაკიდებული ბეჯითად ასრულებდა პატრონის დავალებებს,** თუმცა მალე მიხვდა, რომ მობერებული მანჯაფუკოს შემდეგ მოსული ახალი პატრონი მას ცეცხლში შეუკეთებდა და მარიონეტ მეგობრებთან ერთად სასახლის კარის გადატრიალების მოწყობა განიზრახა. მანჯაფუკო ერთი შეხედვით კი ტოვებდა სასტიკი ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ ცემინება აუტყდა, გული აუჩვილდა, ხის კაცუნა შეეცოდა და დირექტორობა „ლანგარზე მიართვა“, თვითონ კი სახლში, დამსახურებულ პენსიაზე წავიდა.

**მელა ალისამ და კატა ბაზილიომ პინოქიოს მალე ასწავლეს „დემოკრატიის“ უნარჩვევები.** ბაზილიო სხვისი ქონების გაყიდვაში ეხმარებოდა, ალისა სახალხოდ ასხამდა ხოტბას და მის ყოველ ნაბიჯს ამართლებდა. ასე გრძელდებოდა ოთხი წელი, ვიდრე პინოქიომ სწორედ იმათ არ დაუწყო ომი, ვისაც სხვისი ქონება მიჰყიდა. ბევრს აფრთხილებდა შავკანიანი და ლურჯთმიანი ფერია, ომს ნუ დაიწყებო, მაგრამ **პინოქიო უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ყველაფერი ყველაზე კარგად იცის, და სროლის ბრძანება გასცა. მართალია, დამარცხდა, მაგრამ არ შეიმჩნია და კიდევ სამი წელი განცხრომით მართავდა ზომაში საგრძნობლად შემცირებულ თეატრს.** ამასობაში ზოგი თოჯინა გაექცა, ზოგმაც პატარ-პატარა თეატრები შექმნა, მაგრამ პინოქიოს ამის დარდი არ ჰქონია, რადგან ეს პაწაწა თეატრები მის მარიონეტების თეატრს საფრთხეს ვერ უქმნიდა.

ერთ მშვენიერ დღეს კი ქველმოქმედებით განთქმულმა მისმა ყოფილმა მეგობარმა, რომელსაც პინოქიოს ტყუილები მობეზრდა, საკუთარი დიდი თეატრის გახსნის შესახებ გააკეთა განცხადება. პინოქიომ ქოში უკულმა ყარა, მაგრამ მისი თეატრის ერთგულმა მაყურებლებმა ქველმოქმედის თეატრში გადაინაცვლეს. აკი ვამბობდი, ის კაცი ქველმოქმედი იყო და ხალხს უბილეთოდ უშვებდა. ხალხი კი, როგორც ცნობილია, უფასო სანახაობას ეტანება. პინოქიო ხომ მთელი ამ წლების განმავლობაში მხოლოდ საკუთარ ახლობლებს აგრიალებდა უფასოდ!

**გაკოტრებული პინოქიო, შავკანიანის ნაცვლად, თეთრმა ლურჯთმიანმა ფერიამ შეიფარა, მაგრამ პინოქიო მასაც არ ემორჩილებოდა — მწარე წამლის დალევა არ უნდოდა.** ასე ჯიუტობდა, ვიდრე ოვალური ოთახის კარი არ გაიღო და ოთხმა ბაჭიამ პინოქიოს კუბო არ შემოარახრახეს. კუბოს დანახვაზე პინოქიო მიხვდა, რომ საქმე სახუმაროდ არ ჰქონდა, და კოაბიტაციას დათანხმდა.

ამასობაში ყველაზე დიდი თეატრის დირექტორად ქცეულმა ქველმოქმედმა აღმოაჩინა, რომ პინოქიოს დირექტორობისას ძალიან ბევრი დანაშაული მომხდარა და მისი მარიონეტების დაჭერა დაიწყო. პინოქიო აყვირდა და ყველა ნაცნობი უცხოელი ფერიაააყვირა პოლიტიკურ დევნასა და შერჩევით სამართალზე, მაგრამ საქმეს ამან არ უშველა. დაკითხვაზე ნარნარი ინტელექტუალი არლეკინი და ფეხმძიმე პულჩინელაც კი დაიბარეს. ჩვენების მისაცემად მოუწია სიარული თვით ხის ჟანდარმების მეთაურსაც, რომელსაც პინოქიო მოფერებით „გალლეტილ ხერხემალს“ უწოდებდა.

პინოქიო ისე გაცეცხლდა, რომ მის მარიონეტ მეგობრებს შეეშინდათ კიდეც, არ აალდესო. „ჩემო ერთგულო ჟანდარმებო! არ დაემორჩილოთ ახალი დირექტორის დანაშაულებრივ ბრძანებებს! ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით, იმიტომ, რომ ამათ ორ თვეში იმდენი შეცდომა დაუშვეს, რამდენიც ჩვენ — ცხრა წელიწადში!“ — გაიძახოდა პინოქიო. მას სულ დაავიწყდა, რომ მთელი ამ ცხრა წლის განმავლობაში მისი გათავხედებული მარიონეტები ძალადობით ცდილობდნენ, ნამდვილი გოგო-ბიჭები მათნაირ ხის მარიონეტებად ექციათ, რომლებიც ამ ძალადობით დაიღალნენ და ნამდვილ, ცოცხალი ადამიანების თეატრში გადაბარგდნენ.

**თუ ადრე ტყუილების ლაპარაკისას პინოქიოს ცხვირი ეზრდებოდა, ახლა უტიფრობის გამო ყურები გაეზარდა. ამ საქმეში გამოცდილ თანამოაზრეთა კონსილიუმმა მას „ვირის ციებ-ცხელების“ დიაგნოზი დაუსვა. მის მომხრეებსა და მხარდამჭერებსაც გადაედოთ ეს სახადი და მალე პინოქიოს თეატრი ვირების თავშესაყარად იქცა.** ვირობით განთქმულმა ერთმა მისმა მეგობარმა კი საზეიმოდ განაცხადა: „ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო დიქტატურისკენ მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. ასე თუ გაგრძელდა, საქართველო ვეღარ განვითარდება და ის ადამიანები, ვისზეც პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდება, უნდა გათავისუფლდნენ!“

რაკი ადამიანების განთავისუფლებას ითხოვდნენ, ახალმა მთავრობამ ვირებზე ამ მოთხოვნის გავრცელება არ იჩქარა და მათთვის ადგილების გასათავისუფლებლად ციხეებიდან მათივე დაჭერილი პატიმრების გამოშვება დაიწყო. ვირები კი ყროყინებდნენ და კვლავაც ძალაუფლების დაბრუნებას ლამობდნენ. ასე გაგრძელდა, ვიდრე პინოქიო საბოლოოდ არ გადაიქცა ოთხფეხად. ერთ მშვენიერ დღეს კი ცირკის შენობაზე უზარმაზარი აფიშა გამოაკრეს:

**„დიდი საზეიმო წარმოდგენა**

**დღეს საღამოს თქვენ ნახავთ გასაოცარ ნახტომებს და სხვა ნომრებს, რომელთაც ჩვენი დასის ყველა მსახიობი და ცხენი წარმოგიდგენთ.**

**გარდა ამისა, პუბლიკის წინაშე პირველად წარსდგება სახელგანთქმული ჩოჩორი პინოქიო.**

**ცირკი საგანგებოდ იქნება განათებული!“**

პირველი განყოფილების დასრულების შემდეგ ცირკის არენაზე დირექტორი გავიდა და მაყურებელს მიმართა:

— მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ სახელგანთქმული ჩოჩორი, რომელსაც დასავლეთის ყველა წამყვან საიმპერატორო კარზე უცეკვია!

არენაზე ლამაზად მორთული ჩოჩორი გამოვიდა. იგი ბეჯითად ასრულებდა დირექტორის ყველა ბრძანებას — ხტუნავდა, მალაყებს გადადიოდა, სროლისას თავს იმკვდარუნებდა... ვიდრე თავი არ ასწია და პარტერში ლამაზი ქალბატონი არ დაინახა, რომელსაც გულზე მედალიონი ეკიდა. მედალიონზე ხის კაცუნა იყო გამოსახული. „ეს ხომ ფერიაა!“ — გაუელვა თავში და მის წინაშე სიტყვის წარმოთქმა განიზრახა.

**„ასეთი კარგი ცირკი ბავშვობის შემდეგ არ მინახავს. მინდა მოგესალმოთ განახლებულ, გამშვენიერებულ ცირკში, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე ლამაზია! იყო ამ ქალაქში ერთი ბოროტი კაცი, სახელად მანჯაფუკო, რომელსაც არ უყვარდა ბავშვების და ხალხის ერთად შეკრება. ამიტომ, როდესაც მოვიდა, დაკეტა ცირკი, მოგვიანებით კი გადაწვა, რათა აღარასოდეს გახსნილიყო, დაანგრია დელფინარიუმი, დაკეტა ზოოპარკი, დაანგრია სტადიონის ტრიბუნები. ხალხს მობეზრდა, შეიკრიბა და ყველამ ერთად გააძევა.**

**მერე მოვედით ჩვენ, ჩავრთეთ შადრევნები, ავაშენეთ დანგრეული და განადგურებული ცირკი, მომავალ წელს დავასრულებთ დელფინარიუმისა და სტადიონის მშენებლობას. ეს ისტორია იმიტომ მოგიყევით, რომ გახსოვდეთ – აქ ასეთი ბოროტი არსება დადიოდა. მინდა გთხოვოთ, არ დაგავიწყდეთ ეს ყველაფერი, რომ არასოდეს არც ერთი გველეშაპი არ გაჩნდეს და ხელახლა არ მოაჯდეს ჩვენს ცირკს“,** – ამბობდა პინოქიო, მაგრამ მთელი ცირკი სიცილით კვდებოდა. მისი პირიდან ხომ მხოლოდ ყროყინი ამოდიოდა.

**კოლოდის პინოქიო საბოლოოდ მაინც გადაიქცა ნამდვილ ბიჭად, რადგან მოინანია, მოხუც მშობელზე ზრუნვა დაიწყო, შრომას და გარჯას მიეჩვია. ჩვენს პინოქიოს ეს არ ემუქრება. მას მხოლოდ ერთი დამსახურება აქვს: დეიდა ჯეპეტოს სხვისი სიმდიდრე გადაულოცა და მოკლე ხანში მილიონებიც აშოვნინა. სწავლით კი კვლავ ვერაფერი ისწავლა; ისევ იმ სიტყვებს გაიძახის, რომელთაც ცხრა წელი აფრქვევდა, და არ ესმის, რატომ აღარ უნდა ხალხს მისი დანახვა.**

პოლიტიკურ პინოქიოს წინ აქვს ყველაზე ცუდი ეპიზოდები: იგი უზარმაზარი ზვიგენის მუცელში უნდა აღმოჩნდეს, პოლიციამ უნდა დაიჭიროს, ფქვილში ამოვლებული ტაფაზე უნდა გაამწესონ, საიდანაც ხსნას მხოლოდ იმ ძაღლისგან უნდა ელოდეს, რომელიც დახრჩობას გადაარჩინა. თუმცა **ჩვენს პოლიტიკურ პინოქიოს არასოდეს არავინ გადაურჩენია, იგი ხომ „ნულოვანი ტოლერანტობის“ ლოზუნგის ავტორია! რაც მთავარია, მას ლურჯთმიანმა ფერიამ კი არა, ხალხმა უნდა აპატიოს!**

**ის კი პატიებას არ ითხოვს — ცირკის არენაზე დგას და ყროყინებს!**

**თამარ დავითულიანი**

**თუ ადრე ტყუილების ლაპარაკისას პინოქიოს ცხვირი ეზრდებოდა, ახლა უტიფრობის გამო ყურები გაეზარდა. ამ საქმეში გამოცდილ თანამოაზრეთა კონსილიუმმა მას „ვირის ციებ-ცხელების“ დიაგნოზი დაუსვა. მის მომხრეებსა და მხარდამჭერებსაც გადაედოთ ეს სახადი და მალე პინოქიოს თეატრი ვირების თავშესაყარად იქცა**

**როდესაც პანთეონამდე ავედით, მერაბიშვილი მანქანიდან არ გადმოვიდა. რაღას უცდი-მეთქი და მეო კათოლიკე ვარო. ეგ რა შუაშია, ილიას საფლავზე ავდივართ და არა მართლმადიდებლურ წირვაზე-მეთქი, მაგრამ „უძრავ იყო ხერხემალი“.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამას მე გეუბნები — «ნაციონალური მოძრაობის» ექსპერტი...

## (ღია წერილი «ოპოზიციის ლიდერს»)

**იყო დრო, უჩემოდ ბრიფინგებს არ იწყებდი თბილისის საკრებულოში — ერთ-ერთ პირველთაგანს მე მირეკავდა შენი მაშინდელი პრესმდივანი, პირმშვენიერი მარიკა ვერულაშვილი...**

ყველაფერი 2002 წლის თებერვალში დაიწყო, როდესაც ერთ საღამოს ჩემს მობილურში მოულოდნელად გაისმა — ბატონი დავითი ბრძანდებით? მე „ნაცმოძრაობის“ გენერალური მდივანი გიორგი არველაძე ვარ, ბატონ მიხეილს თქვენი გაცნობა სურსო და ჩვენი პირველი შეხვედრაც შედგა ვუკოლ ბერიძის ქუჩაზე მდებარე „ნაცმოძრაობის“ ჯერ კიდევ მოკრძალებულ ოფისში. სადაც მე, შენ, ვანო მერაბიშვილი და გენსეკი გვიან ღამემდე შევრჩით ფინჯან ყავა და სირჩა კონიაკთან ერთად გულითად საუბარს. იქამდე გვიანობამდე, რომ, როდესაც წასვლა დავაპირე, მეტრო იკეტება-მეთქი, არ გამიშვი და ნაშუაღამევს საკუთარი მანქანით გამამგზავრე. თავად კი, როგორც გზაში „დააწიე“ მობილურით პირად მძღოლსა და იმავე დროს „ტელოხრანიწელს“, თურმე ფეხით გაჰყოლიხარ რუსთაველის გამზირს — მაშინ იუსტიციის მინისტრობიდან ოპოზიციაში ახლადგადაბარგებულ მიშიკოს, რომელსაც შევარდნაძის სტაგნაციით გაბეზრებული ხალხი იმედით შემოგყურებდა, მართლაც შეგეძლო, ჯერ კიდევ შეგეძლო, რუსთაველზე მარტოდმარტოს უსაფრთხოდ გესეირნა.

ვაჰ, ეს რა უბრალო და თავმდაბალი ბიჭი ყოფილა-მეთქი, გულუბრყვილოდ გავიფიქრე და შენს ნაჩუქარ წიგნზე „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“ მიძღვნას — **„დათოს! დიდი პატივისცემით და თანამშრომლობის სურვილით“,** კიდევ ერთხელ დავხედე სიამოვნებით. აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ სულ მალე დადგებოდა ჟამი, როდესაც შენს ნამდვილ, შეუბრალებელ, ამპარტავნულ სახეს გამოაჩენდი და შენი წიგნის სათაურად „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოს ამოგდებისთვის“ უფრო უპრიანი იქნებოდა!..

ამიტომ, როგორც „გუშინ“, ათას სხვა სისულელესთან ერთად ისიც დაიქადნე, აღარც „ახრანა“ მინდა და არც „ტარტალიოტ-სამალიოტები“, ფეხით შემოვივლი მთელ ქვეყანასო. ამის გაკეთებას ნაღდად არ გირჩევთ არც შენ და არც შენს გარემოცვას — ისე შეაზიზღეთ თავი სოფელ-ქვეყანას ამ 9 წლის მანძილზე, რომ საზოგადოებაში კი არა, სარტირშიც საშიშია დაცვის გარეშე თქვენი სიარული...

თუმცა მოდი ისევ იმ, ჩემი და, სამწუხაროდ, საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის გულუბრყვილო იმედების დროში, ე. წ. ვარდების რევოლუციის წინარე საქართველოში დავბრუნდეთ:

იმჟამად გაზეთ „რეზონანსში“ ვმუშაობდი და შენს გაცნობამდეც სწორედ რომ „ნაციონალების“ თემას ვქაჩავდი. შენი გაცნობის შემდეგ ხომ საერთოდ იმ დოზით „ვთოხლე“ შენი კაიკაცობა, მთვარეზე მანდარინის პლანტაციების გაშენებაზეც რომ მეწერა, იქაც ვახერხებდი შენი სახელის დადებით კონტექსტში მოხსენიებას.

ამიტომ ჩვენი „თანამშრომლობა“, რისი სურვილიც გაცნობისთანავე გამიმხილე და ავტოგრაფითაც დამიდასტურე, სულ უფრო მასშტაბური და შინაარსიანი ხდებოდა. გახსოვს, ალბათ, მაშინ, რომ იტყვიან, „საღერღელი აშლილი გქონდა“ გლდანის ლიფტებისა და სახურავების შეკეთებაზე და ამ პიარაქციებზეც ბერგმანის კარლსონივით დაგყვებოდი. სხვათა შორის ელდარ კვერნაძეც მაშინ გავიცანი, რომლის საამშენებლო ფირმასაც უკვეთავდი ამ სამუშაოებს, და ელდარ ბატონი, რომელიც მოგვიანებით შენი პარლამენტის „ინტელექტუალური სახე“ გახდა, ჯერ კიდევ მაშინ „შავი დედალივით კეთდებოდა“!

ერთი მე ვიყავი „იდეინნი ბორეცი“ და ამიტომ მუქთად ვაკეთებდი შენი და შენი პარტიისთვის სასარგებლო სტატიებსა თუ ინტერვიუებს, ანუ იმ საქმეს, რისთვისაც, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, თურმე გულუხვად უხდიდით სოროსის ყულაბიდან სხვა, ჩემს „კოლეგა-ჟურნალისტებს“...

თუმცა არა, ერთი „ცოდვა“ მაინც მიმიძღვის, როდესაც „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ დასახელების ერთჯერადი პარტიული გაზეთი გაგიკეთე. გახსოვს, მაშინ მე, შენ და ვანო ვიჯექით შენს კაბინეტში, ვანოს ხუმრობა გაშვებით რომ უთხარი, — დღეიდან შენი უფროსი დათოა, არ მოცდეს წვრილმან ამბებზე — წასვლა-მოსვლა იქნება, სიგარეტი თუ საჭმელ-სასმელი, ანაზღაურებაც მიეციო!






აი, ასე, ჩემო მკითხველო, იმ ვანოს უფროსიც გახლდით მცირე ხნით, რომელიც ცოტა ხანში ქვეყნის ხერხემალი და ყოვლისშემძლე მინისტრი გახდა, ლამის მთელი თვე „ნაცების“ ოფისში ვაღამებ-ვათენებდი, ვანოს მორთმეული „სუხოი პაიოკიც“ მიმირთმევია და ვანომ მცირე ჰონორარიც გადამიხადა. რაც შეეხება „ცოდვას“, თუ ამ სიტყვას ბრჭყალების გარეშე ვიხმართ, ის მგონია, რომ „ნაცების“ ერთჯერადი გაზეთი იქნებოდა თუ მრავალჯერადი „რეზონანსი“, ყველგან ამ ნაძირალა მიშნაცების პროპაგანდას ვეწეოდი. იმედია, ამ ცოდვას შემინდობს უფალი, რადგანაც იმისი, რასაც ვწერდი, გულწრფელად მჯეროდა — მაშინ არც სოროსის შესახებ მსმენოდა და არც ბევრი ისეთი რამ ვიცოდი, რაც დროზე ამიხელდა თვალს...

**სიტყვამ მოიტანა და, თვალის ახელის პროცესი ჯერ კიდევ შენი ოპოზიციონერობის დროს ნელ-ნელა მიდიოდა, ჩემო მიშიკო, მაგრამ, როგორც იტყვიან, საკუთარ თავთან გატყდომა მიჭირდა. პირველად გულმა რეჩხი მაშინ მიყო, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარეობა გაინაღდე და მერიიდან ვიდრე მთაწმინდის პანთეონამდე ილიას საფლავზე პიარსვლა მოაწყვეთ — პროცესიას ფეხით არ გავყოლივარ, რადგან მომავალმა „ხერხემელმა“ მისი ძველი მერსედესით წასვლა შემომთავაზა და, როდესაც პანთეონამდე ავედით, მერაბიშვილი მანქანიდან არ გადმოვიდა — რაღას უცდი-მეთქი და მეო, კათოლიკე ვარო. ეგ რა შუაშია, ილიას საფლავზე ავდივართ და არა მართლმადიდებლურ წირვაზე-მეთქი, მაგრამ „უძრავ იყო ხერხემალი“. აბა, მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ კონფესიების სხვაობას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა და „ნაცმოძრაობის“ ნიღაბაფარებული მანქურთი ხლისტები მოდიოდნენ ხელისუფლებაში, პირველ რიგში სწორედაც რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ამოსაგდებად!**

მერე იყო და, არანაკლები ენთუზიაზმით ვეხმარებოდი „ნაცმოძრაობის“ კიდევ ერთ „ნათელ სახეს“, ენაბრგვილ გივია თარგამაძეს, რომელიც საბურთალოს მაჟორიტარად იყრიდა კენჭს, ცნობილი მხატვრისა და ნაღდი ქალაქელის, თემო გოცაძის, წინააღმდეგ. ეეეჰ, მიშა, მიშა, რამდენი ღირსეული პიროვნება გახდა მაშინ ჩემი კრიტიკის (და ეს რბილად ნათქვამია) სამიზნე ნაც-მანქურთების სასარგებლოდ!.. ყველას მინდა ბოდიში მოვუხადო. ეს ფოტოც გივი თარგამაძის „გამარჯვების“ დღეს არის გადაღებული, როდესაც სპორტის სასახლის წინ შევარდნაძის „დარჩენილი დღეების“ ათვლის სტენდი დადგით, არც ეგ გახსოვს მიშა? გახსოვს, მაგრამ მაგისთვის არ გცხელა, რადგანაც 1 ოქტომბერს შენი დარჩენილი დღეების ათვლა დაიწყო ბიძინა ივანიშვილმა და 5 იანვარს, როდესაც შენი სამარცხვინო პრეზიდენტობის ვადა ამოიწურება, ქართველი ხალხი საბოლოოდ დაგიდასტურებს „კოაბიტაციას“. მერე წადი და ჯონ მაკკეინთან იჩივლე ამერიკაში...

კიდევ ერთ „რელიქვიას“ ვინახავ პირად არქივში — საკრებულოში ჩემს სახელზე გამოწერილ მუდმივ საშვს, რომელზეც გვარ-სახელის გარდა ისიც წერია, რომ მე „ნაცმოძრაობის“ ექსპერტი ვყოფილვარ(?!), პირადად დათა ახალაიამ გადმომცა „ბატონ დავითს“. ასე მომმართავდა მაშინ ბუნჩულა ბავშვი, რომელიც შენ გამო სისხლისმსმელ სადისტად იქცა. დიახ, შენ გამო, მიშა, რადგანაც მახსოვს, პირადად მე შემომჩივლა პარლამენტს მიღმა დარჩენითა და კუდში გამწესებით უკმაყოფილო დათამ, — დეპუტატობა მერჩივნაო. ეგეც რომ გაგედეპუტატებინა, როგორც არაერთი დათასავით „შესტიორკა“, არც პარლამენტი გახდებოდა უარესი და საზოგადოებაც დათას სადისტობას ასცდებოდა!

**სიტყვამ მოიტანა და, შენ გაავსე პარლამენტი თუ სამინისტროები ლაწირაკი „დედიკოს ბიჭებით“, რომლებმაც „ძველბიჭობა“ თანამდებობებზე დაიწყეს.**

ერთ-ერთ მასეთ „ძალად ძველ ბიჭს“, შენ რომ „ჩვენი დროის გმირი“ უწოდე, რომელიც კომუფლიაჟის ამერიკული ფორმით დადიოდა პარლამენტში, დავით კირკიტაძეს, არ ვაპატიე თავხედობა, საკადრისი მივუზღე და არა მხოლოდ შენ გაგემიჯნე საბოლოოდ, ჩემო მიშიკო, არამედ, სამწუხაროდ, საკუთარი მამაც მოვიმდურე კაი ხნით...

ახლა არის და სულ გარეკე, ისეთ რამეებს როშავ, შენა ხარ „უშიში, ვითარცა უხორცო“, ამას წინათ რომ წაიტრაბახე, ქუთაისში ქვები რომ დაგაყარეს, — მაგათი შემეშინდება, პუტინმა ვერ შემაშინაო?!

შენ გორში მიწაზე მგორავი ის მთავარსარდალი არა ხარ, თბილისში რომ ჰალსტუხს ღოღნიდი?

**ან ვინღა დაგრჩა, შე საწყალო, სიტყვა რომ შეგაწიოს, „დიდი მწერალი“ დეფი, რომელსაც წიგნებს თურმე პრეზიდენტის ფონდიდან უფინანსებდი, თუ „დიდი ხელოვანები“ — აჩიკო გულედანი, ზუმბა ან ბუბა კიკაბიძე, რომლებსაც იმავე ფონდიდან, ანუ ჩვენი ფულით აჯეჯილებდი?**

იქნებ გგონია, რომ „ახალი მემარჯვენეები“ შეგაწევენ სიტყვას, რომლებმაც ახლა წამოყვეს თავი და ივანიშვილის დიქტატურაზე დაიწყეს საუბარი? — იოზეფ გებელსის ერთი ნათქვამი გამახსენდა, რაც მან 1944 წლის ბოლოს, ანუ მაშინ, როდესაც ომის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, ფიურერთან წვეულებიდან დაბრუნებულმა ცოლს, მაგდა გებელსს, უთხრა: — ფიურერთან ერთად ან ფერფლიდან აღვდგები, ან ფიურერთან ერთად დავიღუპები, მესამე არ არსებობსო.

„ახლი მემარჯვენეებიც“ მასე არიან, მათი პოლიტიკური რეანიმაცია მხოლოდ თქვენი, მიშნაცების, ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაშია შესაძლებელი. ეს კი შენც კარგად იცი, რომ აბსურდია, რადგან გერმანელი ფაშისტების ფიურერის არ იყოს, „ნაცების“ ფიურერსაც „სიკვდილის ბუზი დაგტრიალებს“ და **პოლიტიკური სიკვდილის წინ ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოიქეცი კაცურად — ჯერ ერთი, არ გაბედო და ეს ახალი წელი მაინც აღარ მოგვილოცო და მერე, ნაახალწლევს, 5 იანვარს, როდესაც საპრეზიდენტო ვადა ამოგეწურება, საკუთარი ნებით უმტკივნეულოდ გადადექი, თორემ ისე გა-და-გა-ყე-ნე-ბენ, ვინძლო ძალიან გეტკინოს!**

ამას მე გეუბნები — „ნაციონალური მოძრაობის“ ექსპერტი...

**დავით მხეიძე**

## ირანი მაიმუნს კოსმოსში უშვებს

**უახლოეს მომავალში ირანი კოსმოსში საკუთარი თანამგზავრის გაშვებას გეგმავს. ბორტზე მაიმუნი იქნება. ამის შესახებ თეირანის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში გამოსვლისას ისლამური რესპუბლიკის კოსმოსური სააგენტოს ხელმძღვანელმა ჰამიზ ფაზელიმ განაცხადა.** მისივე განმარტებით, ორბიტაზე გაფრენისთვის უკვე ყველაფერი მომზადებულია. მისივე თქმით, მაიმუნს კოსმოსში რაკეტა-თანამგზავრი „ფშიგამი“ წაიყვანს. ირანს ერთი მცდელობა მაიმუნის კოსმოსში გაშვებისა უკვე ჰქონდა, თუმცა ის პრიმატისთვის საბედისწეროდ დასრულდა. როგორც მაშინ ირანის ხელისუფლებამ განაცხადა, ამის მიუხედავად, ამ თემაზე მუშაობა გაგრძელდებოდა. ირანის ხელისუფლებამ კოსმოსურ სააგენტოს უფრო გრძელვადიანი გეგმებიც დაუსახა.

**2012 წლისთვის პირველი კოსმოსური პილოტირებული გაფრენა იგეგმება. პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი კი ირწმუნება, რომ უკვე 2015 წელს ირანს თავისი შექმნილი კოსმოსური ხომალდი ეყოლება.**



სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მთელი კამერა სცემეს, ვინც ჩემთან ერთად იყო, ფაქტობრივად დააინვალიდეს ადამიანები. თან ყველას უთხრეს, რომ ჩემ გამო სცემდნენ. შემდეგ გამიყვანეს ცალკე აბანოში, სადაც პატიმრებს სცემდნენ ხოლმე და იქ სერიოზულ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდნენ. მაწამებდნენ. 7-8 კაცი მაინც მცემდა ერთად, მერე, როცა გონებას დავკარგავდი, ცივ წყალს მასხამდნენ და მაფურთხებდნენ. ხშირ შემთხვევაში პატიმრებს თავზე აშარდავდნენ კიდეც.
ჩემთვის ეს არ გაუკეთებიათ, მაგრამ მემუქრებოდნენ, რომ ასე მომექცეოდნენ.“

# შოთა აფხაიძე: მაიძულებდნენ, მეთქვა, რომ ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს საპატრიარქოს დავალებით ვაღვივებდით

**ტელეკომპანია „კავკასიის“ ინციდენტის დროს ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლისა და ხულიგნობის ბრალდებით დაპატიმრებული შოთა აფხაიძე დუმილს არღვევს და აცხადებს, რომ აღნიშნული ბრალდება მხოლოდ უბრალო საბაბი იყო და სინამდვილეში ყოფილი ხელისუფლების პირველ პირებს მისი ნებისმიერ ფასად დაპატიმრება ჰქონდათ განზრახული.**
**ციხეში გატარებულ წლებსა და დაპატიმრების რეალურ მიზეზებზე შოთა აფხაიძე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა.**

**— ციხის კადრების გავრცელების შემდეგ ნანახმა ქართული საზოგადოება შეძრა. რა ვითარება დაგხვდა ციხეში, როგორ ექცეოდნენ პატიმრებს და პირადად თქვენ მიმართ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ?**

— 7 მაისის ღამეს ქალაქის ცენტრალურ სამმართველოში ჩვენი ნებით გამოვცხადდით — მე, რატი მაისურაძე, ლევან ჩაჩუა და გიორგი გაბედავა, თუმცა მთელი ღამის განმავლობაში ვერ გაიგეს, რა უნდა ექნათ და როგორ უნდა დავეკითხეთ. დილის 5 საათამდე ასე ვისხედით და ველოდებოდით. შემდეგ, რამდენიმე პირთან ერთად, პროკურორი შემოვიდა და დაიწყეს საუბარი, რომელიც, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, საერთოდ ეხებოდა ტელეკომპანია „კავკასიის“ ინციდენტს. ძირითადი შეკითხვები ეხებოდა ჩვენი ახალგაზრდული მოძრაობის „წინ“ — აქტივობებს, წევრებს, გეგმებს, დაფინანსებას. **აინტერესებდათ ჩვენი პოზიცია საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ვინაიდან მაშინ, როცა ყველა ახალგაზრდა ერიდებოდა ამ თემაზე საუბარს, ჩვენი ორგანიზაცია ერთადერთი იყო, რომელიც გამოვიდა და ხმამაღლა თქვა, რომ არ არის საჭირო რუსეთთან კონფრონტაცია და მილიტარისტულ ნოტაზე საუბარი, რომ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით შეიძლება ურთიერთობის მოგვარება. ზუსტად ეს გახდა ჩვენ მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.** გვკითხეს, რა კავშირები გვქონდა რუსეთში, იქაურ საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეებთან და აინტერესებდათ — ვინ გაგვიყვანა ამ კავშირებზე. მეკითხებოდნენ გაზეთების — „ასავალ-დასავალისა“ და „საქართველო და მსოფლიოს“ შესახებ, თუ რა კავშირები გვქონდა აღნიშნულ მედიასაშუალებებთან და როგორ ხდებოდა ჩვენ შორის კოორდინაცია. კვალი, როგორც თავად ამბობდნენ, რუსეთში მიდიოდა...

2009 წელს ჩვენ გავმართეთ რუსეთის პატრიარქის მხარდასაჭერი აქცია, ვინაიდან იმ პერიოდში მასმედიის საშუალებებით აქტიურად მიმდინარეობდა რუსეთის პატრიაქრის აგენტად, კრიმინალად შერაცხვა, რაც ჩვენთვის შეურაცხმყოფელი იყო, რადგან მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესია ერთი სხეულია და მისი დაყოფა ნაწილებად არ შეიძლება. ამას გარდა, მიუღებელია ნებისმიერი სხვა ქვეყნის სულიერი ლიდერის შეურაცხყოფა, თუ ის არ შემოიჭრება ჩვენი ეკლესიის და ავტოკეფალიის კომპეტენციაში. პატრიარქმა კირილმა კი პირიქით, არ ცნო აფხაზეთისა და ოსეთის ეკლესიები საქართველოს ეკლესიისგან დამოუკიდებლად და ის არ იმსახურებდა ასეთ დამოკიდებულებას.

მეკითხებოდნენ, თუ ვისი დაკვეთით ჩავატარეთ ეს აქცია. აინტერესებდათ, თუ რა მაკავშირებდა ალექსანდრე ებრალიძესთან, ვინაიდან პეტერბურგში გამართულ შეხვედრაზე, „ქართველ ხალხთა კონგრესის“ მიწვევით მეც ვიმყოფებოდი. მეკითხებოდნენ, მივიღე თუ არა ინსტრუქტაჟი პეტერბურგში.

ამას გარდა, **მე მქონდა დაბეჭდილი სტატიები გაზეთ „ჯორჯიან თაიმსსა“ და რამდენიმე ელექტრონულ გამოცემაში უკრაინის არჩევნებთან დაკავშირებით, რომლებშიც პირდაპირ ვამხელდი გივი თარგამაძეს დოკუ უმაროვთან და ტერორისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში და აინტერესებდათ ვინ მაძლევდა ფულს და ინფორმაციას.**

**— თქვენ ბრალად გედებოდათ ტელეკომპანია „კავკასიაში“ ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა და ხულიგნობა. კითხვები ამის თაობაზე ყოფილა?**

— ერთი შეკითხვაც კი არ დაუსვამთ ამ ინციდენტის შესახებ. დილის 6 საათზე გადამიყვანეს რომელიღაც პოლიციის თანამშრომლის კაბინეტში, მის ვინაობას ველარ ვიხსნებ. მან მითხრა, რომ უკვე ბრალი წარმედგინა და ჩემს გაოცებაზე მიპასუხა, რა ვქნა ასეთი დავალება მაქვს „ზემოდანო“. **შემდეგ შემოვიდა ორი თანამშრომელი, შემომთავაზა, მეღიარებინა ბრალი და მომცემდნენ ქვეყნის დატოვების საშუალებას, ამასთან, რომელ ქვეყანასაც ავირჩევდი, იქ უზრუნველად ვიცხოვრებდი.** ვუპასუხე, რომ ამას სიკვდილი მერჩივნა. მაშინ დამემუქრნენ, რომ ეს ბრალდება რომც არ დამტკიცდეს, სხვა ბრალდებით მაინც ციხეში გამოგამწყვდევთო.

ამის შემდეგაც ჯერ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შემიფარდეს, შემდეგ კი გლდანის №8 საპყრობილეში გადამიყვანეს, სადაც **ექვსკაციან საკანში 60 კაცამდე ვისხედით. საკანში საშინელი უჰაერობა და ანტისანიტარია იყო. ელემენტარულ ჰიგიენური ნორმები არ იყო დაცული, იქ საჭმლის ჭამაც კი შეუძლებელი იყო და თითქმის მშიერი ვიყავი. ასეთ პირობებში ერთი კვირა ვიმყოფებოდი. აქედან გამანაწილეს დ კორპუსში, 104-ე საკანში. კარანტინის დაშლის დროს, შეურაცყოფას გვაყენებდნენ, საშინლად მცემეს, თავში წიხლები მირტყეს. ამაში მონაწილეობდნენ უსაფრთხოების უფროსი, რეჟიმის უფროსი, ოფიცრები...** საღამოს 9 საათზე დამიძახეს ადმინისტრაციულ შენობაში, დირექტორის კაბინეტის გვერდზე, დამსვეს დიდ დარბაზში, სადაც შემოვიდა ორი პირი და მითხრეს, რომ ჩემზე ჰქონდათ ინფორმაცია, თითქოს მე ვიყავი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი და ყველაფერს ვაკეთებდი რუსეთის დავალებით. მედიასივრცეში კოორდინაციას მიწევდა მალხაზ გულაშვილი. ჩვენი შუამავლები იყვნენ — გულბაათ რცხილაძე და გიორგი ვეკუა, თითქოს ისინი თანხით მამარაგებდნენ. პირდაპირ მითხრეს, რომ უნდა დამესახელებინა, რომ გულბაათ რცხილაძე, იყო ერთ-ერთი კოორდინატორი და მაძლევდა მითითებებს, რომელ თემებზე გავაქტიურებულიყავი. ასევე, საუბარი იყო არჩილ ჭყოიძესა და მის დედაზე, ნანა ჯაფარიძეზე.

**მითხრეს, რომ უნდა მეთქვა, თითქოს ჩვენი საქმიანობის შესახებ ყველაფერი იცოდა საქართველოს საპატრიარქომ და რომ ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს საპატრიარქოს დავალებით ვაღვივებდით. უნდა დამესახელებინა, რომ კონკრეტულად, მეუფე იობი, მეუფე ეფრემი, მეუფე დიმიტრი და მეუფე სერაფიმე იყვნენ საქმის კურსში და ეს ყველაფერი რუსეთიდან იმართებოდა.** ეს კეთდებოდა მთლიანად მართლმადიდებლური ეკლესიისა და ამ კონკრეტულ სასულიერო პირთა დისკრედიტაციისთვის, რაზეც მტკიცე უარი ვუთხარი. რადგან პირდად არც კი ვიცნობდი ამ მეუფეებს და მათ ასეთ ბრალს ვერ დავდებდი.

ასევე შემომთავაზეს, რომ დამედანაშაულებინა ალექსანდრე ებრალიძე და მისი ფონდის ხელმძღვანელი ნანა ჯაფარიძე, უნდა მეთქვა, რომ თითქოს მე შევხვდი პეტერბურგში იგორ გიორგაძეს და მან 300 ათასი აშშ დოლარი გადმომცა. ასევე უნდა მეთქვა, რომ კრიმინალური ავტორიტეტებიც იყვნენ გარეულები ამ ყველაფერში. უნდა „მეღიარებინა“, თითქოს პეტერბურგში შევხვდი პოლიტოლოგ გრიგორი ტროფიმჩუკს, რომელიც იგორ გიორგაძესთან ერთად ამ ყველაფრის ავტორი იყო, თუმცა სასტიკი უარი განვაცხადე ამ ყველაფერის „აღიარებისგან“.

**— წინააღმდეგ შემთხვევაში რას გეუბნებოდნენ, რით გემუქრებოდნენ?**

— პირდაპირ მითხრეს, რომ 35 წელს მომისჯიდნენ და სამშობლოს ღალატისა და რუსეთის ჯაშუშობის მუხლით გამასამართლებდნენ. ამბობდნენ, რომ ამ ყველაფრის დამადასტურებელი ფოტო და ვიდეომასალაც ჰქონდათ და დამიმტკიცებდნენ, რომ ჩემი ახალგაზრდული მოძრაობითა და ამ ახალგაზრდული ბანაკებით შეიარაღებული გადატრიალების მოწყობას ვაპირებდი. ვუთხარი რა უარი, სასტიკად გამისწორდნენ ფიზიკურად. **მთელი კამერა სცემეს, ვინც ჩემთან ერთად იყო, ფაქტობრივად დააინვალიდეს ადამიანები. თან ყველას უთხრეს, რომ ჩემ გამო სცემდნენ. შემდეგ გამიყვანეს ცალკე აბანოში, სადაც პატიმრებს სცემდნენ ხოლმე და იქ სერიოზულ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდნენ. მაწამებდნენ. 7-8 კაცი მაინც მცემდა ერთად, მერე, როცა გონებას დავკარგავდი, ცივ წყალს მასხამდნენ და მაფურთხებდნენ. ხშირ შემთხვევაში პატიმრებს თავზე აშარდავდნენ კიდეც. ჩემთვის ეს არ გაუკეთებიათ, მაგრამ მემუქრებოდნენ, რომ ასე მომექცეოდნენ.**

ცემიდან ორ დღეში ისევ შემოვიდნენ, მოიტანეს ჩემი ორგანიზაციის გეგმა, ფინანსები, რაც ნამდვილად არ იყო საიდუმლო ინფორმაცია და ჩემ წინააღმდეგ მომართულ ბრალდებებს არ ადასტურებდა. საინტერესოა, რომ ეს იყო ჩემი პირადი „ფლეშკებიდან“ აღებული ინფორმაცია, რომელიც ჩხრეკის დროს ამოიღეს ქალაქის სამმართველოში. ამ შემთხვევაშიც და- ▶




**«ჩვენს დაპატიმრებას პირადად ხელმძღვანელობდა გიგა ბოკერია და მისი მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი»**

**«ჩვენი ორგანიზაცია ერთადერთი იყო, რომელიც გამოვიდა და ხმამაღლა თქვა, რომ არ არის საჭირო რუსეთთან კონფრონტაცია და მილიტარისტულ ნოტაზე საუბარი, რომ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით შეიძლება ურთიერთობის მოგვარება»**

**„ამ ყველაფერს ოლეგ ფაცაცია და ყაჭეიშვილი ხელმძღვანელობდნენ, დაახლოებით ოცი კაცი მცემდა. რკინის მილით მცემდნენ, მეუბნებოდნენ, რომ ის ხელი მქონდა მოსატეხი, რომლითაც სტატიებს ვწერდი და მართლაც მომტეხეს ხელი. შემდეგ ამბობდნენ, რომ მოდი თავზე დავაშარდოთ, ფოტოები გადავუღოთ და „ლუბიანკაზე" გავუგზავნოთ მის უფროსებსო. ეს წამება ოცი წუთი გრძელდებოდა. როცა გონებას ვკარგავდი, წყალს მასხამდნენ და ისევ ცემას აგრძელებდნენ. სააკაშვილი არ გინდათ, აბა, უკეთესი ვინ გინდათ, ხელისუფლებაში მოვიდესო, მეუბნებოდნენ."**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ირღვა კანონი, მოხდა ჩხრეკის ოქმის უგულებელყოფა, როცა ჩემი პირადი ნივთები გახსნეს, სასამართლოს დასრულებამდე და გამოძიებისგან ფარულად გამოიყენეს ეს ყველაფერი. როცა ვუთხარი, რომ ეს არაფერს არ ადასტურებდა და ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებდი, **მითხრეს, რომ დიდი ხნით გამომამწყვდევდნენ ციხეში, ვინაიდან ამით ხელისუფლების მაღალჩინოსნები, უშუალოდ პრეზიდენტი, შსს მინისტრი ვანო მერაბიშვილი და გენერალური პროკურორი იყვნენ დაინტერესებულები.** ასევე მითხრეს, რომ ამით დაინტერესებული იყო დასავლეთი, რაც მე არ მჯერა, რადგან არც ერთი დასავლური სპეცსამსახური ისე არ დაეცემოდა, რომ ასეთი ადამიანებისთვის, ამ მეთოდებით და ასეთი სულელური ბრალდებით დაევალებინა საქმის შესრულება.

მესამე დღეს ისევ სასტიკად მაწამეს. ამ ყველაფერს ოლეგ ფაცაცია და ყაჭეიშვილი ხელმძღვანელობდნენ, დაახლოებით ოცი კაცი მცემდა. რკინის მილით მცემდნენ, მეუბნებოდნენ, რომ ის ხელი მქონდა მოსატეხი, რომლითაც სტატიებს ვწერდი და მართლაც მომტეხეს ხელი. შემდეგ ამბობდნენ, რომ მოდი თავზე დავაშარდოთ, ფოტოები გადავუღოთ და „ლუბიანკაზე" გავუგზავნოთ მის უფროსებსო. ეს წამება ოცი წუთი გრძელდებოდა. როცა გონებას ვკარგავდი, წყალს მასხამდნენ და ისევ ცემას აგრძელებდნენ. სააკაშვილი არ გინდათ, აბა, უკეთესი ვინ გინდათ, ხელისუფლებაში მოვიდესო, მეუბნებოდნენ.

მას შემდეგ, რაც ჩემთან შემოვიდა ჩემი ადვოკატი მანანა კობახიძე და ვუთხარი, რომ ჩემზე ზეწოლა ხორციელდებოდა, როცა უკვე მედიაშიც გავრცელდა ჩვენი წამების შესახებ ინფორმაცია, უკვე შეარბილეს ტონი და საპროცესო გარიგებაც შემოგვთავაზა გამომძიებელმა, რაზეც ისევ უარი მიიღეს და სრულიად უკანონოდ 4-ნახევარი წელი მომისაჯეს.

თუმცა **დეტალურად არ მომიყოლია ადვოკატისთვის არაფერი, რადგან ყველაფერი ისმინებოდა და მემუქრებოდნენ, რომ მომკლავდნენ. ნებისმიერ დროს მართლაც შეიძლებოდა მოვეკალი. დიაფრაგმის 8 ნეკნი მქონდა მოტეხილი და დიაფრაგმის თიაქარი განმივითარდა, მიუხედავად ამისა, არავითარი სამედიცინო დახმარება არ მიმიღია.**

**ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან. ჩვენს დაპატიმრებას პირადად ხელმძღვანელობდა გიგა ბოკერია და მისი მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი.**

**— მამა დავითმა (ისაკაძემ) ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ თქვენი დაპატიმრება თამარ ჩერგოლეიშვილის კაბინეტში დაიგეგმა. რატომ, რაში უშლიდით ხელს, რომ თქვენი ციხეში გამომწყვდევა გადაეწყვიტათ?**

— ამ ნაბიჯით ხელისუფლებამ დაანახა დასავლეთს, თითქოს საქართველოში პრორუსულ და ფუნდამენტურ ძალებს ებრძოდა, რათა ფინანსები მიეღოთ და გადაეფარათ თავიანთი რეჟიმის საქმიანობა. მე მქონდა იდეა, ეკლესიის ბაზაზე გამეკეთებინა „ნაციონალების" მიერ შექმნილი გარყვნილების ბანაკების — პატრიოტული ბანაკების ალტერნატიული ახალგაზრდული ბანაკები. როგორც ჩანს, ამანაც ააღელვა ხელისუფლება.



**«უნდა დამესახელებინა, რომ კონკრეტულად, მეუფე იობი, მეუფე ეფრემი, მეუფე დიმიტრი და მეუფე სერაფიმე იყვნენ საქმის კურსში და ეს ყველაფერი რუსეთიდან იმართებოდა»**

დაპატიმრებამდე კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან შემომთავაზეს თანამშრომლობა. ჯერ სამსახურს მთავაზობდნენ, ანუ პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსებთან უნდა მეთანამშრომლა და შემდეგ ინფორმაცია მიმეწოდებინა მათთვის, მომეწყო პროვოკაციები. სპეციალურად უნდა გამოვსულიყავი და მეთქვა, რომ გვინდა, მაგალითად, საქართველოში რუსეთის ბაზები განლაგდეს და ეს იქნებოდა თემა, რომელზეც ააგორებდნენ სკანდალს და იტყოდნენ, რომ აი, რუსეთი გვიტევს.

მოხდა ჩვენი დისკრედიტაცია. მედია აამუშავეს, წინასწარ შექმნეს საზოგადოებრივი აზრი, თითქოს ფაშისტები ვიყავით. ამ მიზნით გამოიყენეს ხუმრობით გადაღებული ჩვენი ფოტოები, რომლებიც ინტერნეტით გავრცელდა.

**— რატომ გადაიღეთ ფაშისტური სიმბოლოების ფონზე ფოტოები, რომლებიც შემდეგ თქვენ წინააღმდეგ კომპრომატად გამოიყენეს?**

— მე საერთოდ ჩარჩოებში არ ვჯდები და მითუმეტეს ოპორტუნისტების აზრს ვერ აღვიქვამ სერიოზულად. როცა მაბრალებდნენ ჯაშუშობას, ხშირად ვწერდი სასაცილო სტატიებს, თითქოს მართლა ვქმნიდი „შულავერის კომიტეტს" და ვხუმრობდი ამ თემაზე, იმდენად აბსურდული იყო ეს ყველაფერი. ისინი რომ გვეძახდნენ ფაშისტებს, ჩვენც ეს ფოტოები ხუმრობით გადავიღეთ, მათ კი აიტაცეს. ფაშიზმთან საერთო არაფერი მაქვს, მათ ერთმანეთში ერევათ ნაციზმი და ნაციონალიზმი. წინასწარ შეგვიქმნეს ასეთი აზრი ჩვენზე, რათა ჩვენი დაჭერა გაემართლებინათ. **ჩვენი დაპატიმრებით შეაჩერეს ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც ოპოზიციურად იყო განწყობილი ხელისუფლების მიმართ და ამხელდა მას ტირანიაში.**

**ჩვენი დაპატიმრებით დაინტერესებული იყვნენ პირადად მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, გიგა ბოკერია, ვითომ ე.წ. ლიბერალური ნაწილი: ბექა მინდიაშვილი ეკა კვესიტაძე, ნინია კაკაბაძე.** მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ლიბერალების ორი ფრთა მოქმედებს, მემარჯვენე და მემარცხენე ლიბერალები, რომლებსაც შეიძლება ჩვენგან განსხვავებული იდეოლოგია და აზრები აქვთ, მაგრამ იმას, რაც ამ ადამიანებმა იკადრეს, არასდროს იკადრებენ, მაგალითად, გოგი გვახარია და შორენა შავერდაშვილი.

შეგნებულად მიმდინარეობდა ჩემი დისკრედიტრაცია. ჩემი „ფეისბუქის" გვერდიც კი გატეხეს და ისეთი რაღაცები დაწერეს, რომ მე ფანატიკოსი და შეშლილი ვგონებოდი ხალხს. ეს გააკეთა შსს სამინისტრომ, პირადად ვადანაშაულებ შოთა ხიზანიშვილს და ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოს რამდენიმე თანამშრომელს. როგორც გავიგე, ვინმე ხუხუა ხელმძღვანელობდა ამ ყველაფერს.

**— თქვენ „ნაციონალური მოძრაობა" დღესაც აგრესიულობაში გადანაშაულებთ, ორიოდე დღის წინ „ნაციონალური მოძრაობის" კონფერენციაზე პრეზიდენტმა ისაუბრა თქვენზე და განაცხადა, რომ ნატოსა და ევროკავშირში ვერ შევალთ, სანამ ციხეებიდან ისეთ ფანატიკოსებს ათავისუფლებენ, რომლებიც ტელეკომპანიაში შეიჭრნენ...**

— სააკაშვილი თავად არის შიზოფრენიით დაავადებული ფანატიკოსი. ის არის ნაძირალა, პირდაპირ ასე დაწერეთ. ის არის კაცი, რომელსაც არავითარი მორალი არ გააჩნია და ატყუებს დასავლეთს, თითქოს ჩვენ ექსტრემისტები ვართ.

თუმცა მე მაინც ძალიან მაკვირვებს დასავლეთის პოზიცია. დასავლეთს ასეთი რეაქცია არ ჰქონია ციხის კადრებთან დაკავშირებით, არც 26 მაისის ან 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ, არც სანდრო გირგვლიანის, ზურაბ ვაზაგაშვილის, ბუთა რობაქიძის, როინ შავაძის მკვლელობებზე აღშფოთებულან და არც სხვა პოლიტპატიმრების ბედზე და დღეს კრიმინალი ჩინოვკინების დაპატიმრებაზე ასეთი რეაქცია გასაკვირია. **მგონია, რომ დასავლეთი უბრალოდ გაუთვითცნობიერებელი და „დაბოლებულია" წინა ხელისუფლების მიერ, მათ არ აქვთ რეალური ინფორმაცია და მართლაც დაიჯერეს, რომ „ნაციონალები" დემოკრატები იყვნენ.** დასავლეთი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, ვინაიდან ასეთი ორმაგი სტანდარტების გამო, ხალხი დასავლეთზე აზრს შეიცვლის და ჩათვლის, რომ ისინი უკანონობას უჭერენ მხარს. **როცა აკრიტიკებენ უგო ჩავესს და ბაშარ ასადს, არ დაავიწყდეთ, რომ მათ სააკაშვილზე უარესი არაფერი გაუკეთებიათ. ფიდელ კასტრომ და ასადმაც კი პოლიტიკური პატიმრები გამოუშვეს ციხიდან. მიხეილ სააკაშვილმა კი 21-ე საუკუნეში, ვითომ დასავლეთისკენ სწრაფვის პერიოდში, ქვეყანაში თანამედროვე აბუგრეიბი და გუანტანამო ჩამოაყალიბა.**

მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცის, რომ მე ფანატიკოსი არ ვარ და არანაირ ძალადობრივ აქციაში მონაწილეობა არ მიმიღია. მე არც „ჰელოუინი" დამირბევია, არც გეიაღლუმის ჩატარებისთვის შემიშლია ხელი და არც სხვა რელიგიური მიმდინარეობისთვის მიმიყენებია შეურაცხყოფა. მე ვამბობდი, რომ ყველაფერს კანონი, კონსტიტუცია უნდა არეგულირებდეს და არავის აქვს უფლება, შეურაცხყოფდეს მართლმადიდებლობას. მე მხოლოდ ჩემს რელიგიურ მრწამსს ვიცავდი.

**— თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა გედებოდათ ბრალად, თავად ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას არ ჰქონია პრეტენზიები თქვენ მიმართ. მოწმედ პოლიციელები გამოვიდნენ, თუ აპირებთ მათ წინააღმდეგ საჩივრის შეტანას?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ პოლიციის რიგითი თანამშრომლების პასუხისმგებლობს საკითხის დაყენებას არ ვაპირებ. ჩვენ, როგორც ქრისტიანებს, გვეცოდებიან ისინი. მათ ოჯახები ჰყავთ და ისე ნამდვილად არ მოვექცევით, როგორც ისინი მოგვექცნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ შიში ვერ დაძლიეს და უსამართლოდ დაგვდეს ბრალი. **მთავარი შემკვეთები უნდა დაისაჯონ — ე.წ. ლიბერალები: გიგი თევზაძე, თეა თუთბერიძე, ლევან რამიშვილი, გიორგი მელაძე, ნინია კაკაბაძე, ეკა კვესიტაძე, გიგა ბოკერია, ჩიორა თაქთაქიშვილი, აკო მინაშვილი, გიორგი კანდელაკი.** ისინი პირადად თხზავდნენ ჩვენ შესახებ ცილისმწამებლურ ისტორიებს. ამის მიუხედავად, არ რცხვენიათ და საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გამოდის ჩიორა თაქთაქიშვილი, ქალი, რომელსაც ნამუსი და ზნეობა არ გააჩნია და ჩემზე, ადამიანზე, რომელიც ეს წლები უკანონოდ ვიყავი ციხეში, რელიგიური, პოლიტიკური ნიშნით დევნილი, საშინელი წამებისა და უსამართლობის მსხვერპლი, ლაპარაკობს, თითქოს ფაშისტი ვარ.

**„ნაციონალებს" არანაირი უფლება არ აქვთ, რაიმე სახის პოლიტიკური შეკრებები მართონ, რადგან არიან ჩვეულებრივი ნაძირლები, რომლებიც ისტორიის სანაგვეზე უნდა აღმოჩნდნენ და მათ ისეთივე განაჩენი უნდა გამოუტანოს ქართველმა ხალხმა, როგორც ეჟოვს, ბერიას, ტროცკის, კამენევს, ზინოვიევს; ვფიქრობ, მათ დაბრუნებას ხელისუფლებაში ხალხი არ დაუშვებს,** რადგან სძულს ისინი. სინამდვილეში მათ არანაირი იდეოლოგია არ გააჩნიათ, ეს არის გაბოროტებული ადამიანების ჯოგი და სირცხვილია, რომ ამ პარტიას „ნაციონალური მოძრაობა" ჰქვია.

ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს გამოჩნდა, რომ ხელისუფლება მართლაც ამზადებდა საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტებს. ამის შესახებ მე ჯერ კიდევ 2008 წელს ვწერდი. შემოჰყავდათ მართლა ექსტრემისტები და ფანატიკოსები, მოჯაჰედები, პუშტუნები და ამზადებდნენ ჩრდილოკავკასიაში დივერსიულ აქტებს, რითიც ქვეყანას დიდი საფრთხის წინაშე აყენებდნენ.

**— თქვენ გიწოდებენ ნაცისტებს, ფაშისტებს, რელიგიისა და სინდისის პატიმრებს, თავად როგორ მიგაჩნიათ, ვინ ხართ?**

— ამ შემთხვევაში, ჩვენ ვიყავით პოლიტიკური და რელიგიური პატიმრები. ჯგუფურ დანაშაულში დაგვდეს ბრალი, როცა ჩემთან ერთად დაპატიმრებულ პირთაგან მხოლოდ ოთხს ვიცნობდი. დანარჩენები იყვნენ მრევლის წევრები — „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" წარმომადგენლები, რომლებიც სასამართლოების მიმდინარეობისას გავიცანი და ჩვენი დადანაშაულება, თითქოს ერთად ვგეგმავდით ჯგუფურ დანაშაულს, სისულელეა.

როცა გავთავისუფლდებით, ოფიციალურად მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებს: კიდევ ბევრ რამეს ვიტყვი და განსასჯელის სკამზე ბევრი ადამიანი აღმოჩნდება.

**ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი**

# პარიზის ხელისუფლებამ ზურაბ წერეთლის ნამუშევარი დაიწუნა

**პარიზის ხელისუფლებამ მოქანდაკე ზურაბ წერეთლის სკულპტურის — იოანე პავლე II ძეგლის საფრანგეთში, პოლონეთის კათოლიკური მისიის ეკლესიის წინ დადგმაზე უარი თქვა.** საფრანგეთში პოლონეთის კათოლიკური მისიის ხელმძღვანელის, სტანისლავ ეჟის, თქმით, პარიზის მთავრობის გადაწყვეტილება ესთეტიკური მოსაზრებებითაა მოტივირებული: ექსპერტთა კომისიის შეფასებით, 3,6 მეტრის სიმაღლის ძეგლი პოლონური ეკლესიის არქიტექტურულ სტილში ვერ ჯდება. **„ვფიქრობ, რომ უარყოფითი გადაწყვეტილება იდეოლოგიურ მოტივებს ატარებს",** — განაცხადა პოლონელმა მღვდელმა და დასძინა, რომ ძეგლის დადგმის მომხრე პარიზელების 5 000 ხელმოწერა საფრანგეთის დედაქალაქის ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა.



# რუსეთის დუმამ «დიმა იაკოვლევის კანონის» მოქმედება ყველა ქვეყანაზე გაავრცელა

**რუსეთის დუმა მიღებული დადგენილებით „დიმა იაკოვლევის" კანონში შეტანილი ცვლილების მოქმედებას არა მხოლოდ აშშ-ზე, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე ავრცელებს.** „დიმა იაკოვლევის კანონი" რუსეთში აშშ-ის მიერ „მაგნიტსკის კანონის" საპასუხოდ მიიღეს. მასში შეტანილი ცვლილების მიხედვით, კანონპროექტის მოქმედება უნდა გავრცელდეს „იმ სახელმწიფოების მოქალაქეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება რუსეთის მოქალაქეების ჩასვლის აკრძალვისა და რუსეთის მოქალაქეების აქტივების დაყადაღების შესახებ იმ მოტივით, რომ რუსეთის მოქალაქეები რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებების დარღვევების თანამონაწილენი არიან". შეგახსენებთ, რომ აშშ-ში გაშვილებული დიმა იაკოვლევი ორი წლის იყო, როცა გარდაიცვალა. ამერიკელმა მამამ ის ცხრა საათის განმავლობაში სიცხეში მანქანაში ჩაკეტილი დატოვა.

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ლიახვის ხეობის ხალხს პატრონი არ ჰყავს, სამაგიეროდ, პატრონიანები ახალგორელები არიან, გუბერნატორ ჩოჩელის სახით. ფაქტები? რამდენიც გინდათ: სკოლაში, საბავშვო ბაღში, მაღაზიებში, ქიმიურ ქარხანა „ბერტაში“, „ბარამბოში“ 80-90% დასაქმებულებისა ახალგორელები არიან! ლიახვის ხეობიდანაც არიან, ოღონდ ისეთები, ვინც „ნაცმოძრაობაშია“ ჩართული“.

# წეროვანის გეტო — ბილეთი ნიურნბერგამდე!

**ჰოო... ორ წელზე მეტი დრო გავიდა, რაც აქ არ ვყოფილვარ... ასფალტის ეს თხელი ფენა უთუოდ არჩევნების წინ დააგეს. ნეტავ, რამდენ ხანს გაძლებს — არ დასკდება და ბზარ-ნაპრალებით არ „მოიქარგება“? მაშინ, აგვისტოს პაპანაქებაში, ვინანე სახლში დარჩენილ კეპზე. თაკარა მზისგან საშველი არ ჩანდა, ჩრდილს ხომ მხოლოდ ამ ბარაკების ირგვლივ დათესილი სიმინდი და წეროვანის ჭაობიანი ველის ლელქაში იძლეოდა.**



ნამდვილად შეიცვალა „ვანოგრადი“ — ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა დასახლება. „ნაციონალების“ არქიტექტორები ვერ გასცდნენ საკონცენტრაციო ბანაკების მშენებლობის კლასიკურ კანონებს — გეომეტრიულად სწორ ქუჩებს და ბარაკების „შესაშურ“ ერთფეროვნებას, რაც, საბოლოო ჯამში, დამთვალიერებლის გულში ღრმა სევდას და თვითმკვლელობაზე დაფიქრებასაც კი იწვევს. თუმცა ბანაკის სიმკაცრე უკვე ადგილ-ადგილ დარღვეულია მინაშენებით, ხეხილითა და ქრიზანტემებით, რომლებიც აფერადოვნებს დევნილთა კარ-მიდამოს.

დეკემბრის შუადღეა. ისევე, როგორც უწინ, დასახლება მიტოვებული ადგილის შთაბეჭდილებას ტოვებს. საიდან დავიწყო? „მწვანეებიდან“? აქ ხომ, ბარაკების ფერით ხდება ადამიანთა დახარისხება. „მწვანეები“ ყველაზე დაჩაგრულები არიან, თუმცა ასეთივე აზრისანი არიან საკუთარ თავზე „ვარდისფრებიც“ და „ცისფრებიც“! ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როცა ყველა მართლია!

— მოდი, ბაბუ, მოდი! რაღაც, უაზროდ დადიხარ აქა-იქ! — მეძახის „მწვანე ბარაკის“ წინ მჯდომი მოხუცი. — უკვე ორჯერ „გაზომე“ აი ქუჩა. ეძებ ვინმეს?

**— სიმართლის მთქმელს ვეძებ, ბატონო! ხომ ვერ დამეხმარებით? — მეც ვყვები უცნობის სახუმარო ტონს.**

— ააა, გასაგებია ვინცა ხარ, ბაბუ! გაზეთიდან, არა? შენნაირები აქ ბევრი მოსულა, მაგრამ ჩვენი საშველი არ ჩანს! მაინც შემოდი, ჩამოჯექი. ჩვენს სათქმელს რა გამოლევს!

### გივი აბუციძე

— ვცხოვრობდი ყოფილი ცხინვალის რაიონის, ყოფილ სოფელ აჩაბეთში...

**— რატომ „ყოფილ სოფელ აჩაბეთში“?**

— აღარაა სოფელი!.. მიწასთანაა გასწორებული... ძალიან კარგად ვცხოვრობდით, ხილი გვქონდა, საქონელიც გვყავდა: ზოგს ორი, ზოგს სამი, ზოგსაც კიდევ — ოთხი! მოსავალი ჩვენ თვითონ რუსეთში გაგვქონდა. ერგნეთის ბაზრობითაც ვსარგებლობდით. იქ მეტი წილი გლეხობა ვაჭრობდა. ერთი სიტყვით, ძალიან კმაყოფილები ვიყავით! მაგრამ რა მოხდა, რა დაეტაკა ამ სააკაშვილის მთავრობას! ჯერ ერგნეთის ბაზრობა დაშალეს...

**— რატომ დაშალეს?**

— ესენი, როგორც ჩანს, „დიდი მუცლებითა“ მოვიდნენ და მათ ხომ ამოვსება უნდა! ეტყობა, ვერ ავსებდნენ და დაშალეს! ან კოკოითი და სააკაშვილი რაღაცაზე ვერ მორიგდნენ. მერე, 2008-ში, ერთ ღამეს დაგვესხნენ და გაგვაძევეს!.. ისე მაინც გავეფრთხილებინეთ: ესეთი რამე მოხდებაო, ცოტა რამეს მაინც გამოვიტანდით. ყველაფერი იქ დამრჩა! აი, ახლა, რაც მაცვია, სულ სხვისია. თბილისში, საბავშვო ბაღში რომ ვიყავით, მაშინ მომიტანეს ეს სამოსი... გვეხმარებოდა ხალხში. მერე გვითხრეს, წეროვანში სახლები გამზადებულიაო და იქ გადადითო. გადმოვედით და, ნეტა, დაგენახა — ლელი, საშინელი ქარი, სიცივე!.. ჯერა თქვეს, ეს „სადგომი“ ათი ათასი დაჯდაო, შემდეგ გახადეს 30 ათასი. ეს ფული ჩვენთვინა მეეცათ, ჩვენვე მოვუვლიდით ჩვენს თავსა! ზოგი გორის რაიონის სოფლებში, ზოგი გორში ჩავიდოდით. არის უპატრონო სახლები. შევიდოდით, შევარემონტებდით და ვიქნებოდით! შარშან ზამთარში „ადიალა“ მქონდა წამოსხმული და ისე ვიჯექი. „ფეჩია“ და რა „ფეჩია“!.. აქ რომ გათბე, მას უნდა „ჩაეხუტო“. მეც „ჩავეხუტე“... შავი შარვალი მქონდა და „ფეჩთან“ სიამტკბილობას გადავაყოლე, დაიწვა!..

მართლაც, „ნაციონალების“ აშენებული და მათ მიერვე 27 ათასს ევროდ შეფასებულ ქოხში ქარი დაქშუის, კედლები ისეა დაბზარული, გარედან შუქი ატანს!

## „ლტოლვილთა მინისტრი სუბელიანი და სხვანი“

— რაც აქ ჩამოვედით, სუბელიანი ერთხელაც არ შემოსულა და არ გვკითხა: რა გიჭირთ, რა გილხინთ, რა მოგაწოდოთ! „დახმარება“, „დახმარება“, „დახმარება“ — ისმის რადიო-ტელევიზიიდან. სად წავიდა ეს დახმარება?! დახმარება ფულადიცა, ჩასაცმელებიცა, „ფეჩებიცა“ შემოდიოდა თურმე, მაგრამ ჩვენამდე არ მოდიოდა. თუ მოდიოდა, რა იქნა?! ადგილობრივ არჩევნებზე დეპუტატი ავირჩიეთ, მცხეთელი. მას საერთოდ არ ვიცნობთ. აქეთკენ საერთოდ არათუ გამოუვლია, არც გამოუხედია, კაცო!!! აი, ეს გზაი, რომ შემოხვედი, მასზე მანქანების გავლისას ისეთი მტვერი იდგა, ვერც პურსა ვჭამდით, სუნთქვაც გვიჭირდა,

**«ნაციონალების» არქიტექტორები ვერ გასცდნენ საკონცენტრაციო ბანაკების მშენებლობის კლასიკურ კანონებს — გეომეტრიულად სწორ ქუჩებს და ბარაკების «შესაშურ» ერთფეროვნებას**

ტანისამოსზე ნუღა იტყვი!.. ისეთი ბუღი დგებოდა, მძღოლები ერთმანეთსაც ვერ ხედავდნენ! მაშ, სუბელიანმა არ იცოდა, ასეთი ამბავი რომ იყო აქა?! შემოიყვანდნენ სააკაშვილსა ზეიდან, ასფალტი სადაც ეგო.

**— სად ეს?**

— აი, ტრასიდან რომ გადმოხვიდოდი, ასფალტი იყო დაგებული გამგეობიდანა; მიიყვანდნენ იქ კაი მაცხოვრებელთანა, აჰა, რა კარგად ცხოვრობენო, აი, ლტოვილებიო როგორ მოვაწყვეთო!.. აფერისტები! აბა, ჩვენამდე ჩამოსულიყვნენ! აქა, რატომ არ მოდიოდნენ? აქა, რატომ არ ჩაივლიდნენ ან აივლიდნენ „მწვანეების“ უბანში!

ეს ასფალტი არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დააგეს. ზოგიერთი „ჭკვიანი“ ამბობს: მერაბიშვილმა დააგოო. მაგ ვანუამ არაფერი დააგო! ხალხის გატყავების ხარჯზეა დაგებული; ეს გზა, ბაბუ, ჩვენი გაძარცვიდან დაგროვილი ფულის პატარა ნაწილად მოგვიგდეს, აი, როგორც ამ ძაღლსა!

მოხუცმა ჩვენ შუა მოკალათებულ „მურიას“ თავზე ხელი მზრუნველად გადაუსვა. „მურია“ თითქოს მიხვდა, რომ მის „პერსონაზე“ საუბრობდნენ, კმაყოფილებისგან ჯერ გაიზმორა, მერე ზურგზე დაწვა და აქეთ-იქით დაიწყო კოტრიალი.

— ჰა! დააგო! აგერ, აქ სათბურებია. ადრე მიხო სიმონიშვილს ეკუთვნოდა. ვანუამ და ჩოჩელმა წაართვეს მიხოსა. ჩვენი ბიჭები მუშაობდნენ, რაღაც გროშებად!.. ეგებ, ამიტომაც ამოირჩია მერაბიშვილმა ეს ჭაობი ჩვენს დასასახლებლად, რადგან იაფი მუშა ხელი აქვე რომ ჰყოლოდა!

პირველ წელს წყალზე, შუქზე, გაზზე დევნილები საფასურს არ იხდიდნენ, მაგრამ...

— ამით წაგვათამამეს! ახლა მოდის გადასახადი — ნუ იტყვი! საიდან გადავიხადო მეცა? პენსიითა?! გაფუჭებული პატეფონივით რომ ყბედობს სააკაშვილი: 14 ლარი იყოო, 14 ლარი იყოო, 14 ლარი იყოო, მე კი ასი ლარი მოგეცითო! ის 14 ლარი ერთ „მეშოკ“ ფქვილსა ყიდულობდა, სახლშიც — აჩაბეთში ვიყავით და კარგად ვცხოვრობდით სოფლად! ამ ასი ლარით კი, მხოლოდ ერთ „მეშოკ“ ფქვილს იყიდი და ცოტა მაკარონსა. აი, მაგითი ვცხოვრობთ! დანარჩენი კი, ან ჩაცმა არ გვინდა... გეფიცები, მამიდაშვილი დამეღუპა, ბიძაშვილი დამეღუპა... ვერ წავსულვარ გორში! 30 ლარი მაინც ხომ უნდა გედოს ჯიბეში! აი, აქა, თბილისში, მეზობელი დაგვეღუპა — ვერ წავედი! იმიტომ, რომ ჯერ პენსია არ იყო და არაფერი გვქონდა სახლში!.. ვფიქრობ ხშირადა, რომ მოვკვდები, რა ფულითა უნდა დამასაფლაონ?

**— პენსია 100 ლარი გაქვთ?**

— 140-ო გვითხრა სააკაშვილმა. აი, რამდენად მატყუარაა, ცრუის! ეგ რა საპრეზიდენტო კაცია, ჰა?! კაცი ტყუილს გელაპარაკება! 140-ო! ჩავედი. მანამდე, 105 ლარი მქონდა პენსია და 140-ის მაგივრად 120 ავიღე. ეს ოცი ლარი, რა იქნა?!

ყოველ დღე ვზოგავთ გაზს და, მიუხედავად ამისა, ზამთარში ას ლარზე ნაკლები არ მოდის. დენსა ნაკლებს ვიხდით — ათ ლარამდე, რადგან ერთი ნათურა გვინთია! ახლა კაცი გაზს როგორ გამორთავს, ბავშვი ზის და მეცადინეობს გაკვეთილებსა. ეს რა ცხოვრებაა?! დილით უნდა ადგე, გაზი ჩართო. მანამ ეს ოთახი გათბება, როგორც ჭუკი ეგრე დავდივარ! აბა, რა ვუყო, კანკალი გამაქ! იმ დღესა ძველი „ბუშლატი“ მაჩუქა ყოფილმა თანამშრომელმა, ჰოდა, ის მეცვა. ასე დავდიოდი. ცოლი მიყვირის, შემოდი სახლში, ხალხმა არ დაგინახოსო, რას იტყვიანო. დედაკაცო, რას იტყვიან და, ცივა ამ კაცსო და იმითვინ აცვიაო! ახლა მინდა, დავუწერო ახალ მთავრობასა და ვთხოვო, იქნება გაზზე ცოტა დაგვიკლონ, თითქმის 58 თეთრსა ვიხდით. წყალსაც ვიხდით სულზე თითქმისა ორ ლარს. ნაგავიც მიგვიბეს დენს! რა დავუშავეთ სააკაშვილსა, აქამდე ვერ გამიგია!.. ჩვენი ლიახვის ხეობა იცი, რა ხეობაა! კაცი ჭიშკარს რომ შემოალებდა, ხელს დავუქნევდით: მოდი, თითო ჭიქით დავილოცოთთქო! ჩვენი წესი და ადათი ეგეთი იყო იქა! აქა, ჯიბეში რომ გქონდეს, ამოგაცლიან!

დევნილთა გეტოში უმუშევრობა საყოველთაო უბედურებაა! გივი აბუციძის შვილები და რძალი უმუშევრები არიან. მართალია, იღებენ სოციალურ დახმარებას, სულზე 28 ლარის ოდენობით, რაც სასაცილოდ თუ ეყოფა, დავუშვათ, მოლაყბე დეპუტატს! ბავშვებისთვის სასკოლო წიგნების შესაძენად ოჯახმა 135 ლარი დახარჯა. „ნაციონალებმა“ კი არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე „მოიფიქრეს“ პატარა აბუციძეებისთვის იმავე სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემა!..

— ეხლა, ბაბუ, გლეხი კაცი ხომ იცი? ჩამოვედი, გავიხედგამოვიხედე და ლელის მეტი ვერაფერი დავინახე. მერე წავედი გორში, ნამყენები ვიშოვე, თანაც მაშინ ცოტა ფულიცა დაგვირიგეს. მოვიტანე ატამი, ბლები, ჩავყარე უცებ და, აი, წამოიზარდნენ! ბავშვებმა სხვას პირში რათ უნდა უყურონ? სულ ბაზარში სად ვიაროთ. ერთხელ ჩავედი თბილისში, მსხალი მინდოდა და ცნობილია, რა გათახსირებულები არიან სპეკულანტები! დამპალი მსხალი დაბლა ეწყო, საღი — მაღლა... ასე რომ, პენსიიდან პენსიამდე, ძაან რომ გულითაც მინდოდეს, ვერაფერსა ვყიდულობ.

ბატონმა გივიმ ამ, ფაქტიურად, ჭაობიან ნიადაგზე ყურძნის ტალავერი გააშენა!

— ჩავედი გორში ნათესავთანა, ჩემი ყურძნისა ჰქონდა მას. ავჭერი ჩხირები, წამოვიღე, ჩავრგე და მოვიყვანე. „ლომიაურია“! არსად, ჩვენი ხეობის გარდა, არ იციან ეს ჯიში! ძველთა ძველია, შავია და ტკბილი! გამოსავალიც კარგი აქვს. თვითონ ღვინოცა შემრგებია — რამდენი გინდა სვი! 20 ლიტრა მომაკითხა წელსა! იყო კიდე, „აბისულა“, „ჯიბლიტა“ და „ბაღლინჯოი“. თონეც ჩავაგდე და პურსა სახლში ვაცხობთ. პენსიას რო ვიღებ, ვყიდულობ ერთ „მეშოკ“ ფქვილსა და თვიდან თვემდე გვყოფნის რის ვაივაგლახით. „მეშოკი“ — 49 ლარი ღირს! ყაჩაღები!

ახალი ხელისუფლებისგან გივი აბუციძე დახმარებას ითხოვს.

— თუ ძროხასა არა, ერთი ხბოი, მაინც გვაჩუქონ. გავზრდი! აჩაბეთში ორი ძროხა დავტოვე და ერთი ხბო. ღორებსა და თხებზე აღარაფერსა ვამბობ!.. სახლი ორსართულიანი, აგურის, კაპიტალური. დაბლა სამზარეულო გვქონდა უზარმაზარი, პურსა იქა ვჭამდით. ეეეჰ!..

რა მოგვიტანა სააკაშვილმა? სილატაკე და, აი, ეს „სადგომი“! არადა, მოეცა ის ფული ხელზე. სახლს ვიყიდიდით კარ-მიდამოთი, ძროხასა. გვექნებოდა კარაქი, ყველი. მართალია, ზოგს ცხვრები, ზოგს საქონელი აჩუქეს, ხოლო ლიახვის ხეობის მოსახლეობას — ყველაზე დაჩაგრულ ხალხს, არავინ გვეკარება!

როგორც შემდგომში გავიგე, ეს „ზოგნი“ ახალგორელებია. **პატარა ახალგორი დიდია, იქ დაიბადა... ცდებით, არა სტალინი, არამედ ჩოჩელი!**

### ვალიკო რაზმაძე

ეს კაცი „მწვანეთა“ უბანში გავიცანი. თავისი „ხუხულას“ პირდაპირ, გზის მეორე მხარეს, ბაღი გააშენა ფანჩატურით! ორი წლის წინ კი აქ ▶

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკვე მჯერა, რომ სააკაშვილმა განზრახ გაგვწირა! რაც შეიძლება მეტი უნდა ჩავხოცილიყავით! ეს სურდა მას! მე ვერ დავმალავ და დიდ მადლობას ვუხდი იმ რუს ოფიცრებს და ჩეჩნებს, რომლებიც მთაზე იდგნენ, ცეცხლს არ გვიშენდნენ და გვეუბნებოდნენ: მალე გადით, სანამ შემოვლენ კაზაკები და მარადიორი ოსებიო, ყველას ვერ დაგიცავთო...

ეკალ-ბარდი, უზარმაზარი ლოდები და მანქანებიდან მოსროლილი საყოფაცხოვრებო ნაგავი „ბატონობდა", თუმცა რა არის აქ გასაკვირი. პოლიტიკოსების წრეში განთქმული იყო სოფელ აჩაბეთის „ვალიკოს წყარო". ვის არ უქეიფია აქ, მათ შორის „ნაციონალებსაც": მერაბიშვილს, უგულავას, წერეთელს, თარგამაძეს და სხვებს. ისინი „წყაროზე" კარგ დროს ატარებდნენ, მაგრამ მოგვიანებით ხელგაშლილი მასპინძელი გვარიანად „დაავიწყდათ". მიზეზი არ იყო ბანალური სკლეროზი, მეტად „სასპატიო" გახლდა — ვალიკო რაზმაძე, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ხმამაღლა აკრიტიკებდა „ნაცების" არაადამიანურობას.

ახლა ბატონი ვალიკო და მე ვზივართ მის „მწვანე" ბარაკის „ზალაში". ჩემი პროტესტის მიუხედავად, მისმა მეუღლემ ჩართო გაზის ღუმელი. ხალხი აქ გაზის უკიდურესი ეკონომიის იმედზეა. ღმერთმა არ ქნას, ღუმელი გაფუჭდეს ან დროზე არ გადაიხადო ბუნებრივი აირის საფასური — გაიყინები! მიუხედავად იმისა, რომ ღუმელი უკვე ერთი საათი გუგუნებს, მაინც მცივა. ხვდები, აქ ხომ ჩაჭაობებული ნიადაგია, აქედანაცაა ეს ნესტი, ანუ, როგორც მას დევნილები ეძახიან, სირისტი. ჰოდა, ამ სირისტმა უკლებლივ ყველას — პატარას, დიდს — სახსრები დაუავადა... იმატა ონკოლოგიურმა სნეულებამ ბავშვებშიც! მაგრამ ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობა ამ ჯვარცმულ ველზე — დარდია! დარდი დაკარგულ წინაპართა ოფლითა და სისხლით მორწყული მიწისა!

ქალბატონი გულნაზი სუფრას შლის. ვხვდები, აქ მორიგი პროტესტიც უშედეგო იქნება, მაგრამ, მაინც: „წესით, ბატონო ვალიკო, მე უნდა დამეპატიჟებინეთ, თქვენ კი მე მპატიჟებთ. უსამართლობაა!"

— რას ამბობ! სტუმარი მოვიდეს და ერთი თეფში ლობიო, წნილი არ მივართვა და ჭიქა ღვინო?!

ლობიო, მართლაც გემრიელია და ამ უტყუარ ფაქტს ხმამაღლა აღვნიშნავ.

— ამ ლობიოს სიგემრიელე გულნაზის დამსახურებაა! შენ ლიახვის ხეობის ლობიო არ გაგისინჯავს! მოხარშე, მოაყარე მარილი და მიირთვი! წაბლივითაა!

სადილის შემდეგ იწყება ცხოვრებისეული პროზა.

— კოტეჯები, რომლებიც ჩვენ გადმოგვცეს, — ამბობს ბატონი ვალიკო, — ელემენტარულ სტანდარტებსაც ვერ პასუხობს. ეს სახლი რომ გავათბოთ, თვეში 150 ლარის გაზი უნდა დავწვათ. დენი, რაც არ უნდა მომჭირნედ იხმარო, ზამთარში ას ლარამდე ადის! 2008 წლის 14 დეკემბერს მე აქ პირველი დავსახლდი და ერთი წელი გვაძლევდნენ დახმარებას: ფქვილს, ლობიოს, ზეთს.

— სულზე რამდენს?

— ფქვილს თვეში ერთ სულზე — 2 კილოგრამს, ზეთს — ნახევარ ლიტრს და მაკარონს, ექვს სულზე — 4 კილოგრამს.

ამ ბარაკების მაგივრად, გვერჩივნა კორპუსები აშენებულიყო და მიწა დაერიგებინათ. ჩვენ ისეთი რეგიონიდან ვართ, სადაც ხარობდა ვაშლი, ატამი, მსხალი და უამრავი სხვა ხილი, მოგვყავდა ბოსტნეული! **ლიახვის ხეობის ხალხს პატრონი არ ჰყავს, სამაგიეროდ, პატრონიანები ახალგორელები არიან, გუბერნატორ ჩოჩელის სახით. ფაქტები? რამდენიც გინდათ: სკოლაში, საბავშვო ბაღში, მაღაზიებში, ქიმიურ ქარხანა „ბერტაში", „ბარამბოში" 80-90% დასაქმებულებისა ახალგორელები არიან! ლიახვის ხეობიდანაც არიან, ოღონდ ისეთები, ვინც „ნაცმოძრაობაშია" ჩართული.** ახალგორელებს ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ჩვენთან არ უნდა გააიგივონ. ისინი ახალგორში თავისუფლად შედიან და გამოდიან, არც სახლები დაუკარგავთ და არც საქონელი. მათი მოხუცები იქ არიან, თავს კარგად გრძნობენ და ღმერთმა კარგად ამყოფოთ! ჩვენ კი ყველაფერი დავკარგეთ, ყველაფერი წაგვეშალა!..

ვუსმენ ვალიკო რაზმაძეს და ვხვდები „ნაცების" მზაკვრობას! ასეთი „პოლიტიკით" ისინი ხალხს ერთმანეთს უპირისპირებდნენ! მაგრამ არ შემიძლია შევურიგდე იმ აზრს, როგორ მოხდა, რომ საქართველოში, იქ სადაც გმირი ხალხი ცხოვრობს, რომლის ნება ვერ გატეხა ვერც ერთმა იმპერიამ; იქ, სადაც ცხოვრობს ერი, რომელიც სამი ანბანის შემოქმედია და დიდი კულტურა შექმნა, აი, აქ, როგორ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება და თითქმის ცხრა წელი მართეს ბუნებისგან ჩაგრულმა ჯოჯოებმა — სააკაშვილისა და მისი ხროვის სახით?!

— რაც ჩაიდინა სააკაშვილმა, ყველაფერზე პასუხი უნდა აგოს! — აშკარად კითხულობს ჩემს აზრებს ბატონი ვალიკო. — მისი დანაშაული უპატიებელია! 2008-ში ჯარი და პოლიცია გარბოდა, ადმინისტრაცია გამოიპარა და ხალხი ბედის ანაბარად მიატოვეს! ყველაფერი გვქონდა. ყველა ოჯახს ჰყავდა მსხვილფეხა საქონელი, კიდევ: ღორები, თხები, ქათმები, ინდაურები; ჰქონდა ღვინო, არაყი — ყველაფერი, რაც კი ადათ-წესით ქართულ ოჯახს მოსდევს!.. გამოვედით შიშვლები... რა დამავიწყებს, ხალხი როგორ გამორბოდა მანქანებით, ტრაქტორებით, რა დამავიწყებს ქალების წივილ-კივილს... იცლებოდა ხეობა! მახსოვს, კეხველი კახნიაშვილის ოჯახი როგორ ამოწყდა. „ნივაში" იჯდნენ და ერედვში შემოსვლისას ჭურვი ზუსტად მათ მანქანას მოხვდა! ხელისუფლებამ არც გაგვაფრთხილა, ღირსეულად რომ გამოვსულიყავით! **უკვე მჯერა, რომ სააკაშვილმა განზრახ გაგვწირა! რაც შეიძლება მეტი უნდა ჩავხოცილიყავით! ეს სურდა მას! მე ვერ დავმალავ და დიდ მადლობას ვუხდი იმ რუს ოფიცრებს და ჩეჩნებს, რომლებიც მთაზე იდგნენ, ცეცხლს არ გვიშენდნენ და გვეუბნებოდნენ: მალე გადით, სანამ შემოვლენ კაზაკები და მარადიორი ოსებიო, ყველას ვერ დაგიცავთო...**

ვალიკო რაზმაძე ეროვნული მოძრაობიდან მოდის. რაც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩატარებულა ლიახვის ხეობაში, ყველა კომისიის წევრი იყო. გახლდათ ქურთის საკრებულოს დეპუტატი და გამგებლის თანაშემწე. ხელმძღვანელობდა პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატის — გურამ ვახტანგაშვილის საარჩევნო შტაბს. აგვისტოს ომის შემდეგ იგი ოპოზიციაშია. მონაწილეობდა 2009 წლის საპროტესტო აქციებში, მათ შორის პოლიციის სამმართველოსთან, 6 მაისს, როდესაც პოლიციის ფორმაში გამოწყობილი ზონდერები „მიშა, მიშას" ყროყინებდნენ!

— მაშინ ოპოზიციის კონსოლიდაცია ვერ მოხდა, — თავის აზრს მიზიარებს დევნილი, — ყველას პრეზიდენტობა სურდა. ახლა გაირკვა, ვინ იყვნენ ნათელაშვილი, გამყრელიძე და სხვები! რაც შეეხება ივანიშვილს — ეს კაცი საქართველოს უახლოეს ისტორიაში ყველაზე გამოჩენილი პიროვნებაა, რომელმაც განდევნა „ნაცმოძრაობა" და იმედი მაქვს, ხალხის დახმარებით, სანაგვეზეც მიუჩენს ადგილს! **ესენი რომ დარჩენილიყვნენ, ქვეყანა დაიშლებოდა! მე „ოცნების" სახით ხმა მივეცი იმედს! ჩვენი მთავარი პრობლემა დაბრუნებაა. მე ჩემი კუთხე მინდა! საქართველო ვერ შედგება, როგორც სახელმწიფო, შიდა ქართლის და აფხაზეთის გარეშე. ვიცი, ეს ძალზე რთულია, მაგრამ არაა შეუძლებელი!**



**ვალიკო რაზმაძე: რაც ჩაიდინა სააკაშვილმა, ყველაფერზე პასუხი უნდა აგოს! მისი დანაშაული უპატიებელია! 2008-ში ჯარი და პოლიცია გარბოდა, ადმინისტრაცია გამოიპარა და ხალხი ბედის ანაბარად მიატოვეს!**

„მწვანეების" დასახლება კიდევ ერთი სირთულის პირისპირ დგას. მის უკან, გამავალი არხის იქით არის მიწის ფართი, რომელიც ჯემშერ პატიაშვილს ეკუთვნოდა. „ნაციონალებმა", ჩვეულებისამებრ, ეს მიწა პატრონს წაგლიჯეს და კანონის დარღვევით ვილაცას მიჰყიდეს. ეს „ვილაცა" კი იქ ქათმების ფერმის აშენებას აპირებს, რაც, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყოვლად დაუშვებელია! საჩივარი დაწერეს რწმუნებულის სახელზე, მაგრამ გუბერნატორის პასუხი იგვიანებს...

**კიდევ: დევნილები ითხოვენ სამთავრობო კომისიის შექმნას, რათა გაარკვიონ, როგორ ნაწილდებოდა ფულადი კომპენსაცია. რატომ მიიღო ერთმა სამმაგი დახმარება, ხოლო მეორემ — არაფერი.**

**რაც მოვისმინე, ვფიქრობ, საკმარისზე მეტია, რომ პროკურატურამ ხელდაკაპიწებულმა იმუშაოს!**

**მითუმეტეს, გავიგე, რომ ამ ბარაკების მშენებლობაზე მომუშავე ბრიგადირი ხელს აწერდა 7-ათასლარიანი ხელფასის უწყისს, ხელზე კი, მხოლოდ ორს იღებდა.**

— დროებით მიწა რომ მოგვცენ, სანამ აქ ვიმყოფებით, — ნატრულობენ ლიახველები, — საქონელს ვიყოლიებდით, სიმინდს მოვიყვანდით, ლობიოს, მითუმეტეს, კომპენსაცია არც ნაკვეთის მიგვიღია, არც სახლისა!

## ლეილა ბასიშვილი

„ვარდისფერი" დასახლებაც მოვინახულე. აქ მასპინძლობას 72 წლის ლეილა ბასიშვილი მიწევს. ლეილა დეიდას სოფელ ქურთაში, რომ იტყვიან, სავსე სახლ-კარი ჰქონდა. განსაკუთრებით ვაშლისა და ატმის ბაღებით ამაყობდა, რომლებიც ახლა, სეპარატისტთა პოლიციის უფროსის საკუთრებაშია.

— ცხინვალში ჩამქონდა „სმაროდინა", „მალინა", ყველაფერი ჩამქონდა! — იხსენებს ქალბატონი ლეილა. — ახლა ყველაფერს ვყიდულობ. ლიახველებს უამრავი საქონელი გვყავდა, მოსახლეობა არ იყო იმდენი, რამდენიც საქონელი! სანამ შემოვლით გზას გააკეთებდნენ, ჩვენი ხილი ლიახვში ცვივოდა: ვაშლი, კომში, ატამი — ტონობით! ცხინვალელები დაგვცინოდნენ, ვაშლი ველარ გაგაქვთო; და ხილს, როგორც თევზებს, ბადეებით იჭერდნენ.

**— ოსებთან, რა ურთიერთობა გქონდათ?**

— ნათესაური! ახლაც რომ შევიდე ცხინვალში, ხელს არ მახლებენ! ძალიან უყვარდა ცხინვალელებს ჩვენი ხეობა. სუფთა პროდუქტი შეგვქონდა და მადლობლები იყვნენ ისინიც და ჩვენც! **ომის დაწყებამდე ათი დღით ადრე დაიწყეს ოსებმა სახლების დატოვება და გვეუბნებოდნენ, თქვენც გადითო, რადგან სააკაშვილი და კოკოითი ომს იწყებენო!**

არც ლეილა ბასიშვილია „კმაყოფილი" ერგნეთის ბაზრობის დახურვით და ამ ფაქტს დანაშაულად თვლის. არც თავის საცხოვრებელი ბარაკითაა აღტაცებული.

— ამ „ბოსელს" არც ერთი სათავსო არა აქვს. ადგილი სირისტიანია და 2-3 დღიანი წვიმის შემდეგ აქაურობა ისე იტბორება, სახლიდან ვერ გამოხვალ. ერთხელ საპატრულოც გამოვიძახეთ, აქედან რომ გამომეღწია! ასეთი წვიმის შემდეგ წყალი ერთი კვირა დგას!

საქონელს აქ ვერ დავიყენებ, რადგან ბარაკები ოთხ მეტრშია ერთმანეთისგან დაშორებული. ბოსელს ვინ აგაშენებინებს. აი, ისინი კი, ვინც განაპირა ცხოვრობს, იმათ შეუძლიათ ბოსელიც ააშენონ და სათავსოც.

როგორც აქაურები მეუბნებიან, თუ საშუალებას გლეხკაცს მისცემ, რა გააჩერებს მას?! რას ჰგავდა აქაურობა და სულ მოკლე დროში ბაღნარად აქციეს! მაგრამ აქ მოყვანილს გემო არ აქვს, ქინძს სუნი არ აქვს. მოყვანილს ნაძალადევად ჭამენ! არც წყალი უვარგათ, ნიადაგიც — ჭიანი, მატლიანი. შეიძლება მთელი ეს ადგილი დათესო და მოსავალი ალაგ-ალაგ მიიღო!..

— მე შვიდი „მეშოკი" ლობიო მომდიოდა, ჩემს ბაღში! აქა კი ლობიო ვერ დამითესია, ჭია ჭამს! ასეთი რამ არ მინახავს, გაკვირვებული ვარ ქალი.

**— შხამქიმიკატები რომ გამოიყენოთ?**

— მე მოწამლული ლობიო არ გამიგია!

დევნილთა რაციონიც მრავალფეროვნებით ვერ გამოირჩევა: პური, მაკარონი, ზეთი. ადამიანმა რამე თუ იშოვა, ეგრევე იყიდის, დიდი-დიდი, 2 კილო ხორცს, თუმცა ასეთი „ზეიმი" კვარტალში ერთხელ თუ დაუდგებათ!



გივი აბუციძე

ბავშვებზე დარდობენ, მათ ჯანმრთელობაზე. რა აჭამონ ბავშვებს, როგორი პროდუქტი! საჭმლის გარდა ჩვილებს პამპერსიც უნდა, ჩასაცმელიც. საიდან? ქმრები უმუშევრებია, ცოლები კი — მომთხოვნნი; და ხდება კონფლიქტები, ოჯახები ინგრევა! ლიახველებისთვის აუტანელია იმაზე ფიქრი, რომ ხილიც საყიდელი აქვთ. აქაური კაცი, სულ ცოტა, 10-15 ტონა ვაშლს მაინც ჰყიდდა!

უნიკალურ წყალსაც სვამდნენ, გოდორაანთ წყაროდან. არც კუჭს გატკენდა, არც ღვიძლს. აჩაბეთი, ქურთა, ძარძამი წყაროებით იყო გაძეძგილი! იხსენებენ დასასვენებელ ადგილ კროზას. იქ ყოველ ზაფხულს, „წყეულ კომუნისტების" დროს ქურთის უპატრონო ბავშვთა სახლიდან პატარები აჰყავდათ დასასვენებლად. მათ არაფერი აკლდათ, მშობლების გარდა...

აქ დარდია, დარდი და არაფერი დარდის გარდა, წინაპართა მიტოვებული მიწისა. დევნილები სააკაშვილს არ წყევლიან, მხოლოდ თავის ხვედრს უსურვებენ მომავალში.

ღამეა, თოვს და ძალიან ცივა. ჩემს ბედზე, გაჩერებაზე არავინაა და პატარა ბავშვივით დავხტივარ, რომ არ გავიყინო. რატომღაც ნიურნბერგის პროცესი გამახსენდა და „ნაციონალების" გასამართლება მომინდა. რატომაც არა?! **ლიახველები გეოგრაფიულად, დემოგრაფიულად, ანუ სტრატეგიულად 18 წლის განმავლობაში ქართულ გენს, ჯიშს იცავდნენ შიდა ქართლში! იტანდნენ სეპარატისტების დაბომბვებს, სროლებს, გატაცებებს და რისთვის, ჭაობზე რომ ეცხოვრათ, სააკაშვილის მიერ ჩამოთესლილ ჩინელებს კი — საუკეთესო მიწებზე?! არაა ეს სახელმწიფოებრივი დანაშაული?! მოვიდა დრო, როცა ადამიანები მოითხოვენ „ნაციონალების" სამართლიან დასჯას. დღეს ამ ნაძირლებს წართმეული აქვთ უფლება ბოროტების ჩადენისა. „ნაციონალები" არიან ცოცხალი სიმბოლოები ზიზღისა და ძალადობისა. ისინი ტანჯავდნენ ხალხს და მოსახლეობას ცხოვრება ტრაგედიად უქციეს. აწყობდნენ გენოციდს, როცა რჩეულ ახალგაზრდებს ან ქუჩებში ხვრეტდნენ, ან გლდანის საპყრობილეში ხერხემალს და სხვა სასიცოცხლო ორგანოებს გამიზნულად უზიანებდნენ! ამიტომ ნებისმიერი ლმობიერება მათ მიმართ იქნება ბოროტი ძალების გამარჯვება და წახალისება! არავითარი დანდობა იმათ მიმართ, ვის სულშიც ბოროტებაა ჩაბუდებული!..**

წეროვანის დასახლებიდან მომავალი მგზავრებით გატენილ ბოლო მიკროავტობუსში ჩავჯექი. გულდამძიმებულს, სალონის სუსტ განათებასთან ერთად, ნერვებს მიშლის მძღოლის მიერ აყვირებული რადიოდან მომავალი ელექტრონული მუსიკის ჯოჯოხეთური „ჰანგები". სურვილი მიჩნდება, ჩამოვიდე, მაგრამ, როგორც ჩანს, არც მძღოლს მოსწონს კაკაფონია და FM-ის ტალღებზე „დაცურავს". უცებ ჩერდება. ეს ხომ ჩემი კერპია — ელვის პრესლი! მიხარია, მძღოლსაც რომ მოეწონა და ბოლომდე უსმენს ღვთაებრივ ხმას: „ჩიკაგოში ულიმლამო, ცივი, თოვლიანი დილაა. გეტოში დაიბადა პატარა საწყალი ბიჭი; დედამისი ტირის, ყველაზე ნაკლებად მას უნდა ეს შვილი, რადგან კიდევ ერთი მშიერი დაიბადა, რომელსაც ჭამა უნდა"... **ჰოო, თუ წეროვანის გეტოში ახალმა ხელისუფლებამ სირთულეები არ მოაგვარა, გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფი, გამონაკლისის სახით, არ გაანახევრა, მაშინ ლიახველ დედასაც ბავშვის გაჩენა აღარ გაუხარდება!..**

**გიორგი კორძაძე**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ რუსეთი, საქართველო, „სამხრეთ ოსეთი“ და აფხაზეთი მოახერხებენ მცირეფორმატიანი ინტეგრაციული კავშირის შექმნის სურვილის დეკლარირებას, შესაძლოა, ეს დაგვეხმაროს მათთან დიალოგის დაწყებაში.“**

# დავით ფურცხვანიძე: მიმაჩნია, რომ ივანიშვილი საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორატიული ინტერესების პროექტია

**ჯერ კიდევ არჩევნებამდე ევრაზიის ინსტიტუტმა ჩაატარა გამოკითხვა პარტიების რეიტინგსა და ნატოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. გაირკვა, რომ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოსადმი პოზიტიურია, თუმცა ორგანიზაციის ხელმძღვანელის, გულბაათ რცხილაძის თქმით, ეს დამოკიდებულება ელექტორატს შორის განსხვავებულია — კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებისგან განსხვავებით, ნატოსადმი სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ. ევრაზიის ინსტიტუტის საექსპერტო განხილვას „პოლიტიკური ექსპერტიზის ბიუროს“ დირექტორი, რუსეთში მოღვაწე ექსპერტი დავით ფურცხვანიძეც ესწრებოდა. დღეს იგი „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებსა და ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე საუბრობს.**



**— ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ნატოს თემატიკასთან დაკავშირებით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის განხილვას ესწრებოდით, რა დასკვნების გაკეთება შეიძლება აღნიშნული გამოკითხვის შედეგების საფუძველზე?**

— გამოკითხვა მაღალპროფესიულ დონეზე შესრულდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების ძალიან დიდმა პროცენტმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ეს ხალხი, ალბათ, დაელოდება მოვლენების განვითარებას და ან ნატოსკენ გადაიხრება, ან მის წინააღმდეგ განეწყობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ მისი პრიორიტეტი ნატოა, აქედან გამომდინარე, ჩემთვის ცოტა გაუგებარია ასეთი შედეგი. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებაში“ დაბნეულობას აქვს ადგილი. ვინაიდან, საზოგადოების ერთი ნაწილი ამბობს, რომ ივანიშვილი პრორუსული პროექტია, მეორე ნაწილისთვის ის პროამერიკულია, მესამე ნაწილი კი საერთოდ ვერ გარკვეულა, რაშია საქმე. მე კი **მიმაჩნია, რომ ივანიშვილი საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორატიული ინტერესების პროექტია.** თუმცა მინდა გითხრათ, რომ მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, ივანიშვილი რთულად „იკითხება“, ამიტომ ჯერ კიდევ უცნობია, რა გზას აირჩევს ახალი პრემიერი.

**ერთ რამეში კი დაგვარწმუნა აღნიშნულმა საზოგადოებრივი აზრის კვლევამ – საგანმანათლებლო-განმარტებითი ხასიათის სამუშაოებია ჩასატარებელი, რათა ხალხმა გაიგოს, რა არის ნატო და მისი პრიორიტეტები; იცოდეს, რომ ნატომ შეითავსა სადამსჯელო ფუნქცია და ის მსოფლიოში ძალთა ბალანსის პოლიტიკის გამტარებელს აღარ წარმოადგენს.** მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისიც კი არ იცის, რომ ნატო არ არის მსოფლიოში ერთადერთი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი. როდესაც საქართველოს პრიორიტეტებზე მიმდინარეობს საუბარი, გვავიწყდება, რომ ნატოს, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, შეუძლია თავის რიგებში მიიღოს ქვეყანა, თავისი გემოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ამის მაგალითია 2010 წელს ნატოს რიგებში მიღებული ალბანეთი, სადაც ყვავის ნარკოტრეფიკი და პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს ბანდიტური სახელმწიფოა.

**— მაშინ რატომ არ იღებენ საქართველოს ნატოში?**

— არსებითი შეკითხვა დასვით, სწორედ ამაშია საქმე. **საქართველოზე კი არ არის დამოკიდებული, ნატო მიიღებს თუ არა მას თავის რიგებში, არამედ, თუ ნატოს თავად დასჭირდება, მიგვიღებს.** ნატოს ჰყავს სერიოზული პარტნიორი რუსეთის სახით და ძალიან კარგად იცის ნატოს ხელმძღვანელობამ, რომ რუსეთთან უთანხმოება მისთვის ბევრად უფრო ცუდია, ვიდრე საქართველოსთან.

**— ფიქრობთ, რომ რუსეთის ფაქტორი ერთ-ერთია, რის გამოც ნატოში არ გვიღებენ?**

— შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთია. **თუ საქართველო ნატოში გაწევრიანდება, ეს მხოლოდ რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგი იქნება. კონფრონტაციით საქართველოს ნატოში არავინ მიიღებს და ცხადია, რუსეთი და აშშ, სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს გამო ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან. სწორედ ამიტომ მართებს საქართველოს ხელისუფლებას ყველაზე დიდი გონიერება და სიბრძნე, რომ შეინარჩუნოს ბალანსი, როგორც ერთ, ისე მეორე მხარესთან.**

რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი გეოსტრატეგიული ფაქტორები და ვიყოთ მაქსიმალურად საჭირონი როგორც აშშ-თვის, ისე რუსეთისთვის და დამერწმუნეთ, ეს ორი დიდი ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოში ეფექტური და სტაბილური ვითარება იყოს. ეს კი, მაგალითად, უკვე მიიზიდავს ინვესტორს, რომელიც მანამდე ინვესტიციების დაბანდებისგან გარკვეული მიზეზების გამო თავს იკავებდა.

**— ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ ნატოშიც გაწევრიანდება და რუსეთთან ურთიერთობასაც მოაგვარებს. ეს რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ?**

— ნატოში გაწევრიანება შექმნის კონფრონტაციის მომენტს და არა მგონია, რომ **ისეთმა კაცმა, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, ურთიერთობა თავიდანვე ჩხუბით დაიწყოს.** მიმაჩნია, რომ პრობლემა მოგვარდება, თუ საქართველოს ექნება განსაკუთრებული სტატუსი. ივანიშვილი, პრინციპში, შეძლებს ამის მიღწევას, ვინაიდან მას აქვს გრანდიოზული მხარდაჭერა არა მხოლოდ რუსულ-ამერიკული და მსოფლიო ისტებლიშმენტისგან, არამედ საერთაშორისო ელიტური ბიზნესწრეებისგანაც. მან თამამად შეიძლება დააყენოს საკითხი საქართველოს განსაკუთრებული სტატუსის შესახებ ნატოსთან მიმართებაში.

**— თქვენ საერთაშორისო მხარდაჭერა ახსენეთ, მაგრამ ბოლო დროს მსოფლიო პრესა თუ უცხოელი პარტნიორები ბიძინა ივანიშვილს მკაცრად აკრიტიკებენ და პოლიტიკური ოპონენტების ზეწოლაში ადანაშაულებენ...**

— ეს უკვე პიარმუშაობის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილს ბევრი რამ სწორად ესმის, ერთი დიდი მინუსი აქვს — ეს არის მოუწესრიგებელი პიარი, თუმცა კრიტიკა არ ნიშნავს, რომ მას მხარდაჭერა არ აქვს. სააკაშვილს მისი ყველაზე დიდი ზეობის პერიოდშიც უამრავი ასეთი კრიტიკოსი ჰყავდა.

**— თქვენი აზრით, ახალმა ხელისუფლებამ, გარდა განცხადებებისა, რომ რუსეთთან ურთიერთობას დაარეგულირებს, ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული ქმედითი ნაბიჯი თუ გადადგა ამ მიმართულებით?**

— კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა, თუმცა პოზიტიური განწყობა შეინიშნება, მაგალითად, მოსკოვის ქართულ დიასპორაში, რომლის ერთი ნაწილი რეგულარულად დადის მოსკოვის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა და მინდა გითხრათ, რომ რუსეთში მცხოვრები ქართველები ძალიან იმედიანად არიან განწყობილნი. ყველა ელოდება, როდის გაიხსნება ბაზარი. პირდაპირ გეტყვით, **ანტირუსულმა რიტორიკამ ბევრი პრობლემა შეუქმნა რუსეთში მცხოვრებ ქართველებს, თუმცა დღეს ქართველების მიმართ მაინც თბილი დამოკიდებულებაა. არავის არ გადაურქმევია „ბოლშაია და მალაია გრუზინსკაიასთვის“ სახელები, ისევ დგას ქართული ანბანის უზარმაზარი სტელაც... ჩვენ თავად თუ არ გავაკეთებთ რაიმე სისულელეს, როგორც, მაგალითად, პუშკინის ქუჩისთვის სახელის გადარქმევაა, ყველაფერი კარგად იქნება.**

ვფიქრობ, როდესაც ივანიშვილს ქართველმა ხალხმა არჩევნებში ხმა მისცა, დიდი მოლოდინი ჰქონდა, რომ ის რუსეთთან ურთიერთობას დაარეგულირებდა. ეს მოლოდინი ისევ არსებობს, მათ შორის რუსულ წრეებშიც.

**— რამდენიმე დღის წინ რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სააკაშვილმა ქვეყანა ჩიხში შეიყვანა და ის გამოსავალს ვერ ხედავს.: „რუსეთს არ შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით და არც საქართველოს შეუძლია დათანხმდეს მათი დამოუკიდებლობის აღიარებას. წარმოდგენა არ მაქვს, რისი გაკეთება შეგვიძლია“. როგორ წარმოგიდგენიათ ურთიერთობის დარეგულირება?**

— გადადგმული ნაბიჯები უკვე ჩანს. თუნდაც მხოლოდ თეორიულად რომ იყოს რუსეთის მხრიდან განაცხადი, რომ ემბარგო მოიხსნება, ეს უკვე კარგია. ჩემი აზრით, თუ რუსეთი, საქართველო, „სამხრეთ ოსეთი“ და აფხაზეთი მოახერხებენ მცირეფორმატიანი ინტეგრაციული კავშირის შექმნის სურვილის დეკლარირებას, შესაძლოა, ეს დაგვეხმაროს მათთან დიალოგის დაწყებაში.

**— ანუ ფიქრობთ, რომ ახალი სარეინტეგრაციო კავშირი უნდა ჩამოყალიბდეს?**

— დიახ, ფიქრი ახალ სარეინტეგრაციო სივრცეზე, თუნდაც ხელოვნურზე, შეიძლება. რაღაცით ხომ უნდა დავიწყოთ? ნურც ის დაგვავიწყდება, რომ დღეს რუსეთის ინტერესებშიცაა საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარება, თუნდაც 2014 წელს სოჭის ოლიმპიადის გარანტირებულად და უსაფრთხოდ ჩატარების გამო.

დაახლოებით ერთი წლის წინ მე შევხვდი ინგუშეთის პრეზიდენტს, იუნუს ბეკ ევკუროვს, რომელმაც მითხრა, რომ ლარსის საზღვრის ცალმხრივი გახსნა იმდენად პოზიტიური მომენტია, რომ, სააკაშვილის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ჩემი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, მზად ვარ ამის თაობაზე ხმამაღალი განცხადება გავაკეთო და საქართველოს მხრიდანაც შევხვდე ვინმესო. ხელისუფალმა, პირველ რიგში, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს.

**— ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრას როგორ შეაფასებთ, რისი მოლოდინი შეიძლება გვქონდეს ამ შეხვედრის შემდეგ?**

— რადგან შეხვედრა შედგა, ეს უკვე კარგია, მაგრამ მარტო ზურაბ აბაშიძე ამ საკითხებს ვერ მოაგვარებს. ყველა მიმართულებით უნდა წარიმართოს მუშაობა. კულტურის სამინისტრო უნდა ჩაერთოს ამ საქმეში. შეხვდნენ კულტურის მუშაკები ერთმანეთს. მაგალითად, ნიკიტა მიხალკოვს, რომელიც რუსეთში სერიოზულ პოლიტიკურ ამინდს ქმნის, ქორწილებსა და დაბადების დღეებზე მოწვევის გარდა, საქმიანად და საგნობრივად დაველაპარაკოთ. **აუცილებელია, რუსი და ქართველი მეცნიერების დიალოგი. ყველა მიმართულებით უნდა აღდგეს კავშირები.** ბოლო წლებში, მართალია, ჩამოდიოდა დელეგაცია საქართველოდან, რომელშიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ერთი მწერალი, ერთი ჟურნალისტი და ერთი მღვდელი, მაგრამ ეს ყვლაფერი კომიკური, მკვდრადშობილი იყო, რასაც საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვებოდა ხოლმე. ძალიან არ მინდა, ეს ყველაფერი დაემსგავსოს 90-იანი წლების პირველ ნახევარს, როცა საქართველო-აფხაზეთის მოლაპარაკებები ხან ჟენევაში და ხან სად ტარდებოდა და ჩვენი ე. წ. დიპლომატები დადიოდნენ უცხოეთში და უხაროდათ, რომ ხშირი მოგზაურობის საშუალება ჰქონდათ. შეიძლება ეწყინოთ, მაგრამ ასე იყო. საბოლოოდ, ამ ვიზიტებმა უკუშედეგებიც კი გამოიწვია. საქართველოშიც და რუსეთშიც უამრავი ღირსეული, პროფესიონალი ქართველია და სწორედ ისინი უნდა ჩაერთონ დიალოგში. მაგალითისთვის, ირაკლი მენაღარიშვილზე გავაკეთებდი აქცენტს, რადგან ვფიქრობ, ის არა მხოლოდ კარგი დიპლომატი, არამედ ავტორიტეტული საზოგადო მოღვაწეა. მთავარია, სწორად იქნას შერჩეული პროფესიონალი კადრები, რათა ყველაფერი უპატიოსნო და თაღლით ჩინოვნიკებს არ ჩაუვარდეს ხელთ.

**— ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას ხშირად აკრიტიკებენ. პრინციპში, კოალიციაში ვერ მოხვდნენ პრორუსული ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსები და რუსულ წრეებთან დაახლოებული ადამიანები. რამდენად მოახერხებს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ხელისუფლება?**

— **ხელისუფლებას სუსტი საკადრო პოლიტიკა აქვს.** მაგალითად, დავით კირვალიძე, რომელმაც ერთხელ აჩვენა, რომ არ არის სოფლის მეურნეობის წარმატებული მენეჯერი, ისევ დანიშნეს ამ თანამდებობაზე. **რატომ ვნიშნავთ ერთსა და იმავე რეპუტაციაშელახულ ადამიანებს და რატომ ვატარებთ ექსპერიმენტებს?** მით უფრო, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის ბევრი საუკეთესო სპეციალისტია, მაგალითად პაატა კოღუაშვილი, შოთა ჩხეიძე...

**საკადრო პოლიტიკა არცთუ ისე სახარბიელოა ძალოვან სტრუქტურებშიც.** უახლოეს მომავალში მივმართავ წინადადებით პრემიერ-მინისტრს, რათა შეიქმნას ამ დარგებში მუშაობის ხელშემწყობი საკონსულტაციო საბჭო. ამ სფეროშიც საუკეთესო სპეციალისტები გვყავს, მაგალითად ბატონი ანზორ მაისურაძე, რომელიც საერთაშორისო დონის სუპერპროფესიონალია. უნდა გაიზარდოს ძალოვანი სტრუქტურების პრესტიჟი, ის ელიტარულ სამსახურად უნდა იქცეს. ასევე სახელმწიფო უშიშროების კონცეფცია უნდა შეიქმნას. თუ ასე არ მოხდა, ქვეყანას განვითარება არ უწერია.

დროა, საქართველოში დამთავრდეს არტისტებისა და პოეტების პოლიტიკოსობის დრო. ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ სჯობს, ყველამ თავისი საქმე აკეთოს. ბუბა კიკაბიძე დაღუპეს, როცა პოლიტიკაში გარიეს. კაცი შეაზიზღეს მთელ რუსეთს. ბუბა კიკაბიძეს თავი უნდა დაანებო, ის შესანიშნავი მსახიობია და პოლიტიკასთან არაფერი ესაქმება. გია როინიშვილი აღარც მსახიობია და აღარც პოლიტიკოსია. დაიღუპა კაცი. ეს მაგალითი უნდა იყოს ყველასთვის.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**„აკო მინაშვილი ქუთაისში დაცვით რომ არ ყოფილიყო, მისგან ხომ არაფერი დარჩებოდა, შეიძლება, მარტო სათვალე ეპოვათ. აი, ამ გაიძვერებისგან ვიღებთ დღეს ჩვენ კრიტიკას და ჭკუის დარიგებას, იმის ნაცვლად, რომ სადმე დაიმალონ. კი, ბატონო, ილაპარაკონ რამდენიც უნდათ, ყველაფერს ვისმენთ, ვხვდებით მშვიდად და ამავე დროს ყველაფერს ვიმახსოვრებთ...“**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლუკა კურტანიძე:

# ბრძოლა რეჟიმის გაიძვერა ნარჩენებთან გრძელდება

**მიმდინარე გაშმაგებული დაკითხვებისა და დაკავებების მიუხედავად, „ნაცმოძრაობის ლომები“ განსაცდელს არ უშინდებიან. ამერიკელი მაღალჩინოსნების მწვავე განცხადებებით გულმოცემული „ვარდოსნები“ ხელისუფლებას კრიტიკის ბალღამს არ აკლებენ. უშიშრად იხდის კუთვნილ სასჯელს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩანა ახალაიაც, მედგრად იტანს ავლაბრის რეზიდენციის კედლებში დაბუდებულ სიცივეს პრეზიდენტი სააკაშვილი და აუღელვებლად პასუხობს პროკურატურის „მოსაბეზრებელ“ შეკითხვებს ვანო. ამ უკანასკნელის „გაუტეხლობამ“ „საზოგადოების“ ერთი ნაწილიც ისე აღანთო, რომ დაკითხვიდან გამოსულს შენობასთან გულშემატკივართა არმია, თეა თუთბერიძის „დირიჟორობით“, მხურვალე აპლოდისმენტებით დახვდა.**
**ფაქტია, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მოლოდს, თითქოს არჩევნებში დამარცხების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ მტვერივით გაიფანტებოდა, ჯერჯერობით გამართლების პირი არ უჩანს. თუ გავითვალისწინებთ სააკაშვილის მიერ წინა კვირას პარტიულ ყრილობაზე გაკეთებულ განცხადებას, მომავალ არჩევნებში დამაჯერებლად გავიმარჯვებთო, „ვირის აბანოში“ გადაბარგებული „ნაცები“ ოპტიმიზმს მაინც არ კარგავენ...**
**რა შედეგები შეიძლება მოიტანოს საბოლოოდ მიმდინარე დაკავებებმა და აქვს თუ არა შანსი აწ უკვე ყოფილ ხელისუფლებას, ქვეყნის სათავეში ხელმეორედ დაბრუნდეს, ამ და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ახლადარჩეული პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე.**



> **«დღეს ზუსტად იქ ვარ, სადაც ყველაზე მეტად დავიხარჯე, ამიტომ ახლა საფუძველს ვუყრი იმას, რომ ყველაფერი იყოს ახლებურად, დაინერგოს რაც შეიძლება მეტი ნოვაციები და მათ, ვისაც სურს, მიაღწიოს წარმატებას, შევუქმნათ უკეთესი პირობები»**

**— ბატონო ლუკა, უწინარესად, გილოცავთ ფედერაციის პრეზიდენტობას. წინა ხელისუფლების დროს ეს ორგანიზაცია, ძირითადად, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელის ბიჭებით იყო დაკომპლექტებული. რას აპირებთ და რა ცვლილებები გაქვთ დაგეგმილი?**

— პირველ რიგში დიდი მადლობა ყურადღებისთვის, რომელიც წლების განმავლობაში არ მაკლდა თქვენი რედაქციისგან. როდესაც ადამიანები იჩაგრებოდნენ სიმართლის თქმისთვის, ამ ბრძოლაში თითოეული თქვენგანი პრინციპულად იდგა მართალი ხალხის გვერდით, რამაც საბოლოო გამარჯვებამდეც მიგვიყვანა. მე ქართველ ხალხს შევპირდი, რომ, სადაც უნდა ვიყო, რა სახელმწიფო დავალებაც უნდა მქონდეს, ჩემს ცოდნას, გამოცდილებას გადავცემდი მომავალ თაობას. ღვთის წყალობით, სიტყვას ვასრულებ: **დღეს ზუსტად იქ ვარ, სადაც ყველაზე მეტად დავიხარჯე, ამიტომ ახლა საფუძველს ვუყრი იმას, რომ ყველაფერი იყოს ახლებურად, დაინერგოს რაც შეიძლება მეტი ნოვაციები და მათ, ვისაც სურს, მიაღწიოს წარმატებას, შევუქმნათ უკეთესი პირობები.** ფედერაციაში, რა თქმა უნდა, უამრავი პრობლემები არსებობდა, მათი დიდი ნაწილი ახლაც გადაუჭრელია და რეჟიმი, რომელიც გვქონდა წინა ხელისუფლების სახით, მას თავის სასარგებლოდ იყენებდა. ეს ყველამ კარგად ვიცით. აქედან გამომდინარე, თავს ვთვლი ვალდებულად, უწინარესად, ამ სიბინძურეებისგან გავათავისუფლო ქართული ჭიდაობა და საზოგადოებას დავუბრუნო ის კუთხე, ის სფერო, რომელსაც მისთვის ათწლეულების განმავლობაში სიხარული მოჰქონდა.

**— რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ ფედერაციაში რამე ფინანსური დარღვევები იყოს? აპირებთ თუ არა აუდიტის ჩატარებას?**

— ჯერჯერობით ჩვენ ვეცნობით იმ სიტუაციას, რომელიც დაგვხვდა და საფუძვლიანად ვარკვევთ ვითარებას. წლების განმავლობაში აქ ზედაპირულად თუ სიღრმისეულად ყველაფერი ბინძურად კეთდებოდა, ამიტომ ცხადია, სამუშაო ბევრია. გასარკვევია, თუნდაც საიდან ფინანსდებოდნენ გარკვეული ადამიანები, იგივე ის ე. წ. ზონდერბრიგადების წარმომადგენელი ვაჟბატონები; რის საფუძველზე ახდენდნენ საზოგადოებაზე ზეწოლას, რით იყვნენ დაინტერესებული და ა. შ. რა თქმა უნდა, ამას ყველაფერს დრო სჭირდება, მაგრამ ეს არის სწორედ ის დავალება, რომელსაც საზოგადოება მკარნახობს. აქედან გამომდინარე, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიო, სად არის ის სათავე, რომლიდანაც ეს სიბინძურე მოდიოდა; არაერთხელ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ჩვენი ბრძოლა არ დასრულებულა, ბრძოლა გაიძვერა სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენებთან გრძელდება. მე პირადად ყველა ღონეს გამოვიყენებ სიმართლის დასაცავად, საიდანაც კი ხელი მიმიწვდება, ხელი კი ლუკა კურტანიძეს, დამერწმუნეთ, ბევრგან მიუწვდება...

**— წინა კვირას, როცა საბოლოოდ გახდა ცნობილი, რომ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად თქვენ აგირჩიეს, „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისტებმა სოციალური ქსელები ააჭრელეს უარყოფითი განცხადებებით. ყველა ერთსა და იმავეს ამტკიცებდა: პოლიტიკური ნიშნით აირჩიესო. რას უპასუხებთ მათ?**

— მე ამ ცრუპენტელა პროპაგანდისტებს მაგალითებით ვუპასუხებ: მათმა სათაყვანებელმა „ნაცხელისუფლებამ“ ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად დანიშნა გურამ აფსნაძე. მითხარით ახლა: სად ის და სად ნონა გაფრინდაშვილი?! ქალბატონი ნონა გაწიეს, მოგეხსენებათ. შემდეგ, კრივის ფედერაციაში ასევე განზე გაიყვანეს დათო კვაჭაძე, პრეზიდენტად კი აირჩიეს პეტრე ცისკარიშვილი. ან კიდევ: სად გია ნაცვლიშვილი და სად ლერი ხაბელოვი? მოკლედ, რომელი ერთი ჩამოვთვალო? **„ნაციონალებს“ მართლა მცოდნე და კვალიფიციური ხალხი არ სჭირდებოდათ, უნდოდათ მხოლოდ ყურმოჭრილი, ერთგული და უღალატო მონები.** ჩვენი მიდგომა ეს არაა, ჩვენ გვინდა, რომ პროფესიონალები დაუბრუნდნენ საქმეს.

**— კრიტიკას მაინც არ გაკლებენ, პროპაგანდა თავისას შვრება.**

— ჰოდა ვუპასუხებ: გიორგი რამიშვილი, მეტსახელად ზარალა, რომ დანიშნეს რომელიღაც სასრიალო დარბაზისა თუ ფედერაციის პრეზიდენტად, სად სპორტი და სად ზარალა?! საერთოდ, ყველაფერი ხომ შედარებითია. შე დალოცვილის შვილო, მე ხომ არ მოვდივარ და არ გეუბნები, სილქნეტი ჩემია-მეთქი? მე გეუბნები, მსოფლიო ჩემპიონი ვარ, შენზე უკეთ ვიცი ეს საქმე და დამანებე...

**— გასულ კვირას „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ ყრილობაზე სააკაშვილმა მწვავედ გააკრიტიკა ქართული ოცნება და განაცხადა, რომ ის არათუ პოლიტიკიდან არ აპირებს წასვლას, არამედ მომავალში დამაჯერებლად დაბრუნდება ხელისუფლებაში. რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ამ განცხადებამ?**

— მარტივად გეტყვით, ეს იყო აგონიაში მყოფი ადამიანის საუბარი, ბოდვა, რომელიც რეალობიდან ძალიან შორსაა. ესენი უკვე ყველა ზღვარს გადასცდნენ, ბოლო მეწაღე არ ილაპარაკებს ალბათ იმ სიტყვებით, რომლებიც მან დააფრქვია. ზუსტად ესაა, — **ნამდვილად პოლიტიკური „საპოჟნიკია“ დღეს სააკაშვილი და ამას უყურებს მთელი მსოფლიო. სირცხვილი და თავის მოჭრა მათი, სასჯელად ესეც ეყოფათ.**

**— თუ კი მსოფლიო ამ ყველაფერს ხედავს, ჩვენი დასავლელი, განსაკუთრებით ამერიკელი პარტნიორები მიმდინარე დაკავებებს პოლიტიკურ დევნად რატომ აფასებენ?**

— როცა ცრუპენტელა სააკაშვილი ჩავიდა დასავლეთში და იქ ხალხს შავი თეთრად მოაჩვენა, რის გამოც რასმუსენი პოლიტიკურ დევნაზე ალაპარაკდა, ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა ძალიან კარგი განცხადება. მან მიმართა ჩვენს ამერიკელ და ევროპელ მეგობრებს, რომ ჩამოვიდნენ და ადგილზე გაეცნონ საქმის ვითარებას, გაუწიონ მიმდინარე პროცესს მონიტორინგი. ამის შემდეგ უამრავი კითხვა მოიხსნა. ჩვენ დღეს გვიხდება ბევრი ბარიერის გადალახვა, იმიტომ, რომ, ვაღიარებ, „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდა ისევ მუშაობს. ამასთან, **ნუ დაგვავიწყდება, ჯერჯერობით მმართველობის გარკვეულ სათავეებში არიან ისეთი გაიძვერები როგორიცაა, მაგალითად, გიგი უგულავა,** რომელიც რიტორიკით არაფრით განსხვავდება სააკაშვილისგან, და კიდევ უამრავი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მაინც თავისას შვრება, მაგრამ, ვიმეორებ: თუ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, კეთილისმსურველები გაითვალისწინებენ ბატონი ბიძინას შეთავაზებას და ჩამოვლენ აქ, რათა თავიანთი თვალით ნახონ, სინამდვილეში რა ხდება, დარწმუნებული ვარ, მათ კითხვები აღარ გაუჩნდებათ.

**— დასასრულს, სოჭის ოლიმპიადაზე გკითხავთ, წინა ხელისუფლება ამ ღონისძიებას ბოიკოტს უცხადებდა და ვინც მასში მონაწილეობაზე გაბედავდა საუბარს, რუსეთის აგენტად რაცხავდა. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

— ჩვენ, ყველანი, ამათთვის, მოგეხსენებათ, ყოველთვის ვიყავით „რუსეთის აგენტები“ და გახსოვთ, ამაზე რა კამპანიაც მძვინვარებდა წინასაარჩევნო პერიოდში. მათ რიტორიკა არ შეუცვლიათ, ისევ იგივე სახეებია, იგივე განცხადებები გვესმის. ასე რომ, არაფერი ამ შემთხვევაში განსაკუთრებული არ ხდება, ვხედავთ იმას, რასაც წლების მანძილზე ვუყურებდით.

თქვენ ნახეთ გაგიჟებული აკო მინაშვილი აღშფოთებულ ხალხს როგორ აგინებდა და ღვარძლით გაჰკიოდა. აკო მინაშვილი ქუთაისში დაცვით რომ არ ყოფილიყო, მისგან არაფერი დარჩებოდა, შეიძლება, მარტო სათვალე ეპოვათ. აი, ამ გაიძვერებისგან გვესმის დღეს ჩვენ კრიტიკას და ჭკუის დარიგებას, იმის ნაცვლად, რომ სადმე დაიმალონ. კი, ბატონო, ილაპარაკონ რამდენიც უნდათ, ყველაფერს ვისმენთ, ვხვდებით მშვიდად და ამავე დროს ყველაფერს ვიმახსოვრებთ...

რაც შეეხება ოლიმპიადას, აქ პოზიცია, ალბათ, ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს, **ჩვენ არ უნდა მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს შეუშლის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების აღდგენას...**

> **«ნაციონალებს» მართლა მცოდნე და კვალიფიციური ხალხი არ სჭირდებოდათ, უნდოდათ მხოლოდ ყურმოჭრილი, ერთგული და უღალატო მონები»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მოდერნიზებული დემოკრატია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ენა სამყაროს აღქმის, მასთან ურთიერთობის საშუალებაა და, ამდენად, ქართველია ის, ვინც ქართულ ენაში ცხოვრობს.“**



# ლევან ღვინჯილია: წალენჯილეხი (წალენჯიხიდან წამოსული პოლიტიკური ჯილეხი) მასობრივად მოგვედო

**ლევან ღვინჯილია საქართველოში ფართოდაა ცნობილი როგორც ქართული ენის შეუდრეკელი მეცნიერი, სახელმწიფო ენის უკომპრომისო დამცველი, მეცნიერი, პედაგოგი და, რაღა თქმა უნდა, საზოგადო მოღვაწე. კინაღამ დამავიწყდა, — ჟურნალისტიც! მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ იგი კავკასიური ენების მკვლევარი, ანუ ფილოლოგ-კავკასიოლოგია და მისი ძირითადი პროფესია დაღესტნურ ენებთანაა დაკავშირებული, კერძოდ, დარგუულის სპეციალისტი გახლავთ და დიდი ქართველი ენათმეცნიერის არნოლდ ჩიქობავას მოწაფე. დღევანდელი საუბარი საქართველოს სახელმწიფო ენის გარშემო იტრიალებს, იმ ფენომენისა, რომელიც ჩვენი სუვერენიტეტის მაჩვენებელია, მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად: იმ ტრიადაზე მოგახსენებთ, რომელიც ჭეშმარიტ ქართველობას გულსა და გონებაში აქვს გამჯდარი და ჩვენი გენეტიკური კოდია.**

**— მივაღწიეთ კი ისეთ სუვერენიტეტს, ბატონო ლევან, როგორსაც ვესწრაფოდით, როცა ენის შესახებ კანონიც არ გვაქვს მიღებული?**

— ჩემთვის ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე მოქალაქეობრივი მოვალეობა და გატაცებაა, როგორიც ნებისმიერი სხვა ადამიანისთვისაც შეიძლება იყოს.

ილიას, როგორც პოეტს, თავისი თავი ერის წინამძღოლად წარმოედგინა და ფაქტობრივად ასეც იყო („ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“); თუმცა, მოგეხსენებათ, მაშინდელი საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში ვინ უნდა წარუძღვეს ერს?

**— მით უფრო მაშინ, როცა ილია არა ჰყავს? დავუმატებ ამას და თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხს თქვენვე გთხოვთ.**

— რა თქმა უნდა, **ერს მის მიერ საყოველთაო თანხმობითა და წინგამხედავი გონიერებით არჩეული მერმისისაკენ უნდა მიუძღოდეს ქვეყნის ხელისუფლება, ის უნდა იყოს მეგზურიცა და მეთაურიც, მაგრამ, იმავდროულად, სულ უნდა ახსოვდეს, რომ იგი თავისი ერის უზენაესი ნების გამომხატველია და არა მისი მბრძანებელი და „მმართველი“.**

ცნობილია, რომ ტერმინი **„ერი“,** სულ ცოტა, ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სემანტიკით გამოიყენება: 1. ჩვენში გავრცელებული, ტრადიციული მნიშვნელობით „ერი“ – მონოლინგვისტური (ერთენოვანი), საერთო ისტორიისა და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთა ერთობლიობაა და, როცა ვახსენებთ, მაგალითად, **„ქართველ ერს“,** ასეთ კონტექსტში მასში (სიტყვა **„ერში“)** მოიაზრება მხოლოდ იმ ადამიანთა ერთობლიობა, **ვისთვისაც მშობლიურია ქართული ენა**; ხოლო, 2. როცა ვამბობთ, **„ფრანგი ერი“** ან **„ამერიკელი ერი“,** აქ სიტყვა **„ერი“** უდრის შესაბამისი ქვეყნის **„მოქალაქეს“**, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა.

ენა სამყაროს აღქმის, მასთან ურთიერთობის საშუალებაა და, ამდენად, **ქართველია ის, ვინც ქართულ ენაში ცხოვრობს.** თვალსაჩინოებისათვის ერთ უმარტივეს მაგალითს დაგისახელებთ: მცენარე **„მრავალძარღვას“** რუსულად **„პოდოროჟნიკი“** ჰქვია — გზების პირას აღმოცენებული. როგორც ხედავთ, **ქართველი** და **რუსი** ერთსა და იმავე მცენარეს **სხვადასხვა ნიშნით, განსხვავებული მოტივაციით არქმევს სახელს.** ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება, ესაა გარესამყაროს აღქმის განსხვავებულობა.

**ენა და ხალხური სიმღერა არის ის ორი უმნიშვნელოვანესი ფენომენი, რომელთაგანაც ერის ბუნება, მისი ხასიათი ყალიბდება** (არნოლდ ჩიქობავა). სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ენა=ერს!** *(ოტია იოსელიანი).*

**— ე. ი. ერის მეობა და სუვერენიტეტი ამ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა. მივაღწიეთ ამას?**

— ვერა. ვერ მივაღწიეთ. თუმცა ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში მოქმედებდა ინსტიტუციური სტრუქტურები პარლამენტშიც, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ აკადემიურ სამეცნიერო დაწესებულებებშიც.

ქართული ენის დაცვისა და მოვლა-პატრონობისაკენ მიმართული იმდროინდელი სახელმწიფოებრივი ზრუნვა, რაოდენ პარადოქსულადაც გინდა ჟღერდეს, დღევანდელ, სუვერენულ, დამოუკიდებელ საქართველოში სანატრელი გამხდარა და, სამწუხაროდ, ამ დასკვნაში არაფერია გადაჭარბებული. ამას თუ კარგად არ გავიაზრებთ, ჭეშმარიტი სუვერენიზაციის გზით ვერ წავალთ.

ქვეყნის პრეზიდენტს არაერთგზის ამაყად და რიხიანად განუცხადებია, რომ მას ქართველი ერის წაყვანა სურდა **სინგაპურისკენ**, სადაც ე. წ. ძირითადი მოსახლეობა მხოლდო **17 პროცენტია**, სახელმწიფო ენა კი — **ინგლისური** (შეტანილი).

თითოეული ტრადიციული **ერი კაცობრიობის სახეობაა**, მაგრამ გვხვდება გამონაკლისებიც. მაგალითად, **აშშ არ არის კაცობრიობის სახეობა**. იგი სამშობლოს უარმყოფელი ადამიანების მიერ შექმნილი ქვეყანაა *(შოთა ნადირაშვილი).* ეს კი „უხერხდება“ მხოლოდ იმას, ვისთვისაც ისტორიული, ტრადიციული სამშობლო არაფერს ნიშნავს, ვისთვისაც უმთავრესია სახელმწიფოებრივი ტერიტორია, სოციალური კეთილდღეობა და მოქალაქეობრივი უფლებების შეუბღალაობა.

**— ჩვენ რა გვსურს?**

— ეგ უნდა გავარკვიოთ: გვინდა ჩამოვაყალიბოთ კარგად განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება და, შესაბამისად, უარი ვთქვათ ეროვნულ განსხვავებულობებსა და თავისებურებებზე, თუ პირიქით — შევქმნათ ძლიერი ეროვნული სახელმწიფო, რომელშიც სამოქალაქო ღირსება-ღირებულებანი იქნება სათანადოდ დაცული?

ეს ერთი და იგივე არ არის და ერთმანეთს ვერ ფარავს.

**— მაგრამ ამერიკაში მოხერხდა.**

— მოხერხდა იმიტომ, რომ იქ თავი მოიყარეს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულმა ადამიანებმა...

**— რომელთაც ეროვნულობის ტვირთი არ ამძიმებდა.**

— დიახ, ასეა. საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, ნორვეგიიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, იტალიიდან... ჩასული ადამიანები ერთმანეთთან **საერთო ენას ვერ გამონახავდნენ,** ერთ ენაზე რომ არ შეთანხმებულიყვნენ და **„ჯეფერსონის ქაღალდიდან“** რომ არ დაეწყოთ ქვეყნის მშენებლობა. როცა შენ ქვეყანას ქაღალდზე აფუძნებ, მაშინ, რასაც ამ ქაღალდზე დაწერ, ის იქნება შენთვის უმთავრესი სახელმძღვანელო დოკუმენტი.

მაგრამ თუ შენ, როგორც ერს, სახელმწიფო დაგიფუძნებია რამდენიმე ათასწლეულის წინ, იმ უხსოვარი დროიდან უწყვეტად და დღემდე მოგყვება მხოლოდ ენა, როგორც დუღაბი სახელმწიფოებრიობისა, „ბურჯი ეროვნებისა“, ყველაფერი დანარჩენი კი წყდება, იცვლება, კვდება და იკარგება, ამიტომაც ამ **ერთადერთს** თვალის ჩინივით სჭირდება გაფრთხილება.

**— მაგრამ არ ვუფრთხილდებით!.. ჩადგა კი ბუნებრივ კალაპოტში ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება?**

— ვერა. ჯერ — ვერა! **კარგი იქნება, თუ იმას, რასაც ახლა ვიტყვი, საქართველოს პრემიერ-მინისტრს დაიჯესტის სახით მაინც მოახსენებენ.**

მე გახლდით „ქართული ოცნების“ **სახელმწიფო ენის ქვეჯგუფის კოორდინატორი**, ანუ ერთ-ერთ თემატურ ჯგუფში, რომელსაც ჩემს იქ მისვლამდე ერქვა **„განათლება, კულტურა, მეცნიერება“,** შემდეგ **„ენაც“ დაემატა** და ეს სიტყვა, ჩემივე წინადადებით, ჩამონათვალის თავშიც დაჯდა (**ენა, კულტურა, განათლება, მეცნიერება**). ამასთან დაკავშირებით ასეთი ხუმრობაც გავრცელდა: ღვინჯილიამ ბიძინა ივანიშვილს შეუთვალა — ენა გამომიყავიო და იმანაც გამოუყოო...

ამ ქვეჯგუფის მცდელობით „კოალიციის“ საარჩევნო პროგრამაში სახელმწიფო ენის შესახებ ჩაიწერა ის, რაც მანამდე არც ერთ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციას არ ჰქონია აღნიშნული (გარდა „თავისუფალი საქართველოსი“). ამჯერადაც შემიძლია ნებისმიერ პარტიას ვურჩიო: თუ ხელისუფლებაში მოსვლასა და ერის წინამძღოლობას აპირებთ, ეს განზრახვა მხოლოდ სახელმწიფო ენაზე განსაკუთრებული ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაში იქნება წარმატებული.

**ერის ხერხემალი მისივე სახელმწიფო ენაა და ამის უგულებელყოფას სწორედ ისეთ უხერხემლო სახელმწიფომდე მივყავართ, საითკენაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში გულმოდგინედ მიგვაქანებდა საქართველოს აწ უკვე თითქმის ყოფილი ხელისუფლება.**

სხვათა შორის, ენასაც აქვს საზღვრები და ტერიტორიები, თანაც ბევრად უფრო ფართო, ვიდრე ქვეყნის გეოგრაფიული ტერიტორიაა. ამ ტერიტორიების დიდად მნიშვნელოვანი ნაწილი დასაბრუნებელი გვაქვს, ისე, როგორც ეს **ისრაელმა** მოახერხა. კომპიუტერული ტექნიკის გარდა, ენობრივი ტერიტორიები დასამკვიდრებელი გვაქვს **საერთაშორისო გლობალურ ქსელებში, სადაც პრეტენზიები ჩვენს „იქაურ“ ტერიტორიაზე ჯერ არც კი გამოგვიცხადებია; ხოლო დღევანდელ მსოფლიოში უამისოდ სრულფასოვან ერად ვერასგზით ვერ ჩამოვყალიბდებით.**

ჯერჯერობით კი ჩვენი ხელისუფლება (ახლანდელიც და ყოფილიც!) **პრიორიტეტულად ზრუნავს ისეთ ფენომენებზე, რომელთაც „მსუყედ ჭამისა და კეთილდღეობისაკენ სწრაფვას“ ვეძახი.** უამისოდ ადამიანი, ცხადია, ვერ გაძლებს, მაგრამ საჭმლის მომარაგება და კომფორტის მოწყობა ჩვენი ცხოვრების მიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ საშუალება მიზნის განსახორციელებლად.

**— მიზანი რა არის?**

— **მიზანი უნდა იყოს ერის წინამძღოლობა და მისი მარადიული არსებობის უზრუნველყოფა. ერი მარადიული ფენომენია, სანამ მის სიცოცხლისუნარიანობაზე ვზრუნავთ და, როცა მას უჭირს, დაუყოვნებლივ უნდა მივეშველოთ.**

**— კერძოდ?**

— **უნდა მივეშველოთ მისი მეობის განმსაზღვრელი უმთავრესი ფენომენის, სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცებით.**

— **ეს გაუნათლებლობისა და მიმბაძველობის მიზეზითაც ხდება. ხომ ცნობილია, რომ ყოფილი ხელისუფლება პოლიციურ სახელმწიფოს აშენებდა და პოლიციური ოქმების ენა ისე დამკვიდრდა ქართულში, რომ ლამის ნორმად იქცა. დღემდე გვესმის, რომ პოლიციელებმა დააკავეს „პიროვნება“. აბსოლუტურად არ იციან სიტყვა „პიროვნების“ მნიშვნელობა. დღემდე ყურს ჭრის „რა დროსაც“, „როცას“ ნაცვლად და ამგვარ ტერმინთა გვირგვინი: „იგი (ვიღაც დამნაშავე) დედის გინების რეჟიმში იმყოფებოდა“...**

— ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა** პარლამენტში პრემიერ-მინისტრად დამტკიცების დროს განაცხადა, რომ **მისი მთავრობა საგანგებოდ იზრუნებს სახელმწიფო ენაზე. ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა გარანტირებული იყოს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი.**

**არის კი დღეს გარანტირებული ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსი?**

**არათუ არ არის გარანტირებული, მარტივად გეტყვით, ფეხქვეშაა გათელილი.**

მზად ვარ, ამ სიტყვებისთვის პასუხი მაგებინოთ! მე ბრალს ვდებ არა მხოლოდ საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას (ახლანდელს ჯერჯერობით პასუხს ვერ მოვთხოვთ: ორიოდე თვეა, რაც მოღვაწეობას შეუდგა), არამედ თბილისის მერიას **(პირადად მერს — გიორგი უგულავას,** მოფერებით **გიგის** რომ ეძახიან), რომელსაც მოქმედი კანონის საფუძველზე უშუალოდ ავალია ამ საკითხებზე ზრუნვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის შესახებ არც კი სმენია. **სახელმწიფო ენას აბუჩად იგდებს დედაქალაქის საკრებულო და მისი თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი** (მწერალი მაინც არ იყოს!), **რომელსაც ასევე ავალია მეთვალყურეობა კანონის აღსრულებაზე, სახელმწიფო ენას აბუჩად იგდებს პარლამენტი — ძველიც და ახალიც, მეწარმეებმა ხომ ლამის ზედ ფეხები გაიწმინდონ!**

**— ენის კანონი კი ჰაერშია გამოკიდებული!**

— ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს **ენის კანონის** პროექტი ჯერ **მთავრობის სხდომაზე** წარვადგინეთ, შემდეგ **პარლამენტშიც** დავიწყეთ მისი განხილვა და... ამასობაში კიდევაც მოხდა ე.წ. ვარდების (არავითარი) რევოლუცია, რომელსაც მე **პოლიტიკურ წალენჯილეხს** ვეძახი.

**— რაო, რაო?**

— **წალენჯილეხი! ანუ: წალენჯიხიდან წამოსული (პოლიტიკური) ჯილეხი.** მასობრივად მოგვედო **წალენჯილეხი** და განათლების მაშინდელმა **მინისტრმა ლომაიამ მოიპარა** (მის სახელს არ ვახსენებ: ვიღაცას ჰგონია, **კახაა**, სინამდვილე- ▶

**„გასულ კვირას იყო სხდომა და კანონის სრული უგულებელყოფით დააფუძნეს ახალი ფრაქცია „ჩვენი წალკა“, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“ 13 ყველაზე ერთგული წევრი შევიდა. აი, ზუსტად ამ ფრაქციაზე დაყრდნობით იბრძვიან ისინი ხელისუფლების შესანარჩუნებლად.“**

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...ში **ალექსანდრე** რქმევია, მაგრამ ჩემთვის **არსახსენებელი კაცია** საქართველოში და ქართულ პოლიტიკაში) **თუ მოაპარინა** ეს კანონპროექტი. უცნაურია: **პარლამენტიდან ჩუმად გაიტანეს დოკუმენტი, რომლის განხილვა დაწყებული იყო.** როგორ მოხდა ეს, ზუსტად არ ვიცი. ალბათ, **ნინო ბურჯანაძემ** იცის, პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, რომელსაც საჯაროდ რამდენიმეჯერ მივანიშნე ამის თაობაზე, მაგრამ ქალბატონმა ექსსპიკერმა დუმილი ამჯობინა. ამ კანონპროექტს მთელი ევროპა ჰქონდა მოვლილი, ყველა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა ხელში გაიარა, ჰქონდა დასტური **ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატისა**, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ პროექტით საქართველოში არაქართულენოვან მოსახლეობასთან ენობრივი ურთიერთობის პრობლემები საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გვქონდა გადაწყვეტილი; მე პირადად ვმონაწილეობდი კანონპროექტის დამუშავებაში აქაც და **ჰააგაშიც**.

ანლოგიური ენობრივი პრობლემები ელექტრონულ თუ ბეჭდურ მედიაში, განსაკუთრებით კი, გაზეთებში — „ქრონიკასა“ და „საქართველო და მსოფლიოში“, არაერთხელ წამომიყენებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ადრესატთაგან გამოხმაურება არანაირი არ მოჰყოლია.

საბრალდებო დასკვნებივით არის დადებული კანონდარღვევათა ფაქტები. ახლა კი ამბობენ, რომ პრესაში გახმაურებულ ფაქტებზე პროკურატურამ რეაგირება უნდა მოახდინოსო. ღმერთმა ქნას!

**— ე. ი. ჩვენ მივდიოდით სუვერენიტეტისკენ და, ენისადმი დამოკიდებულებით თუ ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ გზაში ვართ?**

— ანუ, ენობრივი თვალსაზრისით, ამ მხრივ ჯერ წინ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს: **ენათმეცნიერების ინსტიტუტი** თითქმის განადგურდა, ლექსიკონები აღარ გამოიცემა, ტერმინოლოგიები აღარ მუშავდება, აღარაფერს ვამბობ იმაზე, მეზობელ კავკასიელ ხალხებთან ჩვენი ლინგვისტური ურთიერთობის საკითხები რომ მოირღვა და მოიშალა, გაუქმდა: **საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია** (სიტყვა **„მუდმივმა“,** ბუნებრივია, პრეზიდენტი სააკაშვილი ვერ შეაკავა), პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — **ენის სახელმწიფო პალატა**, **სახელმწიფო ენის** (საპარლამენტო) **ქვეკომიტეტი**.... და, თუ ჩვენ დაუყოვნებლივ არ დავიწყებთ ზრუნვა ენის სტატუსის განმტკიცებაზე, ერთი წლით დაგვიანებამ შეიძლება ათი წლით უკან დაგვწიოს. სპეციალისტები ამბობენ, რომ თავის დროზე ანტონ კათალიკოსმა, სამი სტილის თეორია რომ შემოიღო, ასი წლით შეაფერხა ქართული ენის ბუნებრივი განვითარებაო.

**— სააკაშვილის ქართულმა ხომ აგვაყვავა!**

— *(ღიმილით)* ჩვენ ასე ადვილად ვერ გავქრებით, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ქართველი ერი გონს მოეგება.

ბატონი **არნოლდ ჩიქობავა** ამბობდა: თუ მცდარმა ენობრივმა ერთეულმა მოიპოვა სოციალური სანქცია, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით, ის ვაღიაროთ, როგორც ნორმატიული ფორმა. შეიძლება ენამ გამოიყენოს ინოვაციები და ამის საფუძველზე კიდეც განვითარდეს, მაგრამ ტერმინ **კოაბიტაციის** დამკვიდრების მომხრე არ ვარ, რადგან ქართულში არსებობს მისი შესატყვისი **თანაცხოვრება** და **თანაარსებობა.** ვიღაცა კეკლუცობს ამ **ფრანგული ტერმინის** ხშირი (თანაც, დამახინჯებული — **კოჰაბიტაცია**) გამოყენებით, მაგრამ ამ დროს იმაზე არც კი დაფიქრებულა, რომ **კოაბიტაციის** ხმარებით, **სახლ-კარს უნგრევს** და **დევნის** ქართულ **თანაარსებობას,** აძევებს მას თავისი ბუნებრივი ადგილსამყოფელიდან.

**— ამ კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალი მითხარით.**

— კი, ბატონო! (პაუზა). ჩვენ გვაქვს საგანმანათლებლო დაწესებულებანი, რომლებშიც ქართულ ენას ასწავლიან, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს არანაირი სახელმწიფო დაწესებულება თუ უწყება, რომელიც გააკონტროლებდა და დაიცავდა **„ქართულ ენაში მოძრაობის წესებს“.**

**ამისთვის კი სასურველია, რომ პარლამენტის სხდომაზე პრემიერ-მინისტრის მიერ გამოხატული ნება უცილობლად განხორციელდეს!** ამას კი სჭირდება ბატონ ბიძინასთან ჩემი არცთუ ხანგრძლივი საუბარი, რის შემდეგაც, სურვილის შემთხვევაში, სულ მალე ამუშავდება სამსახური, რომელსაც, პირობითად, შეიძლება ეწოდოს **სახელმწიფო ენის დეპარტამენტი,** ადრე ერქვა **ენის სახელმწიფო პალატა** (არც ესაა ურიგო დასახელება!); როგორ უნდა მოქმედებდეს ის, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სასწავლო თუ სამეცნიერო ინსტიტუტებთან, ხელისუფლების ორგანოებთან, პარლამენტთან, სამეწარმეო სუბიექტებთან... — ეს ყველაფერი მოფიქრებული და გააზრებულია. ამის გამოცდილებაც არსებობს განვითარებულ ქვეყნებში.

კანადაში, სხვათა შორის, **ენის დაცვა ომბუდსმენის მოვალეობაა** და ეს სფერო მის სამოქმედო არეალში შედის. კანადაშივე არის **ოფიციალურ ენათა უმაღლესი კომისარიატი,** რომელსაც სათავეში **უმაღლესი კომისარი** უდგას და ქვეყნის ათ რეგიონში ჰყავს თავისი წარმომადგენლობა. არის ამგვარი პრეცედენტები **ბალტიისპირეთშიც, საფრანგეთშიც**. თითქმის ყველა თავმოყვარე ქვეყანა, რომელმაც იცის, როგორ უნდა მოუაროს თავის თავს, საქმეს იწყებს ენაზე ზრუნვით, რადგანაც, როგორც ვთქვით, ერის მეობის გადარჩენა თუ გვინდა, ენაზე უნდა ვიზრუნოთ.

თუ ჩვენ გვინდა, გვყავდეს დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ერი, ასე უნდა მოვიქცეთ; ყველა სხვა საზრუნავი ამაზე უნდა აეწყოს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ბატონო ბიძინა, გეთაყვა, ეგებ შეძლოთ ერთი საათის გამოყოფა თქვენი გადატვირთული დღის რეჟიმიდან და მოუსმინოთ ბატონ ლევან ღვინჯილიას. დარწმუნებით ვიტყვი: ეს შეხვედრა ეროვნულ საქმეს წაადგება.**

*ჯემალ ვანაძე:*

# ბატონო ბიძინა, გაათავისუფლეთ წალკა «ნაციონალების» ოკუპაციისგან!

**იმის მიუხედავად, რომ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილის რეჟიმმა კრახი განიცადა, ადგილობრივ თვითმმართველობებში „ნაცმოძრაობის“ ორგია გრძელდება. რეგიონებში ხელისუფლების გადაბარების პროცესი დღითიდღე სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემური ქვემო ქართლის მხარე, კერძოდ კი წალკის რაიონია, რომელშიც „ვარდოსანთა ქორები“, ყველა „სიკეთესთან“ ერთად, რელიგიური შუღლის ინსპირირებას ცდილობენ. კონკრეტულად რა მდგომარეობაა იქ და რა სახის პრობლემები არსებობს წალკის საკრებულოს წევრი ჯემალ ვანაძე გვესაუბრება.**



**— ბატონო ჯემალ, დიდი ხანია, ადგილობრივ თვითმმართველობებში ხელისუფლებასა და ოპოზიციას, ანუ „ნაცმოძრაობას“ შორის გაწევ-გამოწევაა. თქვენთან, წალკაში რა მდგომარეობაა?**

— საერთოდ ყველა რაიონს თავისი გასაჭირი აქვს, მაგრამ ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებულ პრობლემებს რაც შეეხება, მე მგონი, ყველაზე მწვავედ ეს საკითხი წალკაში დგას. წლების განმავლობაში ჩვენი რაიონი გადაქცეული იყო საცდელ პოლიგონად. ჩვენზე ექსპერიმენტებს ატარებდნენ და გვიგზავნიდნენ ადამიანებს, რომლებიც აზრზე არ იყვნენ, ადგილზე რა ხდებოდა. **მეთერთმეტე წელია, იქ ვცხოვრობ და ადგილობრივი ხელმძღვანელი ჯერ არ გვყოლია. ცენტრიდან, თბილისიდან უშვებდნენ ისეთ ხალხს, რომლებმაც სხვაგან სამსახური ვერ იშოვეს, მაგრამ ხელისუფლების ერთგული პირები იყვნენ. ცენტრალური ხელისუფლების სწორედ ამ ზერელე დამოკიდებულების გამო, ჩვენთან ნელ-ნელა იჩინა თავი უამრავმა ახალმა პრობლემამ და დღეს, ფაქტობრივად, წალკა დენთის კასრს დაემსგავსა...**

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— „ნაციონალების“ მოსვლის პირველივე დღიდან დაიწყო რაიონის გაპარტახება, ეკონომიკის გაჩანაგება და სოფლის მეურნეობის განადგურება. რომ იძახიან, კრიმინალი აღმოვფხვერითო, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, კრიმინოგენული ვითარება ძალიან გამწვავდა. ჩამოსახლებული ხალხის დიდი ნაწილი უსახლკაროდ და უმიწოდაა. არის უკიდურესი გაჭირვება, ადამიანებს პურის ფული არ აქვთ, არ გააჩნიათ სარჩო-საბადებელი და ამის გამო ზოგი დანაშაულზეც მიდის. **ახლა მთავარი უბედურება რაშია: ამ პრობლემების მოგვარების პოლიტიკური ნება არ არსებობდა. წინა ხელისუფლებას ხელს აძლევდა დაბეჩავებული ხალხი, იმიტომ, რომ გაღატაკებული ადამიანების ყიდვა 20 ლარად ადვილია.**

**— თქვენ ამბობთ, რომ რაიონში არაკომპეტენტურ ხალხს გზავნიდნენ. კონკრეტული პიროვნება დაგვისახელეთ.**

— მაგალითად, მიხეილ ცქიტიშვილი. თავიდან ის რაიონში საგადასახადო ინსპექციაში მუშაობდა, ჯერ ინსპექტორად, შემდეგ უფროსის მოადგილედ და შემდეგ გახდა ინსპექციის უფროსი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოგვევლინა გამგებლად. ზუსტად მისი მოსვლისთანავე დაიწყო ერთპიროვნული მმართველობა. მე საკრებულოს წევრი ვარ და ვიცი, იქ რა ამბებიც ტრიალებს. ეს ცქიტიშვილი გადადგა ერთი კვირის წინ და ჩვენ მისი მოთხოვნა დავაკმაყოფილეთ, მაგრამ სინამდვილეში დღესაც ამ ადამიანის დიქტატია რაიონში.

**— წინა ხელისუფლების დროს ოპოზიცია ხშირად საუბრობდა, რომ რაიონებში თვითმმართველობები ნაცნობობითა და ნათესაური ნიშნით შერჩეული ადამიანებით კომპლექტდებოდა. თქვენთან რა მდგომარეობაა ამ მხრივ?**

— ჩვენ საკრებულოს თავმჯდომარედ გვყავს დავით მაჩიტიძე, რომელიც დავით ცქიტიშვილის მოყვანილია. თვითონ ცქიტიშვილმა 2008 წელს კენჭი იყარა და პარლამენტში შევიდა, თავის ადგილზე კი დანიშნა მისივე შერჩეული, პოლიციის ყოფილი უფროსი რევაზ შავლოხაშვილი. თავის მხრივ, ამ შავლოხაშვილმა ახლანდელ არჩევნებში იყარა კენჭი და მის მაგივრად ისევ ცქიტიშვილი დაბრუნდა. ამის გამო ანეკდოტიც კი გაჩნდა რაიონში: ორი აჭარელი ხვდება ერთმანეთს, ერთი აჭარიდან, მეორე წალკიდან და, აჭარიდან რომელიცაა, ის ეკითხება: წალკაში რა ხაროზსო. წალკელი პასუხობს: კარტოფილი და ცქიტიშვილიო.

**— რაში გამოიხატება ამ ადამიანების მმართველობის ცუდი შედეგი? რა ზიანი მიაყენეს მათ რაიონს?**

— ვერ ვიტყვი, რომ ცქიტიშვილი გაუნათლებელი და უჭკუო ადამიანია, არც განათლება აკლია, არც ცოდნა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მას საერთოდ ფეხებზე ჰკიდია რაიონი. მისთვის მთავარი საზრუნავი საკუთარი ჯიბე და გამდიდრებაა. ასევეა ყველა, ვინც მისი მოყვანილია ადგილობრივ ხელისუფლებაში. სხვათა შორის, ნათესაური ნიშნით ხალხის მოყვანაზე ვსაუბრობდით და ამ ცქიტიშვილის და, თამარ ცქიტიშვილი, არის საკრებულოს აპარატის უფროსი, სიძე კი, გოჩა ჩალაძე, გამგეობაში მიწებს განაგებს. **ამ ადამიანმა წალკის საუკეთესო მიწების გაყიდვა-გასხვისება-გაპარტახებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა, მასზე იყო მინდობილი ყველაფერი. თვითონ დავით ცქიტიშვილს კი 30 ჰექტარი აქვს, მაშინ, როცა გლეხებს არც ერთი გოჯი არ გააჩნიათ.**

> **«ცენტრალური ხელისუფლების სწორედ ამ ზერელე დამოკიდებულების გამო, ჩვენთან ნელ-ნელა იჩინა თავი უამრავმა ახალმა პრობლემამ და დღეს, ფაქტობრივად, წალკა დენთის კასრს დაემსგავსა...»**

**— როგორ ფიქრობთ, თქვენს რაიონში გამოძიება უნდა ჩატარდეს? რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ თქვენ მიერ დასახელებული თანამდებობის პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?**

— სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, თუ კომპეტენტური ადამიანებისგან შემდგარი კომისია ჩაატარებს მიწის ინვენტარიზაციას, ძალიან ბევრი დარღვევა გამოიკვეთება. **ამჟამად, ხალხის განცხადებების საფუძველზე, ფინანსურ პოლიციას ამოღებული აქვს წალკის გამგეობის ყველა ფინანსური საბუთი და სწავლობს. პარალელურად რაიონის ყოფილი ხელისუფლება ცდილობს, სათავეში დარჩეს და მოდავე არავინ გამოუჩნდეს, მაგრამ თუ ცვლილება მოხდება, ახალი გამგებელი აუცილებლად მოითხოვს აუდიტის ჩატარებას, რაც წინამორბედს, ცხადია, პრობლემებს შეუქმნის.** ეს მათ იციან, ამიტომ ძალიან კარგი სქემა შეიმუშავეს: გამგებელი გადადგა და დარჩა „ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელად, მაჟორიტარი დეპუტატი გადავიდა კონსერვატორებში, მოიპოვა მათი მხარდაჭერა და ცდილობს, გამგებელი ჩაანაცვლოს მისთვის სასურველი კანდიდატით, საკრებულოს თავმჯდომარე კი დატოვოს თავის ადგილზე. გასულ კვირას იყო სხდომა და კანონის სრული უგულებელყოფით დააფუძნეს ახალი ფრაქცია „ჩვენი წალკა“, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“ 13 ყველაზე ერთგული წევრი შევიდა. აი, ზუსტად ამ ფრაქციაზე დაყრდნობით იბრძვიან ისინი ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ასევე, ანალოგიური ვითარებაა ზეკარის საკრებულოშიც, მაქვს ინფორმაცია, რომ იქ ისინი შეეცდებიან, მათთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანონ...

**— კონკრეტულად ვინ?**

— ეს არის ვინმე ბესო ლაჩაშვილი, რომელიც ყოფილი „ნაციონალია“ და სულ ორჯერაა წალკაში ნამყოფი.

**— დასასრულს რელიგიურ უმცირესობებზე გკითხავთ, ბოლო დროს ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემური გახდა: რა ხდება სინამდვილეში?**

— მე ძალიან კარგად ვიცნობ ამ საკითხს, იმდენად, რამდენადაც თვითონაც ვარ რელიგიური უმცირესობის, ანუ მაჰმადიანთა წარმომადგენელი. მინდა დარწმუნებით გითხრათ, რომ **ეს ყველაფერი იყო ხელოვნურად ინსპირირებული. ჩვენ წლების მანძილზე ქრისტიანების გვერდით ვცხოვრობთ და არასდროს მოსახლეობაში რამე დაპირისპირება არ მომხდარა. პირიქით, ყოველთვის ვესწრებით ქრისტიანულ დღესასწაულებს, ვულოცავთ ერთმანეთს და ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.**

წალკაში ექვსი მეჩეთია ამჟამად, არც ერთი მათგანის გახსნაზე ქრისტიანებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ. შეიცვალა თუ არა ხელისუფლება, აღმოჩნდა, რომ ვიღაცამ ჯვარი მოიპარა, თურმე ვიღაცამ სიწმინდე შეურაცხყო და ა. შ. ვიმეორებ, ამას სპეციალურად აკეთებენ და ძალიან მიკვირს, რატომ არ აქცევს ასეთ ფაქტებს ხელისუფლება ყურადღებას.

**— რა ყურადღებას გულისხმობთ?**

— ფაქტი უნდა იქნეს გამოძიებული, დამნაშავე — დასჯილი. ჩვენ ეს მოლოდინი გვაქვს. აქვე მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო პრემიერ-მინისტრს: **ბატონო ბიძინა, ნუ დაუმსხვრევთ ხალხს იმედებს, აღადგინეთ სამართლიანობა. ჩვენ მზად ვართ, გვერდით დაგიდგეთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ წალკა გათავისუფლდეს „ნაცმოძრაობის“ ოკუპაციისგან და რაიონი დაუბრუნდეს მოსახლეობას. წალკა დღეს, ფაქტობრივად, მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს, ამას მიხედვა უნდა...**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

საითაც გაიქცევი, იქით წაიქცევი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხმებს ავრცელებენ — საქართველოში მშენებლობები შეწყდაო. ტყუილია! მთელ მსოფლიოში დეკემბერ-იანვრის პერიოდში მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება, და არავის აუტეხია პანიკა ამის გამო, რადგან თებერვლიდან, როგორც წესი, ჩვეული ტემპი აღდგება."**



# ნიკო ლეკიშვილი: სააკაშვილი ან უნდა შეეგუოს, ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში, ან... მოხდება ის, რაც მოსახდენია

**ბატონი ნიკო ლეკიშვილი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დედაქალაქს, იყო თბილისის მერი, სახელმწიფო მინისტრი — მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი — დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე. ამჟამად, როგორც თვითონ ამბობს, ოთხი წლით პაუზა აიღო, მაგრამ არ გამორიცხავს, რომ მომავალ ადგილობრივ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ნიკო ლეკიშვილი „საქართველო და მსოფლიოს" შეკითხვებს უპასუხებს.**




სააკაშვილის არაადეკვატურობა „ნაციონალების" ბოლო კონფერენციაზეც დამტკიცდა

**— ბატონო ნიკო, „საქართველო და მსოფლიოს" ახალი რუბრიკის „მოდელირებული დემოკრატიის" პირველი შეკითხვა რესპონდენტისათვის დასმული, ერთია: ქვეყნის საზოგადოებრივი ურთიერთობის სივრცეში დღეს დემოკრატიის პრინციპები მოქმედებს თუ მათი ერზაცი?**

— ოქტომბრის არჩევნების შემდგომ თანდათან გადავდივართ ჭეშმარიტ დემოკრატიაზე. იყო პერიოდი, როცა საქართველოში დაიწყო დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება, მაგრამ ბოლო 9 წლის განმავლობაში დემოკრატიზაციის პროცესი შეიზღუდა.

მახსენდება ბუხარინის გამონათქვამი: საბჭოთა კავშირში მრავალპარტიული სისტემა გვაქვს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთი პარტია არის ხელისუფლებაში, დანარჩენი — ციხეში.

დაახლოებით ასეთი მდგომარეობა იყო საქართველოში: მთელი ძალაუფლება — ელექტრონული მედიიდან დაწყებული, სახელმწიფო სტრუქტურებით დამთავრებული, ერთ ხელში აღმოჩნდა კონცენტრირებული. არასამთავრობო სექტორი ფაქტობრივად — ერთი მიმართულებით ორიენტირებული. ოპოზიცია პრაქტიკულად არ არსებობდა.

**— სატელიტი პარტიების გარდა.**

— რომელთაც ხალხი „დანიშნულ ოპოზიციას" ეძახდა. ამ არჩევნებმა ჩვენი ხალხის ძალისხმევით და დასავლეთის ჩარევით მოიტანა ის შედეგი, რომელიც დადგა. რა ინფორმაციაც მე მაქვს და, უთუოდ, სხვებმაც იციან, აშშ-მა ბოლო მომენტში დიდი როლი ითამაშა, რათა დასავლეთს ეღიარებინა სააკაშვილის მარცხი. ეს რომ არა, ყოფილი ხელისუფლება გაჩერებას არ აპირებდა: — გააქტიურდა საგადასახადო შემოწმებები იმათ მიმართ, ვინც ნაციონალურ მოძრაობას მხარს არ უჭერდა, მილიონიანი ჯარიმები დაეკისრათ „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიის ფინანსური შენაწირების გამცემთ.

**— ცნობილი მოგელაძის რეპრესიები.**

— განსაკუთრებული ღონისძიებები განახორციელეს „მაესტროს", „მეცხრე არხის" წინააღმდეგ... და ა.შ. ეს ყველაფერი პირველი ოქტომბრის შემდეგ შეწყდა.

ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურები, მთავრობა მუშაობას შეუდგა.

**— მიგაჩნიათ, რომ ეს მთავრობა დემოკრატიულად გახსნილია?**

— ბევრად უფრო გახსნილია, ვიდრე წინა ხელისუფლების პირობებში. ოდესმე გინახავთ, რომ გენერალური პროკურორი ან იუსტიციის მინისტრი მედიასთან დამჯდარიყო და ჟურნალისტების კითხვებზე პასუხი გაეცა?!

**— საერთოდ არ გვინახავს.**

— ახლა პირიქითაა. იმის მოწმენიც კი გავხდით, რომ მთავრობის წევრები თავიანთი შეცდომის აღიარებასაც არ ერიდებიან. შეიძლება ვინმეს არ მოსწონს მათი პირდაპირობა, პრინციპულობა, არ იზიარებს მათ პოზიციებს, მაგრამ ფაქტია, რომ გახსნილობა არის. პროცესი დაიწყო. თუმცა მძიმედ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა არაა მიჩვეული ევროპული დემოკრატიის პირობებში ცხოვრებას. იქ ჩვეულებრივი ამბავია, როცა პრეზიდენტი ერთი ძალის წარმომადგენელია, პარლამენტის უმრავლესობა და მთავრობა — სხვა ძალის. ასეთ ვითარებას ვერ ეგუებიან. ამას თავისი მიზეზები აქვს. მთავარი ისაა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ფეხქვეშ გათელა დემოკრატიის პრინციპები.

ხალხში ამიტომაც დაგროვდა უკმაყოფილების უზარმაზარი მუხტი.

**— და ამიტომაც მასობრივად მიმდინარეობს რაიონულ საკრებულოებში ის პროცესები, რომლებიც შეიძლება შევაფასოთ, როგორც ნაციონალების დიქტატის ნარჩენებისგან გათავისუფლება.**

— მეორე პრობლემაა პრეზიდენტი, რომელმაც დაიწყო იმით, რომ როცა ახალი მთავრობის მოსვლამდე ორი-სამი დღე იყო დარჩენილი, დანიშნა გენერალური შტაბის უფროსი, გარკვეული სამთავრობო სტრუქტურები პირადად დაიქვემდებარა და ა.შ.

ეს, რა თქმა უნდა, თანამშრომლობას არ ნიშნავს.

ხოლო ის რიტორიკა, რომლითაც იგი 20 დეკემბერს ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა, გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე ის, რის უფლებასაც წინასაარჩევნო პროცესში თავის თავს აძლევდა.

სააკაშვილი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როცა მისი თვითნებობა, თუნდაც, ფინანსების ხარჯვაში, შეიზღუდა, იგი ან უნდა შეეგუოს, ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში ან *(პაუზა)* მოხდება ის, რაც მოსახდენია.

**— კვლავ არაადეკვატურია?**

— მე მგონი — კი.

კვლავ გრძელდება მოვლენების მისეული ინტერპრეტაციის საზოგადოებისთვის თავსმოხვევა: „დამანგრევლები", „თალიბანიზაცია", „ორონსნები" და ა.შ.

არავინ არავის ნგრევისკენ არ მოუწოდებს. ბიძინა ივანიშვილმა თავისი პოზიცია რიყეზე მიმდინარე მშენებლობისადმი სავსებით გასაგებად დააფიქსირა. როცა საზოგადოების დიდ ნაწილს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს იმისადმი, რაც იქ ხდება, მთავრობამ ხომ უნდა გააკეთოს რეაგირება? რეაგირება აუცილებელია.

ბიძინა ივანიშვილს არ უთქვია, დავანგრევო. მან განაცხადა, რომ საჭირო იქნება კომპეტენტური კომისიის შექმნა, რომელმაც უნდა შემოგვთავაზოს ყოველმხრივ დასაბუთებული დასკვნა, თუ როგორ მოვიქცეთ, რა გავაკეთოთ.

საქართველოში ძეგლებს კარგი დოლის ცხენებივით აქეთ-იქით დავარბენინებდით, და არაფერი დაშავდება, თუ რიყეზე დადგმულ ამ უზარმაზარ ბოთლების თუ მოლების ნაჭრებს სხვაგან გადავიტანთ. ამ კონსტრუქციების დემონტაჟი და სხვა, უფრო შესაფერ გარემოში აწყობა ძვირი არ დაჯდება.

ეს ნიშნავს იმას, რომ ბიძინა ივანიშვილმა თქვა დავანგრიოთო?!

ხმებს ავრცელებენ — საქართველოში მშენებლობები შეწყდაო. ტყუილია! მთელ მსოფლიოში დეკემბერ-იანვრის პერიოდში მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება და არავის აუტეხია პანიკა ამის გამო, რადგან თებერვლიდან, როგორც წესი, ჩვეული ტემპი აღდგება.

ამ ტენდენციას თავისი სპეციფიკური მიზეზები აქვს და აქ ამაზე საუბარს არ გავაგრძელებ.

**— ასეთ ბრალდებებზე — ბიუჯეტთან, ეკონომიკის პრობლემებთან დაკავშირებით, ხდება კომპეტენტური პასუხის გაცემა?**

— ჩემი აზრით, არ ხდება. ამ პრობლემებზე სასაუბროდ უფრო ხშირად გამოდიან — თვითმარქვია ექსპერტები. გაცილებით შედეგიანი იქნებოდა, თუ, მაგალითად, ეკონომიკის, ფინანსების საკითხებზე მასმედიაში მიიწვევენ აკადემიური წრეების ავტორიტეტულ წარმომადგენლებს, ისეთებს, როგორიც, მაგალითად, ლადო პაპავაა, უმაღლესი კლასის ეკონომისტი. სრულიად გაუგებარი იყო, როცა იგი 2000 წელს ეკონომიკის მინისტრობიდან გაათავისუფლეს. თორემ ზოგიერთი ისეთი „ექსპერტი" მოძღვრავს ჩვენს საზოგადოებას, რომელსაც ეკონომიკური განათლებაც კი არ გააჩნია. გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ თვითონ ხომ იციან, რომ ასეა?!

ამიტომაა, რომ ხშირად სრულყოფილი ინფორმაცია მოსახლეობამდე არ აღწევს.

**— „პესკებს" გადაკეთება თითქოს დაებედა, არქიტექტორებს ყოველთვის თვალი ეჭირათ ქალაქის ამ უბანზე...**

— კომუნისტების დროსაც ვიყავი დედაქალაქის ხელმძღვანელი. მაშინ გიგა ბათიაშვილს გაკეთებული ჰქონდა პროექტი ძველი უბნის აღდგენის — კოლორიტული საცხოვრებელი სახლებით, პატარა რესტორნებით პირველ სართულზე, სასტუმროებით, სახელოსნოებით, დამახასიათებელი ვიწრო ქუჩებით და ა.შ.

რამდენიმე პროექტი შეიქმნა, ყველა თავისებურად საინტერესო... მაგრამ ამათ ყველაფერს ხაზი გადაუსვეს, ბულდოზერებით დაანგრიეს იქ გაშენებული რესტორნები. ამ ვანდალურ აქტს რამდენიმე კაცის სიცოცხლე შეეწირა, რასაც არ ახმაურებენ.

ხოლო რაც ამის შემდეგ მოხდა, ვერა და ვერ გავიგე: აქაურობა 10 მილიონად გაიყიდა და სახელმწიფომ 17 მილიონად დაიბრუნა (!)

ის პროექტი კი, რომლის განხორციელებაც აქ დაიწყეს, ბევრ შეკითხვას ბადებს.

**— „ბოთლები რიყეზე"?**

— დიახ. ამ პროექტის ავტორია მაქსიმილიან ფუქსასი, რომელთან დაკავშირება თავიდან მე მთხოვეს: ძველ კორტებზე იუსტიციის სახლის პროექტის დასამუშავებლად სურდათ მისი მიწვევა. შეხვდნენ. დაუკვეთეს. ჩემი აზრით, შენობა მართლა კარგი გამოვიდა, მაგრამ შეუფერებელ ადგილზეა აგებული. ფუქსასს რიყის პროექტის შექმნაც შესთავაზეს. ისე მოხდა, რომ ამ საუბარს მეც ვესწრებოდი. კონკრეტულ დაკვეთაზე — რისი გაკეთება სურდათ — იქ ლაპარაკი არ ყოფილა. შემდეგ გაირკვა. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ამ გარემოსთვის სრულიად შეუფერებელი პროექტი რატომ შესთავაზა არქიტექტორმა ქალაქის ▶

## გაეროს უშიშროების საბჭომ მალიში სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე სანქცია გასცა

**მათივე ინფორმაციით, გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი აფრიკული კავშირის ჯარების მალის ჩრდილოეთში შეყვანას, რომელიც ამჟამად ისლამისტებისა და სეპარატისტების კონტროლქვეშ იმყოფება.** რეზოლუცია, რომელიც საფრანგეთმა მოამზადა, სანქციას აძლევს აფრიკული ქვეყნის მთავრობას, ნებისმიერი ზომები განახორციელოს იმისათვის, რათა ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი ამბოხებულებისგან გაათავისუფლოს. ამასთან ერთად, გაეროს უშიშროების საბჭო ასევე აღნიშნავს, რომ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია პროგრესის მიღწევა პოლიტიკური დარეგულირების საკითხში, უზრუნველსაყოფია მოქალაქეთა თავისუფალი ნების გამოხატვის უფლება და მოსამზადებელია აფრიკული კავშირის ჯარი. როგორც მოსალოდნელია, სამხედრო ოპერაცია მალის ჩრდილოეთში 2013 წლის სექტემბრის თვეზე ადრე არ დაიწყება. ამავე დროს, საერთაშორისო სააგენტოები, რომლებიც მალის დახმარებას უწევენ, ყველას აფრთხილებენ, რომ სამხედრო შეჭრა ბოევიკების წინააღმდეგ ჰუმანიტარულად სავალალო შედეგს გამოიღებს.

საითაც გაუქცევი, იქით წაუქცევი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ზურაბ აბაშიძის სპეციალურ წარმომადგენლად დანიშვნა იყო ძალიან ძლიერი და თამამი სვლა. რა თქმა უნდა, იყო გარკვეული რისკები, მაგრამ ხომ ვნახეთ, რომ ჩვენს ინიციატივაზე რუსეთს შემხვედრი რეაქცია ჰქონდა“.

◀ ხელისუფლებას, ვისი იდეა იყო. გასაკვირია იმიტომ, როცა ფუქსასს თაბუკაშვილის ქუჩაზე მართლა შესანიშნავი თანამედროვე სამსართულიანი შენობის პროექტის ჩადგმაზე აზრის გამოთქმა სთხოვეს, იგი კატეგორიულად არ დაეთანხმა — გარემოს არ შეეფერება და დაივიწყეთო.

თბილისელებს იმაზე მეტი სატრაბახო რა გვაქვს, ვიდრე ძველი თბილისის მულტირელიგიურობაა — მართლმადიდებლური ტაძრები, გრიგორიანული ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა ამ, ერთი ხელის დადება მიწაზე. ვიღაცამ მითხრა, ეს ჩვენი პატარა იერუსალიმიაო.

**— შესანიშნავი მწერალი, ქართველი იუდეველი ნოდარ ჯინჯიხაშვილი თავის ბრწყინვალე წიგნში „ჩემი თვითმკვლელობის ისტორია“ წერს კიდეც, რომ თბილისური ფეთხაინი, სადაც უწინ მხოლოდ ებრაელები სახლობდნენ, „ქართულ იერუსალიმად“ ითვლებოდა.**

— ასეა. და არა მგონია, შუშის შენობით და „წაქცეული ბოთლებით“ გავაკვირვოთ ევროპიდან თუ ამერიკიდან ჩამოსული ტურისტები.

**— თუ ჩამოვლენ...**

— ესეც საკითხავია... მოკლედ, საზოგადოებასთან ურთიერთკავშირის არარსებობა ბევრი შეცდომის და ჭორის დაბადების შესაძლებლობას ჰქმნის.

**— სამაგიეროდ სისტემატურად და დიდი მოცულობით ვრცელდება ინფორმაცია ყოფილ დიდმოხელეთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების, დაპატიმრების, საქმის გამოძიების შესახებ...**

— ერთი ჩემი ნაცნობი მეუბნებოდა ამასწინად — აჩიკო კბილაშვილს და თეა წულუკიანს იმდენჯერ ვუყურებ, რომ უკვე მესიზმრებიანო *(ეცინება)*. მაგრამ ვთვლი, რომ **კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტების გამოვლენის გარდა უნდა ვრცელდებოდეს ინფორმაცია იმაზე, თუ კიდევ რას აკეთებს ქვეყნის მთავრობა.**

**ჩემი აზრით, შესაქმნელია ისეთი მიმართულება, რომელიც მოსახლეობას სრულ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, კულტურისა და მეცნიერების სფეროებში. თვალშისაცემია, რომ ინფორმაციულ სივრცეში ყველა სამინისტრო ერთნაირად არ არის წარმოდგენილი.**

ამასთან, არის ისეთი საკითხები, რომელთა მოგვარება ერთ კვირაში შეიძლება. ეს მოსახლეობისთვის კარგი ნიშანი იქნება.

**— რომელ სფეროს გულისხმობთ, ბატონო ნიკო?**

— თუნდაც კანონშემოქმედებითს.

**— რა ვიცი, ისეთი ჰუმანური კანონპროექტების განხილვის პროცესში, როგორიც პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ეხებოდა, შემდეგ კი საერთო ამნისტიას, ქალბატონი ეკა ბესელია კინაღამ მოინელეს, თანაც არა მარტო უმცირესობის წევრმა დეპუტატებმა, რომ მეეჭვება რაიმე ცვლილების განხორციელება ოპერატიულად და უმტკივნეულოდ იყოს შესაძლებელი.**

— მცდელობას წინ რა უდგას?! წინასაარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილი ყველა რაიონში გამოვიდა და ამ რაიონებისთვის სპეციფიკური პრობლემური საკითხების მოგვარებას დაპირდა. რაჭაში ყოფნისას თქვა, რომ ძალიან კარგ კანონს ადგილწარმოშობილი ღვინოების შესახებ, რომელიც უწინ იყო მიღებული, სააკაშვილის პარლამენტმა (მე ვიცი, ვისი ლობირებითაც) გააუქმა, აღვადგენთო.

იმ კანონის აღდგენას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება, მაქსიმუმ — ერთი კვირა. მოსახლეობა დაინახავს — დანაპირები სრულდება. იყო, გააუქმეს, აღადგინეს!

აი, ასეთი კონკრეტული საკითხები ყველგან არის და მათი ოპერატიულად გადაწყვეტისთვის არც დიდი დროა საჭირო, არც დამატებითი სახსრები.

ამ კანონის აღდგენით ამბროლაურის რაიონში გლეხობა დაიწყებს ყურძნის იმ ჯიშის მოშენებას, 2008 წელს რომ შეწყვიტა. ამ ყურძნის ერთი კილოგრამი 4-5 ლარი ღირს. ამუშავდება 5 ქარხანა, რომლებიც დღეს უქმად დგას, მინიმუმ 500 კაცი დასაქმდება. იმ ქარხნებს დაუდებენ ხელშეკრულებებს გამსაღებლები, „ხვანჭკარის“ ხარისხი კონდიციას მიაღწევს, თორემ ახლა დურდოს ჰყიდიან!

ონიშჩენკო არ ტყუოდა, როცა ქართული ღვინის უხარისხობას ჩიოდა. იყო ერთი ქარხანა სენაკში, რომელიც წელიწადში მილიონ ბოთლზე მეტ „ხვანჭკარას“ ამზადებდა. საქართველოდან 15-17 მილიონი ბოთლი ხვანჭკარა გადიოდა, მაშინ, როცა 500 ათას ბოთლზე მეტის დამზადება წარმოუდგენელია! ბუნებაში არ არსებობს საამისოდ ყურძნის მასალა.

წელსაც კი, რაც დიდად სასირცხვილოა (და ამ კანონის უქონლობის ბრალია), 740 ტონა დაფიქსირდა. რეალურად კი დაახლოებით 300 იყო. პატიოსნად იმუშავა მხოლოდ ორმა-სამმა კომპანიამ — „თბილღვინომ“, „თელიანმა ველმა“... მეღვინეებს ეწყინოთ, რა ვქნა! იგივე შეიძლება ითქვას იმერეთზე, კახეთზე...

აღადგინონ კანონი, რომელიც სიტუაციას დაარეგულირებს.

ერთი საინტერესო მომენტიც: სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ქიმიკატების ან


ასე ამახინჯებენ თბილისის ისტორიულ უბანს

## «საქართველოდან 15-17 მილიონი ბოთლი «ხვანჭკარა» გადიოდა, მაშინ, როცა 500 ათას ბოთლზე მეტის დამზადება წარმოუდგენელია! ბუნებაში არ არსებობს საამისოდ ყურძნის მასალა»

პროდუქციის შემოსატანად სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური ნებართვა უნდა გაეცა. ახლა ირკვევა, რომ არავითარი დოკუმენტი საჭირო არ ყოფილა!

**— ესეც ხელისუფლების მიერ დამარცხებული კორუფცია და არარსებული მონოპოლია!**

— რა ხდებოდა ტვირთების გადაზიდვის სფეროში? რკინიგზის ხელმძღვანელობას თავს მოახვიეს ისეთი ტარიფები, რომ ერთ დღეში დაიხურა 25 გადამზიდავი კომპანია და ყველაფერი ერთ ხელში მოექცა. არ მინდა გვარი დავასახელო, კერძოდ, ვის ხელში. იმას კი ვიტყვი, რომ ეს კაცი ახალი პარლამენტის წევრია, ძალიან საპატივცემლო ადამიანია, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ ვუყურებ და თუ არ მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებას, გავახმაურებ. ამ საქმეში ჩართულები იყვნენ ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები, თავდაცვის ერთი მინისტრი, რომელიც ახლა გაქცეულია. ესეც — „ბუნებრივი“ მონოპოლია.

**— რა ეშველება ამ საქმეს?**

— სახელმწიფომ გახსნას თემა. სახელმწიფოს ნებით და არა ერთმანეთში რაღაც მოლაპარაკებით. ვინც კონკურენტუნარიანი აღმოჩნდება, ის იმუშავებს.

**— თქვენ თავიდანვე აღნიშნეთ, რომ დასავლეთს სააკაშვილი გონზე რომ არ მოეყვანა, ალაჰმა უწყის, რას მოიმოქმედებდა. საერთაშორისო პოლიტიკაზე გადავიდეთ.**

**ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთის პროექტად წარმოგვიდგენდა ბიძინა ივანიშვილს. ახლა — პირიქით: გარკვეული ძალები პროდასავლურობას უწუნებენ.**

**როგორ ფიქრობთ, ამ სიტუაციაში რა უნდა მოიმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებამ, რეალური ნაბიჯები რომ გადავდგათ იმ გზაზე, რომელიც დეკლარირებულია? რომელი ორიენტირით უნდა ვიაროთ?**

— გულწრფელად მივესალმები იმას, რასაც ახლა ჩვენი მთავრობა აკეთებს. ყველა ქვეყნისთვის უპირველესი საკითხი სამეზობლო პოლიტიკაა — მეზობლებთან უნდა დაალაგო ურთიერთობა. 2008 წლის აგვისტოში რაც მოხდა, ყველათვის ნათელია. მაგრამ როდემდე უნდა ვატაროთ დაპირისპირების ეს ტვირთი და არ ვეცადოთ მის განეიტრალება-მოგვარებას? უკან ცქერის პოლიტიკით, პოზიტიური გამოსავლის ძებნის უარყოფის ლოგიკით, ჩვენ მტრებად უნდა მოვიკიდოთ ირანიც და თურქეთიც.

ძნელი იქნება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა. მაგრამ იმიტომ, რომ ძნელია, უარი უნდა ვთქვათ?!

**— რასაკვირველია — არა!**

— და ეს უნდა გაკეთდეს სხვა უახლოეს მეზობლებთან ტრადიციული ურთიერთობის შენარჩუნების, ევროპული ინტეგრაციისკენ მისწრაფების და აშშ-თან პარტნიორული თანამშრომლობის პოლიტიკის განხორციელებასთან ერთად და ამის პარალელურად.

პოლიტიკური ხელოვნება ის არის, რომ ყველასთან კარგად იყო. მაშინ ხარ ძლიერი, როცა ასეთი მოქნილობა გახასიათებს.

ზურაბ აბაშიძის სპეციალურ წარმომადგენლად დანიშვნა იყო ძალიან ძლიერი და თამამი სვლა. რა თქმა უნდა, იყო გარკვეული რისკები, მაგრამ ხომ ვნახეთ, რომ ჩვენს ინიციატივაზე რუსეთს შემხვედრი რეაქცია ჰქონდა, ხომ მოვისმინეთ, რა თქვა ამის გამო პუტინმა. მართალია პრობლემები დარჩება — უარს არ ვიტყვით აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზეო, მაგრამ მზადყოფნა გამოთქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე, დიალოგზე. საერთაშორისო ცხოვრება დინამიურად ვითარდება, რაც დღეს შეუძლებელი ჩანს, ხვალ შეიძლება იოლი გადასალახი აღმოჩნდეს.

**— ზურაბ აბაშიძემ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში თქვა, რომ კარგ ომს ცუდი დიალოგი ჯობია.**

— სწორად უთქვამს. გერმანიის გაერთიანების ისტორია ამის კარგი მაგალითია. ჩვენ პერსპექტივის კუთხით უნდა ვუყუროთ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას და საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების პრობლემას.

**— ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ აბაშიძე-კარასინის შეხვედრა უქმი სვლა იყო — სამი თვის შემდეგ რომ უნდა შედგეს მეორე შეხვედრა, ეგ რა ურთიერთობის დამყარებააო.**

— არიან ადამიანები, ვისაც არასოდეს არაფერი მოსწონს. ის ჯობდა, როცა ასეთი შეხვედრის შესაძლებლობაც წარმოუდგენლად მიაჩნდათ?! შეხვედრიდან შეხვედრამდე რომ მიმდინარეობს მუშაობა იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენ არ ვიცით (ყველაფერს ხომ არ მოგვიყვებიან), ეგ არაფერს ნიშნავს?!

პუტინს, თუ დააკვირდით, არ უთქვამს, რომ საქართველო ნატოში არ უნდა შევიდეს, არ გამოსულა საქართველოს ევროინტეგრაციის წინააღმდეგ, პირიქით, განაცხადა რომ რუსეთი შეასრულებს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მიერ საქართველოს მიმართ დაკისრებულ მოვალეობას, და შედეგიც სახეზეა — ქართული ღვინოებისთვის ოფიციალურად გაიხსნა რუსეთის ბაზარი.

თუ საქართველოს ბაზარი გაჯერებულია რუსული წარმოების პროდუქციით, რა არის ამაში ცუდი? 90 პროცენტი რუსული არაყი იყიდება, ბურღულეული, წვენები, შოკოლადები, სამზარეულოს მოწყობილობა, 11 დასახელების ლუდი, პარფიუმერია... დავინტერესდი, შევედი „გუდვილის“ მაღაზიაში, დავითვალე და როცა 55 სახეობაზე ავედი, თავი დავანებე.

შე კაი დედ-მამის შვილო, თუ გაბრაზებული ხარ და იძახი, საქართველოს ღვინო რუსულ ბაზარზე არ უნდა შევიტანოთო, რუსულ პროდუქციას ასე ფართოდ რად უხსნი კარს?!

**— ეს მარტო ალოგიკურობა კი არ არის, მავნებლობაა.**

— პროდუქციის შეტანა მარტო გასაღება არ არის, ეს არის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა, ეს არის ერთობლივი საწარმოების ამუშავება, ურთიერთობები შენი მათთან და მათი — შენთან. მაშასადამე, ეს გარკვეულწილად პოლიტიკაც არის.

ასეთ შემთხვევაში ევროპასთან ურთიერთობაც სხვა ფაზაში შევა. ჩვენი მთავრობა არ არის ისეთი, რომ ყველას ყველაფერში კვერი დაუკრას. ეს ყველამ უნდა გაიგოს. ეს კარგია, მათ შორის, ევროპელებისთვისაც, რადგან საქმე ექნებათ მთავრობასთან, რომელსაც აქვს თავისი პრინციპები.

**— ე.ი. ეკონომიკა დაალაგებს პოლიტიკას. მაგრამ არის მოსაზრება, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღუდგენლად არაფერი გამოგვივა.**

— რთული საკითხია, რა თქმა უნდა. მაგრამ რაკი გამოინახა სპეციალური წარმომადგენლის ფორმა, ნუ გამოვრიცხავთ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, იგი შეიძლება რაღაც სტრუქტურაში გადაიზარდოს, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის პირობებში გააადვილებს ამ კუთხით რუსეთთან ურთიერთობას. შეიძლება რუსეთში აღდგეს ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა. ბევრი ფორმის მოძებნა შეიძლება.

ასე რომ, მაქსიმალიზმი და სულსწრაფობა ამ შემთხვევაშიც სრულიად მიუღებელია.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## დიდ ბრიტანეთში, შესაძლოა, პლასტიკური ფული გამოჩნდეს

**2015 წლისთვის დიდ ბრიტანეთში, შესაძლოა, პლასტიკური ფული გამოჩნდეს. The Daily Telegraph-ის ინფორმაციით, ინგლისის ბანკმა უკვე გამოაცხადა ტენდერი 1 მილიარდი ფუნტის დაბეჭდვაზე ახალი ბანკნოტებით, რომელიც პლასტიკატით იქნება დამზადებული, თუმცა რეგულატორს ამ დრომდე არ მიუღია გადაწყვეტილება, გაუშვას თუ არა მიმოქცევაში პოლიმერული მასალისგან დამზადებული ბანკნოტები.**

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიმერული მასალისგან დამზადებული პირველი კუპიურა 1988 წელს ავსტრალიაში მოიჭრა. შეგახსენებთ, რომ კანადაში უკვე შევიდა მიმოქცევაში ახალი 20-დოლარიანი პოლიმერული მასალისგან დამზადებული კუპიურები.

## «ნასამ» მულტფილმის გმირს სკაფანდრი «მოჰპარა»

**„ნასასთვის“ შემუშავებულმა ახალმა სკაფანდრმა საზოგადოება გაამხიარულა. სკაფანდრი ძალიან ჰგავს 1995 წლის ამერიკული ანიმაციური ფილმის „სათამაშოების ისტორია“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ასტრონავტ ბაზ ლაითერის, სამოსს.** როგორც ნასაში აცხადებენ, ეს სამოსი უფრო კომფორტულია. მისი წყალობით, ასტრონავტი ადვილად გადაადგილდება და დისკომფორტს არ იგრძნობს. მულტფილმი გამოსვლის პირველივე კვირის ბოლოს კინოგაქირავების ლიდერი გახდა. საერთო ჯამში მისმა შემოსავალმა აშშ-სა და კანადაში 191 მილიონი დოლარი, მსოფლიოს მასშტაბით კი 361 მილიონი დოლარი შეადგინა.

პრეზენტაცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ლეკიანობა“ — ქართულად ასე ჰქვია მთლიანობაში ჩრდილოკავკასიელი მთიელების (ლეკების, დაღესტნელების, ჩეჩნების, ინგუშების და სხვ.) თავდასხმებს საქართველოზე, ბევრად უფრო გამაპარტახებელს, ვიდრე ყიზილბაშთა მომთაბარე ტომების ლაშქრობები იყო. საქართველოს მათზე ვერაგი და სასტიკი მტერი, ალბათ, არც ჰყოლია.**

# «ისტორიულმა მემკვიდრეობამ» ახალი წიგნის პრეზენტაცია გამართა

**2012 წლის 19 დეკემბერს, 13:00 საათზე, ძველი თბილისის ცენტრში – ხუთვარსკვლავიან ოტელ „ამბასადორის“ (Ambassador Hotel in Tbilisi) საკონფერენციო დარბაზში – არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ მის მიერ გამოცემული მორიგი წიგნის — „ლეკიანობა“ — პრეზენტაცია გამართა.**











პრეზენტაციას ესწრებოდნენ წიგნის სარედაქციო კოლეგიის წევრები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ექსპერტები. პრეზენტაციამ თბილ გარემოსა და საინტერესო საუბრებში ჩაიარა, მოწვეულმა სტუმრებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს ახალგამოცემული წიგნის თემატიკის შესახებ.

**წიგნი „ლეკიანობა“ წარმოადგენს ცნობილი ქართველი მეცნიერების — აკადემიკოსების, პროფესორების, მეცნიერებათა დოქტორების — სტატიების კრებულს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჟურნალ „ისტორიულ მემკვიდრეობაში“: ისტორიკოსები, ეკონომისტები, აგრეთვე, ცნობილი პუბლიცისტები, დოკუმენტური ისტორიული მასალის საფუძველზე იკვლევენ საქართველოს ისტორიის ამ საშინელ პერიოდს.**

გამოცემაში თავმოყრილია შემდეგი სამეცნიერო პუბლიკაციები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის დ. მეგრელიძის „ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან“, „ერეკლე მეორეს წერილი რუსეთის მინისტრის პანინის მიმართ“, „ერეკლე მეორეს წარდგინება რუსეთის იმპერატორ პავლე პირველისადმი“; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის — თ. ბოცვაძის „საქართველო-დაღესტნის ურთიერთობების ისტორიიდან (XV – XVIII ს.ს.)“; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის — ვ. ითონიშვილის „უცხოელთა ავაზაკობა საქართველოში“, „პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი“, „მრისხანე XVIII საუკუნე: ყიზილბაშობა და ლეკიანობა“, „ლეკიანობა კახეთში“, „კათოლიკე მისიონერები საქართველოში“, „რუსეთის ბრძოლა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში“, „შამილი და ლეკთა თავდასხმები“, „ჰაჯი მურატი და მ.ს. ვორონცოვი, რუსეთის პროტესტები პორტასადმი ლეკ-ოსმალთა ქართლზე თავდასხმის გამო“, „შეიხი მანსური და ოსმალთა კავკასიური ავანტიურა“; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის სერგო ხოსიტაშვილის „პირველი ქართულ-რუსული საბრძოლო ოპერაციები“; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა.ვ ხარაზევიჩის „დონის კაზაკთა ნაწილები ლეკთა თავდასხმებისაგან საქართველოს დასაცავად 1801-1804 წლებში“, „დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა XVIII საუკუნეში“, „აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევარში“; ქართველი პოეტის, პროზაიკოსისა და პუბლიცისტის ალექსანდრე ორბელიანის წერილი „დაღისტანიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები“, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის პაატა გუგუშვილის „ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში“ და მთარგმნელი პუბლიცისტის ბეჟან გიორგაძის წერილი „სამი ქართველი ქალის ამბავი“ (ფრაგმენტი).

**წიგნ «ლეკიანობის» გამოცემა სწორედაც რომ დროული იყო. თუკი ახალ თაობას არ ეცოდინება საქართველოს რეალური წარსული, ის ვერც ღირსეულ მომავალს შექმნის**

„ლეკიანობა“ — ქართულად ასე ჰქვია მთლიანობაში ჩრდილოკავკასიელი მთიელების (ლეკების, დაღესტნელების, ჩეჩნების, ინგუშების და სხვ.) თავდასხმებს საქართველოზე, ბევრად უფრო გამაპარტახებელს, ვიდრე ყიზილბაშთა მომთაბარე ტომების ლაშქრობები იყო. საქართველოს მათზე ვერაგი და სასტიკი მტერი, ალბათ, არც ჰყოლია – მათმა თავდასხმებმა მე-18 საუკუნეში ათასობით სიცოცხლე შეიწირა, ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობის რიცხოვნობა 200 ათასამდე შეამცირა და მთლიანად გაანადგურა აყვავებული მეურნეობა. ოსმალეთის იმპერიის მმართველებმა მაშინ შეგნებულად დაიწყეს მზადება საქართველოს განადგურებისთვის – ქართველების წინააღმდეგ ჩრდილოკავკასიელთა კომბინირებულად ამოქმედებისთვის საჭირო იყო ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთისთვის რაიმე საფრთხის შექმნა, რათა საბედისწერო საათს მეფე ერეკლე მეორეს იქიდან დახმარების მიღება არ შესძლებოდა.

როგორც ცნობილია, ლეკები გატაცებულ ტყვეებს მეურნეობაში ვერ იყენებდნენ, ამიტომ ტყვეები მიჰყავდათ „ამანათებად“ ე. ი. იმ მიზნით, რომ ისინი დაეხსნათ პატრონებს. ასეთი მიზნით იტაცებდნენ ტყვეებს იმ დრომდე, ვიდრე მათ ფართო გასაქანს მისცემდა ოსმალეთის ტყვეების ბაზარი... ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ მოვლენას (ჩრდილოკავკასიელების თარეშს, – რედ.) ვუწოდოთ „ლეკიანობა“, ანალოგიურად „ქირიანობისა“, შიშიანობისა“, „ომიანობისა“ და სხვ.“

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძემ „საქინფორმთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ გამოცემაზე წელიწადზე მეტხანს მიმდინარეობდა მუშაობა და გამართული წიგნის პრე-** ▶







# „ჩვენი მიზანი არ ყოფილა ძველი მტრობის გახსენება, ერთადერთი სურვილი გვამოძრავებდა, რომ ჭეშმარიტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა საზოგადოებისთვის და ვფიქრობ, ეს მოვახერხეთ“.

ანონსი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ზენტაცია მიზნად ისახავდა მის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას.**

**ტარიელ გაგნიძე:** „ჩვენმა ორგანიზაციამ მოამზადა წიგნი „ლეკიანობა“. ამ წიგნში საქართველოს ისტორიაში „შავ ლაქად“ ცნობილი მოვლენების ამსახველი ინფორმაციაა თავმოყრილი. ეს არის, ძირითადად, XVI -XVII- XVIII საუკენეების ამსახველი მასალები, როდესაც საქართველოში ჩრდილოეთკავკასიელი ტომები ლაშქრობდნენ, რამაც საბოლოოდ ჩვენი ქვეყანა იქამდე მიიყვანა, რომ ქართველი ერის ფიზიკური გადაშენების საფრთხე შეიქმნა. აღნიშნული ვითარებიდან საქართველომ თავის დაღწევა მხოლოდ მაშინ შეძლო, როდესაც რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში შემოვიდა, დაიმორჩილა ადგილობრივი ტომები და რეგიონში წესრიგი დაამყარა. მხოლოდ რუსეთთან კავშირის შედეგად გახდა შესაძლებელი ქართველი ერის გამაჩანაგებელი უბედურებისგან დაცვა“.



**ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე:** „ამ წიგნის გამოცემის იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) რუსეთის ჯიბრზე ჩრდილოკავკასიელების მიმართ ერთგვარი მოფერების პოლიტიკა დაიწყო — რომ თითქოს ჩვენ ვართ ისტორიული მეგობრები და ყოველთვის ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა მათთან. ამით სააკაშვილის ხელისუფლებამ ხაზი გადაუსვა რეალურ, ჭეშმარიტ ისტორიას. სწორედ მაშინ გაჩნდა აუცილებლობა იმისა, რომ გამოცემულიყო წიგნი, რომელშიც ასახული იქნებოდა რეალური ფაქტები ყოველგვარი „შელამაზების“ გარეშე. პირველ ეტაპზე ჟურნალ „ისტორიულ მემკვიდრეობაში“ ჩვენ დავიწყეთ მასალების – სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტების – გამოქვეყნება. მოგვიანებით, როდესაც უამრავი მასალა დაგვიგროვდა, მისი წიგნად გამოცემა გადავწყვიტეთ. ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო გამოვიდა. ჩვენი მიზანი არ ყოფილა ძველი მტრობის გახსენება, ერთადერთი სურვილი გვამოძრავებდა, რომ ჭეშმარიტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა საზოგადოებისთვის და ვფიქრობ, ეს მოვახერხეთ“.

**პრეზენტაციის ერთ-ერთი სტუმრის, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორის როლანდ ჯალაღანიას** განცხადებით, საქართველოში დაწყებულმა ლეკიანობამ განაპირობა იმ დროს ჩვენი ქვეყნის მიერ გაკეთებული არჩევანი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის საგარეო კურსი ჩრდილოეთზე იყო ორიენტირებული. ლეკიანობამ ქვეყანა ძალიან დაასუსტა. თუკი საქართველო ადვილად იგერიებდა სხვადასხვა დამპყრობლის ორგანიზებულ შემოტევებს, ლეკიანობა სწორედაც რომ ყაჩაღური თავდასხმა იყო, რომლისგანაც თავდაცვას სჭირდებოდა რეგულარული არმია. სამწუხაროდ, საქართველოს იმ პერიოდში ასეთი არმიის რჩენა არ შეეძლო. მხოლოდ რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ გახდა შესაძლებელი სპა გამხდარიყო დაქირავებული ჯარი, რომელიც იბრძოლებდა ამ ყაჩაღური თავდასხმების წინააღმდეგ.

წიგნ „ლეკიანობის“ გამოცემა სწორედაც რომ დროული იყო. თუკი ახალ თაობას არ ეცოდინება საქართველოს რეალური წარსული, ის ვერც ღირსეულ მომავალს შექმნის. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც 8 წლის განმავლობაში ქვეყნის ხელისუფლებაში იყო, რუსეთის წინააღმდეგ ე. წ. შავ პიარს აწარმოებდა — თითქოს რუსეთმა არაერთხელ დაიპყრო საქართველო და ა.შ. თუ კარგად გავიხსენებთ, მე-18 საუკუნეში სწორედ საქართველო ემუდარებოდა რუსეთს, რომ შემოსულიყო რეგიონში და დაეცვა ქართველი ერი ჩრდილოკავკასიელი ტომების ძალადობისგან. მომავალმა თაობამ ეს აუცილებლად უნდა იცოდეს. წიგნი „ლეკიანობა“ ახალ თაობას განწყობას კი არ შეუქმნის, არამედ შეულამაზებლად მიაწვდის ინფორმაციას და ახალგაზრდებმა თავად უნდა გააანალიზონ საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვანი პერიოდის ფაქტები. რაც უფრო მეტად ჩახედულია ადამიანი საკითხში, მით უფრო ობიექტური იქნება იგი მომავლის დაგეგმვაში.

**გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე ვიქტორ ცაავას** მოსაზრებით, წიგნი აქტუალურია იმით, რომ ისტორიის ის პერიოდი, როდესაც საქართველოში ჩრდილოკავკასიელი ტომები თარეშობდნენ, არცთუ ისე გავრცობილად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. ამ წიგნით მკითხველი დაინახავს, თუ რა ნეგატიურ როლს თამაშობდა ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეები საქართველოს ყოფაში. ამიტომ ლეკიანობაზე წიგნის გამოცემა საზოგადოებას დაეხმარება, გაათვითცნობიეროს მომავალი საფრთხეების შესაძლებლობები.

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ კოორდინატორი ზაურ გახარია:** „ხშირია ფაქტები, როდესაც ცდილობენ ისტორიის გადაწერას და ცვლილებების შეტანას. თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ამ წიგნში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა უტყუარ ფაქტებს. როგორც თქვენ იცით, ეს არ არის ერთი ავტორის წიგნი. „ლეკიანობაში“ თავმოყრილია რამდენიმე მეცნიერის ნაშრომი. აწ უკვე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები („ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ვგულისხმობ) და მათი მხარდამჭერები ხშირად უკმაყოფილებით ამბობდნენ, რომ თავის დროზე ერეკლე მეორემ დაუშვა შეცდომა, როდესაც გეორგიევსკის ტრაქტატს მოაწერა ხელი. ეს არის სრული სიბრიყვე. ლეკიანობამ გაანადგურა კახეთი და საკმაოდ სწრაფად იკიდებდა ფეხს საქართველოს სვხადასხვა რეგიონში. სწორედ ამ ფაქტმა გადააწყვეტინა ერეკლე მეორეს „ნაბიჯის გადადგმა“ ქრისტიანული რუსეთისაკენ. დღეს საქართველოს ისტორიიდან ამ ფაქტების ამოშლა სურთ. ამჟამად წიგნის მცირე რაოდენობა გვაქვს და ვგეგმავთ კახეთის სკოლებში დარიდებას, მაგრამ კარგი იქნება, თუ ეს შესაძლებელი გახდება მთელი საქართველოს მასშტაბით. „ლეკიანობის“ გამოცემა აუცილებელი, აქტუალური და დროული იყო. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, თუ რა ზიანი მოუტანა ჩვენს ქვეყანას ჩრდილოკავკასიელ ტომთა შემოსევებმა“.



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წიგნმა „ლეკიანობამ“ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა და გამოცემაში განთავსებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან მასალაზე აქტიური მსჯელობა პრეზენტაციის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა.

შეხვედრის დასასრულ ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს დაურიგდათ ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ სპეციალური ნომერი.

მოამზადა
**ნატა წერეთელმა**
**საქინფორმი**

# გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეოთხე ნომერი




**მკითხველი ინტერესით გაეცნობა დღევანდელობის აქტუალურ საკითხებს და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულს.**

სტალინის დაბადებიდან 133 წლისთავთან დაკავშირებით რუბრიკით **„მამულიშვილი“** მკითხველი გაეცნობა **ლევან ჩიქვანაიას პუბლიკაციას „მე პირადად ვიცნობდი...“.** „იმდენი წამიკითხავს, მომისმენია და მიფიქრია ამ კაცის დასაბამიდან ბრძოლით გავლილი ცხოვრების ნარ-ეკლიან გზაზე, რომ ასე მგონია, მართლა პირადად ვიცნობდი მას“, — ასე იწყებს სტალინზე თხრობას ბატონი ლევან ჩიქვანაია, ადამიანზე, რომლის წინაშეც თავს ხრიდნენ მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსები და რომლის პიროვნებაც იყო, არის და მუდამ იქნება განსჯის საგანი, რომლის ქცევები, პოლიტიკა ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. დღემდე იწერება მასზე, დღემდე იგრძნობა ცხოველი ინტერესი. ამ თემას ვერც ღვაწლმოსილმა პედაგოგმა აუარა გულგრილად გვერდი და საინტერესო პუბლიკაცია შესთავაზა მკითხველს.

**თემას ერთგვარად აგრძელებს ინტერვიუ უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულესთან — გრიგოლ ლიპარტელიანთან, რომელიც ავტორია წიგნისა „დიდი სტალინი“. ინტერვიუში „არ შეიძლება ორი მოძმე ხალხის დიდი მეგობრობის დაშლა ამერიკელების ან ევროპელების სასარგებლოდ“ სამშობლოდან შორს, სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები მწერალი და საზოგადო მოღვაწე გამოთქვამს რწმენას, რომ ქართულ-რუსული მეგობრობა საუკუნეების განმავლობაში გამოიწრთო და ვერც ერთი პოლიტიკოსი მას ზიანს ვერ მიაყენებს.**

ნომერში ასევე წარმოდგენილია ამონარიდი **მიხეილ წერეთლის „ერი და კაცობრიობიდან“, რომელიც ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშია, პირველი ქართულენოვანი სოციოლოგიური ნაშრომი,** რომელშიც მიხაკო წერეთელმა საბჭოთა პერიოდში ქართული საზოგადოებრივი აზრის რეგრესი იწინასწარმეტყველა. 23 დეკემბერს მისი დაბადებიდან 134 წელი შესრულდა.

**ისტორიკოს-კულტუროლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი მჭედლიშვილი გვიზიარებს თავის თვალსაზრისს** პუბლიკაციაში „ვინ ვართ ჩვენ, XXI საუკუნის ქართველები, ცივილიზაციურ კონფლიქტში თუ კულტურათა დიალოგში?“

განათლების სისტემის, კერძოდ, უმაღლესი სასწავლებლების შუქ-ჩრდილებზე გვესაუბრება **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ალეკო ქუთათელაძე.**

დღეს, როცა მთელი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში მტკიცედ ებრძვიან მონოპოლიების წარმოქმნას და ამ მხრივ საქართველოს ახალი ხელისუფლებაც აქტიური ნაბიჯების გადადგმას იწყებს, უთუო ინტერესს იწვევს უდიდესი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება ძმები ნობელების (ერთ-ერთის — ალფერდის სახელს დღეს ატარებს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი პრემია) მიერ შექმნილ ბაქოს ნავთობის გადაზიდვის მონოპოლიასთან. ამ თემაზე მკითხველი გაეცნობა **ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის, ვაჟა შუბითიძის,** წერილს „ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება ძმები ნობელების ნავთობგადაზიდვის მონოპოლიასთან“.

**რუბრიკა „ბრძოლა გადარჩენისთვის“ წარმოგიდგენთ მამხილებელ დოკუმენტებს შამილზე, როგორც თურქეთის სულთნისა და ინგლისელი კოლონიზატორების მოკავშირეზე და სხვა მასალებს.**

ცნობილი და სახელოვანი ადამიანების ფოტოალბომების დათვალიერება არასოდესაა მოსაწყენი, მითუმეტეს, როცა იქ ისეთ ფოტოებს ვაწყდებით, რომლებიც არამხოლოდ ერთი კონკრეტული ოჯახის, არამედ, შეიძლება ითქვას, საზოგადო ისტორიას ქმნის. ჟურნალის ამ ნომერში **მხატვარ გივი თოიძის საოჯახო ალბომიდან** წარმოდგენილი ფოტოებიდან თავს გვახსენებენ ცნობილი ადამიანები: მოსე თოიძე, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი და სხვ.

**ნომრის სტუმარია ჭადრაკის დედოფალი ნონა გაფრინდაშვილი,** რომელმაც ზუსტად 50 წლის წინ დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ე. ბიკოვა და მას შემდეგ ხუთგზის ფლობდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ინტერვიუში „ჩემს ცხოვრებაში ვერ მომიძებნიან ვერაფერს, რითაც შეიძლება ზიანი მიაყენონ ჩემს სახელს“ ნონა გაფრინდაშვილი დღევანდელი საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება.

აქვე ფეხბურთისმოყვარულებს **სერგო კოტრიკაძის,** თბილისის „დინამოს“ მეკარის, პირველ სპორტულ წარმატებებზე ჟურნალ „ოგონიოკში“ 50 წლის წინ დაბეჭდილი ნარკვევი მოაგონებს.

„ისტორიული მემკვიდრეობის“ ბოლო ფურცლები კი რუბრიკით **„ქართული პრესა 50 წლის წინ“** წარმოგიდგენთ 1962 წლის გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ წინასაახალწლო სტატიებს, რომლებიც უდავოდ დაგაფიქრებთ და გაგიჩენთ ლოგიკურ კითხვას: **წინ წავედით თუ უკან?**

# ირანმა ახალი გაზსადენის მშენებლობა დაიწყო

**225 კილომეტრის გაზსადენი, რომლის მშენებლობაც ირანმა დაიწყო, ერაყს გაივლის და სირიის საზღვრებამდე მივა. ამის შესახებ ტელეკომპანია „ალ ალამი“ იუწყება.** გაზსადენი ყოველდღიურად 25 მილიონი კუბური მეტრის გაზს მიაწვდის ერაყსა და სირიას. ახალი გაზსადენი ერაყის დედაქალაქ ბაღდადს გაივლის და სირიის საზღვრამდე მივა. პროექტის დასრულება უკვე 2013 წლის შემოდგომაზე იგეგმება. ირანი, რუსეთის შემდეგ, მეორე ადგილზეა ბუნებრივი აირის მარაგით. ყოველდღიურად აქ დაახლოებით 600 მილიონი კუბური მეტრის გაზს მოიპოვებენ. ამ გაზსადენით, რომლითაც ახლა მხოლოდ სირია და ერაყი ისარგებლებენ, მომავალში ბუნებრივი აირი, შესაძლოა, ევროპასაც მიეწოდოს.

დაშლის ანატომია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზოგჯერ პოლიტბიუროს სხდომებსაც ატარებდა, მაგრამ, როგორც ყვებიან, სანამ პოლიტბიუროს წევრები შეიკრიბებოდნენ, ჩერნენკო ხელში აყვანილი შეჰყავდათ დარბაზში, თავმჯდომარის მაგიდასთან სავარძელში ჩასვამდნენ, მიუწევდნენ დოკუმენტებს და ამის შემდგომ შეიპატიჟებდნენ პოლიტბიუროს წევრებს.**

# «არაჩვეულებრივი გამოფენა» ლალის ვარსკვლავების ცის ქვეშ

**საბჭოთა კავშირის დანგრევა რომ გლობალური მოვლენა იყო, განვლილმა დრომ დაადასტურა. დროის გადასახედიდან ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ კოლოსის მსხვრევის გარდაუვალობის მიზეზი იმპერიის სათავეში უნიჭო, შემთხვევით აღზევებული პატარა კაცების მისვლითაც იყო განპირობებული. სტალინის წასვლით დამთავრდა ტიტანების ეპოქა. იყო სხვა სერიოზული მიზეზებიც, რა თქმა უნდა, მაგრამ „საქართველო და მსოფლიოს“ ახალი რუბრიკა წინა ნომრებში სწორედ ამ თემით დავიწყეთ. ეს ციკლი მრავალრიცხოვანი უცხოური პუბლიკაციების, საბჭოთა არქივების განსაიდუმლოებული მასალების მიხედვითაა შედგენილი.**


კონსტანტინ ჩერნენკო

# ასე იმსხვრეოდა ფოლადი

**1984 წლის 14 თებერვალს გაზეთი „პრავდა“ წერდა, რომ წინა დღით გაიმართა სკკპ ცკ პლენუმი, რომელმაც გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია კონსტანტინე ჩერნენკო.**

**ეს მოხდა იური ანდროპოვის დასაფლავების წინა დღეს?**

რა ხდებოდა პლენუმზე?

ერთ-ერთი მონაწილე ასე აღწერს იმ დღის ამბავს: „ზუსტად 11 საათზე გაიღო კარი და პირველი ჩერნენკო გამოჩნდა, მას მოჰყვებოდნენ ტიხონოვი, გრომიკო, უსტინოვი, გორბაჩოვი და სხვები. პრეზიდიუმის წევრები თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ. გორბაჩოვი — ჩერნენკოს გვერდით... სასწაული არ მომხდარა... ჩერნენკო გენერალურ მდივნად სამარისებურ სიჩუმეში აირჩიეს“.

არავითარი შეძახილი, არავითარი ვაშა და ტაში.

ასე გახდა უზარმაზარი იმპერიის პირველი პირი სოფლის სამწლიანი სკოლის განათლების მქონე ადამიანი, რომლის კარიერული აღმასვლა უზრუნველყო მისმა უფროსმა დამ — ვალენტინამ, 30-იან წლებში კრასნოიარსკის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ.

1948 წელს ჩერნენკომ, როგორც იქნა, მიიღო უმაღლესი განათლება — დაუსწრებლად დაამთავრა კიშინიოვის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამ დროს იგი მოლდავეთის კომპარტიის ცკ პროპაგანდისა და აგიტაციის გამგედ მუშაობდა.

1950 წელს მოლდავეთის რესპუბლიკის ცკ პირველ მდივნად ირჩევენ ლეონიდ ბრეჟნევს. და ამის შემდეგ ჩერნენკოს ბრეჟნევი ყველგან თან გაიყოლებს.

ბრეჟნევის პერიოდში ჩერნენკოს საკავშირო ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ ნიშნავენ. მის ხელში ეს განყოფილება ჩვეულებრივი კანცელარიიდან ცკ-ს აპარატის მთავარ სტრუქტურად გადაიქცა, მოიპოვა გავლენა ლეონიდ ილიჩზე, რომელიც ჩერნენკოს განუსაზღვრელად ენდობოდა — საერთო განყოფილების გამგის გარეშე გენერალურ მდივანთან ვერავინ შედიოდა, მისი ნებართვის გარეშე ვერცერთი დოკუმენტი ბრეჟნევის სამუშაო მაგიდაზე ვერ დაიდებოდა. მთელი ინფორმაცია კონსტანტინ უსტინოვიჩთან იყრიდა თავს. ცკ-ის აპარატის იმდროინდელი თანამშრომლები ადასტურებენ, რომ **ბრეჟნევის დროს ეს განყოფილება თავისებურ პარტიულ დაზვერვად და კონტრდაზვერვად იქცა, სატელეფონო მოსმენები კი — ჩვეულებრივ ამბად.**

1976 წლის 15 მარტს ჩერნენკო სკკპ ცკ მდივნად აირჩიეს. კონსტანტინ უსტინოვიჩი წესიერი და პატიოსანი კაცი იყო, — წერს ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომელი რაზუმოვი, — „მაგრამ ჩვენი **ფანტაზიის მაქსიმალური მოშველიებითაც კი ვერ ვპოულობდით მასში ცენტრალური კომიტეტის მდივნის თვისებებს.** იგი ჩამოყალიბდა როგორც კანცელარიის თანამშრომელი, არც ღრმა თეორიული ცოდნა გააჩნდა, არც ეკონომიკური განათლება, არც ორგანიზატორული ნიჭი და უნარი“.

**ჟურნალისტი ბოვინი** (ბრეჟნევის „მცირე მიწის“ ფაქტობრივი ავტორი) **წერდა: „ნაცრისფერი, ცარიელი ჩინოვნიკი. ბრეჟნევის მთავარი საკადრო შეცდომა. არც ბოროტი იყო, არც ცბიერი, არც ჭირვეული, უბრალოდ — არანაირი“.**

მომაკვდინებელი დახასიათებაა!

13 თვის განმავლობაში ეს არარაობა უზარმაზარ საბჭოს იმპერიას ედგა სათავეში, და იდგა უდროობისა და უძრაობის ჟამი...

**ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა მომენტი ახლოდან ენახა თბილისში, ვგონებ, თბილისობაზე ჩამოსული გენერალური მდივანი, რომელიც რიყეზე გამართული სანახაობის საყურებლად კი მიიყვანეს, მაგრამ ტრიბუნაზე ასვლა ვერ მოეხერხებინა და ტრიბუნის ძირას მისთვის დადგმულ სკამზე ისე საცოდავად იჯდა, ისე მხრებჩამოყრილი, მარტოდმარტო და შლაპაჩამოფხატული, როგორც მასპინძლებისადმი ხელგაწვდილი ვედრება: ხალხო, თავი დამანებეთ, ნუ მაწვალებთ, ჩემი გამჭირვებიაო.**

ძლივს სუნთქავდა.

**ქვეყნის პირველი პირი არაოფიციალურ გარემოში — ასეთ კადრს ტელევიზიის ნებისმიერი თანამშრომელი ინატრებს. ჩვენს ოპერატორ ამირან მურვანიძეს ვანიშნე, მიდი-მეთქი, მაგრამ დაცვა, რომელიც თითქოს მიწიდან ამოძვრა, მის წინ აღიმართა და ჩვენი ამირანი ციმციმ გაარიდეს იქაურობას.**

**არასამუშაო გარემო კი არა, თითქმის სიკვდილის პირას იყო კაცი მისული და ასეთი გენერალური მდივნის კადრს ტელეეთერით არავინ აჩვენებდა საქართველოს მოსახლეობას.**

თბილისურ ტრიბუნაზე ასვლა კი არა, გენერალურ მდივნად არჩევის შემდეგ თავის კაბინეტში შესულმა ჩერნენკომ სამუშაო მაგიდასთან დიდხანს ვერ დაჰყო, მძიმედ წამოდგა და ძლივსძლივობით მიაღწია მოსასვენებელ ოთახში მდგარ საწოლამდე.

არჩევიდან პირველი სამი თვის განმავლობაში იგი დიდი გაჭირვებით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

მეოთხე მთავარი სამმართველოს უფროსი, აკადემიკოსი ჩაზოვი წერს, რომ იგი და მისი კოლეგები მოწმენი იყვნენ იმისა, თუ როგორ უჭირდა ჩერნენკოს სამსახურში მოსვლა, რა ძალისხმევა სჭირდებოდა, თავის უძლურებას რომ მორეოდა.

სამუშაოდ მოსულ ჩერნენკოს დაცვა სავარძელში ჩასვამდა და უცებვე ასუნთქებდა ჟანგბადის აპარატიდან, თორემ სუნთქვა შეეკვრებოდა და გაიგუდებოდა. სამუშაო ოთახიდან გამოსული გენერალური მდივანი იძულებული იყო დერეფანში ჩარიგებულ სკამებზე შეესვენა და ისე მისულიყო ლიფტამდე, ისიც დაცვის დახმარებით.

ერთხელ კი კრემლში გამართულ პოლიტბიუროს სხდომაზე კონსტანტინ უსტინოვიჩი საავადმყოფოს ეტლით მიიყვანეს.

**ცკ-ში მუშაობის პერიოდში ეს ადამიანი საავადმყოფოს ეტლით ორჯერ გამოიყვანეს შენობიდან.**

**ავადმყოფობამ ჩერნენკოს „აღსაყდრების“ მესამე თვეს დარია ხელი. ბიოგრაფები მიიჩნევენ, რომ ეს მოხდა 1984 წლის მაისის დასაწყისში.**

20-22 მაისს იგი ხვდება და ესაუბრება გენშერს. ივნისში უკვე განმარტოვდება და ყველა დოკუმენტი მასთან სტენოგრაფისტ ქალს გალია დოროშინას შეაქვს. იგი იწერს კონსტანტინ უსტინოვიჩის მითითებებს.

16 ივლისს „პრავდა“ აქვეყნებს ცნობას, რომ 15 ივლისს სკკპ ცკ გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ.უ. ჩერნენკო შვებულებაში გავიდა.

მიხაილ გორბაჩოვისა და ევგენი ჩაზოვის რჩევით იმავე წლის ზაფხულში კონსტანტინ უსტინოვიჩი სტავროპოლის მხარის მაღალმთიან კურორტზე სანატორიუმ „სოსნოვი ბორში“ გაემგზავრა. **ეს სანატორიუმი ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გაუგებარი იყო, რატომ აირჩიეს მაინც და მაინც ეს ადგილი, როცა ჩერნენკოს ფილტვების ემფიზიემა და ჟანგბადის უკმარისობა აწუხებდა ჩვეულებრივ პირობებშიც კი.**

**დასვენების მთელი პერიოდის განმავლობაში გენერალური მდივანი სანატორიუმის შენობიდან ერთხელაც არ გამოსულა.**

**იყო ეს შედეგი ექიმების უვიცობის (რაც საეჭვოა), თუ განგებ მოწყობილს ჰგავდა? გადაწყვეტილების მიღებას ამ შემთხვევაში არც დიდი ცოდნა, არც დიდი განსჯა და კონსილიუმები არ სჭირდებოდა. მაგრამ ექიმები არ აჩქარებულან, როცა კონსტანტინ უსტინოვიჩს ხუთვა დაეწყო, არც მაშინ, როცა ოთახიდან ოთახში გასვლაც კი გაუჭირდა.**

მოგვიანებით ევგენი ჩაზოვი პოლიტბიუროს მოახსენებდა, რომ პრობლემა ადგილის შერჩევა კი არ იყო, არამედ ის, რომ **ექიმთა მუდმივი ყურადღების ქვეშ მყოფ ჩერნენკოს შუა ზაფხულში აღმოაჩნდა „ორმხრივი პნევმონია“, ანუ ფილტვების ორმხრივი ანთება (!).**

ასეთი „წინდაუხედაობის“ შედეგად ჩერნენკო ისე ცუდად შეიქნა, რომ 10 დღეში სასწრაფოდ გადააფრინეს კისლოვოდსკიდან მოსკოვში, თანაც მიაჩნდათ, გამოჯანმრთელების შანსი არ ჰქონდა.

„შევიდა თავისი ფეხით, გამოიტანეს საკაცეთი“, — წერდნენ მაშინ.

სასწრაფოდ დაამზადეს ესკალატორი, მინერალური წყლების აეროპორტში გააგზავნეს სატრანსპორტო ლაინერი „ილ-76“. როგორც კი დაფრინდა, უშიშროების სამსახურის ორმა ჯანიანმა თანამშრომელმა ჩერნენკო ატატებული ტრაპთან მიიყვანა, ჩართეს ესკალატორი და ასე აიყვანეს ბორტზე.

„ვაშინგტონ პოსტი“ წერდა, რომ მოსკოვის აეროპორტიდან ჩერნენკო პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს. არის სხვა ვერსიაც, თითქოს აეროპორტიდან ზავიდოვოს აგარაკზე ჩაიყვანეს. „სიარული არ შეეძლო. ძლივს ლაპარაკობდა. გაუხშირდა ასთმური შეტევები, რაც ადრე იშვიათად ემართებოდა. ახველებდა, ხიხინებდა... აგარაკზე, კაბინეტში დადგეს ჟანგბადის სპეციალური აპარატები“.

**ერთ კვირაში კრიზისმა გაუარა. კონსტანტინ უსტინოვიჩი ფეხზე წამოდგა, მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ავადმყოფი თვალსა და ხელს შუა სუსტდებოდა.** გამუდმებით ყლაპავდა აბებს, გადიოდა მოსასვენებელ ოთახში, სადაც სასუნთქი აპარატი იდგა. თავად აღიარებდა, რომ ასეთი დატვირთვა მის ძალებს აღემატებოდა, თუმცა ახლობლები ამტკიცებდნენ, რომ ამ დროს იგი ნათლად აზროვნებდა. ►

## ნიუთაუნელი მსროლელი ბრეივიკის საყვარელი თამაშით ერთობოდა

**20 წლის ამერიკელი ადამ ლანზა, რომელმაც ნიუთაუნის დაწყებით სკოლაში 26 ადამიანი მოკლა, ნორვეგიელი ტერორისტის, ანდერს ბრეივიკის, საყვარელ კომპიუტერულ თამაშს Call of Duty-ის ხშირად თამაშობდა.** თამაშის მთავარი გმირის მისია მტრების განადგურებაა. აუტიზმით დაავადებული ახალგაზრდა, ბრეივიკის მსგავსად, კომპიუტერთან დიდ დროს ატარებდა. **„ადამი უფანჯრო სარდაფში ცხოვრობდა. მას კომპიუტერი და ტელევიზორი ჰქონდა“,** — იხსენებს სანტექნიკოსი პიტერ ვლასიუკი, რომელიც ლანზების ოჯახში მუშაობდა. მისი თქმით, ძმებს სახლში ყველა სახის საბრძოლო იარაღის პოსტერი ჰქონდათ, რაც კი ოდესმე აშშ-ში უწარმოებიათ.





**ამ პერიოდში საქართველო წარმოდგენილი იყო, როგორც ლაბორატორია, რომელშიც სოციალისტური ეკონომიკის გვერდის ავლით ახალი თვალთახედვის მაგალითები პრაქტიკულად მკვიდრდებოდა, ტარდებოდა გაბედული ექსპერიმენტები. განზრახული იყო, პარტიული კომიტეტებისთვის ჩამოერთმიათ ეკონომიკის ხელმძღვანელობის ბერკეტები, რასაც ჯერ კიდევ სტალინი აპირებდა.**

დაშლის ანატომია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ლეონიდ ბრეჟნევი, ანდრეი გრომიკო, კონსტანტინ ჩერნენკო
ITAR-TASS

## ჩერნენკო ხელში აყვანილი შეჰყავდათ დარბაზში, თავმჯდომარის მაგიდასთან სავარძელში ჩასვამდნენ, მიუწევდნენ დოკუმენტებს და ამის შემდგომ შეიპატიჟებდნენ პოლიტბიუროს წევრებს

◀ ზოგჯერ პოლიტბიუროს სხდომებსაც ატარებდა, მაგრამ, როგორც ჰყვებიან, სანამ პოლიტბიუროს წევრები შეიკრიბებოდნენ, ჩერნენკო ხელში აყვანილი შეჰყავდათ დარბაზში, თავმჯდომარის მაგიდასთან სავარძელში ჩასვამდნენ, მიუწევდნენ დოკუმენტებს და ამის შემდგომ შეიპატიჟებდნენ პოლიტბიუროს წევრებს. სუნთქვა უჭირდა, წითლდებოდა, რამდენიმე წინადადებას იტყოდა, წალუღლუღებით წაიკითხავდა იმას, რასაც თანაშემწეები დაუწერდნენ.

და სხდომაც მალე მთავრდებოდა.

რჩებოდა თუ არა კრება მხიარული, რა მოგახსენოთ, — სიტუაცია ძალიან მძიმე იყო.

**ამ ვითარებაში ჩერნენკოს კვირაში სამ დღეს ასვენებდნენ, დანარჩენ დღეებში რამდენიმე საათს ამუშავებდნენ. ამერიკელი მილიარდერი არმანდ ჰამერი, რომელიც მზად იყო იური ანდროპოვის მკურნალობაში დახმარებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობას, მზად იყო ჩერნენკოსაც ამოდგომოდა მხარში.**

**მაგრამ არ ისურვეს... თუ აზრი არ ჰქონდა?**

ამასობაში, 1984 წლის 20 დეკემბერს გარდაიცვალა თავდაცვის მინისტრი და პოლიტბიუროს წევრი, სტალინის დროინდელი კადრი — დიმიტრი უსტინოვი. ჩერნენკო გამოსამშვიდობებლად სამოქალაქო პანაშვიდზე კი მივიდა, მაგრამ დაკრძალვას ვერ დაესწრო. მოსკოვში საშობაო ყინვები იდგა და ტემპერატურამ მინუს 24 გრადუსამდე დაიწია.

27 დეკემბერს ჩერნენკო მონაწილეობდა საბჭოთა მწერლების დაჯილდოების ცერემონიაში და მალე კვლავ საავადმყოფოში აღმოჩნდა — სამუშაო კაბინეტიდან კვლავ საკაცით (ეს მეორე შემთხვევა იყო) გაიყვანეს. ამ დღიდან მოყოლებული იგი საავადმყოფოში თითქმის გამოუსვლელად მკურნალობდა.

1985 წლის 10 მარტს გარდაიცვალა.

ქვეყნის სათავეში მოსასვლელად გორბაჩოვი ემზადებოდა.

რატომ მაინც და მაინც მიხაილ გორბაჩოვი, ეს, პროვინციიდან მოსული ფუნქციონერი? ამაზე ცალკე ვილაპარაკებთ, იმაზეც, თუ რატომ დადო ფსონი დასავლეთმა გორბაჩოვზე.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა იმაზე, რომ ჩერნენკოს 13 თვეში მაინც რაღაც კეთდებოდა.

მიაჩნიათ, რომ ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ ბრეჟნევის პერიოდის რესტავრაცია დაიწყო და „აბსოლუტური უძრაობის“ ხანა დამკვიდრდა.

მაგრამ **ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით, ჩერნენკოს 13 თვე პერესტროიკის „ემბრიონალური პერიოდი“ იყო.**

ანდროპოვისეული წმენდა გაგრძელდა, ახალი გენერალური მდივანი არ აპირებდა შეენელებინა კორუფციისა და მომხვეჭელობის წინააღმდეგ დაწყებული შეტევა. „უზბეკეთის საქმე“ სწორედ ამ პერიოდში დასრულდა და საქვეყნოდ გაჟღერდა.

პარალელურად მიმდინარეობდა ძიების პროცესი.

სერიოზულად იმუშავეს ეკონომიკის შემდგომი განვითარების პრობლემებზე. შეიქმნა კონცეფცია, რომლის მიხედვით ქვეყანაში **უარი უნდა ეთქვათ მეურნეობრიობის გეგმიურ გაძღოლაზე და საბჭოთა ეკონომიკაში უნდა დამკვიდრებულიყო საბაზრო ეკონომიკის პრინციპები სახელმწიფო სექტორის წამყვანი როლის შენარჩუნებით. იქმნებოდა არასახელმწიფო ეკონომიკის ეტალონური მაგალითები, რომლებიც სისტემის შემდგომ ევოლუციას უნდა დადებოდა საფუძვლად. საბჭოთა კავშირი რბილად და უპრობლემოდ უნდა გამოსულიყო სოციალიზმიდან.**

ამ პერიოდში საქართველო წარმოდგენილი იყო, როგორც ლაბორატორია, რომელშიც სოციალისტური ეკონომიკის გვერდის ავლით ახალი თვალთახედვის მაგალითები პრაქტიკულად მკვიდრდებოდა, ტარდებოდა გაბედული ექსპერიმენტები.

განზრახული იყო, **პარტიული კომიტეტებისთვის ჩამოერთმიათ ეკონომიკის ხელმძღვანელობის ბერკეტები,** რასაც ჯერ კიდევ სტალინი აპირებდა, და ცენტრისთვის დაეტოვებინათ ეკონომიკის მხოლოდ საბაზო დარგების ხელმძღვანელობის უფლება.

ასეთი გარდაქმნების პროექტი აკადემიკოსმა ჯერმენ გვიშიანმა წარუდგინა ცენტრალური კომიტეტის მდივან ნიკოლაი რიჟკოვს. მთავრობის თავმჯდომარემ ტიხონოვმა დაიწუნა დოკუმენტი, თუმცა გადამუშავების შემდეგ მაინც მიიღეს.

მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მზად არ აღმოჩნდა ამგვარი რადიკალური გარდაქმნებისთვის.

დამუშავდა სპეციალური „კომპლექსური პროგრამა“, რომლის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბდა საგანგებო მოხსენებით ბარათში „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ზოგიერთი საკვანძო საკითხების შესახებ“. ეს დოკუმენტი უნდა ყოფილიყო საფუძველი გენერალური მდივნის მოხსენების, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმისთვის უნდა წარედგინათ. 18-გვერდიანი წერილი გაიგზავნა კიდეც ცენტრალურ კომიტეტში პოლიტბიუროს სხდომაზე განსახილველად.

მაგრამ მოულოდნელად ვითარება შეიცვალა. ამ პროგრამის ერთ-ერთმა ინიციატორმა მიხეილ გორბაჩოვმა უცებ განაცხადა, რომ აჩქარება საჭირო არ არის, რომ მან ინახულა ჩერნენკო და პოლიტბიუროზე შეიტანა წინადადება იმ პლენუმის გადადების შესახებ, რომელზეც უნდა განეხილათ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხები.

ეს მომენტი ნიკოლაი რიჟკოვმა ასე ახსნა: **„როგორც ჩანს, კულისებს მიღმა უკვე მიმდინარეობდა მუშაობა ჩერნენკოს შესაცვლელად, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ თვალსა და ხელს შუა ქრებოდა“.**

ბოლოს და ბოლოს ეს ნატანჯი და ძალაუფლებისგან დაღლილი გენერალური მდივანი გარდაიცვალა.

**ახალი წლის პირველივე ნომრიდან „საქართველო და მსოფლიო“ შემოგთავაზებთ პუბლიკაციას იმის თაობაზე, თუ ვინ მიიყვანა მიხაილ გორბაჩოვი ხელისუფლების სათავეში.**

**გაგრძელება იქნება**

**არმაზ სანებლიძე**

## ბრიტანეთმა, შესაძლოა, ევროკავშირი დატოვოს



**დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა პირველად საჯაროდ აღაიარა, რომ დიდმა ბრიტანეთმა, შესაძლოა, ევროკავშირი დატოვოს. „ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჩვენს ბედზე და შეგვიძლია დამოუკიდებლად მივიღოთ გადაწყვეტილება“,** — აღნიშნა კამერონმა. იგი მიიჩნევს, რომ ბრიტანეთი ევროკავშირში უნდა დარჩეს და ჰქონდეს ევროპაში თავისი გავლენის გაზრდის შესაძლებლობა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ლონდონის მერმა ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ ბრიტანეთს შეეძლო აყვავება გაერთიანებული ევროპის გარეშეც. ის დარწმუნებულია, რომ, თუ ბრიტანეთი ევროკავშირს დატოვებს, ამით სამყაროს აღსასრული არ დაემუქრება.



## ბრაზილია რუსული შვეულმფრენების წარმოებას დაიწყებს

**ბრაზილიამ და რუსეთმა ერთობლივ სამხედრო წარმოების ორგანიზებაზე შესაბამისი მემორანდუმი გააფორმეს. რუსულმა „როსტექნოლოგიებმა“ და შეიარაღების უმსხვილესმა ბრაზილიურმა მწარმოებელმა Odebrecht Defensa Technologia-მ ხელშეკრულებას უკვე მოაწერეს ხელი.** თანამშრომლობა შვეულმფრენების, ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებისა და საზღვაო ტექნიკის სფეროებს მოიცავს. ბრაზილიური მხარე მოსკოვს ოქტომბრის შუა რიცხვებში სტუმრობდა. მოლაპარაკებების შედეგად მხარეები ბრაზილიის ტერიტორიაზე შვეულმფრენების მწარმოებელი საწარმოს შექმნაზე შეთანხმდნენ. პირველ ეტაპზე სმ-171-ის ტიპის შვეულმფრენის წარმოებისთვის საჭირო მთლიანი ხაზის ორგანიზება მოხდება. შემდგომ კი რუსი სპეციალისტების დახმარებით სმ-35ს-ის ტიპის დამრტყმელი შვეულმფრენების მომსახურების ტექნიკური ცენტრი შეიქმნება. ასევე იგეგმება ბრაზილიის თავდაცვის უწყების მოთხოვნების გათვალისწინებით შესაბამისი ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების შექმნა.

თანამშრომლობა შვეულმფრენების წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიების სრული პაკეტის გადაცემასა და ბრაზილიაში რუსი სპეციალისტების დიდი ჯგუფის მივლენას ითვალისწინებს. ორივე მხარისთვის ეს საკმაოდ სარფიანი გარიგებაა. რუსეთი ამ პროექტიდან საკმაოდ სოლიდურ თანხას, ბრაზილია კი თანამედროვე ტექნოლოგიებს მიიღებს. სამხრეთ ამერიკის ეს ქვეყანა სამხედრო მრეწველობის განვითარებაში დიდ თანხებს აბანდებს. საკუთარი რესურსებით ბრაზილიელმა ინჟინრებმა მსუბუქი მოიერიშე თვითმფრინავები (კომპანია Embraer), ჯავშანმანქანები და ტანკიც კი შექმნეს. რუსულ-ბრაზილიური სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა დასაბამს 2008 წლიდან იღებს. მას შემდეგ ოფიციალურმა მოსკოვმა სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანას 306,7 მილიონი დოლარის საერთო ღირებულების სამხედრო პროდუქცია მიაწოდა. უკანასკნელი შენაძენი სმ-35ს-ის ტიპის 12 ერთეული დამრტყმელი შვეულმფრენია.

მოკლედ

## ჰილარი კლინტონს სენატორი ჯონ კერი შეცვლის



**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ჰილარი კლინტონს სენატორი ჯონ კერი შეცვლის.** დასავლური მედიის ინფორმაციით, შესაბამისი გადაწყვეტილება პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მიიღო. კერი სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს ხელმძღვანელობს. ზემოხსენებულ თანამდებობაზე მისი კანდიდატურა სწორედ სენატმა უნდა დაამტკიცოს. როგორც ცნობილია, თანამდებობის დატოვების სურვილი კლინტონმა თვითონ გამოთქვა. არსებული ინფორმაციით, იგი პოლიტიკიდან საერთოდ მიდის.

## არგენტინისა და ჩილეს საზღვართან ვულკანმა გაიღვიძა

**არგენტინისა და ჩილეს საზღვართან ვულკანმა კოპაუმ გაიღვიძა.** ადგილობრივი მედიის ცნობით, ვულკანის სიმაღლე სამ ათას მეტრს შეადგენს. ორივე ქვეყანაში ვულკანის გააქტიურებასთან დაკავშირებით მეორე დონის — „ნარინჯისფერი“ განგაში გამოცხადდა. ორივე ქვეყნის ხელისუფლებამ ადგილობრივი მცხოვრებლები გააფრთხილა, რომ მათ თვალყური უნდა ადევნონ ვულკანის აქტიურობას და ევაკუაციისთვის მზად იყვნენ.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანამედროვე მონა იძულებულია, სიცოცხლის ბოლომდე შეუჩერებლად იმუშაოს, რადგან მის მიერ 1 თვის მანძილზე გამომუშავებული სახსრები მხოლოდ ერთი თვის საკმარი საკვების, მგზავრობის ღირებულებისა და ქირისთვისაა განსაზღვრული.**

# თანამედროვე მონობა, ანუ ცხოვრება ხელფასიდან ხელფასამდე

**თანამედროვე მსოფლიოში ადამიანთა უფლებების თანასწორობის ილუზია მეფობს და რატომღაც ყველას ერთხმად სჯერა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალ მსოფლიოში, სადაც არ არსებობს მონობა. მიღებულია, რომ მონობა წარსულის გადმონაშთად უნდა ითვლებოდეს, მაგრამ ასეა სინამდვილეში? ყველა ადამიანი გრძნობს ამ თანასწორობას? რაც უნდა სამწუხარო იყოს, მონობა ჯერ კიდევ არსებობს. ვიღაც ამას ვერ ამჩნევს, ვიღაცას არ სურს, შეამჩნიოს, ვიღაც კი ძალიან ცდილობს, რომ ყველაფერი როგორცაა, ისე დარჩეს.**



ცხადია, ადამიანთა სრულ თანასწორობაზე საუბარი არც არასდროს ყოფილა. ეს ფიზიკურად შეუძლებელია. ვიღაც იბადება 2 მარტს დიდებული გარეგნობით კარგ ოჯახში, ვიღაც კი იძულებულია, გაჩენის წუთიდან გადარჩენისთვის იბრძოლოს. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ყველაზე მეტად მათ განასხვავებთ გადაწყვეტილებები, რომელთაც თავად იღებენ.

მონობა არის საზოგადოების წყობა, სადაც ადამიანი (მონა) არის სხვა ადამიანის (პატრონის) ან სახელმწიფოს საკუთრება.

გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მეოთხე პუნქტში მცნება მონა გაფართოებულია ნებისმიერ პირამდე, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი ნებით უარი თქვას სამსახურზე.

კაცობრიობა ათასწლეულების მანძილზე ცხოვრობდა მონათმფლობელურ საზოგადოებაში. საზოგადოების დომინირებადი ფენა ძალით აიძულებდა გაცილებით უფრო სუსტ ფენას, ემუშავა მის სასარგებლოდ არაადამიანური პირობებით. და მონობაზე უარის თქმა მხოლოდ ჰაერში გასროლილი ლოზუნგები რომ არ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა ამდენად სწრაფად და მთელი მსოფლიოს მაშტაბით. უბრალოდ, ძალაუფლების მქონეებმა გადაწყვიტეს, რომ მონობის გარეშეც მოახერხებდნენ ხალხი სიღატაკეში, შიმშილში ჰყოლოდათ და ისევ მათი ხელით შეესრულებინათ საჭირო სამუშაო გროშების ფასად. ასეც მოხდა.

ძირითადი ოჯახები, რომლებიც პლანეტაზე კაპიტალის უდიდეს ნაწილს ფლობენ, არსად გამქრალან. ისინი იმავე დომინირებად მდგომარეობაში დარჩნენ და გააგრძელეს გამდიდრება უბრალო ადამიანების ხარჯზე. **მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის 40-დან 80 პროცენტამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და არა საკუთარი სურვილით ან შემთხვევით.** ეს ადამიანები არც ინვალიდები არიან, არც გონებრივად ჩამორჩენილები, არც ზარმაცები და არც დამნაშავეები. მიუხედავად ამისა, საკუთარ თავს ვერ აძლევენ ვერც ავტომანქანის, ვერც უძრავი ქონების, ვერც სასამართლოში თავიანთი უფლებების ღირსეული დაცვის ყიდვის უფლებას. ეს ადამიანები მუდმივად იბრძვიან გადარჩენისთვის და ყოველდღე არაადამიანურად შრომობენ რაღაც სასაცილო გროშებისთვის. და ეს ასე ხდება მშვიდობიან პერიოდშიც და იმ ქვეყნებშიც, რომელთაც უდიდესი ბუნებრივი რესურსების მარაგები აქვთ. იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ აწუხებთ მოსახლეობის ჭარბი რაოდენობის პრობლემა და ხშირი ბუნებრივი კატაკლიზმები. მაშ, რაღა არის ეს?

თუ ადამიანის უფლებათა დეკლარაციას დავუბრუნდებით, თვალნათლივ ჩანს, რომ ამ ადამიანებს არ აქვთ საშუალება, საკუთარი შეხედულებისამებრ თქვან უარი სამსახურზე, საკუთარი თავი მოსინჯონ სხვა ბიზნესში, ორიოდე წელი პროფესიის შეცვლას მოახმარონ.

**მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის 40-დან 80-პროცენტამდე ნაწილს მონები შეადგენენ. მათსა და მდიდრებს შორის უფსკრული კი სულ უფრო ღრმავდება და ამას არც არავინ მალავს. მმართველი ოჯახები ბანკირებთან ერთად ქმნიან სისტემას, რომელიც მხოლოდ მათსავე გამდიდრებაზეა ორიენტირებული, უბრალო ადამიანებს კი თანაბარ მდგომარეობაში ტოვებენ.** ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ უძრავი ქონება ადამიანის სამუშაო საათებზე გადაანგარიშებით ამდენი უნდა ღირდეს? უკვე აღარაფერია სათქმელი იმ უზარმაზარ ტერიტორიებზე, რომლებიც ნებისმიერ ქვეყანაში აბსოლუტურად უქმადაა. **მთავარი უძრავი ქონების ფასის მომატება კი არა, ადამიანის სიცოცხლის გაუფასურებაა.** თავიანთი „პატრონებისთვის“ არაფერს წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც რაღაც ბარაკებში ან მრავალსართულიან ბეტონის საქათმეებში ცხოვრობენ, სისხლის ფასად შოულობენ პურის ფულს და მთელი წელი ცოდვილობენ, რომ როგორმე მოახერხონ წელიწადში ერთხელ მოკლევადიანი დასვენება ნახევრად ბომჟის მდგომარეობაში. მსხვილი კაპიტალი კარნახობს კანონებს, მოდას, პოლიტიკას, აყალიბებს და ანადგურებს ბაზრებს... **რა შეიძლება დაუპირისპიროს კორპორატიულ მანქანას უბრალო ადამიანმა? არაფერი.** დიდი კაპიტალის მქონე პირებს შეუძლიათ, ხელისუფლებაში საკუთარი ინტერესების ლობირება იყიდონ და მუდამ მოგებულები დარჩნენ, მიუხედავად თავიანთი საქმიანობის ხასიათისა და ხარისხისა.

ძალაუფლების მქონენი „მონებს“ გზავნიან ომებში, სვამენ გალიებში ვალების გამო, უზღუდავენ გადასახლების უფლებას და, რაც ყველაზე სამწუხაროა, „მონები“ თავად არიან თავიანთ პატრონებზე არანაკლებ დამნაშავენი იმ ყველაფერში, რაც მათ თავს ხდება.

თანამედროვე მონობა სულ უფრო დახვეწილ ფორმებს იღებს. ეს არის ხალხის გაუცხოება საკუთარ რესურსებთან, ტერიტორიასთან სასარგებლო ტერიტორიულ რესურსებზე უფლებების უკანონო პრივატიზების გზით. მაგალითად, თემის, ხალხის, ტერიტორიის, რეგიონების, ქვეყნების უზარმაზარი რესურსების მონოპოლიური ფლობის დამცავი კანონი თავსმოხვეულია არაკეთილსინდისიერი ხელისუფლებების — ჩინოვნიკების, „არჩეულების“, კანონმდებლების მიერ. მონობის ძირითადი ნიშანი არის რესურსების, უფლებებისა და უფლებამოსილებების სამართლიანი გადანაწილების პრინციპის უგულებელყოფა ერთი ჯგუფის გასამდიდრებლად მეორის ხარჯზე.

**ნებისმიერი ფორმა, რომლითაც ხდება შეღავათებით არაადეკვატური სარგებლობა და რესურსების არათანაბარი გადანაწილება, არის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მონური მდგომარეობის მანიშნებელი.** თანამედროვე დემოკრატიებიდან ან საზოგადოების ცხოვრების თვითორგანიზაციის სხვა ფორმიდან არაა მოკლებული ამ მანკიერებებს სახელმწიფოს მასშტაბური მიზნებიდან გამომდინარე. ამ ყველაფრის ნიშნებს წარმოადგენენ საზოგადოების მთელი ინსტიტუტები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან უკიდურეს ფორმებში გამოხატული ანალოგიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

და მდგომარეობა მხოლოდ უარესდება. თუნდაც ვიგულისხმოთ, რომ ადამიანებს ხელს აძლევთ ამგვარ მდგომარეობაში ყოფნა ან მათთვის ეს ასატანია. ამ სისტემის შეჩერება აუცილებელია, რადგან მომავალი თაობებისთვის მის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო ძნელი იქნება.

**თანამედროვე მონებს მუშაობას შემდეგი ფარული მეთოდებით აიძულებენ:**

**ეკონომიკური იძულება. თანამედროვე მონა იძულებულია, სიცოცხლის ბოლომდე შეუჩერებლად იმუშაოს, რადგან მის მიერ 1 თვის მანძილზე გამომუშავებული სახსრები მხოლოდ 1 თვის საკმარი საკვების, მგზავრობის ღირებულებისა და ქირისთვისაა განსაზღვრული. ვინაიდან თანამედროვე მონას ფული მუდამ მხოლოდ ერთი თვისთვის ყოფნის, იგი იძულებულია, მუდმივად, სიცოცხლის ბოლომდე იმუშაოს. პენსიაც დიდი ფიქციაა, რადგან პენსიონერი მონაც მთელ პენსიას სახლისა და საკვებისთვის ხარჯავს და არასდროს რჩება თავისუფალი ფული.**

დამონების კიდევ ერთი თანამედროვე მეთოდია **ხელოვნური მოთხოვნილების შექმნა ფსევდოსაჭირო საქონელზე,** რომელსაც თავს ახვევენ ხალხს სატელევიზიო რეკლამის, პიარის, მაღაზიაში საქონლის გარკვეულ ადგილებზე განლაგებით და ასე შემდეგ. თანამედროვე მონა ჩათრეულია სიახლეების მუდმივ დევნაში, რის გამოც იძულებულია, მუდამ იმუშაოს.

ეკონომიკური იძულების მესამე ფარული მექანიზმია **საკრედიტო სისტემა,** რომლის „დახმარებითაც“ თანამედროვე მონები სულ უფრო ეფლობიან საკრედიტო კაბალაში საპროცენტო განაკვეთების თანამედროვე მექანიზმებით. ყოველდღიურად თანამედროვე მონის ვალი იზრდება და იმისათვის, რომ როგორმე დაფაროს პროცენტიანი კრედიტი, იგი იღებს ახალ კრედიტს და თავად აგებს ვალების პირამიდას. ვალები კარგი სტიმულატორია იმისათვის, რომ თანამედროვე მონამ თავდაუზოგავად იმუშაოს მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდაც კი.

თანამედროვე მონების იძულების მორიგი მეთოდი, **იმუშაონ უხილავი მონათმფლობელის სასიკეთოდ,** სახელმწიფოს შესახებ მითია. **თანამედროვე მონა თვლის, რომ სახელმწიფოზე მუშაობს, მაგრამ სინამდვილეში იგი მუშაობს ფსევდოსახელმწიფოზე, რადგან მისი ფული მონათმფლობელის ჯიბეში მიდის. მცნება სახელმწიფო კი გამოიყენება, რომ დაიბინდოს მონების გონება, არ დასვან ზედმეტი შეკითხვები იმის თაობაზე, თუ რატომაა, რომ მუდამ მუშაობენ და არასდროს აქვთ წილი მოგებიდან, ან სად მიდის მათ მიერ გადასახადების სახით აღებული თანხა.**

შემდეგი მექანიზმი **ინფლაციაა. ფასები იზრდება, მაგრამ არ იზრდება მონათა ხელფასები, რაც ამ უკანასკნელთა ფარული და შეუმჩნეველი ძარცვაა.** ამ მექანიზმის წყალობით თანამედროვე მონა დღითიდღე უფრო ღარიბდება.

სხვაგან გადასახლების უფლებისა და იქ უძრავი ქონების შეძენის საშუალების წართმევით **მონები იძულებულნი არიან, იმუშაონ ერთსა და იმავე ადგილას და ითმინონ კაბალური პირობები.** მათ გასაქცევი არსად აქვთ.

მონას უსასყიდლოდ მუშაობას აიძულებს მექანიზმი, რომლის წყალობითაც იმალება მონათა მიერ წარმოებული პროდუქციის ნამდვილი ღირებულება, ამ პროდუქციის შექმნის რეალური ღირებულება და ანაზღაურების ის წილი, რომელიც საბუღალტრო დანარიცხების სახით მონათმფლობელის ჯიბეში მიდის.

იმისათვის, რომ თანამედროვე მონებმა არ მოითხოვონ მოგების წილი იქიდან, რაც მათმა მამებმა, პაპებმა და პაპის პაპებმა შექმნეს, საგულდაგულოდ იმალება ფაქტები იმ რესურსების შესახებ, რომლებიც ასწლეულებისა და ათასწლეულების მანძილზე მონების შრომით შეიქმნა.

lastrevolution.org

## იტალიის პრეზიდენტმა პარლამენტი დაითხოვა



**იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯიო ნაპოლიტანომ პარლამენტი დაითხოვა. უცხოური მედიის ინფორმაციით, იტალიის კონსტიტუციის მიხედვით, არჩევნები 70 დღეში უნდა დაინიშნოს და, როგორც ვარაუდობენ, ეს თარიღი 2013 წლის 24 თებერვალი იქნება.** პარლამენტის დათხოვნის მიზეზად იტალიაში შექმნილი სამთავრობო კრიზისი სახელდება. მანამდე პოსტი ოფიციალურად დატოვა იტალიის პრემიერ-მინისტრმა მარიო მონტიმ. ეს გადაწყვეტილება მას ჯერ კიდევ 8 დეკემბერს ჰქონდა მიღებული, მას შემდეგ, რაც სილვიო ბერლუსკონის პარტიამ „სახალო თავისუფლება“ მონტის მინისტრთა კაბინეტს მხარი არ დაუჭირა. ამასთან, მონტი იმასაც ამბობდა, რომ თანამდებობას მაშინვე დატოვებდა, როგორც კი 2013 წლის ბიუჯეტი დამტკიცდებოდა. აღსანიშნავია, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრობის სურვილი ისევ გამოხატა სილვიო ბერლუსკონიმ, რომელსაც ეს პოსტი სამჯერ ეკავა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სერთიფიცირებულმა ექსპერტებმა ჰაერში ბენზინის, მეთანის, ქლოროფორმის, ბუტანის, ტოლუოლისა და კსილენის ჭარბი რაოდენობა აღმოაჩინეს, მაგრამ, ვინაიდან ენერგეტიკული კომპანიები არ ექვემდებარება ეკოლოგიური კანონების საკვანძო მუხლებს, მოქალაქეებისთვისაც და ექსპერტებისთვისაც ძნელი დასადგენია, რა ნივთიერებები შედის ფრეკინგის სითხეში. ამის ცოდნის გარეშე კი ვერავინ დაადგენს, თუ რა ხოცავს ცხოველებს.**

# უკუდო ძროხები და ფიქლის გაზის არითმეტიკა

**ფიქლის გაზის მოპოვებისას არსებობს რამდენიმე საზოგადოებრივი რისკი, ისეთი, როგორიცაა გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურება, ჰაერის დაბინძურება მაღალი სასათბურე ეფექტის მქონე მეთანის გაჟონვის გზით და ასე შემდეგ. ხოლო ვინც ჭაბურღილთან ახლოს ცხოვრობს, იცის, რომ წარმოუდგენელი ხმაურის გამო იქ ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ფიქლის გაზის მოპოვება, როგორც ჩანს, ყველა ხარჯს ანაზღაურებს.**



იელის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა, რომელთაგან მრავალი ენერგეტიკის სფეროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, იელის უნივერსიტეტის პროფესორის ემერიტუს პოლ მაკ ავიას ხელმძღვანელობით სცადეს, ციფრებში გამოესახათ ამერიკისთვის ფიქლის გაზის მოპოვებისგან მიღებული მოგება.

ყველა რთული ეკონომიკური განტოლების გაშიფვრის შედეგად, გამოდის, რომ ფიქლის გაზის შემდგომი მოპოვებიდან მოგება იმდენად დიდია, რომ მნიშვნელოვნად გადააჭარბებს დაბინძურების ყველაზე უარესი სცენარების შედეგების აღმოფხვრის ხარჯებს.

უფრო კონკრეტულად: 2008 წელს, ვიდრე ფიქლის გაზის მოპოვება დაიწყებოდა, ათასი კუბური ფუნტის ფასი 7,97 დოლარს შეადგენდა, 2011 წელს კი ეს მაჩვენებელი 3.95 დოლარამდე დაეცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, **ფიქლური აჟიოტაჟის პირობებში, ამერიკა წელიწადში 103 მილიარდით ნაკლებს ხარჯავს გაზზე.** ვინაიდან წელს კიდევ დაიკლო ფასმა, მოგება კიდევ უფრო მეტი იქნება.

**ამერიკას რომ ფიქლის გაზის შიფრი არ ამოეცნო, მოხდებოდა ის, რასაც ექსპერტები წინასწარმეტყველებდნენ — ყატარიდან, ავსტრალიიდან და რუსეთიდან უზარმაზარი რაოდენობის გაზის ექსპორტი დასჭირდებოდა, ამგვარი გაზის ათასი კუბური ფუნტი კი ამერიკას, მინიმუმ, 14 დოლარი, ანუ ფიქლის გაზზე სამჯერ და მეტად ძვირი დაუჯდებოდა.**

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, ბურღვა და პლასტების ჰიდროგარღვევა მოხმარების ნებისმიერი სიხშირის შემთხვევაში განაპირობებს გარემოს დაბინძურებას, კვლევის ავტორებმა 10 000 ახალ ბურღზე წელიწადში 100 ინცინდენტი დაითვალეს. პლასტის ჰიდრავლიკური გარღვევისთვის საჭირო ხუთი ათასი გალონი დაბინძურებული წყლის დაღვრა, ამის შემდეგ კი ხუთი ათასი კუბური იარდი მიწის მოგროვება და უტილიზაცია დაახლოებით 2,5 მილიონი დოლარი დაჯდება. უფრო მეტიც, **თუ სასმელი წყლის ჭები დაბინძურდება, ახალი წყლის მიყვანა დაახლოებით 5 ათასი დოლარი ეღირება.** თუ წელიწადში ას ინციდენტს დავთვლით, მათი შედეგების ლიკვიდაცია 250 მილიონი დოლარი დაჯდება.

**თუ ამ 250 მილიონს წლიურ ეკონომიას 100 მილიარდს შევადარებთ, გამოვა, რომ მოგება ხარჯებს 400-ჯერ აღემატება.**

რაც შეეხება ხარჯებს, თუ ჩავთვლით, რომ წელიწადში გრუნტის წყლის დაბინძურების ასი შემთხვევა მოხდა, ახალი სასმელი წყლის მიყვანა მიწის ნაკვეთებზე, მათი მფლობელების დასამშვიდებელი სამართლებრივი ხარჯები წელიწადში 500 მილიონ დოლარს მიაღწევს. მიუხედავად იმისა, რომ დაბინძურების ასეთი სიხშირე ბევრად აღემატება დღევანდელ რეალობას, ამ ნეგატიურ გათვლებშიც კი ფიქლის გაზით მიღებული ეკონომიკური სარგებელი 200-ჯერ აღემატება ხარჯებს.

მეცნიერებმა გათვალეს მომხმარებლის მიერ ნავთობის გაზით ჩანაცვლების მოგებაც. ერთი ბარელი ნავთობის ენერგეტიკული ექვივალენტის მისაღებად საჭიროა დაახლოებით 6000 კუბური ფუნტი გაზი. იმ შემთხვევაში, თუ გაზის დღევანდელი ფასი თუნდაც გაორმაგდება და ათასი კუბური ფუნტისათვის 5 დოლარს შეადგენს, ნავთობისა კი — 100 დოლარს, გაზის ექვივალენტში საკმარისი იქნება 30 დოლარი, რათა ჩანაცვლდეს 100 დოლარი ნავთობის ექვივალენტში. მოგება — 70 დოლარი ერთ ბარელზე. **დღეში მხოლოდ ერთი მილიონი ბარელის ჩანაცვლება გაზით დაზოგავს 70 მილიონ დოლარს, ანუ თითქმის 26 მილიარდ დოლარს წელიწადში.**

**ლუიზიანის შტატში 17 ძროხა მოკვდა იმ სითხესთან კონტაქტის შემდეგ, რომელსაც გაზის მოპოვებაში იყენებენ**

ასე რომ, ცხადია, ამერიკა ფიქლის აჟიოტაჟზე უარს არ იტყვის.

ამ დროს ამერიკულ ფერმებში, რომლებიც ფიქლის გაზის მოპოვების რაიონებში მდებარეობს, საქონელი შეუმჩნევლად ავადდება და იხოცება. მეცნიერებს ჯერაც ვერ გაურკვევიათ, რა ხოცავს საქონელს, თუმცა ბევრი ვარაუდობს, რომ ამის მიზეზი ის ქიმიკატებია, რომლებსაც ბურღვისას იყენებენ და რომელიც საქონლამდე ჰაერით, წყლით თუ ნიადაგით აღწევს.

წლის დასაწყისში გაჩნდა პროფესიონალების მიერ ლიცენზირებული პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სტატია, რომელიც ვეტერინარმა მიშელ ბამბერგერმა და კორნელის უნივერსიტეტის ვეტერინარული ფაკულტეტის მოლეკულარული მედიცინის პროფესორმა რობერტ ოსვალდმა დაწერეს. ამ სტატიაში გამოთქმულია ეჭვი, რომ ბურღვასა და საქონლის დაავადებებს შორის კავშირი არსებობს.

ავტორები აღწერენ 6 შტატის 24 შემთხვევას, რომელთა დროსაც **ფიქლის გაზის მოპოვების რაიონებში შინაური საქონელი დაავადდა ნევროლოგიური, რეპროდუქტიული და კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებებით იმ ქიმიკატების გავლენით, რომლებიც წყალსა თუ ჰაერში გაზის მოპოვების შედეგად მოხვდა.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად ბაზარზე 97 მილიონი ხარი და ძროხა გადის, ამერიკისთვის დახოცილი პირუტყვის რაოდენობა ზღვაში წვეთია, მაგრამ ეკოლოგები ინცინდენტებს გაფრთხილებად მიიჩნევენ.

საგანგაშოა ისიც, რომ სახიფათო ზემოქმედების ქვეშ მყოფი საქონელიც სასურსათე სისტემაში ხვდება, ჰაერში და წყალში გაბნეული ქიმიკატების ზემოქმედება, შესაძლოა, გამოვლინდეს ამ საქონლის რძესა და ხორცში.

**ლუიზიანის შტატში 17 ძროხა მოკვდა იმ სითხესთან კონტაქტის შემდეგ, რომელსაც გაზის მოპოვებაში იყენებენ.** ამ სითხეს ტუმბავენ რამდენიმე კილომეტრის სიღრმეში, რომ იქიდან გაზის ჯიბეები გამოათავისუფლონ. საქონლის დახოცვის სავარაუდო მიზეზი სასუნთქი სისტემის პარალიჩი იყო.

**ნიუ-მეხიკოში ძროხების ბეწვის ანალიზმა აჩვენა, რომ 56-დან 54 ძროხას ნავთობის ნარჩენები ჰონდა ბეწვში. პენსილვანიის შტატში ფრეკინგის სითხით მოიწამლა 140 ძროხა, რომელთაგან 70 მოკვდა, დანარჩენებს კი გაუჩნდათ მხოლოდ 11 ხბო. ამ ხბოებიდან მხოლოდ სამი გადარჩა. იმავე შტატში მეორე შემთხვევისას მოწამლული ძროხების ნახევარმა მკვდარი ხბოები დაბადა. ფიქლის გაზის მოპოვების რაიონებში კოლორადოს, პენსილვანიის, ვირჯინიისა და ტეხასის თხების ფერმებიდან იტყობინებიან, რომ ცხოველები ეხოცებათ მოპოვებისათვის საჭირო ქიმიკატების ზემოქმედებით.**

მხოლოდ ერთი კაშხალისთვის საჭიროა 7 მილიონამდე გალონი წყალი და 400 000 გალონი დანამატები, რომელთა უმეტესობა ქიმიკატებია და რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება მოხვდეს წყალსა და ჰაერში.

**ჩრდილოეთ დაკოტაში ჯერ კიდევ 2009 წელს, გაბურღვების დაწყებისთანავე ძროხებს ინფექციისგან ფეხები დაუსივდათ და დაკოჭლდნენ, ისინი აღარ იწველებოდნენ და კვირაში 30-დან 40 კილოგრამამდე იკლებდნენ წონაში. უფრო მეტიც, ამ ძროხებს კუდები რაღაც საოცრების წყალობით საერთოდ გაუქრათ.** მოგვიანებით მათი ნაწილი დაიხოცა, დანარჩენები მხოლოდ იმიტომ გადარჩნენ, რომ პატრონმა ბურღვის ადგილიდან შორს, ქარს მოფარებულ ადგილას წაიყვანა. არავინ იცის, რა სჭირთ ამ ძროხებს, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ჩვეულებრივ გამოიყურებიან.

**სერთიფიცირებულმა ექსპერტებმა ჰაერში ბენზინის, მეთანის, ქლოროფორმის, ბუტანის, ტოლუოლის და კსილენის ჭარბი რაოდენობა აღმოაჩინეს, მაგრამ ვინაიდან ენერგეტიკული კომპანიები არ ექვემდებარებიან ეკოლოგიური კანონების საკვანძო მუხლებს, მოქალაქეებისთვისაც და ექსპერტებისთვისაც ძნელი დასადგენია, რა ნივთიერებები შედის ფრეკინგის სითხეში. ამის ცოდნის გარეშე კი ვერავინ დაადგენს, თუ რა ხოცავს ცხოველებს.**

კიდევ უფრო ძნელი დასადგენია საკვები პროდუქტების ვარგისიანობა, რადგან სხვადასხვა მცენარე თუ ცხოველი სხვადასხვა წესით აგროვებს შხამ-ქიმიკატებს.

**მეცნიერებს არ აქვთ სახსრები კვლევების ჩასატარებლად, სოფლის ვეტერინარები ენას კბილს აჭერენ შურისძიების შიშით, ფერმერები ქრთამს იღებენ გაზის კომპანიებისგან და არ ჩივიან, სურსათის მწარმოებლებს კი სულაც არ სურთ, იცოდნენ, თუ რა ხდება...**

თუ ვინმემ მაინც ამოიღო ხმა, მაგალითად, ზემოხსენებული სტატიის ავტორების მსგავსად, მათ აუცილებლად დასწამებენ პოლიტიკურ მოტივირებას და კიდევ ათას სხვა ცოდვას. ახლა ფრეკინგის მომხრეები და ლობისტები აცხადებენ, რომ სტატიაში არაა დასახელებული კონკრეტული პიროვნებები და არაა ჩატარებული ანალიზები, თუ რომელი ქიმიური ნივთიერებების შედეგად იხოცებიან ცხოველები ან რას უშვება ძროხებსა თუ თხებს ესა თუ ის ნივთიერება. ამიტომ ამ სტატიისათვის მეცნიერულის სტატუსის მინიჭება არა მხოლოდ სასცილოდ, არამედ საზოგადოებისთვის სახიფათოდაც კი მიიჩნიეს. თავის მხრივ, სტატიის ავტორებიც აღიარებენ, რომ მათ ნაშრომს მეცნიერული დასკვნები აკლია, მაგრამ ამის საშუალება არ არის სახსრების არარსებობისა და ფრეკინგის შესახებ ინფორმაციის გაუვრცელებლობის წყალობით.

მიუხედავად იმისა, რომ დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის ეკოლოგიური ჯანმრთელობის ნაციონალური ცენტრის დირექტორმა კრისტოფერ პორტიემ ჯერ კიდევ მარტში მოითხოვა ცხოველებსა და მცენარეებზე ნავთობისა და გაზის მოპოვების გავლენის გამოკვლევა, ამგვარ კვლევას ფედერალური ხელისუფლება ამ დრომდეც არ გეგმავს.

**Forbes, NBCNews**

## «ევროვიზია 2013»-ზე უკვე 10 ქვეყანამ უარი თქვა

**თურქეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ჩეხეთი, პოლონეთი, პორტუგალია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი და სლოვენია საერთაშორისო მუსიკალურ კონკურს „ევროვიზია 2013“-ში მონაწილეობას არ მიიღებენ.** თურქეთის გარდა, ყველა ქვეყანა საკუთარ გადაწყვეტილებას ფინანსური პრობლემებით ხსნის. თურქეთი კი პროტესტის მიზეზად ხმათა უსამართლო დათვლას ასახელებს. თურქეთის სახელმწიფო ტელეკომპანია TRT-ს ინფორმაციით, ქვეყანა უკმაყოფილოა იმით, რომ კომბინირებული ხმის მიცემის პროცესში ჟიურის წევრებთან შედარებით ტელემაყურებელთა გავლენა შემცირდა. თურქეთი ასევე არ ეთანხმება ტრადიციას, რომლის მიხედვით, კონკურსის დამფუძნებელი და სპონსორი ქვეყნები — გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და იტალია ფინალში ავტომატურად ხვდებიან. ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, კონკურსში მონაწილეობაზე უარი თქვეს საბერძნეთმა და კვიპროსმა, რომლებსაც ასევე ეკონომიკური კრიზისი აქვთ. ევროვიზიის მონაწილე თითოეული ქვეყნისთვის შენატანი 100 000 გირვანქა სტერლინგია. „ევროვიზია 2013“ შვედეთის ქალაქ მალმიოში 14-18 მაისს გაიმართება. შვედეთი კონკურსს უკვე მეხუთედ უმასპინძლებს. ბოლო გამარჯვება მას 2012 წელს მომღერალმა ლორინმა მოუტანა.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სინამდვილეში მაიას ტომელებს სამყაროს აღსასრულზე სიტყვაც კი არ დაუძრავთ. ის ავბედითი ქვის წრე, რომელსაც სურათებზე გამოსახავენ ხოლმე, როგორც რთულ მეზოამერიკულ კალენდარს, საერთოდ არაა მაიასთან რაიმე კავშირში. ეს აცტეკების ქვაა. თავად „მაიას კალენდარი“, როგორც მეცნიერები ამბობენ, გაცილებით უფრო ძველმა ცივილიზაციამ — ოლმეკებმა შექმნეს.**

# როგორ ემზადებოდნენ ამერიკელები აპოკალიფსისთვის



**იმ ადამიანებს შორის, რომელთაც სჯერათ აპოკალიფსური წინასწარმეტყველებებისა, ბოლო პერიოდში სამყაროს აღსასრულის მოლოდინმა და შიშმა ნამდვილ პიკს მიაღწია. სოციალური სამსახურის — „Ipsos Global Public Affairs“-ის მიერ მსოფლიოს 20 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის თანახმად, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს სხვადასხვაგვარად სჯეროდათ სამყაროს აღსასრულისა. ყველაზე დიდი სიმშვიდით მოსალოდნელ საბედისწერო კატაკლიზმებს ბელგიელები, ბრიტანელები და ფრანგები ელოდნენ. ამ ქვეყნებში აღსასრულის მოახლოებისა მოსახლეობის მხოლოდ 6-7%-ს სჯეროდა. ყველაზე მეტად შეშინებულნი კი ამერიკელები აღმოჩნდნენ.**



თუმცა სხვა ქვეყნებმაც „ისახელეს“ თავი. მაგალითად, შანხაიში ქვეყნის ხელისუფლებამ ააშენა მიწისქვეშა თავშესაფარი, რომელიც ძალიან ჰგავს სამოქალაქო თავდაცვის ობიექტებს. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯულია გილარდმა კი ადგილობრივ რადიოსადგურ „Triple J“-სთვის გადაიღო ვიდეომიმართვა, რომელშიც აღიარა, რომ „მაიას ტომის კალენდარი ზუსტი აღმოჩნდა“. მინისტრმა იქვე დააიმედა თავისი ხალხი, რომ არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი მხრიდან განხორციელდება დარტყმა, იგი ბოლომდე ხალხის გვერდით იდგება“.

ამ ყველაფრის მიუხედავად, როგორც „Ipsos“-ის კვლევამ ცხადყო, ყველაზე მეტად სამყაროს აღსასრულისა სწორედ აშშ-ში ეშინოდათ (მოსახლეობის 22%). საშუალო ფენის ჩვეულებრივ ოჯახებში ნამდვილი აპოკალიფსის წინა სამზადისი იყო გაჩაღებული. კერძო ამერიკული ბიზნესებისთვის აპოკალიფსი ძალზე მომგებიანი თემა აღმოჩნდა — შეშინებულ-დაშინებული მყიდველისთვის ძალზე იოლია როგორც გაყინული პროდუქტის, ასევე იარაღის, ჯავშანჟილეტისა თუ ბუნკერში ადგილის მიყიდვა.

არც ხელისუფლება დარჩენილა უმოქმედოდ. გასულ წელს შტატ ვაიომინგის საკანონმდებლო ხელისუფლება მთელი სერიოზულობით განიხილავდა „სამყაროს აღსასრულის შესახებ“ კანონს, რომელიც ითვალისწინებდა ფედერალური ხელისუფლების დამხობის შემთხვევაში მოქმედების გეგმას. პროექტი მხოლოდ იმიტომ ვერ მიიღეს, რომ მას ამისათვის სულ რაღაც სამი ხმა დააკლდა. სამაგიეროდ, აშშ-ის ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა აგენტმა თავის საიტზე განათავსა დეტალური ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ზომბების თავდასხმისას.

ბლოგებში ოფიციალური სახელისუფლო ჩანაწერებით ცდილობდნენ, ამერიკელები დაერწმუნებინათ, რომ 2012 წლის ბოლოს სამყაროს აღსასრულის შესახებ გავრცელებული საშინელი ხმები მხოლოდ ხმებია და მეტი არაფერი. **NASA-მ მოსახლეობის დაშინების წინააღმდეგ მთელი კამპანია ჩაატარა და „YOUTUBE“-ზე განათავსა ექვსწუთიანი ვიდეორგოლი, რომელშიც ასტრონომი დევიდ მორისონი განკითხვის დღის შესახებ ყველა თეორიას აბათილებდა.**

მიუხედავად ხელისუფლებისა და მეცნიერების მცდელობისა, ხალხს მაინც ეშინოდა. ესპანურ ენაში არის სიტყვა „გრინგადა“, რომელიც თეთრკანიანი ადამიანების განსაკუთრებული ტიპის სისულელესა და სიბრიყვეს აღნიშნავს. 2012-ის შესახებ მითები ტიპიური „გრინგადა“ იყო.

სამყაროს აღსასრულისადმი მასობრივი ინტერესი მუდამ მოიცავდა ხოლმე საზოგადოებას გლობალური რყევების წინა პერიოდში. როგორც წესი, კაცობრიობის ყველაზე პესიმისტური მოლოდინები გააქტიურდებოდა ხოლმე ისტორიული ეპოქების შეცვლისას. სამყარო უკვე „იღუპებოდა“ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2800 წელს, ჩვენი წელთაღრიცხვის 50-იან წლებში, 1000 წელს და რატომღაც 1492 წელსაც. XX საუკუნეში კი სამყაროს სწრაფი აღსასრულის აღთქმა უამრავი მანამდე არნახული სექტის მთავარ მცნებად იქცა.

აპოკალიფსური პირველობის პალმის რტო ეკუთვნის „იეღოვას მოწმეების“ დამფუძნებელს, ამერიკელ ჩარლზ რასელს, რომელმაც განკითხვის დღე 1914 წლისათვის დანიშნა, შემდეგ კი ჯერ 1915, მერე 1916 წლისთვის გადაიტანა. გასული საუკუნის ერთ-ერთი უკანასკნელი „ზუსტი თარიღი“ იყო 1975 წელი.

**ყველაზე მეტად სამყაროს აღსასრულისა სწორედ აშშ-ში ეშინოდათ (მოსახლეობის 22%). საშუალო ფენის ჩვეულებრივ ოჯახებში ნამდვილი აპოკალიფსის წინა სამზადისი იყო გაჩაღებული**

**მაღალი ტექნოლოგიების საუკუნეში შეეცადნენ, შიშებისათვის „რაციონალური“ ახსნა მოეძებნათ. შესაბამისად, ჯერ გაჩნდა პრობლემა, რომელიც 2000 წელს ყველა კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლის გარანტიას იძლეოდა, შემდეგ კი ის 2010 წელს დიდი ადრონული კოლაიდერის ამუშავებასთან დაკავშირებულმა ტექნოგენურმა საფრთხემ ჩაანაცვლა.**

**მორიგი ბნელი და უკუნი 2012 წლის 12 დეკემბრის გველოდა, რაც, როგორც ვხედავთ, ისეთივე ბლეფი აღმოჩნდა, როგორც მისი წინამორბედი „სამყაროს აღსასრულები“.**

მაიას ტომის თანამედროვე ინტერპრეტატორებმა მისი კალენდრის გაშიფვრის შედეგად ამოკითხულ რომელიღაც, სხვებისგან არაფრით განსხვავებულ, ფრაზაში აპოკალიფსზე პირაპირი მინიშნება ამოიკითხეს.

**სინამდვილეში მაიას ტომელებს სამყაროს აღსასრულზე სიტყვაც კი არ დაუძრავთ. ის ავბედითი ქვის წრე, რომელსაც სურათებზე გამოსახავენ ხოლმე, როგორც რთულ მეზოამერიკულ კალენდარს, საერთოდ არაა მაიასთან რაიმე კავშირში. ეს აცტეკების ქვაა. თავად „მაიას კალენდარი“, როგორც მეცნიერები ამბობენ, გაცილებით უფრო ძველმა ცივილიზაციამ — ოლმეკებმა შექმნეს.**

გაცილებით საინტერესოა შიშებისა და მღელვარებების ამოფრქვევები ატლანტიკის მეორე მხარეს. როგორც არასდროს, აპოკალიფსის თემაზე შექმნილი ახლანდელი ფანტასტიკების სიუჟეტებში შეთქმულებივით ყველა ამერიკის არასტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას. თითქოს შეთქმულები იყვნენ, მომავალი ბოროტების ფესვებს ყველა დაუძლურებულ ჰეგემონში ხედავს.

ვარიანტები საკმარისზე მეტია: „დასასრულის დასაწყისს“ ჯერ კიდევ ნოემბერში წინასწარმეტყველებდნენ, როდესაც ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა. ამბობდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისია ბარაკ ობამას გამარჯვებას გამოაცხადებდა, გახარებული ამომრჩევლების ურდოები სიხარულისგან დაარბევდნენ მაღაზიებს, ბანკებს და პირდაპირ შტურმით აიღებდნენ უოლ-სტრიტს. ამის შემდეგ ბირჟები განადგურდებოდა, დოლარი გაუფასურდებოდა, მსოფლიო ეკონომიკა დაემხობოდა, ხოლო რომლის მხარდამჭერები ქუჩაში გამოვიდოდნენ „კაპიტალიზმის გადასარჩენად“.

ასევე არანაკლებ მარგინალურად გაათამაშეს სამყაროს აღსასრულის შესახებ ტიბეტელი ბერის ვერსიაც, რომელსაც უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ აქვეყნებდნენ ყველა ბლოგსა თუ სოციალურ ქსელში. არადა, NASA-სთვის რაიმე განცხადების გაკეთება აზრადაც კი არავის მოსვლია. „ამერიკული ყურები“ გამოიძებნა ამ ნაწინასწარმეტყველებ მრავალდღიან სიბნელესა და სიჩუმეშიც: განმარტეს, რომ ამერიკა გაანადგურებდა ინტერნეტს, ყველა კომპიუტერსა და ნავიგაციას, რათა მსოფლიოს ყურადღება მოედუნებინა და მსოფლიო დაეპყრო. ესეც ინტერნეტის უნიკალური ნიჭის გამოვლინება აღმოჩნდა შეთქმულების თეორიების განვითარების საქმეში.

**პოპულარული იყო „მსოფლიოს დოლარისეული აპოკალიფსის“ იდეაც. ამ იდეის მიმდევარნი ირწმუნებოდნენ, რომ სწორედ 2012 წლის 21 დეკემბერს იწურებოდა ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ იჯარით აღებული ფულის საბეჭდი მანქანის ვადა, რომელიც მას კონგრესმა 1913 წელს დაუთქვა. ამასთან დაკავშირებით თავად ამერიკას და მასთან ერთად დოლარზე მჭიდროდ დამოკიდებულ მთელ დანარჩენ მსოფლიოსაც ეკონომიკური კატასტროფა არ ასცდებოდა.**

შვეიცარია და გერმანია, რომელთა ოქროს რეზერვების ნახევარი აშშ-ში ინახება, ამერიკისგან ამ ოქროს დაბრუნებას მოითხოვენ. ამის შემდეგ მთელი ფინანსური სამყარო დაიწყებს ნაღდი დოლარის მოშორებას და ამის შემდეგ დოლარს ვეღარაფერი იხსნის, ხელისუფლება იძულებული გახდება, დეფოლტი გამოაცხადოს.

უმალ გამოჩნდა ჩასაფრებული მტერიც — ჩინეთი, რომელიც აქტიურად აგროვებს ძვირფას ლითონს თავის რეზერვებში.

**ამერიკული დოლარის ფინანსური კრახი აუცილებლად გამოიწვევს ძალზე ღრმა პოლიტიკურ კრიზისს და ამ კრიზისიდან გამოსასვ-** ▶



# 2008 წლის შემდეგ, რაც ამოქმედდა თავის გადამრჩენთა უდიდესი ინტერნეტ-ქსელი, ამ ადამიანების რაოდენობამ ქვეყანაში ოთხ მილიონს გადააჭარბა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ღლად ამერიკის ხელისუფლება იძულებული იქნება, მოიშველიოს ახალი მსოფლიო ომი ან გლობალური ფინანსური სისტემის სრული დესტაბილიზება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 21 დეკემბერს, შესაძლოა, მართლაც დაიწყო იმ მოვლენათა ჯაჭვი, რომელიც რეალურ აპოკალიფსამდე მიდის.**

აპოკალიფსურ წინასწარმეტყველებათა მოდურ ნაკადში საბრალო ამერიკის ბებერ ძვლებზე თვით ბოლივიამაც კი გაიარ-გამოიარა. იქ 21 დეკემბერი ლამის სამართლიანობის დღესასწაულად გამოაცხადეს და ქვეყნის ტერიტორიაზე „კოკა-კოლასა“ და „მაკდონალდსის“ მუშაობა აკრძალეს. ცხადია, „მაკდონალდსი“ სულ სხვა, არა აპოკალიფსური, არამედ ეკონომიკური მიზეზების გამო იხურება, რადგან ამ ქვეყანაში პოპულარობის მოპოვების 14-წლიანი შეუპოვარი მცდელობის მიუხედავად, კომპანიას გაკოტრებისგან ერთი ნაბიჯიღა აშორებს. რაც შეეხება „კოკა-კოლას“, ის არავინ ამჯობინა ადგილობრივ წვენებს, მაგრამ ბოლივიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავიდ ჩოკეუანკამ მაინც მთელი სერიოზულობით გამოაცხადა, რომ „კოკა-კოლასა“ და „მაკდონალდსის“ დაკეტვის შესახებ გადაწყვეტილებები ბოლივიაში სწორედ 21 დეკემბერს ამოქმედდებოდა, „დღე, როდესაც 26 ათასი წლის შემდეგ პლანეტა გასწორდებოდა, უნდა დამდგარიყო „კოკა-კოლას“ და კაპიტალიზმის აღსასრული და კომუნიტარიზმის დასაწყისი“.

ამდენი სცენარი აქამდე მოსალოდნელ არც ერთ აპოკალიფსს არ ჰქონია. 21 დეკემბერს ყველა ელოდა აღსასრულს — ზოგი პანდემიის, ზოგი ეკონომიკური კრახის, ზოგიც მეტეორიტთან შეჯახების, მზის აფეთქებისა თუ პოლუსების გადანაცვლების გზით.

მაგრამ ყველაზე მეტად თავად ამერიკელებს ეშინოდათ. სულ ორიოდე დღის წინ გადარჩენის ისტერიით შეპყრობილი ამერიკელები გამწარებით ემზადებოდნენ იმისათვის, რაც, მათი აზრით, უნდა მომხდარიყო. **მათ უმრავლესობას სჯეროდა იმისა, რომ ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფების კომბინაცია განაპირობებდა საზოგადოების ნგრევას, რასაც შედეგად ანარქია მოჰყვებოდა.**

და ეს ადამიანები სამზადისს დიდი ხნის წინ შეუდგნენ — დააცარიელეს ოთახები და აქციეს ნამდვილ საწყობებად, მოიმარაგეს ყველაფერი, რისი წარმოდგენაც კი ადამიანის ტვინმა შეძლო — აირწინაღებიდან დაწყებული, ბიოტუალეტებით დამთავრებული, ისწავლეს ბოსტნეულისა და სხვა კულტურების მოყვანა. მათ სახლებში საგულდაგულოდ იყო გადანახული ტყეში გადარჩენისა და თავის გატანის შესახებ ოდესმე დაწერილი ყველა წიგნი და სახელმძღვანელო. პოსტაპოკალიფსელ ამერიკელებს ტყეებში თავისიანები თავდაყირა დაკიდული ამერიკული დროშებით უნდა ეცნოთ. დროშის ამობრუნება იმას ნიშნავს, რომ მის პატრონს დახმარება სჭირდება ან რაღაცას გლოვობს. სწორედ ასეთი დროშა გამოფინა ზოგიერთმა ამერიკელმა ობამას არჩევის დღესაც.

არადა, ჩვეულებრივ ცხოვრებაში ეს ადამიანები სხვებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. გადარჩენისთვის მზადებაში ჩაფლულთა უმეტესობას არ სურდა იმის გახმაურება, რომ რაღაცისთვის ემზადებოდა, დანარჩენები კი პირიქით, გამოცდილებასა და იდეებს უზიარებდნენ ერთმანეთს. „სამყაროს აღსასრული — ჩვენ ვიცით, რა მოვუხერხოთ ამას“ ან მოკლედ „TEOTWAWKI“ იყო საერთო აბრევიატურა და მთავარი ლოზუნგი გადარჩენის მანიით შეპყრობილი საზოგადოების უდიდესი ნაწილისა, რომელიც მომავალ აპოკალიფსამდე უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩა.

არადა, **მათ მთელი თავისუფალი დრო შესწირეს იმას, რომ გაეძლოთ მოსალოდნელი კატასტროფისთვის, თანაც გარკვეული კომფორტით. ისინი ჭიანჭველებივით შრომობდნენ — ეზიდებოდნენ სახლში წყალსა და მის გასაწმენდ ფილტრებს, დადიოდნენ ველურ ბუნებაში გადარჩენის გაკვეთილებზე, ყიდულობდნენ იარაღსა და ვერცხლის მონეტებს, აგროვებდნენ დაკონსერვებულ და სუბლიმირებულ პროდუქტებს იმ რაოდენობით, რომ ოჯახს რამდენიმე წლის განმავლობაში ყოფნოდა. ადგენდნენ მარშრუტებს, თუ სად უნდა გაქცეულიყვნენ მთელი ამ ბარგით კოლაფსის დროს.**

სხვათა შორის, გადარჩენაზე ზრუნვის მოდა ამერიკაში ჯერ კიდევ ცივი ომის დროიდან მოდის, ატომური აფეთქების გამძლე ბუნკერების მშენებლობის პერიოდიდან. უფრო ახალგაზრდა თაობებში პოპულარობის პიკს ამ მოძრაობამ 2000 და 2008 წლებში მიაღწია. 2008 წელს ამერიკაში გადარჩენისთვის საჭირო და ხანგრძლივად შესანახი პროდუქტების გაყიდვები გაოთხმაგდა! ამ პროდუქტების გაყიდვები ამერიკაში წარმოუდგენლად იზრდება ნებისმიერი კატასტროფის შემდეგ და მნიშვნელობა არ აქვს, იაპონიაში მოხდება კატასტროფა თუ ჯერსიში.

**2008 წლის შემდეგ, რაც ამოქმედდა თავის გადამრჩენთა უდიდესი ინტერნეტ-ქსელი, ამ ადამიანების რაოდენობამ ქვეყანაში ოთხ მილიონს გადააჭარბა.** ეს მხოლოდ ამერიკაში, მსგავსი ქსელები კი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს და მათი წევრები სწავლობენ საკუთარი ცხოვრების ადაპტირებას ისე, რომ დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ ნებისმიერ საფრთხეს და ნებისმიერ პირობებში გადაარჩინონ საკუთარი თავიცა და ოჯახიც.

ამ საზოგადოებას ცეცხლზე ნავთს უსხამს ადგილობრივი მასმედიაც. მაგალითად, გამომცემლობა „Salina Journal“-მა სტატიების მთელი სერია მიუძღვნა მსოფლიოს არასტაბილურობას და არაერთი რეკომენდაცია გასცა საიმისოდ, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ „უარესისათვის“. „The New York Times“-მა გამოაქვეყნა მთელი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა გადარჩე სოციალური კოლაფსის დროს. **„National Geographic“-მა კი ყველას აჯობა და გადაიღო ტელესერიალი „სამყაროს აღსასრულის მოლოდინში“**, რომლის ყველა სერიაში ექსპერტები აანალიზებენ სიუჟეტის მთავარი გმირის გადარჩენის შანსებს. 12-სერიისგან შემდგარი პირველი სეზონი უკვე გავიდა ტელეეთერში.



**ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის თვალსაზრისით, უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სწორედ ამერიკელთა საშუალო ფენა დაზარალდა ყველაზე მეტად. ყველაფრის მიზეზი დიდი ხნის წინ დავიწყებული არასტაბილურობაა**

ქარიშხალი სენდი კარგი გამოცდა იყო. მან თვალნათლივ დაანახა ამერიკელებს, თუ რამდენად მოუმზადებელია კატაკლიზმებისათვის თანამედროვე ადამიანი და რამდენადაა დამოკიდებული თანამედროვე ცხოვრების მიღწევებზე — სურსათზე, საწვავზე, ტრანსპორტსა და ელექტროობაზე. უბრალო ამერიკელებმა აშშ-ის საგანგებო სიტუაციათა ფედერალური სააგენტოს ყველა ცოდვა, თვით გვერდით მდებარე საკარანტინო ბანაკებიც კი გაიხსენეს.

ახლა ამერიკაში თავს ყველაზე კარგად გრძნობენ იმ ბუნკერებისა და თავშესაფრების მშენებლები, რომელთა შენების ბუმიც ქვეყანაში 2011 წელს დაიწყო. სხვათა შორის, ამერიკელებმა ბუნკერები ჯერ კიდევ „საბჭოთა საფრთხის“ დროიდან შეიყვარეს და დღეისათვის შეთავაზებები ფაქტობრივად ყველა სისქის ჯიბეზეა გათვლილი. მაგალითად, **კომპანია „NORTHWEST SHELTER SYSTEMS“ შეძინებულ ამერიკელებს 200 ათასიდან 20 მილიონ დოლარამდე ღირებულების ბუნკერებს სთავაზობს.**

ბუნკერებისა და თავშესაფრების ბაზარზე ერთ-ერთმა ყველაზე **სახელგანთქმულმა ფირმა „VIVOS“-მა გასულ წელს, ზუსტად აპოკალიფსის წინ დაიწყო ძალზე ამბიციური პროექტი — ბუნკერი ნებრასკას შტატში, რომლის ფართობი 1,27 ჰექტარს მოიცავს და რომელშიც 950 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი მაქსიმუმ ერთი წლით.** თავშესაფარში გათვალისწინებულია ოთხი დონის აპარტამენტები, სამედიცინო ცენტრი, სამეურნეო ბლოკი, სამლოცველოები, კომპიუტერული ზონა, ცხოველების სადგომი და ღვინის მარანი. მათთვის, ვისაც აპოკალიფსის ონლაინში ყურება სურს, გათვალისწინებულია სათვალთვალო კოშკი, რომელიც მიწისქვეშეთიდან 106 მეტრზე ამოდის და შემინულია. **ბუნკერში ერთი ადგილი 50 ათას დოლარად იყიდებოდა, ოღონდ თანხის ნაწილი მსურველს წინასწარ უნდა გადაეხადა, დათვალიერების შემდეგ კი, მიუხედავად იმისა, იქნებოდა თუ არა აპოკალიფსი, ვალდებული იყო, ბოლომდე დაეფარა თანხა. თუ აპოკალიფსს ვერ მოესწრებიან, კლიენტები სიცოცხლის ბოლომდე გაიხსენებენ თავიანთ სიცოცხლეში ყველაზე ძვირადღირებულ ექსკურსიას.**

იმ ადამიანების უმეტესობა, რომელიც სამყაროს აღსასრულზე საუბრობდნენ, ამერიკის საშუალო ფენის წარმომადგენლები არიან, სწორედ მათი წყალობით გახდა ესოდენ პოპულარული აბრევიატურა „TEOTWAWKI“. სპეციალისტებმა იციან, თუ რატომ იჩენს სამყაროს აღსასრულისადმი ყველაზე დიდ ინტერესს სწორედ ეს ფენა.

ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის თვალსაზრისით, უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სწორედ ამერიკელთა საშუალო ფენა დაზარალდა ყველაზე მეტად. ყველაფრის მიზეზი დიდი ხნის წინ დავიწყებული არასტაბილურობაა. ვაშინგტონის კლინიკური ცენტრის ფსიქიატრი სტივენ პეტერსონი აცხადებს, რომ სტაბილურობას მიჩვეული ადამიანები სტრესებისადმი ნაკლები მდგრადობით ხასიათდებიან. ამერიკაში საშუალო ფენის სტაბილურობა სერიოზულად დაირღვა ჯერ კიდევ 2008 წელს, უახლოეს მომავალშიც საზოგადოების ამ ფენას რთული პერიოდი ელის.

ამერიკელი ეკონომისტი და პოლიტოლოგი, ტეხასის შტატის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის პროფესორი ჯეიმს გელბრეიტი ამერიკის საშუალო ფენის განწყობასა და პერსპექტივებს ასე აღწერს:

„ამერიკის საშუალო ფენის პერსპექტივები სასიხარულო ნამდვილად არაა. ამერიკის საშუალო ფენას, ძირითადად, სახლების მეპატრონეები წარმოადგენენ, კრიზისის მთავარი შედეგი კი ისაა, რომ მათი ეს ქონება გაუფასურდა, განადგურდა მისი საბაზრო ღირებულება. ამასთან ერთად, ბევრმა სამსახურიც დაკარგა... მაგრამ კრიზისის რეალური შედეგი ესეც კი არაა. **საქმე ფინანსური უსაფრთხოების დაკარგვა და გაურკვეველი მომავალია, რასაც ამერიკელები დიდი ხანია საკუთარ ცხოვრებაში არ შეხვედრიან.** ამ ადამიანების სასიცოცხლო სტანდარტებს კრიზისი შეეხო, მაგრამ ყველაზე მეტად მომავლის, პერსპექტივების შეგრძნება დაიკარგა.

ბიუჯეტის სოციალური ხარჯვითი ნაწილის მნიშვნელოვანმა შემცირებამ მთლად მიწასთან გაასწორა სიტუაციის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შეგრძნება. ადრე საშუალო კლასს ჰქონდა საერთო თავდაჯერებულობა ყველაზე სერიოზული საფრთხეებისგან დაზღვევის სახით, ახლა კი ადამიანებს ეუბნებიან, რომ პრობლემას ყველა დამოუკიდებლად უნდა გაუმკლავდეს.

ადამიანები სულ უფრო იძირებიან საკუთარი და თავიანთი ოჯახების მომავლის გამო პერმანენტური შიშის მდგომარეობაში. ადამიანები გაცილებით უფრო ნაკლებდამოუკიდებელნი და ნაკლებმნიშვნელოვანნი ხდებიან. დროთა განმავლობაში შფოთვა საშუალო ფენის მთავარ ემოციად იქცა.

რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ფსიქოლოგების მტკიცებით, ადამიანები სამყაროს აღსასრულის იდეას ებღაუჭებიან, რათა დამშვიდდნენ. სიმშვიდე კი სწორედ ისაა, რაც ახლა ყველაზე მეტად აკლია ამერიკის საშუალო ფენას. **ამერიკაში დღეს ყველაზე გავრცელებული დაავადება უმიზეზო შფოთვაა. ამით ზრდასრული ამერიკელების 13 პროცენტი ავადობს. კიდევ 7 პროცენტი — 14 მილიონზე მეტი ადამიანი ღრმა დეპრესიაშია.**

როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, შფოთვა ხშირად ეწყებათ ადამიანებს, რომლებიც სოციალურ და ეკონომიკურ სტრესს განიცდიან. იმისათვის, რომ გათავისუფლდე შფოთვისგან, საჭიროა კონკრეტული საფრთხე. ადამიანებს ეშინოდათ გაურკვეველი რამის და უცებ გაჩნდა კონკრეტული საფრთხე, ანუ სიმშვიდემ დაისადგურა. სწორედ ამის გამოა გადავსებული სოციალური ქსელები აპოკალიფსური სიახლეებით. ამ ინფორმაციის გავრცელებით ადამიანები მშვიდდებიან.

როდესაც ადამიანი წარმოიდგენს და დაიჯერებს ქვეყნის, მსოფლიოს ან სამყაროს განადგურებას, ჩნდება უნიკალური შესაძლებლობა, გამოიტანოს დასკვნები და განასხვავოს მნიშვნელოვანი ნაკლებად მნიშვნელოვანისგან. წარმოსახვითი აპოკალიფსი სისტემის გადატვირთვის საბაბია...



terra-america.ru

საქართველო და მსოფლიო
რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველა სახელმწიფოსთან კარგი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს, იმიტომ, რომ მუდმივი კომფორტაცია ანადგურებს და სპობს სახელმწიფოს. ვნახოთ, როგორ შეძლებენ ჩვენი ახალი ხელისუფლების მესვეურები ურთიერთობების დალაგებას. პოლიტიკოსებიც იმიტომ არიან, რომ ეს მოაგვარონ.**

მამა მიქაელი (გვარამაძე):

# დღეს ძირითადად ულმერთოების აზროვნებაა გამეფებული

ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება ყოვლადწმინდა სამების ტაძრის დეკანოზი მამა მიქაელი (გვარამაძე).

**— მამაო მიქაელ, ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის თბილისის ოფისმა ახლახან გამოაქვეყნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომელმაც აჩვენა, რომ რელიგიურ მსახურებას ყოველდღე არავინ ესწრება, 10% კი საერთოდ არ დადის ეკლესიაში. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს შედეგები?**

— კვლევას არ ვიცნობ და გამიჭირდება მასზე რამის თქმა, მაგრამ გააჩნია, სად, საზოგადოების რა ნაწილში ჩატარდა გამოკითხვა. მე ერთი ვიცი, ქართველ ერს სულში აქვს ღვთისმოშიშობა, ამიტომ, კი, სიძნელეები, რა თქმა უნდა, იყო და მომავალშიც იქნება, მაგრამ საქართველო ამას გაუძლებს.

**ვერ დავიჯერებ, რომ ქვეყანაში, რომელიც დღემდე რწმენით მოვიდა, მორწმუნეები ცოტაა.** პირიქით, ჩემი აზრით, დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი უბრუნდება ღმერთს და მიდის ეკლესიაში. ჩვენთან, მაგალითად, ყოვლადწმინდა სამების ტაძარში შაბათს ტარდება ლოცვა, რომელიც იწყება სამ საათზე და მეორე დღეს, ათის ნახევარზე აღევლინება წირვა. ერთხელ მაინც თუ მოხვალთ და დაესწრებით ამ პროცესს, ნახავთ, რომ ტევა არ არის ხოლმე ეკლესიაში, ხალხმა რწმენა კი არ დაკარგა, კიდევ უფრო განიმსჭვალა დღეს ამ რწმენით და გაძლიერდა.

**— თქვენი აზრით, მოსახლეობის დაახლოებით რამდენი პროცენტი დადის სისტემატურად ეკლესიაში?**

— ვფიქრობ, სადღაც 20-30%. შეიძლება მეტიც, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც თვეში ერთხელ დადიან და ზოგი უფრო იშვიათადაც, რაც, რა თქმა უნდა, ნორმალური არ არის. კაცი თუ მორწმუნე ხარ და შენი რელიგია შენთვის მნიშვნელოვანია, ტაძარში ხშირად უნდა დადიოდე, იმავე აღსარებაზე, წირვაზე და ა. შ.

**— გამოდის, რომ თქვენი და ენდიაის მოსაზრებები რადიკალურად განსხვავდება.**

— მარტივ რამეს გეტყვით, ყველა თუ ჩაატარებს დაკვირვებას და თავის უბანში, თუნდაც სახლის აივნიდან შეხედავს, რამდენი ადამიანი მიდის შაბათ-კვირას წირვაზე, დარწმუნდება, რომ ის კვლევა, რომელზეც თქვენ საუბრობთ, მცდარია; თუმცა მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ გავცნობივარ ამ გამოკითხვის შედეგებს და მასზე რამე კომენტარის გაკეთება გამიჭირდება.

**— წლების მანძილზე (და ნაწილობრივ შეიძლება დღესაც) ჩვენს ქვეყანაში გამალებული ანტიმართლმადიდებლური კამპანია მიმდინარეობდა. ეს გამოიხატებოდა სხვადასხვა პიარაქციაში, იმავე სექსუალური უმცირესობების აღლუმის ჩატარების მცდელობაში და ა. შ. როგორ ფიქრობთ, მოახდინა რეალურად ამ ყველაფერმა საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენა?**

— საერთოდ ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს, — ბოროტს აქვს თავისი საქმე; და თუ გადავხედავთ ქრისტიანობის ისტორიას ქრისტეს მოსვლიდან დღემდე, მივხვდებით, რომ ის ყოველთვის იბრძოდა. სწორედ ამ ბოროტი ძალების ზემოქმედების შედეგია ყველა უბედურება, რაც ხდება ჩვენს თავს, მაგრამ ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ღმერთი მათ არ მიატოვებს განსაცდელის ჟამს. რაც შეეხება იმ გამოვლინებებს, რომელიც თქვენ ახსენეთ, ერთის მხრივ კი, არის გარკვეული შემობრუნების ნიშნები, რაზეც დასაწყისში ვსაუბრობდი, მაგრამ თვითონ მსოფლიო სულს თუ შევხედავთ, მის დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, აშკარაა, რომ საზოგადოებაში დღეს ძირითადად უფრო ულმერთოების აზროვნებაა გამეფებული, ანუ ეს რას ნიშნავს: ვთქვათ, ასე წარმოვიდგინოთ, გარკვეულ ძალებს სურს, სახელმწიფო მოაწყოს ღმერთის გარეშე. აი, მთავარი ამოცანა მათთვის, ვისაც უნდათ, რომ კაცობრიობა მართონ, განაგონ, და ვინაიდან ამაში ღმერთი ხელს უშლით, აქ უკვე იწყება ზუსტად ის კამპანია, რომელიც დასაწყისში ახსენეთ... ზოგადად, ქრისტიანობა ყოველთვის იდევნებოდა. ქრისტეს მიმდევრებს, გახსოვთ ისტორიიდან, იჭერდნენ და უმკაცრესად სჯიდნენ. ნაწილობრივ ეს გრძელდება დღესაც, მაგრამ ამას, უბრალოდ, პირდაპირ არავინ აღიარებს. არ აღიარებენ მხოლოდ იმიტომ, რომ დღევანდელი მსოფლიოს კანონი არ ითვალისწინებს რელიგიის გამო შეზღუდვას, სხვა მხრივ, გეთანხმებით, ყველანაირად გვებრძოდნენ და ისევ გვებრძვიან...

**— საქართველო ოდითგანვე მართლმადიდებლობის ბურჯი იყო. დღეს შეიძლება, ჩვენ რელიგიის ბურჯი და მეციხოვნე გვეწოდოს?**

— მე ასე ერთმნიშვნელოვნად არ გიპასუხებდით. აქ ბევრად უფრო მასშტაბური და შორსგამიზნული გეგმები მუშაობს. დღევანდელ მსოფლიოში არის ასეთი ტენდენცია, რომ ადამიანები მართონ ერთიანად, საერთო რაღაც პრინციპებისა და წესების ყალიბში. მხედველობაში მყავს არა რომელიმე ერთი ქვეყანა, არამედ მთლიანად კაცობრიობა, რომელიც, მიუხედავად მთელი ამ მცდელობებისა, დღესდღეობით მეტ-ნაკლებად მაინც ინარჩუნებს თავის მრავალფეროვნებას. საერთოდ, არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, თუ სახელმწიფოს ძირი არ არის რწმენა და ღმერთის სიყვარული, ის ვერ წავა აღმშენებლობის გზით, ვერ განვითარდება; იმიტომ, რომ სულიერებისგან დაცლილ საზოგადოებას არ აქვს ძალა, მას არ აქვს არაფერი კარგის უნარი.



**— ღმერთის სიყვარული რომ სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველი გახდეს, ეს, ალბათ, პოლიტიკაშიც უნდა იყოს ჩადებული.**

— არა მარტო პოლიტიკაში, თვითონ ადამიანები, ხალხი უნდა იყოს ასეთი დამოკიდებულებით განწყობილი. მუდმივად ისმის ხოლმე ასეთი შეკითხვა: როგორი უნდა იყოს ქვეყნის პირველი პირი ან როგორია დღეს? ჩემი აზრით, საზოგადოება რანაირიცაა, ისეთივეა ისიც. ჩვენ გვგონია, რომ უცებ ხალხის წიაღიდან გამოვარდება ვილაც ყველაზე მაგარი, რომელსაც ყველა სათნოება ექნება გულში და ის გადაგვარჩენს. არ მოხდება ეს; არ მოხდება იმიტომ, რომ თუ საზოგადოება არაა ჯანსაღი, შეუძლებელია იქიდან ვინმე ნორმალური გამოვარდეს. აქედან გამომდინარე, რაც დღეს აქ ხდება, ლოგიკურია ყველაფერი, — ვიღებთ იმ შედეგს, რომელსაც რეალურად ვიმსახურებთ.

**— დამოუკიდებლობიდან დღემდე საქართველოში სამი ხელისუფლება შეიცვალა და სამივეს მიმართ საზოგადოება, ბოლოს უკვე ფაქტობრივად ზიზღით იყო განწყობილი. მეოთხეს რა ბედი ეწევა, ჯერ არ ვიცი, მაგრამ გამოდის, რომ ხალხს რეალურად საკუთარი სახე არ მოსწონს, ანუ თავისივე არჩეული ხელისუფლება.**

— ერთია, რა უნდა საზოგადოებას და მეორეა, რა სჭირდება სახელმწიფოს. ეს ორი რამ ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. რაც შეეხება ხელისუფალს, **როცა ადამიანს არ აქვს ზნეობა და სულიერება, მისთვის არ არსებობს ზღვარი სამართალსა და უსამართლობას, კანონსა და უკანონობას, წესრიგსა და ქაოსს შორის. ამდენად, რა თქმა უნდა, ის ადამიანი როგორც უნდა, ისე მოიქცევა, კანონის შეტრიალება და შემოტრიალება ყოველთვის შეიძლება.** თქვენ საზოგადოებაზე მკითხეთ, — არის თუ არა ხელისუფლების დაწუნება საკუთარი არჩევანის, საკუთარი სახის უარყოფა? ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არსებობს, — დიახ, ეს ასეა, მაგრამ ჩვენ აქ ერთ რამეს უნდა დავუკვირდეთ, თუ ადამიანის შინაგანი ზნეობრიობა არ გამოსწორდა ანუ სულიერი შედეგი იქნება ყოველთვის ერთი და იგივე. ნამდვილ, ჭეშმარიტ ცვლილებებს, რასაც ამდენი ხანია ვესწრაფით, ვერასოდეს განვახორციელებთ, იმიტომ, რომ კანონი რამდენიც უნდა სრულვყოთ და ასე ვთქვათ, მოვარგოთ დემოკრატიის პრინციპებს, მისი შესაბამისად შემსრულებლის გარეშე ის, უბრალოდ, დარჩება ქაღალდზე, საქმით კი ვერანაირად წინ ვერ წავალთ.

**— წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ამაყობდნენ იმით, რომ მათი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდა. თვითონ პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლებში ხშირი იყო სიტყვები: მენტალური ცვლილება, მენტალური რევოლუცია და ა. შ. როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდა ეს ყველაფერი?**

— ეს ნიშნავს, რომ, უწინარესად, ადამიანის აზროვნება უნდა გარდაიქმნას, შეიცვალოს და, ფაქტობრივად, ის სხვა პიროვნებად უნდა იქცეს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, სიტყვაზე, დღეს თუ ვიყურებოდი იქით, ესაა საბოლოო მიზანი. თავისთავად ამგვარი პროცესი, ცხადია, გარკვეული ღირებულებების უარყოფას, მის დაკნინებასაც გულისხმობს და ამის პარალელურად ახალი ღირებულებების დამკვიდრებასაც. საქართველო უძველესი ქვეყანაა და აქ ეროვნული ტრადიცია იმდენად ღრმადაა ხალხში გამჯდარი, მისი აღმოფხვრა, ბუნებრივია, იოლი არაა; თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, წინა ხელისუფლების დროს იყო მცდელობა, სხვა ქვეყანაში, ნუ დამაკონკრეტებინებთ, რომელს ვგულისხმობ, როგორც მთავარი ფასეულობები, ის დაემკვიდრებინათ. ჩემი აზრით, ამან გარკვეული გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, დადებითი თუ უარყოფითი, თავად განსაჯეთ...

**— როგორ ფიქრობთ, რაში სჭირდებოდა ჩვენს ა. წ. ყოფილ ხელმძღვანელობას ამ ღირებულებების დამკვიდრება? რას იღებდა ის სანაცვლოდ?**

— საერთოდ, **ყველა ხელისუფლებას აქვს თავისი ხედვა და სტრატეგია, როგორ უნდა მიაღწიოს თავის საბოლოო მიზანს, მაგრამ ხშირად ხდება, რომ ეს მიზანი არ ემთხვევა საზოგადოების ინტერესებს.** აი, ზუსტად მაშინ უნდა დადგეს ხალხი თავის სიმაღლეზე. აქ ჩვენ ისევ და ისევ მივდივართ იმ საკითხამდე, რითაც დავიწყეთ, — როგორიცაა მოსახლეობა, ისეთივე ხელისუფლება ჰყავს. ამ ლოგიკით ყველა კითხვას გაეცემა პასუხი, — არ მოგწონს შენი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნაბიჯები, ე.ი. შენ აძლევ ამის საშუალებას...

**— ბოლო დროს რელიგიური უმცირესობების გარშემო განვითარებული მოვლენები განსაკუთრებით აქტუალური გახდა. აღმსარებლობის ნიადაგზე ქვემო ქართლის ზოგიერთ სოფელში მომხდარ ინციდენტებს ბევრმა ძალიან მწვავე შეფასება მისცა და მომხდარში ნაწილობრივ ახალი ხელისუფლებაც დაადანაშაულა. თქვენი აზრით, რეალურად რამდენად პრობლემურია დღეს საქართველოში ეს საკითხი?**

— კონკრეტულად ქვემო ქართლის სოფლებში რა ხდებოდა, ამაზე ვერ ვისაუბრებ, იმიტომ, რომ იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რა მდგომარეობაა ამ მხრივ, ვთქვათ, თბილისში. აქ თქვენ ერთ პატარა უბანში ნახავთ გრიგორიანულ ტაძარს, კათოლიკურს და მართლმადიდებლურს, ამ დროს, ვერ გაიხსენებთ შემთხვევას, ვინმეს ვინმესთან უთანხმოება მოსვლოდეს თავისი რელიგიური აღმსარებლობის გამო. ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მსგავსი პრობლემები ისტორიულად არ არსებობდა და დარწმუნებული ვარ, არც დღეს იარსებებს. ჩვენ საერთოდ შემწყნარებელი ხალხი ვართ, ამიტომ არ გამოვრიცხავ, ასეთი პრობლემების არსებობა ვილაცას ხელს აძლევდა და ის, რაც მოხდა, ხელოვნურად ყოფილიყო ინსპირირებული. ეს ჩემი სუბიექტური აზრია.

**— დღეს ჩვენი ქვეყანა, ფაქტობრივად, გზაგასაყარზე დგას, მან უნდა აირჩიოს, საით წავა და საბოლოოდ რომელ ოჯახში შევა: დასავლურში თუ უბრალოდ დარჩება ნეიტრალურ პოზიციაში მყოფ სახელმწიფოდ, რომელსაც ყველასთან მეტ-ნაკლებად ნორმალური ურთიერთობა ექნება. ალბათ, დამეთანხმებით, რომ გამოწვევები ერთობ რთულია, რამდენად ოპტიმისტურად უყურებთ ამ ყველაფერს?**

— მოდი, ასე შევხედოთ ამ საკითხს, საქართველოს ისტორიიდან რომელი ხანა გახსოვთ, რომ აქ ომი არ ყოფილიყო? ძალიან მცირე მონაკვეთი თუ გვქონია ასეთი. ესაა ჩვენი ხვედრი, ჩვენი „მძიმე ჯვარი", ამიტომ, არა მგონია, დღევანდელი პერიოდი ამ მხრივ გამონაკლისი იყოს; რის ხარჯზე, რის საფუძველზე? შეხედეთ, **მსოფლიოში რა ხდება! ქვეყნები მშვიდობაზე კი არ ფიქრობენ, სამხედრო პოტენციალს ზრდიან და ატომურ იარაღს აკეთებენ. აქეთკენ მიდის სამყაროს ტენდენცია. ასე რომ, ჩვენზე არაა ყველაფერი დამოკიდებული.** იქნება მსოფლიოში წესრიგი? ჩვენც მშვიდად ვიცხოვრებთ.

**— რადგან წესრიგი ახსენეთ, ახალი ხელისუფლება დღეს ძირითადად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზეა ორიენტირებული. ამისთვის მან თავის საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებაში უკვე გარკვეული კორექტივებიც შეიტანა. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ამ თვალსაზრისით ქართული ოცნების და პირადად ბიძინა ივანიშვილის პოზიცია? რამდენად არის ის ჩვენი ეროვნული ინტერესების შესაბამისი.**

— მე პოლიტიკოსი არ ვარ, რომ ამაზე ვიმსჯელო, მაგრამ ერთი რამის თქმა შემიძლია, ურთიერთობის მოგვარება, ვისზეც და რაზეც უნდა იყოს საუბარი, ყოველთვის კარგია, ამიტომ ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით. როცა ორი ადამიანი ნაჩხუბარია, რა თქმა უნდა, ყოველთვის ჯობს, შერიგდნენ. ქრისტიანულადაც ასეა სწორი და საერთოდ. **მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველა სახელმწიფოსთან კარგი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს, იმიტომ, რომ მუდმივი კომფორტაცია ანადგურებს და სპობს სახელმწიფოს. ვნახოთ, როგორ შეძლებენ ჩვენი ახალი ხელისუფლების მესვეურები ურთიერთობების დალაგებას. პოლიტიკოსებიც იმიტომ არიან, რომ ეს მოაგვარონ.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ფელიქს ბაუმგარტნერისთვის მეცნიერებმა ახალი გერმეტიული კაბინა შექმნეს, რომელშიც გადახტომამდე იმყოფებოდა, ასევე საფრენი ჩასაცმელის სპეციალური მოდელი, რომელიც დიდ გადატვირთვას უძლებს ვარდნის დროს. ავსტრიელი ენთუზიასტის გუნდის წევრები ირწმუნებიან, რომ რეკორდს სენსაციის გულისთვის კი არ ამყარებდა, არამედ სერიოზული სამეცნიერო შედეგის მისაღებად და მიაჩნიათ, რომ პროექტის წარმატება წაადგება რეაქტიული თვითმფრინავებისთვის საავარიო ევაკუაციის ახალი სისტემების შექმნას.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ტვინის იმპულსით მართვადი მექანიკური ხელი

**ტვინის იმპულსით მართვადი მექანიკური ხელის შექმნაში ინჟინერთა მიღწევას წელს სათანადო შეფასება მიეცა. მექანიკური ხელი მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს ცხოვრებას პარალიზებულ პაციენტებს.**

მექანიზმს სამ განზომილებაში შეუძლია ურთულესი მოძრაობების შესრულება. ინჟინრებმა საზოგადოებას 52 წლის ქალბატონი წარუდგინეს, რომელსაც 13 წლის წინ ტვინის დაავადების გამო მოძრაობის უნარი წაერთვა.





**ჩანერგილი ელექტროდების მეშვეობით ის მექანიკურ ხელს მართავდა და საჭმლის მირთმევაც მოახერხა.**

ჯერჯერობით ტექნოლოგია საექსპერიმენტო სტატუსით სარგებლობს და საკმაოდ ძვირადღირებულია, მგრამ აშშ-ის შტატ პენსილვანიის მეცნიერთა ჯგუფი იმედოვნებს, რომ ახლო მომავალში მსგავსი აპარატი უკვე ხელმისაწვდომი გახდება.

# კვანტური ტელეპორტაცია რეკორდულ მანძილზე განახორციელეს

**ზაფხულში ჩინეთისა და ავსტრიის მკვლევართა ორმა ჯგუფმა ტელეპორტაციის განხორციელების მანძილის რეკორდი დაამყარეს. ეს პროცესი მათ ჰაერში, 80 კილომეტრის დისტანციაზე ჩაატარეს.** ასეთი ეფექტი არეულობის ეფექტის წყალობით ხერხდება — ორ არეულ ნაწილაკს, მაგალითად, ფოტონს, ერთნაირი თვისება გააჩნია. მესამე ნაწილაკის დახმარებით ერთ-ერთი ნაწილაკის მახასიათებელი გარკვეულ დისტანციაზე იგზავნება, რითაც განგრძობილ ასლს ქმნის. ახლა მეცნიერები იმაზე ოცნებობენ, თუ როგორ შეძლებენ ნაწილაკების ტელეპორტაციას კოსმოსურ ხომალდზე და პირიქით. ასეთი ტექნოლოგია გატეხვის, მოსმენისა და მოტაცების გარეშე ინფორმაციის გადაცემის საშუალებას იძლევა და, შესაძლოა, კვანტური ინტერნეტის საფუძვლადაც იქცეს. ჩინეთი უკვე გეგმავს ამ ტექნოლოგიის აპრობირებას კვანტური საინფორმაციო თანამგზავრის მეშვეობით, რომელიც კოსმოსში 2016 წელს გაემგზავრება.

# ავსტრიელმა პარაშუტისტმა თავისუფალი ვარდნის რეკორდი დაამყარა

**ავსტრიელმა პარაშუტისტმა ფელიქს ბაუმგარტნერმა, პირველმა ისტორიაში, თავისუფალ ვარდნაში დაძლია ხმის სიჩქარე.** მან ასევე თავისუფალი ვარდნის რეკორდი დაამყარა, როდესაც 39 კილომეტრის სიმაღლიდან გადმოხტა და მშვიდობიანად დაეშვა დედამიწაზე, აშშ-ის შტატ ნიუ-მექსიკოს უდაბნოში. დადგენილია, რომ მისი ვარდნის მაქსიმალური სიჩქარე საათში 1342 კილომეტრი იყო, ანუ ხმის სიჩქარეს აღემატა (დაახლ. 1100კმ/საათში). ფელიქს ბაუმგარტნერისთვის მეცნიერებმა ახალი გერმეტიული კაბინა შექმნეს, რომელშიც გადახტომამდე იმყოფებოდა, ასევე საფრენი ჩასაცმელის სპეციალური მოდელი, რომელიც დიდ გადატვირთვას უძლებს ვარდნის დროს. ავსტრიელი ენთუზიასტის გუნდის წევრები ირწმუნებიან, რომ რეკორდს სენსაციის გულისთვის კი არ ამყარებდა, არამედ სერიოზული სამეცნიერო შედეგის მისაღებად და მიაჩნიათ, რომ პროექტის წარმატება წაადგება რეაქტიული თვითმფრინავებისთვის საავარიო ევაკუაციის ახალი სისტემების შექმნას. ექსპერიმენტში დაინტერესებულნი იყვნენ NASA და ამერიკის ზოგიერთი კოსმოსური კომპანია. მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო თვითმფრინავების მფრინავებს უხდებოდა ხოლმე ხმის ზესიჩქარის პირობებში კატაპულტირება, მკვლევარებს მაინც არ გააჩნდათ ზუსტი მონაცემები მის შესახებ, თუ რა მოსდის ადამიანის სხეულს ხმის ბარიერის გადალახვის დროს.





# ჰიგინსის ბოზონი

**ივლისში მეცნიერებმა დიდ ადრონულ კოლაიდერის საშუალებით დაასრულეს 50 წლის მანძილზე მიმდინარე კვლევა: მათ ჰიგინსის ბოზონი აღმოაჩინეს. აქამდე ამ ნაწილაკის, რომელიც სუბატომურ ელემენტებზე აგებს პასუხს, „გამოჭერა“ შეუძლებელი იყო.**



**ყველა ძალისა და ნაწილაკის ურთიერთმოქმედების აღმწერი სტანდარტულ მოდელში ჰიგინსის ბოზონი, ასე ვთქვათ, საბოლოო პაზლი იყო. და მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარები ჯერჯერობით ფრთხილობენ საბოლოო დასკვნების გამოტანას, სამყარომ ეს აღმოჩენა მეცნიერების დიდ წინსვლად და ფიზიკის საფუძვლიანი კვლევების ახალი პერიოდის საწყისად აღიქვა.**





# ალფა ცენტავრის თანავარსკვლავედში მეცნიერებმა ახალი პლანეტა აღმოაჩინეს

**ახლადაღმოჩენილი პლანეტა თითქმის უტოლდება დედამიწის ზომებს და მზის სისტემისგან სულ რაღაც ოთხი სინათლის წელიწადი აშორებს. ტემპერატურე პლანეტის ზედაპირზე 1200 გრადუსს აღწევს. სხვა ეკზოპლანეტების (მზის სისტემის გარეთ არსებული პლანეტები) შესწავლის გამოცდილება ცხადყოფს ერთ ფაქტს: სავარაუდოდ, აქ სხვა პლანეტებიც იქნება მახლობლად.**



ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## შინაური ბიზონი

**ბიზონი, სახელად „ველური ნივთი“, მოულოდნელად აღმოჩნდა თავისი პატრონის, როლანდ ბრიჯის, ქორწინების მოწმე აღმოჩნდა.** ბიზონი სულ პატარა იყო, როცა რონალდმა 2005 წელს გადაწყვიტა, ეზრუნა მასზე, როგორც ოჯახის წევრზე. რონალდმა მას გამოუყო ფართი თავის სახლში და ეს ფართი გახდა ბიზონის საკუთარი ოთახი, თუმცა ბიზონს სრული უფლება ჰქონდა, მთელ სახლში ესეირნა და შესულიყო იქ, სადაც მოესურვებოდა. საქორწინო ცერემონია წარმატებით ჩატარდა, მაგრამ მოწვეულ 40 სტუმართაგან ერთმაც არ მოიწონა და დააფასა როლანდის ასეთი გადაწყვეტილება.

# ქირა — საკუთარი ორგანოები

**ესპანეთის 44 წლის მკვიდრმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა, ფინანსური გაჭირვებიდან თავის დასახსნელად საკუთარი შინაგანი ორგანოების გაყიდვა დაიწყო.**

**„არაფერი დამრჩა. ყველაფერი, რაც მაქვს — ეს ორგანოებია. შესაძენად გთავაზობთ ჩემს თირკმელს, რქოვანებს, ერთ ფილტვს და ღვიძლის ნაწილს. ყველაფერს გავყიდი, თუ ეს მე და ჩემს 22 წლის ქალიშვილს გასახლებისგან გვიხსნის. იგი ჯერ კიდევ სწავლობს და მის უსახლკაროდ დარჩენას არ დავუშვებ“,** — ამბობს ქალი.



პირველად ქალმა ღვიძლის გაყიდვის შესახებ განცხადება ინტერნეტში განათავსა, მაგრამ ანონიმურ წინადადებას არავინ გამოეხმაურა. მაშინ გადაწყვიტა, სიისთვის სხვა ორგანოები დაემატებინა, რომ ხალხი საკუთარი განზრახვის სერიოზულობაში დაერწმუნებინა.

ქალმა ადგილობრივ მთავრობას ქირის გადასახადის დაწევის თხოვნით მიმართა. უარის მიღების შემდეგ კი განაცხადა, რომ მას საკუთარი ოჯახისთვის თავშესაფრის უზრუნველსაყოფად თავის გაყიდვა მოუწევს, რაზეც უპასუხეს, რომ „ის თავისუფალია და შეუძლია საკუთარ ცხოვრებას ისე მოექცეს, როგორც უნდა“.

გალატაკებული ესპანელის ისტორიას საზოგადოებაში რეზონანსი მოჰყვა. ქვეყანაში უძრავი ქონების სფეროში კრიზისმა არაერთი ადამიანი უკვე აიძულა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. ესპანური კანონებით, ორგანოების გაყიდვა დანაშაულად ითვლება. მთავრობა ქალს 12-წლიანი პატიმრობით ემუქრება.

# გამნაღმველი ბურთები

**წარმოშობით ავღანელმა დიზაინერმა მასუდ ჰასანმა დანაღმული ველების გაუვნებელყოფის საკმაოდ უცნაური და ამავე დროს ძალიან მარტივი სისტემა წარმოადგინა. ავტორის თქმით, მსგავსი მოწყობილობის შექმნა მას ბავშვობაში ნანახმა სათამაშოებმა შთააგონა.**





მოწყობილობა ძალიან მარტივადაა შექმნილი და მასში მხოლოდ ორი სახის მასალა — ბუნებრივი ბამბუკი და პლასტიკი გამოიყენება. თანამედროვე ტექნოლოგიებიდან მოწყობილობაზე სახელად Mine Kafon მხოლოდ თანამგზავრული ნავიგაციის GPS გადამცემი გამოიყენება. ეს უკანასკნელი ბურთების ადგილმდებარეობის გაკონტროლების საშუალებას იძლევა.

ავტორის ჩანაფიქრით, ნაღმების გაუვნებელყოფისთვის არ იქნება საჭირო გამნაღმველთა სიცოცხლის გარისკვა და ძვირადღირებული ტექნიკის გამოყენება. მთელ სამუშაოს ბამბუკის ჯოხებისგან და მათ ბოლოებზე დამაგრებული პლასტმასის თეფშებისგან შექმნილი სფერო შეასრულებს. კონსტრუქციის სიმსუბუქის მიუხედავად, ჰასანის მტკიცებით, Mine Kafon-ის მასა მიწაში დამალული ნაღმების აფეთქებისთვის საკმარისი იქნება. ამასთან უცნაური ბურთის გადაადგილებას ქარი უზრუნველყოფს. დანაღმულ ველზე მოხვედრისას, ნაღმის ამოქმედებას ბამბუკის ჯოხის ბოლოზე დამაგრებული პლასტმასის თეფში მოახდენს.

ამ უცნაური გამოგონების გამოყენება მხოლოდ გაშლილ ადგილებში შეიძლება და ნაღმების გაუვნებელყოფის ტრადიციულ და სახიფათო მეთოდებს ის სრულად ვერ ჩაენაცვლება. თუმცა, ნაღმებისგან ტერიტორიის გაწმენდის პირველი ეტაპისთვის Mine Kafon-ის გამოყენება ურიგო არ იქნებოდა. გაეროს მონაცემებით, ავღანურ მიწაში დღესაც 10 მილიონამდე ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი იმალება. ჯერჯერობით ავღანელი დიზაინერის გამოგონება ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნებათა მუზეუმშია გამოფენილი.

# ბრიტანელი მეხანძრეები გაშიშვლდნენ

**ბრიტანელი მეხანძრე ქალები კალენდრისთვის გაშიშვლდნენ. ინგლისის საგრაფო იორკშირის სახანძრო ბრიგადის მეხანძრე ქალბატონებმა იმ ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც საქველმოქმედოა და შემოსული თანხა კიბოსთან ბრძოლის კამპანიას მოხმარდება.**

ფოტოგალერეა მრავალფეროვანია და საზოგადოების მოწონება უკვე დაიმსახურა. როგორც მეხანძრეებმა განაცხადეს, თავდაპირველად კამერის წინ გაშიშვლება გაუჭირდათ, მაგრამ შემდეგ ფოტომოდელის ამპლუა ძალიან მოეწონათ. კალენდრის — „ცეცხლოვანი გოგონები 2013“ ღირებულება 6 გირვანქა სტერლინგია.








# ჯულიეტა წერილებს აღარ მიიღებს

**ვერონის ქალაქის საბჭო მუშაობს გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, ის, ვინც ჯულიეტას სახლის კედლებზე წერილს ან წარწერას მიაკრავს, 500 ევროთი დაჯარიმდება.**

დიდი ხანია სენტიმენტალური ტრადიცია ვერონაში შეყვარებულ ტურისტებს იზიდავს. რომეოსა და ჯულიეტას ისტორიით აღტაცებულები, ისინი ჯულიეტას სახლის კედლებზე ქაღალდებს ტოვებენ. ხშირ შემთხვევაში, ტურისტები წერილებს კედელზე საღეჭი რეზინით ან წებოთი აწებებდნენ.

გავრცელებული რწმენით, ასეთ წერილს შეუძლია სიყვარული გაახანგრძლივოს, მაგრამ შენობის იერსახეს ათასობით მიწებებული ქაღალდი ზიანს აყენებდა.

სამოქალაქო საბჭომ ანალოგიური აკრძალვა 2004 წელს უკვე დააწესა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, ტრადიცია ისევ აღადგინეს.

ვერონა ყოველწლიურად შეყვარებულების ლეგენდის წყალობით უამრავ ფულს შოულობს. ამასთან, წყვილის არსებობის შესახებ არანაირი ისტორიული წყარო არ არსებობს. ისტორიკოსები თვლიან, რომ არ არსებობს საფუძველი, ცნობილი „ჯულიეტას სახლი“ შექსპირის ტრაგედიას დავუკავშიროთ. ცნობილი აივანი კი XVII საუკუნეში შუა საუკუნეების სარკოფაგის ნაწილებისგან ააგეს.

# კაცობრიობა სულელდება



**კაცობრიობა ინტელექტუალურ და ემოციურ შესაძლებლობებს კარგავს, დაამტკიცეს სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა. ინტელექტი და ემოციები გენური მუტაციის პირობებში ყველაზე დაუცველია. მუტაციას კი ინტელექტის ამაღლებისკენ არ მივყავართ.**

**„პირობებში, რომელშიც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, გადარჩენა ძირითადი ამოცანა იყო და მისკენ იყო ინტელექტის მთელი ძალები მიმართული, ამიტომ გენურმა მუტაციებმა ინტელექტის განვითარების პიკი გამოიწვია“,** — აღნიშნავს კვლევის წამყვანი ავტორი დოქტორ ჯერალდ კრებტი.

ამის შემდეგ ადამიანის ინტელექტუალურმა ძალამ კლება დაიწყო: სოფლის მეურნეობის და ურბანიზაციის განვითარებასთან ერთად ცხოვრება გაცილებით იოლი გახდა, კაცობრიობა კი ინტელექტის კლებას სუსტად ეწინააღმდეგებოდა.

ინტელექტის განვითარებაში ორიდან ხუთ ათასამდე გენია ჩართული. დოქტორი კრებტი ვარაუდობს, რომ სამი ათასი წლის და 120 თაობის განმავლობაში ჩვენ გავიარეთ მუტაცია, რომელმაც ჩვენი ინტელექტუალური და ემოციური შესაძლებლობები გააუარესა. მაგრამ ინტელექტის დაკარგვის პროცესი საკმაოდ ნელია. ტექნოლოგიები და მეცნიერება კი ვითარდება, რაც იმედს იძლევა, რომ მომავალში ამ დამანგრეველი პროცესების წინააღმდეგ გზას იპოვიან.

A4ANIMALS.COM — ამ სოციალურ ქსელში მხოლოდ ცხოველების მოყვარული ადამიანები რეგისტრირდებიან. მომხმარებლები ერთმანეთს უზიარებენ შინაური ცხოველების ფოტოებს, აძლევენ რჩევებს და ცხოველების დასახმარებლად სხვადასხვა ღონისძიებას გეგმავენ. ამ თემატიკის სოციალური ქსელი მსოფლიოში პირველია და მას ანალოგი არ აქვს.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყინულის ბურთულები

**მიჩიგანის ტბის ნაპირებზე არაჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენა მოხდა.** წყლის ნაკადმა დაახლოებით ნულოვან ტემპერატურასთან ერთად შექმნა უნიკალური ყინულის ბურთულები როგორც ხმელეთზე, ასევე წყლის ქვეშაც. შედეგად ტბის სანაპირო უმსხვილესი სეტყვით დაფარულს დაემსგავსა.







# ყინულის მღვიმე



შვეიცარიის ის ნაწილი, სადაც ალპების მთათა სისტემა გადის, სამართლიანად შეგვიძლია ჩავთვალოდ თოვლის დედოფლად, რადგან აქ განსაცვიფრებელი სილამაზის მყინვარებია. ერთ-ერთი ექსპედიციის დროს ფოტოგრაფმა რობი შონმა გადაიღო ულამაზესი ფოტოები, რომლებზეც ნამდვილი ყინულის მღვიმეა აღბეჭდილი.



# ფეხსაცმელების ნაძვის ხე



**მას შემდეგ, რაც კრისტიან ლაბუტენმა ფეხსაცმლის წითელ ლანჩებზე საავტორო უფლება მოიპოვა, დიზაინერი ამ უფლების გამოყენებას ყველა ხერხით ცდილობს. ლაბუტენმა თავისი ბუტიკების ვიტრინები სწორედ წითელლანჩიანი ფეხსაცმლით შექმნილი ნაძვის ხეებით გააფორმა.**

ასეთი წითელძირიანი ფეხსაცმლებით შექმნილი ახალი წლის სიმბოლო გაჩნდა ლაბუტენის მაღაზიათა ქსელის ნიუ იორკის, პარიზისა და ჟენევის ფილიალებში. ნაძვის ხე თეთრი ფეხსაცმლითაა გაწყობილი, ხოლო ვარსკვლავის მაგივრობას თვლებით გაფორმებული ფეხსაცმელი წევს.



# სოციალური ქსელი ცხოველებისთვის




**54 წლის მარტინ ბოუენმა იმდენად განიცადა ოთხფეხა მეგობრის, ლაბრადორ ბენის სიკვდილი, რომ გადაწყვიტა, ეს ცუდი ამბავი მთელი მსოფლიოსთვის შეეტყობინებინა. სწორედ მაშინ გაუჩნდა მარტინს იდეა, რომ საიტი A4Animals.com შეექმნა.** ამ სოციალურ ქსელში მხოლოდ ცხოველების მოყვარული ადამიანები რეგისტრირდებიან. მომხმარებლები ერთმანეთს უზიარებენ შინაური ცხოველების ფოტოებს, აძლევენ რჩევებს და ცხოველების დასახმარებლად სხვადასხვა ღონისძიებას გეგმავენ. ამ თემატიკის სოციალური ქსელი მსოფლიოში პირველია და მას ანალოგი არ აქვს.

საიტი დაახლოებით ერთი თვის წინ ამუშავდა, თუმცა უკვე უამრავი მომხმარებელი ჰყავს. A4Animals.com-ის მიზანია, რომ ფეისბუქის ანალოგი გახდეს. ამჯერად საიტის დიზაინი სოციალური ქსელის სტანდარტებისგან განსხვავდება და უფრო პრიალა ჟურნალის ვებგვერდს ჰგავს.

**„ A4Animals.com-ს გააჩნია იმის პოტენციალი, რომ ცხოველებისთვის განკუთვნილ სრულფასოვან სოცქსელად იქცეს. იდეა ბენის გარდაცვალების შემდეგ გამიჩნდა. სასოწარკვეთილი ვიყავი და მინდოდა, რომ როგორმე დამევიწყებინა ეს შემთხვევა. ნუგეშად სწორედ ეს საიტი მომევლინა. მაშინ დამებადა მისი შექმნის იდეა. ყოველ მომხმარებელს შეუძლია მისი ოთხფეხა მეგობრის ფოტოს ატვირთვა და სხვებისთვის გაზიარება. მომხმარებლები ერთმანეთს რჩევებს აძლევენ, რომ ცხოველებთან ურთიერთობა გაამარტივონ“,** — განაცხადა ბოუენმა.

# ყველაზე დიდი სათამაშო მატარებელი

შანხაიში ენთუზიასტების ჯგუფმა სათამაშო მატარებლებში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მათი შედევრი შედგება 13 769 სექციისგან და სათამაშო მატარებლისგან, მისი სიგრძე 2 888 მეტრია. ეს რეკორდი ოფიციალურად შევიდა გინესის წიგნში.









ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავსტრალიელმა მეცნიერებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ადამიანი ყველაზე სწორ გადაწყვეტილებებს მწოლიარე მდგომარეობაში იღებს. კვლევაში 30 ადამიანი მონაწილეობდა. მათ ანაგრამების ამოხსნა სხვადასხვა პოზაში დაევალათ. მეცნიერები ამ ფენომენს იმით ხსნიან, რომ მწოლიარე პოზაში ტვინს მეტი ჟანგბადი და ჰორმონი მიეწოდება, რაც კონცენტრაციაზე დადებითად მოქმედებს.



## ტუალეტის მუზეუმი

სამხრეთ კორეაში ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხელოვნების დონემდეა აყვანილი. ცოტა ხნის წინ ქალაქ სუვონში მსოფლიოში პირველი მუზეუმი და პარკი გაიხსნა, რომლის თემატიკა ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა.

**„ტუალეტში ადამიანი მხოლოდ ბუნებრივ მოთხოვნილებებს არ იკმაყოფილებს. საპირფარეშო გვეხმარება, ჩვენს თავთან მარტო დავრჩეთ და ფიქრის საშუალებას გვაძლევს“,** — განაცხადეს საპირფარეშოს მსოფლიო ასოციაციაში.

# განტოლების ამოხსნა ადამიანს ფიზიკურ ტკივილს აყენებს

**მათემატიკური განტოლების ამოხსნის პროცესს ადამიანისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენება შეუძლია. ამ დასკვნამდე ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ.**

თითოეული ამოუხსნელი განტოლება ტვინის იმ ნაწილის გააქტიურებას იწვევს, რომელიც ტკივილის შეგრძნებაზეა პასუხისმგებელი. ფიზიკურ ტკივილს მათემატიკური დავალების ამოხსნისას, ინდივიდუალურად, სხეულის სხვადასხვა არეში განიცდიან. ცნობილია, რომ ტკივილის შიშის გამო ტვინი ნაკლებეფექტურად მუშაობს. სწორედ ამიტომ ირჩევენ ადამიანები ჰუმანიტარულ პროფესიებს.

როგორ გავზარდოთ ამ დროს სხეულის გამძლეობა ტკივილის მიმართ? ამ კითხვას პასუხი სინგაპურელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა გასცეს. მათი რეკომენდაციით, ადამიანს, რომელსაც სურს, რომ განტოლება უფრო ადვილად ამოხსნას, კუნთები დაჭიმული უნდა ჰქონდეს. ამიტომ მათემატიკური დავალებების შესრულებამდე მეცნიერები ფიზიკური სავარჯიშოების შესრულებას გვირჩევენ.

გარდა ამისა, ავსტრალიელმა მეცნიერებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ადამიანი ყველაზე სწორ გადაწყვეტილებებს მწოლიარე მდგომარეობაში იღებს. კვლევაში 30 ადამიანი მონაწილეობდა. მათ ანაგრამების ამოხსნა სხვადასხვა პოზაში დაევალათ. მეცნიერები ამ ფენომენს იმით ხსნიან, რომ მწოლიარე პოზაში ტვინს მეტი ჟანგბადი და ჰორმონი მიეწოდება, რაც კონცენტრაციაზე დადებითად მოქმედებს.



$$\frac{\partial^2 U}{\partial x^2} = \frac{1}{v^2}\frac{\partial^2 U}{\partial t^2} \qquad \frac{\sqrt{3}}{2\sin 5x} + 1 = 0$$




## მაღვიძარა, რომელსაც მზე ამოჰყავს

**ფინურმა კომპანია UnikkoNordic-მა შექმნა მაღვიძარა, რომელიც გათენების იმიტაციას ქმნის. ციფრული სამაგიდო საათი თხევადკრისტალური მნათობი ხელსაწყოთია აღჭურვილი. ის ნელ-ნელა ზემოთ ამოსვლას იწყებს, როდესაც პატრონის გაღვიძების დრო დგება.**

ფუნქცია, რომელიც მზის ამოსვლის იმიტაციას ქმნის, მხოლოდ ესთეტიკურია. გარდა ამისა, მაღვიძარას შეუძლია 5 განსხვავებული ხმა გამოსცეს. მნათობი ნაწილი კი სხვადასხვა ფერად შეგიძლიათ აანთოთ.

მაღვიძარას მფლობელს შეუძლია, მუსიკა ძილის წინაც ჩართოს, ვინაიდან ბუნების ხმების იმიტაცია ფსიქიკაზე დამამშვიდებლად მოქმედებს. ამ მრავალფუნქციურ მაღვიძარას Aurora Wake-Up Light-ი ქვია. ის შესაძლოა, სანათის მაგივრადაც გამოიყენოთ. მისი ფასი ონლაიან მაღაზიებში 100 ევროა.

# ხელოვნური ტროპიკული კუნძული

**მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელოვნური ტროპიკული კუნძული ბერლინში მდებარეობს. საცურაო აუზები, ტროპიკული მცენარეები, ხის კოტეჯები, რომლებიც ბარრესტორნის ფუნქციას ითავსებენ, პოპულარულია როგორც ადგილობრივებში, ისევე ტურისტებში.**

კომპლექსი 360 მეტრი სიგრძისაა, სიგანეში 210 მეტრია, მისი სიმაღლე კი 107 მეტრს აღწევს. შენობის „ჯუნგლები“ 30 000 ხითა და ბუჩქით გააშენეს. შენობის ერთ მხარეს ფანჯრები გამჭირვალეა და ინტერიერი მზის შუქით ნათდება. ხელოვნური სანაპირო 200 მეტრი სიგრძისაა, ჭერი კი ცის იმიტაციის შესაქმნელად ლურჯი ფერითაა მოხატული.

თითო საცურაო აუზი 25-მეტრიანია და 8 000 ადამიანს ემსახურება. ტერიტორიაზე განთავსებულია გოლფის მოედანი, რამდენიმე მაღაზია შოპინგის მოყვარულთათვის და კარვები. იმისთვის, რომ სტუმარმა თავი მართლაც ტროპიკულ კუნძულზე იგრძნოს, მზის სინათლესთან ერთად უამრავი ნათურაა ჩართული.





# იყიდება დედამიწა

**ისეთ ცნობილ ინტერნეტაუქციონებზე, როგორიცაა eBay და Yahoo, ხშირად გამოაქვთ ორიგინალური და უცნაური ლოტები, თუმცა ერთმა იაპონელმა ყველა უკან ჩამოიტოვა. იგი, არც მეტი, არც ნაკლები, მთელ დედამიწას ყიდის.**

დედამიწის საწყისი ფასი 69 იენი, იგივე 86 ცენტი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც დედამიწის გაყიდვის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ჩვენი პლანეტის ფასმა 123 მილიონ დოლარს გადააჭარბა. **გამყიდველი დედამიწის გაყიდვას სრულიად სერიოზულად უდგებოდა. ლოტის აღწერაში მან დაწერა, რომ „დედამიწა მას ღმერთმა გამოუგზავნა და მხოლოდ იმიტომ ყიდის, რომ ფინანსურად ძალიან გაუჭირდა“.**

იაპონელმა ისიც აღნიშნა, რომ დედამიწა ნამდვილია და მუშა მდგომარეობაშია, ხოლო გაყიდულ საქონელს უკან არ იბრუნებს.



# ბრაიანის ფიფქები

**ინგლისელი მიკრობიოლოგი ბრაიან ვალეტინი ყოველთვის ენთუზიაზმით შეპყრობილი და გატაცებული იყო მაკროფოტოგრაფიით. მისი თქმით, როდესაც პენსიაზე გავიდა, შესაძლებლობა გაუჩნდა, გაცილებით მეტი დრო დაეთმო თავისი საოცარი სურათების შექმნისთვის. ბრაიანი იყენებდა იაპონურ პროფესიონალ სარკიან ფოტოაპარატს.**

ყველამ იცის და უნახავს ყინულის გავრცელებული ფორმები: ფიფქები, ლოლუები, თოვლის ბაბუები და ნაყინი. მაგრამ საკმარისია მათ მაკროლინზით შევხედოთ და ყინული უმალ დაიწყებს უცნაური ფორმების მიღებას, ეს ფორმები კი, რომლებიც უფრო მეტად გვიმრის ნაზ ფოთლებს გვანან, ვიდრე ცივი წყლის მყარ და მკვრივ ფორმას.









# ნაძვის ხე თეფშებისგან



**დამდეგი 2013 წლის აღსანიშნავად ბელგიურ ქალაქ ჰასელტში დადგეს ყოველწლიური ტრადიციული ნაძვის ხე არატრადიციული და ამავე დროს, უნიკალური დიზაინით.** „mooz inj venluid da Stefan fanbergenis" სტუდიის დიზაინერებმა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ნაძვის ხისათვის ახალი კონცეფცია შეიმუშავეს. ამ ნაძვის ხესთან გაიმართება კონცერტი, რომელიც ნებისმიერ მსურველს მისცემს საშუალებას, ყველას გააგებინოს თავისი საახალწლო სურვილები. ადგილობრივებმა საკუთარი სახლებიდან მოიტანეს დაახლოებით ხუთი ათასი თეფში, რათა შეექმნათ ლურჯ-თეთრი ფიგურის ნაძვის ხე.

ქრონოგრაფი

მსოფლიო ქრონიკა და მეცნიერება

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ბერმუდის სამკუთხედში ჩაძირული ქალაქი იპოვეს

**ბერმუდის სამკუთხედის რაიონში ძველი უცნობი ქალაქის ნანგრევები იპოვეს. კანადელმა მეცნიერებმა პოლ ვაინცვეიგმა და პოლინა ზალიცკიმ კუბის აღმოსავლეთ სანაპიროდან ჩრდილოეთისკენ 700 მეტრში წყალქვეშა ნანგრევებს მიაგნეს.**

რობოტის დახმარებით გაკეთდა ატლანტის ოკეანეში იდუმალი ადგილის ფოტოები. მეცნიერთა თქმით, ფოტოსურათებზე აღბეჭდილია მონუმენტური ნაგებობები, მათ შორის ოთხი გიგანტური პირამიდა, რომელთაგან ერთი მათგანი, ჩანს, შუშისგან არის გაკეთებული. ფოტოებზე ასევე ჩანს რაღაც სფინქსის ქანდაკების მსგავსი და რამდენიმე მონოლითური ნაგებობა.

როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, **აღმოჩენილი ქალაქი ეკუთვნის კარიბისა და ცენტრალური ამერიკის ისტორიის კლასიკურის წინა პერიოდს.** ეს ადგილი თავის დროზე შეიძლებოდა ტეოტიუაკანის კულტურის მსგავსი წამყვანი ცივილიზაციებით ყოფილიყო დასახლებული.

**კანადელი მეცნიერების აზრით, პირველებმა ეს ჩაძირული ქალაქი ამერიკელებმა იპოვეს 1960-იან წლებში, კარიბის კრიზისის დროს, მაგრამ ობიექტი დახურეს. კანადელებმა კი ეს ახალი აღმოჩენა შემთხვევით გააკეთეს. ჯერ კიდევ 2000-იან წლებში ისინი კუბის ხელისუფლებამ დაიქირავა და ოკეანის ფსკერის კარტოგრაფიული აღწერა შეუკვეთა. კუბელებს სურდათ ესპანური ჩაძირული გემების განძის პოვნა, შედეგად კი ქალაქის ნანგრევები აღმოჩნდა.**







# თეთრ ლაბრადორს 12 შავი ლეკვი ეყოლა

**ინგლისის ქალაქ როჩდეილში მცხოვრებ ტომპსონების ოჯახში ძაღლმა პატრონებს საშობაო საჩუქრად ლეკვები გაუჩინა, თუმცა ეს ფაქტი ოჯახის ყველა წევრისთვის სრული მოულოდნელობა იყო — მათ არ იცოდნენ, რომ ლუსი მაკედ იყო.**

თეთრი ლაბრადორის თორმეტივე ლეკვი შავი ფერისაა. 12 ლეკვი 12 დეკემბერს გაჩნდა. ტომპსონების ლუსით ბრიტანული გამოცემები დაინტერესდნენ და ლაბრადორები Daily Mail-ის გარეკანზეც მოხვდნენ.

**„12 ლეკვი 12 რიცხვში 2012 წლის მე-12 თვეს გაჩნდნენ, 12 ლეკვი და 12/12/12 ძალიან სიმბოლურია. ყველა ლეკვი ძალიან გვიყვარს, არც კი ვიცი, ამაზე დიდი საშობაო საჩუქარი რა უნდა იყოს",** — ამბობს ოჯახის დიასახლისი რეიჩელი.

# იდეალურად მრგვალი კვერცხი

**მამაკაცმა სურსათის შეძენის შემდეგ კვერცხის ყუთში იდეალურად მრგვალი კვერცხი აღმოაჩინა და მისი აუქციონზე გაყიდვა გადაწყვიტა. მარკ კამერონის თქმით, ასეთი კვერცხის არსებობის ალბათობა მილიარდიდან ერთია, ხოლო ამ ექსპონატს სამუზეუმო მნიშვნელობა აქვს. იდეალურად მრგვალი კვერცხი მან ონლაინ აუქციონ eBay-ზე განათავსა.**



პირველი წინადადება, რომელიც მარკმა აუქციონის მონაწილეებისგან მიიღო, 99 ცენტი იყო, რამაც ცოტათი გაუცრუა იმედი. მოგვიანებით ფასმა ორმოც ფუნტ სტერლინგს მიაღწია.

„ეს კვერცხი უამრავ ადამიანს ვაჩვენე. არც ერთ მათგანს მსგავსი არაფერი უნახავს. ინტერნეტში იდეალურად მრგვალ კვერცხზე ძიება ჩავატარე. აღმოჩნდა, რომ მსოფლიოში მხოლოდ ორ ადამიანს ჰქონდა ჩემ გარდა ასეთი კვერცხი", — განაცხადა მარკმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

# უპილოტო, რომელსაც ჰაერში ყოფნა მუდმივად შეუძლია

**კომპანია CyPhy Works-მა ახალი ტიპის უპილოტო შექმნა. საკმაოდ კომპაქტური ზომების საფრენ აპარატზე აღჭურვილობის სახით მხოლოდ რამდენიმე მაღალხარისხიანი გამოსახულების მქონე ვიდეოკამერაა დაყენებული. აფრენის შემდეგ ელექტოძრავიანი უპილოტო ძირითადად ერთ ადგილზეა ჩამოკიდებული და „დანახულ" სურათს მიწაზე ონლაინ რეჟიმში გადასცემს.**

საინტერესო ის არის, რომ **აპარატს საკუთარი კვების წყარო არ გააჩნია.** მისი ავტორების თქმით, **ეს უპილოტოს წონის შესამცირებლად გაკეთდა. ძრავას ელექტროენერგიით მომარაგება უპილოტოზე გამობმული წვრილი სადენით ხდება. მეორე ბოლოთი სადენი მიწაზე მყოფ ოპერატორის ხელთ არსებულ აკუმულატორთანაა დაკავშირებული. მისი მუხტის მოცულობა უპილოტოს 50 წუთიანი უწყვეტი ფრენის საშუალებას აძლევს. განმუხტვისთანავე ოპერატორს ახალი აკუმულატორის გამოყენება და შესაბამისად, ფრენის კიდევ 50 წუთით გახანგრძლივება, უპილოტოს მიწაზე დასმის გარეშე შეუძლია. ამის წყალობით უპილოტოს ჰაერში ყოფნის ხანგრძლივობა პრაქტიკულად შეუზღუდავია.**



მწარმოებლების თქმით, სადენზე „გამობმულ" უპილოტოს კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს. ინფორმაციის მიწაზე გადაცემა ამავე სადენით ხდება, რომლითაც უპილოტოს მიწიდან ელექტროენერგია მიეწოდება. შესაბამისად, უცხო პირთათვის ინფორმაციის გადაცემის მომენტში, მისი ხელში ჩაგდება შეუძლებელია. არსებობს ამ უპილოტოს კიდევ ერთი საინტერესო მოდიფიკაცია. საბაზო ვარიანტთან შედარებით ის გაზრდილი გაბარიტებით გამოირჩევა. ერთი აკუმულატორით მას ჰაერში შეუჩერებლივ ყოფნა 12 საათის განმავლობაში შეუძლია.



# სასტუმრო ზღვაში



**ფორტ სპიტბანკი მდებარეობს ჰემპშირში ერთ-ნახევარ კილომეტრში პორტსმუნტის სანაპიროდან. იგი 1860-იან წლებში ზღვაში აშენდა, რათა ნაპოლეონის ჯარს არ ჰქონოდა საშუალება, ქალაქი ადვილად დაეპყრო. დღეისთვის ეს ციხესიმაგრე გარემონტდა და გადაიქცა ელიტურ სასტუმროდ, სადაც ტარდება სხვადასხვა ღონისძიება და წვეულება.** სასტუმროში 9 ლუქსის ნომერია, ერთი ღამის საფასური კი 6500 ფუნტ სტერლინგს შეადგეს. სრული მომსახურების გარდა, სასტუმროს მფლობელი ანონიმურობის გარანტიასაც იძლევა.



# რას ითვალისწინებს უფასო საბაზისო პაკეტით დაზღვევა და ვინ ეწინააღმდეგება ამ პროგრამის განხორციელებას?

## ჯანდაცვის მინისტრის პოზიცია გაურკვეველია!

**„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ინტერვიუს კოალიცია „ივანიშვილი — ქართული ოცნების“ ჯანდაცვის რეფორმის პროგრამის ერთ-ერთი ავტორთან, მედიცინის დოქტორთან, ჯანდაცვის ექსპერტსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანდაცვის სისტემის რეფორმისა და მონიტორინგის ცენტრის“ დამფუძნებელ თეა ჩანადირთან. მმართველი პარტია გვპირდება, რომ მომავალი წლიდან ოფიციალურად ამოქმედდება ფონდი, რომლის საშუალებითაც საქართველოს აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს (განურჩევლად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა) მიეწოდება უფასო საბაზისო პაკეტით დაზღვევა.**



## თეა ჩანადირი:

## ვფიქრობთ, რომ ახალი ხელისუფლება თავისივე დანაპირებს და ინოვაციას კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენებს

**— ქალბატონო თეა, რას სთავაზობთ ხალხს?**

— ჩვენმა ჯგუფმა იმუშავა, რომ „ქართული ოცნების“ ხედვა ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებით პროგრამად ექცია. უმთავრესი პრობელმა იყო და ჯერჯერობით ისევ არის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ხარისხი. ახალს ჩვენ არაფერს ვამბობთ — ევროპის ქვეყნებმა ეს უკვე გაიარეს. მაგალითად, გერმანიამ ეს ეტაპი ორი საუკუნის წინ გაიარა, ამიტომაც პირველი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააჟღერა ჯანდაცვის რეფორმაში, გახლდათ ის, რომ ყველა უნდა იყოს დაზღვეული. დაზღვევას კი უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო, საბიუჯეტო ფინანსური წყარო და საბაზისო პაკეტი უნდა იყოს უფასო.

**— რა შედის დაზღვევის საბაზისო პაკეტში?**

— საბაზისო პაკეტში შედის: ჰოსპიტალური გადაუდებელი შემთხვევები სრულად, მათ შორის რეანიმაციის კომპონენტი, ამბულატორიული მომსახურება როგორც გადაუდებელი, ასევე გეგმიური — სრულად, რომელსაც განახორციელებს ოჯახის ან სოფლის ექიმი, გეგმიური ჰოსპიტალური ქირურგიული მომსახურება ლიმიტაციის ფარგლებში, მშობიარობა და მასთან დაკავშირებული გართულებების მკურნალობა. გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება, ესენციური მედიკამენტების ჩამონათვალი, ოჯახის ექიმის დანიშნულებით ლიმიტირებისა და თანაგადახდის გზით.

**— როგორც ვიცი, „უმცირესობა“, ანუ „ნაციონალები“ ამის სასტიკი წინააღმდეგი წავიდნენ?**

— დიახ, პირველი წინააღმდეგობა წამოვიდა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, ბენდუქიძის გუნდიდან. გამოვიდა თამარ ჩერგოლეიშვილი და დაიწყო აპელირება, რომ ეს აბსურდია, რად უნდათ მდიდრებს დაზღვევა. შემდეგ იგივე არგუმენტები გაიმეორა არასამთავრობოთა ნაწილმა, რომელიც ასევე ძველ ხელისუფლებასთან და „ნაციონალების“ ჯანდაცვის სისტემასთან ასოცირდებიან.

**ჩვენ საკითხს ვსვამთ შემდეგნაირად — რამდენი მდიდარია საქართველოში და გარდა ამისა, როგორ უნდა მოხერხდეს მათი გამოყოფა, ანუ სელექცია.** ამ კრიტერიუმების ძებნაში და ამ კრიტერიუმებით საზოგადოების დაყოფაში იმდენი რესურსი იხარჯება და ზოგადად საქართველოში ეს იმდენად უპერსპექტივო მცდელობაა, გაღატაკებულ საზოგადოებაში გამორჩიო 2-3% მდიდარი, რომ ეს უფრო დროის გაყვანის და რეალურ ცვლილებებზე ირიბად უარის თქმის პოლიტიკას ჰგავს. ამით, ფაქტობრივად, შენ ადამიანებს კლასებად ყოფ — ამ კლასს გაძლევ დაზღვევას, ამ კლასს — არა.

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც რატომღაც არ დასმულა არც ერთი ოპონენტის მიერ — **0-დან 6 წლამდე ბავშვები და პენსიონერები რომ სელექციის გარეშე დააზღვიეს, იქ რა, არ იყვნენ მდიდარი ოჯახის შვილები ანდა მდიდარი პენსიონერები?**

**რატომ არ გამოიყენეს მაშინ ამ სელექციის შესაძლებლობა და რატომ მისცეს უფასო დაზღვევა, მაგალითად, სააკაშვილის ბებიას ანდა მის შვილს — პატარა ნიკოლოზს?** ამიტომაც და სხვა კიდევ ბევრი მიზეზისა და არგუმენტის გამო, სელექცია არის აბსურდული თემა და მისი მიზანი დროის გაყვანის მცდელობაა.

**— გასაგებია, რომ საბაზისო პაკეტი ყველასთვის უფასო იქნება, მაგრამ ვინ უნდა დააზღვიოს მოსახლეობა — სახელმწიფომ თუ კერძო სადაზღვევო კომპანიებმა?**

— არც ერთმა და არც მეორემ. რეფორმის პროექტის თანახმად, მოსახლეობა უნდა დააზღვიოს არამომგებიანმა ინსტიტუტმა. არ შეიძლება, რომ სახელმწიფოს მიერ მოტანილი ფული წავიდეს რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის მოგებაში. ბიუჯეტიდან დაზღვევისთვის გამოყოფილი თანხა ცალსახად უნდა იყოს არამომგებიანად დახარჯული. იმიტომ, რომ ეს არის ხალხის ფული და არ შეიძლება ხალხის ფულზე წარმოიქმნას მოგება. **„ნაციონალების“ რეფორმებმა პირიქით, დაზღვევის პროცესი ძალზე მჭიდროდ მიაბა კერძო სადაზღვევო კომპანიებს. პირველ ეტაპზე, როდესაც „ნაციონალებმა“ საბიუჯეტო სახსრები „მიაწოდეს“ სადაზღვევოებს, მალევე შეუგზავნეს კონტროლის პალატა, რომ მათი მოგებები დაეფიქსირებინათ. მაშინ აღმოჩნდა სწორედ, რომ სახელმწიფო სადაზღვევო სქემაში მონაწილეობამ სადაზღვევოებს 50%-ზე მეტი მოგება მოუტანა.**

როგორც გამოჩნდა, ეს შემოწმება არ ემსახურებოდა სისტემის ხარვეზების აღმოფხვრას, „ნაციონალებს“ ეს მონაცემები სჭირდებოდათ იმისთვის, რომ სადაზღვევო კომპანიებისთვის ლაგამი ამოედოთ და მარტივად ემართათ. ის, რაც ევალებოდა სახელმწიფოს, რომ კლინიკები გაერემონტებინა, აღეჭურვა, ახალი ინფრასტრუქტურა გაემართა, რასაც ავალებდა ევროპული კონვენციები და მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია, გადააბარეს სადაზღვევო კომპანიებს — ჩვენ თვალს ვხუჭავთ თქვენს 50%-იან მოგებაზე, სამაგიეროდ ჩვენს (სახელმწიფოს) ნაცვლად ააშენებთ 150 საავადმყოფოს და ა.შ. ამის შემდეგ თითქმის ყველა სადაზღვეო კომპანიამ, რომელთა 50%-იანი მოგება სახელმწიფო დაზღვევიდან საკმარისი არ იყო კლინიკებისა და სტაციონარების ასაგებად, აიღო დამატებით ფინანსური ვალდებულებები, თუნდაც ბანკებიდან კრედიტების სახით, და მთლიანად ორიენტირებული გახდა მოგებასა და ამ დანახარჯების ამოღებაზე. ასე და ამრიგად, კერძო სადაზღვევოებს საკმაოდ დიდი რისკები დაემუქრათ და ფინანსურად სტაბილური სუბიექტებიდან ისინი გადააქცია მყიფე წარმონაქმნებად, ანუ **სადაზღვევოების სტაბილურობის მითს წყალი „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ შეუყენა,** ამ და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მივედით იქამდე, რომ ხალხი უნდა დააზღვიოს არა მომგებიანმა ინსტიტუტმა, იმიტომ, რომ ბიუჯეტში წასული ფული უნდა უბრუნდებოდეს ხალხს და ამ სქემაში მოგებაზე ორიენტირებული ინსტიტუციის ჩარევა არ შეიძლება. „ქართული ოცნების“ რეფორმის პროგრამის თანახმად, ამისთვის შეიქმნება ფონდი, მაგრამ ეს არ იქნება სახელმწიფო ფონდი. პირიქით, ეს იქნება არასახელმწიფო ინსტიტუცია, რომლის მმართველობის მხოლოდ ერთი მესამედი იქნება ფინანსთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების სახით. რაც მთავარია, მმართველობითი საბჭო უნდა იყოს არჩევითი, რაც პლურალიზმის მაღალ ხარისხს შექმნის. იგივე მოდელია ევროპის კონტინენტზე, სადაც ამ მმართველობით საბჭოს ირჩევს მოსახლეობა — დასახელდება კანდიდატი, დაიბეჭდება ბიულეტენი და ამგვარი არჩევნების შედეგად წარმოიქმნება მმართველობითი საბჭო.

**— ანუ სადაზღვევო ფონდს სახელმწიფო ვერ გააკონტროლებს?**

— რაღაც დონეზე და პროცენტით კი, მაგრამ მთლიანობაში ეს იქნება არჩევითი და არა დანიშნული თანამდებობებით დაკომპლექტებული საბჭო.

**— როგორ შეხვდებიან ამას სადაზღვევო კომპანიები?**

— სადაზღვევო კომპანიები ჯერჯერობით ღიად არ აფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს, თუმცა არის გარკვეული წინააღმდეგობა მათი მხრიდან. საუბარია იმაზე, რომ სადაზღვევო ბაზარი გაკოტრდება.

**— გაკოტრდება კი?**

— რომ არ ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ ინიცირებული ნებისმიერი სახის დაზღვევა, საერთოდ სახელმწიფოს რომ არ დაეზღვია არავინ, სადაზღვევო კომპანიები მაშინ როგორ რეჟიმში აპირებდნენ ფუნქციონირებას? საბაზისო სადაზღვევო პაკეტი არ მოიცავს ყველა სამედიცინო სერვისს და მომსახურებას, რომლებიც ადამიანს სჭირდება — ეს არის საბაზისო პაკეტი, რომელსაც სახელმწიფო იღებს თავის თავზე. მაინც და მაინც ამ საბაზისო პაკეტში ბიუჯეტიდან გარანტირებული ფულით უნდათ გადარჩენა? კომერცია ხომ მიმართულია იქითკენ, რომ მან უნდა მოიპოვოს ბენეფიციარი, ჩაერთოს ჯანსაღ კონკურენტულ ბრძოლაში და ხარისხისა და ფასების მიმზიდველობით განავითაროს თავისი ბიზნესი, ისევე, როგორც ამას აკეთებს ყველა ნორმალური ქვეყნის კომერციული სტრუქტურა, ბიზნესი არ იყოს ბიუჯეტზე დამოკიდებული, როგორც ჭიპლარზე მიბმული ბავშვი დედასთან და არ უნდა იკვებებოდეს სახელმწიფო ფულით. სამწუხაროდ, საქართველოში ამ მანკიერი გამოცდილების სტიმულირება ხდებოდა და, ბუნებრივია, ბევრ სადაზღვევოს და მათ ლობისტებს ისევ ძველი გარანტირებული და „მუქთი“ შემოსავალი ურჩევნიათ. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ბრძოლის გარეშე არ დათმობენ ძველ პოზიციებს და შეეცდებიან ფონდის კომპრომენტაციას და დაბლოკვას.

**— როგორია ჯანდაცვის მინისტრის პოზიცია?**

— **ამ ეტაპზე ჯანდაცვის მინისტრის პოზიცია გაურკვეველია, იმდენად, რამდენადაც მინისტრი ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება და კონკრეტიზაციისგან თავს იკავებს, თუმცა მან მინისტრის რანგში გაკეთებულ პირველ ინტერვიუში განაცხადა, რომ განუხრელად განახორციელებს „ქართული ოცნების“ ჯანდაცვის რეფორმის პროგრამას — ეს რეფორმა კი ჯანდაცვის საყოველთაობის პრინციპსა და არამომგებიანი არასახელმწიფო სადაზღვევო ინსტიტუციის — ფონდის შექმნის საკვანძო მნიშვნელობაზე დგას.**

**— თქვენ შექმენით არასამთავრობო ორგანიზაცია, რატომ? ეს ხომ არ ნიშნავს, რომ პროექტის განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და თქვენ ერთგვარად ოპოზიციურ პოზიციას იკავებთ?**

— არა, ეს არ არის ოპოზიციური ინსტიტუცია და **ვფიქრობთ, რომ ახალი ხელისუფლება თავის დანაპირებს და ინოვაციას კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენებს.** „ჯანდაცვის რეფორმისა და მონიტორინგის ცენტრი“ არავითარ შემთხვევაში არ იმუშავებს იმაზე, რომ ვიღაცას ოპონირება გაუწიოს. მთავარი მიზანი პრობლემების სწორად წარმოჩენა და ყველა ჩართული სუბიექტის აზრის შესწავლა-გათვალისწინებაა. ამ პროცესში ჩართულნი არიან როგორც ამ დარგის ქართველი ექსპერტები, ასევე საერთაშორისო დონისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები. ჩვენი ამოცანაა, ვიყოთ შუამავლები საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის და არ დავუშვათ კარგი იდეების, კარგი ინოვაციების მანკიერად ტრანსფორმირება. ეს არის ერთგვარი პრევენცია, რომელიც, ვფიქრობ, თანაბრად მისაღები და მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც საზოგადოებისთვის, ასევე ხელისუფლებისთვის.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009